

იზოლდა ჭილაძე

**ბუღალტრული აღრიცხვა
ბანკებში**

სახელმძღვანელო

მეორე გადამუშავებული გამოცემა

თბილისი 2016

უაკ(UDC) 657.22

წინამდებარე სახელმძღვანელოში განხილულია კომერციული ბანკების აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასების, აღიარებისა და აღრიცხვის საკითხები, ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისა და პრაქტიკოსი მუშაკებისათვის.

ავტორი: იზოლდა ჭილაძე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რედაქტორები: ზეინაბ გოგრიჭიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

გიორგი თორია, ეკონომიკის მაგისტრი

რეცენზენტი: თამარ თორია, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი

ISBN 978-9941-25-253-2

© ი. ჭილაძე

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016

შინაარსი

თავი 1. ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები

1.1.	საფინანსო-საკრედიტო სისტემა და მისი არსი -----	6
1.2.	ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის საგანი -----	9
1.3.	ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი -----	12
1.4.	კომერციული ბანკის ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურა -----	14
1.5.	ბუღალტრული ანგარიშები და ორმაგი აღრიცხვა -----	18
1.6.	ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა .-----	23

თავი 2. ბანკების საკასო ოპერაციების აღრიცხვა

2.1.	კომერციული ბანკების საკასო სამუშაოების ორგანიზაცია -----	25
2.2.	ნაღდი ფულით ოპერაციების წარმოების დოკუმენტაცია -----	27
2.3.	ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების გადაზიდვა და ინკასაცია -----	29
2.4.	ფულის ბანკნოტებისა და მონეტების ფორმირება და შენახვა ---	31
2.5.	საღაროს ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა -----	33
2.6.	ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში ფულის გამომშვების ოპერაციების აღრიცხვა -----	35
2.7.	უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების აღრიცხვა -----	37

თავი 3. ბანკების საანგარიშსწორებო ოპერაციების აღრიცხვა

3.1.	ოპერაციების აღრიცხვა კომერციული ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე -----	41
3.2.	კომერციული ბანკების სავალდებულო რეზერვები ეროვნულ ბანკში და მისი აღრიცხვა -----	46
3.3.	ოპერაციების აღრიცხვა კლიენტების მიმდინარე ანგარიშებზე --	48
3.4.	სადეპოზიტო ოპერაციების აღრიცხვა -----	50
3.5.	ბანკთაშორისი ოპერაციების აღრიცხვა -----	54
3.6.	ჩეკებით ანგარიშსწორების აღრიცხვა -----	58

თავი 4. საშუამავლო ოპერაციების აღრიცხვა

4.1.	სალიზინგო ოპერაციების აღრიცხვა-----	60
4.2.	ფაქტორინგული ოპერაციების აღრიცხვა -----	63
4.3.	დანარჩენი საშუამავლო ოპერაციების აღრიცხვა -----	65

თავი 5. საკრედიტო და სასესხო ოპერაციების აღრიცხვა

5.1.	საკრედიტო ოპერაციები და კრედიტის სახეები	67
5.2.	გაცემული სესხების აღრიცხვა	69
5.3.	აღებული სესხების აღრიცხვა	74
5.4.	გადაგადაცილებული სესხების აღრიცხვა	75
5.5.	ეროვნული ბანკიდან აღებული სესხების აღრიცხვა . . .	76

თავი 6. ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა

6.1.	დილინგური ოპერაციებისათვის ნაყიდი აქციების აღრიცხვა .	79
6.2.	ინვესტიციების აღრიცხვა	80
6.3.	ნაყიდი ობლიგაციების აღრიცხვა	82
6.4.	გამომშვებული ობლიგაციების აღრიცხვა	84

თავი 7. ოპერაციების აღრიცხვა უცხოურ ვალუტაში

7.1.	საკორესპოდენტო ანგარიშზე ოპერაციების აღრიცხვა უცხოურ ვალუტაში -----	87
7.2.	უცხოური ინვესტიციების აღრიცხვა -----	90

თავი 8. კომერციული ბანკების შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა

8.1.	ბანკების შემოსავლების კლასიფიკაცია და შეფასება -----	93
8.2.	შემოსავლების აღრიცხვა -----	96
8.3.	ბანკების ხარჯების კლასიფიკაცია და აღიარება -----	98
8.4.	ხარჯების აღრიცხვა -----	99
8.5.	კომერციული ბანკების მოგება/ზარალის აღრიცხვა-----	100

თავი 9. შიგა საბანკო ოპერაციების აღრიცხვა

9.1.	ძირითადი საშუალებების მოძრაობისა და ცვეთის აღრიცხვა .	103
9.2.	სამეურნეო ფასეულობების აღრიცხვა	109
9.3.	ბანკის განვითარებისა და პერსონალის ხარჯების აღრიცხვა	111
9.4.	მოგების გადასახადის აღრიცხვა	112

თავი 10. საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

10.1.	საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა კომერციულ ბანკებში .	116
10.2.	სააქციო კაპიტალის აღრიცხვა	118
10.3.	საკუთარი აქციების უკან გამოსყიდვის აღრიცხვა	123
10.4.	გასაცემი დივიდენდების აღრიცხვა	125
10.5.	საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე	127
10.6.	მოგების ხარჯზე შექმნილი რეზერვების აღრიცხვა	129

თავი 11. ბანკების ფინანსური ანგარიშგება და მისი ანალიზური მნიშვნელობა

11.1.	ფინანსური ანგარიშგების წარდგენა -----	131
11.2.	ფინანსური ანგარიშგების ელემენტები და კომპონენტები ---	136
11.3.	კაპიტალის შენარჩუნების კონცეფციები	137
11.4.	ფინანსური ანგარიშგების პაკეტი	141
11.5.	ბანკების ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მიმართულებები	150

დანართი


I. – ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შემადგენლობა	151
II. – საბანკო დაწესებულებების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა	152
III. – ტესტები	19
IV. – პასუხები	209

Accounting in the Banks

Content

Chapter 1. Fundamentals of accounting banks -----	6
Chapter 2. Accounting cash operations -----	25
Chapter 3. Accounting payment transactions -----	41
Chapter 4. Accounting of mediation operations -----	60
Chapter 5. Accounting credit transactions -----	67
Chapter 6. Accounting of securities -----	79
Chapter 7. Accounting operations in foreign currency -----	87
Chapter 8. Accounting revenues and expenses -----	93
Chapter 9. Accounting of intra banking operations -----	103
Chapter 10. Accounting of equity capital -----	116
Chapter 11. Analitikal role of Fianancial Statement Banks -----	131

Apendex:



თავი I. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები ბანკებში

ამ თავში გაეცნობით კომერციული ბანკების საქმიანობის აღრიცხვის საფუძვლებს ისეთ საკითხებს, როგორცაა:

- საფინანსო-საკრედიტო სისტემის არსი;
- ბუღალტრული აღრიცხვის საგანი და მეთოდი;
- ბუღალტრული ანგარიშები და ორმაგი აღრიცხვა;
- ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა.

1.1. საფინანსო-საკრედიტო სისტემა და მისი არსი

საბანკო-საკრედიტო სისტემა წარმოადგენს სხვადასხვა სახის ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების ერთობლიობას. **საკრედიტო დაწესებულებებს** მიეკუთვნება სპეციალიზებული საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები, როგორცაა: ფინანსური კომპანიები, სალიზინგო ფირმები, საინვესტიციო კომპანიები, საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები, საფინანსო ბირჟები, ლომბარდები, ინოვაციური და იპოთეკური დაწესებულებები.

ბანკები, განსხვავებით სამრეწველო საწარმოებისაგან, მიმოქცევის სფეროში ფუნქციონირებენ. სიტყვა ბანკი – იტალიური წარმოშობისაა და მაგიდას ნიშნავს. ამჟამად, ბანკი ნიშნავს ისეთ დაწესებულებას, რომელიც თავს უყრის სასესხო კაპიტალს ანუ საზოგადოებაში არსებულ თავისუფალ ფულად სახსრებს და სესხად აძლევს მას ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს. ამრიგად, ბანკები ახდენენ ფულის აკუმულაციას მისი სესხად გაცემის მიზნით და უკან იბრუნებენ მას გაზრდილი თანხით. ამასთან, ბანკების უმთავრესი დანიშნულებაა ფულად-საანგარიშსწორებო ფუნქციის შესრულება.

არსებობს ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა:

- I. ეროვნული ანუ ცენტრალური ბანკი
- II. კომერციული ბანკები

ეროვნული ბანკი წარმოადგენს ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას. იგი არის ბანკთა ბანკი, რომელიც ხელმძღვანელობს საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებული წესებით, საქართველოს კონსტიტუციითა და სათანადო საბანკო კანონმდებლობით.

ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარისა და ფასების სტაბილურობის მიღწევა საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად. მისი საქმიანობა რეგულირდება საქართველოს პარლამენტის მიერ ეროვნული ბანკის შესახებ მიღებული ორგანული კანონით.

მხოლოდ ეროვნულ ბანკს აქვს ფულის ემისიის უფლება. მას შეუძლია ფული ამოიღოს ბრუნვიდან ან შეცვალოს იგი. ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში გაშვებული ლარის ბანკნოტები და მონეტები წარმოადგენს ეროვნული ბანკის უპირობო ვალდებულებებს ნომინალური ღირებულებით. ეროვნული ბანკი უშუალოდ აკონტროლებს ნაღდი ფულის მარაგს სახელმწიფოში. ადგენს მისი ემისიის გეგმას. საქართველოს ეკონომიკას უზრუნველყოფს ბანკნოტებითა და მონეტებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფასების სტაბილურობა განისაზღვრება, როგორც სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ზრდის ტემპის შენარჩუნება მიზნობრივ დონეზე საშუალოვადიან პერიოდში. მიზნობრივი განაკვეთი განისაზღვრება ეროვნული ბანკის მიერ დამოუკიდებლად, თუმცა მან არ უნდა გადააჭარბოს 10%-ს.

ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია ძირითადი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთზე მოქმედებს ერთკვირიანი რეფინანსირების ოპერაციების მეშვეობით.

კომერციული ბანკების ლიკვიდობაზე (გადახდისუნარიანობაზე) ზემოქმედების მიზნით, ეროვნული ბანკი ახდენს მათ ერთ კვირიან რეფინანსირებას. იგი მიზნად ისახავს საჭირო ოდენობის ლიკვიდობის (ფულადი თანხების) მიწოდებას საბანკო სისტემისათვის.

ამჟამად ეროვნული ბანკი აღარ იყენებს სავალუტო ბაზარზე ინტერვენციებს, როგორც მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტს. ეროვნული ვალუტა გადასულია თავისუფლად მცურავი კურსის რეჟიმში, მინიმალური ჩარევებით. ინტერვენციების პოლიტიკა მიმართული იქნება სავალუტო ბაზარზე მერყეობის თავიდან ასაცილებლად საშუალო ვადაში, თუმცა გავლენას არ მოახდენს გაცვლითი კურსის გრძელვადიან დინამიკასა და დონეზე. უცხოური ვალუტით ინტერვენციები განხორციელდება მხოლოდ სავალუტო აუქციონების მეშვეობით, რომელიც იმართება მრავალი ფასის მეთოდით. აუქციონის მოცულობა და კურსის ქვედა და ზედა ზღვარი ცხადდება წინასწარ.

2009 წლის ივნისიდან ეროვნულმა ბანკმა შემოიღო სვობ ოპერაციები. სვობი ორი სახის ვალუტას შორის საპროცენტო სხვაობაა. აღნიშნული ინსტრუმენტის შემოტანის მიზანია უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების რისკის დაზღვევის უზრუნველყოფა. ბანკებს ეძლევათ საშუალება გაცვალონ უცხოური ვალუტის აქტივები ლარის აქტივებზე. ხდება უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებისაგან დაზღვევის ინსტრუმენტების (შეთანხმებების): სვობების, ფორვარდების, ფიუჩერსების და ოფციონების განვითარება.

კომერციული ბანკი არის ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით, თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას.

კომერციული ბანკების საფინანსო საქმიანობას არეგულირებს საქართველოს პარლამენტისა და ეროვნული ბანკის მიერ მიღებული კანონმდებლობა.

კომერციული ბანკებისათვის ნებადართულია შემდეგი სახის საქმიანობა:

1. როგორც პროცენტისანი, ისე უპროცენტო ფულადი ანაბრებისა და გადახდის სხვა დოკუმენტების მოზიდვა;
2. კრედიტების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, საბლანკო და სხვა კრედიტების ჩათვლით. ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესიის (ზიანის ანაზღაურების) უფლებით და ამ უფლების გარეშე. კომერციულ გარიგებათა დაფინანსება ფორფეტირების ჩათვლით;

3. ყიდვა-გაყიდვა თავიანთ ხარჯზე ან კლიენტების ხარჯზე (მ.შ. როგორც გარანტიის), ფულადი დოკუმენტების (ჩეკების, გადასაყვანი თამასუქებისა და სადეპოზიტო სერთიფიკატების ჩათვლით), ფიზიკურებისა და ოფციონების ან სავალუტო ინსტრუმენტების;

4. ფულადი გადარიცხვებისა და სალაროს ოპერაციების განხორციელება;

5. უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა, მ.შ. ფიზიკურული კონტრაქტების ფარგლებში, ამასთან, მხოლოდ ეროვნული ბანკის ლიცენზირებით;

6. გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება (საგადასახადო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრასტების ჩათვლით);

7. საშუამავლო მომსახურება ფულად ბაზარზე;

8. კლიენტების დავალებით სატრასტო (ნდობითი საშუამავლო) და ფიდუციარული ოპერაციების განხორციელება (ნდობითი ოპერაცია, რომელსაც ბანკი აწარმოებს კლიენტის დავალებით და მის ხარჯზე. მთელ რისკებს თავის თავზე იღებს კლიენტი. ხოლო, ბანკი - საკომისიოს), სახსრების მოზიდვა და განთავსება, ფასიანი ქაღალდების მართვა;

9. ფასეულობების შენახვა და აღრიცხვა (ფასიანი ქაღალდების ჩათვლით);

10. ინვესტორთა ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვა და მომსახურება როგორც მრჩეველის, საფინანსო აგენტის ან კონსულტანტის სახით;

11. საკრედიტო საცნობარო მომსახურება;

ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობა წარმოადგენს ზოგადად საბანკო საქმიანობას. კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ ისეთი გარიგებები და ქმედებები, რომელთა შედეგად იგი დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად აღმოჩნდება დომინირებულ მდგომარეობაში ფულად, საკრედიტო ან საფინანსო ბაზარზე. აგრეთვე ყოველგვარი მანიპულაცია, რომელიც დაუმსახურებელ უპირატესობას მიანიჭებს მას.

კომერციულ ბანკს უნდა ჰქონდეს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზია საბანკო საქმიანობის შესახებ. კომერციული ბანკის ლიცენზიისათვის აუცილებელია 12 მლნ ლარის საწესდებო კაპიტალი. ბანკებს ეკრძალებათ საწასდებო კაპიტალის შევსება არაფულადი ფორმით. კომერციული ბანკი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით.

სასამართლოში მიღებული იურიდიული რეგისტრაციის შემდეგ, საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად წერილობით მიმართავენ ეროვნულ ბანკს, რომელსაც თან უნდა ახლდეს კომერციული ბანკის ცნობა განცხადებული საწესდებო კაპიტალის, მისი განაღდებული ნაწილის და საკუთრების შესახებ. აგრეთვე წარადგენს ცნობას 10%-ზე მეტი წილის როგორც უშუალო მფლობელების ისე ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ (ბენეფიციარი არის პირი, რომელის კანონის ან გარიგების საფუძველზე იღებს ფულად ან სხვა სახის სარგებელს და ამ სარგებლის სხვა პირზე გადაცემის ვალდებულება არ გააჩნია), ცნობა თანამდებობის პირთა შესახებ და მათი ხელმოწერის ნიმუშები ნოტარიუსით დამტკიცებული. აგრეთვე, აუცილებელია დირექტორატის (გამგების) წევრების და მთავარი ბუღალტრის შრომის წიგნაკის ამონაწერები და სარეკომენდაციო წერილები დამოწმებული ბოლო სამუშაო ადგილებიდან, კადრების აღრიცხვის ფურცლები და დიპლომის ასლები. კომერციული ბანკის დირექტორატის (გამგების) თავმჯდომარედ და მთავარ ბუღალტრად როგორც წესი ინიშნებიან პირები, რომელთაც გააჩნიათ ბოლო სამი წლის მანძილზე საბანკო-საფინანსო სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება და შეფასდებიან დადებითად ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

ეროვნული ბანკი სამი თვის განმავლობაში აცნობებს განმცხადებელს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. ეროვნული ბანკი ლიცენზიას გასცემს იმ იურიდიულ პირზე, რომელიც აკმაყოფილებს განაღდებული საწესდებო კაპიტალის, დაკავებული ფართის და სხვა აუცილებელ მოთხოვნებს. ამასთან, ეროვნულ ბანკს, განსაკუთრებულ შემთხვევაში უფლება აქვს ლიცენზია ჩამოართვას ამა თუ იმ კომერციულ ბანკს.

განცხადებული საწესდებო კაპიტალი არის აქციონერთა მიერ დათქმული და წესდებით გათვალისწინებული საწესდებო კაპიტალი. განცხადებული საწესდებო კაპიტალის ფაქტობრივად განაღდებული ნაწილი არის **განაღდებული კაპიტალი**.

საბანკო საქმიანობა რისკის გარეშე არ არსებობს. მისი სრული აღმოფხვრა შეუძლებელია. რაც უფრო მაღალია ბანკის მიერ თავის თავზე აღებული რისკის ხარისხი, მით უფრო მაღალია პოტენციური მოგებაც. ბანკების მთავარი ამოცანაა მიაღწიონ ოპტიმალურ თანაფარდობას თავისი ოპერაციების რისკიანობასა და მომგებიანობის დონეებს შორის. ბანკებისათვის პრაქტიკულად აუცილებელია არა რისკების გამორიცხვა, არამედ მისი გათვალისწინება, შეფასება და მისი დონის შემცირება.

რისკების შეფასება ცხადია მაღალკვალიფიციურ კადრებს მოითხოვს. რისკის შეფასება ეყრდნობა ქვეყნისა და ბანკის მრავალი ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზსა და პროგნოზირებას. საჭიროა დარგობრივი, რეგიონალური და სახელმწიფო რისკების შესწავლა. ბანკის კლიენტების ფინანსური მდგომარეობის, მათი გადახდისუნარიანობის, კრედიტუნარიანობის და რეიტინგის დეტალური ანალიზი: მცურავი საპროცენტო განაკვეთების გამოყენება; კრედიტების და დეპოზიტების დაზღვევა. ეს და სხვა მსგავსი დონისძიებები ბანკებს საშუალებას აძლევთ შეამცირონ რისკებისაგან მოსალოდნელი დანაკარგები.

მეორე მხრივ, ბანკები საიმედო უნდა იყონ კლიენტებისათვის. საერთაშორისო პრაქტიკაში ცნობილია ბანკების საიმედოობის „მაგიური სამკუთხედი“:

- I. ლიკვიდურობის პრინციპი – ვალდებულებების დროულად დაფარვის უნარი;
- II. რენტაბელობა – გაცემული და მიღებული სესხების პროცენტების დადებითი თანაფარდობა (კოეფიციენტი ერთზე მეტი უნდა იყოს);
- III. უსაფრთხოება – საშიში არ იყოს ბანკში ფულის შეტანა.

12. ბუღალტრული აღრიცხვის საბანკო ბანკებში

ბუღალტრული აღრიცხვა, როგორც წესი, ამზადებს ინფორმაციას ბანკების აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. ამდენად, სააღრიცხვო ინფორმაციის გარეშე საბანკო საქმიანობის მართვა შეუძლებელია. აღრიცხვა წარმოადგენს რესურსებისა და ხარჯების მართვისა და კონტროლის ძირითად ინსტრუმენტს.

ბუღალტრული აღრიცხვის საგანია ბანკის რესურსები ანუ აქტივები, დაფინანსების წყაროები და საბანკო ოპერაციები. აქედან გამომდინარე, აღრიცხვას სამი ობიექტი აქვს:


I აქტივები - არის ბანკის განკარგულებაში არსებული ფინანსური და არაფინანსური ქონება, რომელთა გამოყენების შედეგად ბანკი მოელის რაიმე ეკონომიკური სარგებლის მიღებას (იხ.სქემა 1.2.1).

ერთმანეთისაგან განასხვავებენ შემდეგ მახვენებლებს: **საბანკო რესურსები, საკრედიტო რესურსები და ბანკის საკრედიტო პოტენციალი.**

საბანკო რესურსები ბანკის მთელი აქტივებია.

საკრედიტო რესურსები უშუალოდ სესხად გაცემული აქტივებია.

საკრედიტო პოტენციალი არის სხვაობა ბანკის მიერ მობილიზებულ მთლიან თანხებსა და ლიკვიდურობის რეზერვს შორის. ხოლო, **ლიკვიდურობის რეზერვი** არის კლიენტებიდან (ფიზიკური და იურიდიული პირებიდან) მიღებულ თანხების ნაწილი, რომლის გასესხება შეიძლება. იგი იყოფა პირველად და მეორად რეზერვებად.




სქემა 1.2.1.

ლიკვიდურობის პირველად რეზერვებს მიეკუთვნება თანხები საკორესპოდენტო ანგარიშებზე ეროვნულ ბანკში და სხვა კომერციულ ბანკებში და ბანკის სალაროებში არსებული ნაღდი ფული, ნაღდი ფულის სავალდებულო რეზერვების გამოკლებით. რეზერვის ნორმა განსაზღვრულია ეროვნული ბანკის მიერ 10%. ხოლო ადგილზე ნაღდი ფულის რეზერვები თვით კომერციული ბანკების მიერ დამოუკიდებლად განისაზღვრება.

ლიკვიდურობის მეორად რეზერვებს მიეკუთვნება მაღალშემოსავლიანი აქტივები, რომელიც მინიმალური დანახარჯებით და უმნიშვნელო რისკის ფასად გადაიქცევა ფულად და შეიძლება გამოყენებულ იქნას ბანკის ვალდებულებების დასაფარავად. ასეთია მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები და ბანკთაშორისი მოთხოვნამდე დეპოზიტები.

II. აღრიცხვის მეორე ობიექტია - საბანკო აქტივების ანუ რესურსების დაფინანსების წყაროები, რომლებიც პასუხობენ კითხვაზე, რა გზითაა შექმნილი ბანკის მთელი ქონება. დაფინანსების წყაროები ორ ჯგუფად იყოფა: **საკუთარი და მოზიდული (იხ.სქემა 1.2.2).**

III.



სქემა 1.2.2.

საკუთარ წყაროებს მიეკუთვნება მთელი საკუთარი კაპიტალი, რომელშიც შედის: სააქციო კაპიტალი, საემისო კაპიტალი, სარეზერვო კაპიტალი, გადაფასების რეზერვი, გაუნაწილებელი მოგება.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით **საკუთარი კაპიტალი** არის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ვალდებულებების დაფარვის შემდეგ.

სააქციო კაპიტალი არის აქციონერების წილი ბანკის აქტივებში. იგი შეიძლება შეიქმნას გამოშვებული პრივილეგირებული და ჩვეულებრივი აქციების გამოშვება-გაყიდვის გზით.

საემისიო კაპიტალი არის თანხა, რომლითაც გამოშვებული აქციების გასაყიდი ფასი აღემატება მის ნომინალურ ღირებულებას.

სარეზერვო კაპიტალი მოიცავს მოგების ხარჯზე შექმნილ სხვადასვა სახის რეზერვებს, რომელიც გამოიყენება რისკებისაგან წარმოქმნილი ზარალის დასაფარავად, დივიდენდების გასაცემად დაბალი მოგების მიღების დროს, თანამშრომელთა პრემირებისათვის და სხვა.

გადაფასების რეზერვი წარმოიქმნება გრძელვადიანი აქტივების გადაფასების დროს, როცა აქტივის გადაფასებული ღირებულება აღემატება მის საბალანსო ღირებულებას.

გაუნაწილებელი მოგება არის დასაბეგრი მოგების ის ნაწილი, რომელიც რჩება მოგების გადასახადის, დივიდენდებისა და რეზერვების გამოკლების შემდეგ.

სხვა ტიპის ფირმებისაგან განსხვავებით, ბანკების რესურსების დაფინანსების წყაროებში საკუთარი სახსრები 10%-15%-ს არ აღემატება. ეს გამოწვეულია ჯერ ერთი იმით, რომ ბანკები ახდენენ კლიენტების თავისუფალი სახსრების გადანაწილებას ე.ი. ძირითადად სხვისი ფულით მუშაობენ. მეორეც, საბანკო რესურსები ძირითადად ლიკვიდურ ფორმაში იმყოფებიან, ვიდრე არაფინანსური კომპანიების აქტივები და ამდენად „გაყინული“ (დაბანდებული) არ არის დიდი მოცულობის ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური მარაგების სახით. ეს თავისებურებები ბანკებს საშუალებას აძლევთ სწრაფად მოახდინონ სხვისი ფულადი სახსრების მობილიზება და გამოიყენონ იგი კლიენტების ვალდებულებების დასაფარავად, რითაც ამცირებენ მოთხოვნას საკუთარ კაპიტალზე. ოღონდ, ახლად შექმნილი ბანკის რესურსები მთლიანად საკუთარი კაპიტალით უნდა იყოს დაფინანსებული.

II. ვალდებულებები მოზიდულ წყაროებს წარმოადგენენ. ვალდებულება არის ბანკის მოვალეობა სხვა სუბიექტების მიმართ გარკვეულ გადასახდელ თანხებზე.

განასხვავებენ დეპოზიტურ და არადეპოზიტურ ვალდებულებებს. დეპოზიტი ნიშნავს ფულის ჩადებას ანაბარზე. არსებობს მიღებული და გაცემული დეპოზიტები. ვალდებულებებს წარმოადგენს მიღებული დეპოზიტები. იგი შეიძლება მიღებულ იქნეს იურიდიული ან ფიზიკური პირებისაგან.

დეპოზიტები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით შეიძლება იყოს:

დეპოზიტები მოთხოვნამდე – ხელსაყრელია მეანაბრისათვის, რადგან ნებისმიერ დროს შეუძლია გაიტანოს, მაგრამ დაბალი საპროცენტო განაკვეთი აქვს.

ვადიანი დეპოზიტები – არის ფიქსირებული ვადით ბანკში შეტანილი ფულადი სახსრები, რაზეც ბანკები უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს აწესებენ.

შემნახველი დეპოზიტები (შენატანები) ფორმდება შემნახველი სერთიფიკატებით.

არადეპოზიტურ ვალდებულებებს მიეკუთვნება ისეთი ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება მიღებული სესხებით ან ფულად ბაზარზე საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდების გაყიდვით.

III. ბუღალტრული აღრიცხვის მესამე ობიექტია საბანკო ოპერაციები. საბანკო ოპერაცია არის საბანკო საქმიანობაში განხორციელებული ყოველი ცალკეული ქმედება, რომელსაც შესაბამისი ცვლილებები შეაქვს ბანკის

აქტივებში, ვალდებულებებში, საკუთარ კაპიტალში, დანახარჯებსა და შემოსავლებში.

გამოიყოფა აქტიური და პასიური ოპერაციები. **აქტიური ოპერაციების** შედეგად წარმოიქმნება მოთხოვნები. **პასიური ოპერაციების** შედეგად კი წარმოიქმნება ბანკის რესუსების დაფინანსების წყაროები.

ამრიგად, **ბუღალტრულმა აღრიცხვამ უნდა მოიცვას ბანკის მთელი ქონება, მათი დაფინანსების წყაროები და მათში მომხდარი ცვლილებები ანუ ყველა საბანკო ოპერაცია, რომელსაც ადგილი ექნება საბანკო საქმიანობის პროცესში.**

ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების მეთოდოლოგია, სხვა ტიპის კომპანიების მსგავსად, რეგულირდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს), რომელიც აგრეთვე შეიცავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (ბასს).

13. ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი

ბუღალტრული აღრიცხვა თავისი მიზნის მისაღწევად, მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება მისი მომხმარებლებისათვის, საჭიროებს სათანადო ხერხების გამოყენების აუცილებლობას.

ბუღალტრული აღრიცხვის ხერხების (წესების) ერთობლიობა წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდს. იგი რვა ხერხს ანუ ოთხ წყვილ ელემენტს შეიცავს. ესენია:

- I. დოკუმენტაცია და ინვენტარიზაცია
- II. შეფასება და კალკულაცია
- III. ანგარიშები და ორმაგი (ორადი) აღრიცხვა
- IV. საცდელი ბალანსი და ანგარიშგება

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

ვინაიდან ბუღალტრული აღრიცხვის მიზანია მოამზადოს მაღალი საიმედოობის ინფორმაცია, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება ბიზნესის სამყაროში, ბუღალტრული აღრიცხვა სამართლებრივი ძალის მქონე დოკუმენტებს უნდა ეყრდნობოდეს. დაუშვებელია ნებისმიერი სახის საფინანსო-ეკონომიკური ხასიათის ოპერაციის აღრიცხვა, თუ მასზე სათანადო დოკუმენტი გაფორმებული არაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკონომიკური ოპერაცია უკანონოდ ითვლება.

დოკუმენტი არის ამა თუ იმ მოვლენის მოხდენის წერილობითი მტკიცებულება, რომელსაც იურიდიულ-სამართლებრივი ძალა აქვს. დოკუმენტი არის მომხდარი ფაქტების შესახებ არსებული ინფორმაციის პირველი საცავი.

ყოველი სამეურნეო-ეკონომიკური ოპერაციის სათანადო დოკუმენტებით გაფორმებას **დოკუმენტაცია ეწოდება**. ყველა დოკუმენტი შესაბამისი წესით უნდა გაფორმდეს. მასში დასმულ ყველა კითხვას პასუხი უნდა გაეცეს.

დოკუმენტი უნდას იყოს დათარიღებული, ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული.

ამდენად, აღრიცხვაში დოკუმენტაციის ხერხის გამოყენება აუცილებელია ობიექტური და სამართლიანი ინფორმაციის მოსამზადებლად, რომელიც მის მომხმარებლებს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება.

ზოგიერთი სააღრიცხვო ინფორმაცია ზოგჯერ სინამდვილეს არ შეესაბამება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს პირველად დოკუმენტებში არასწორად შეტანილი ჩანაწერები და გამოთვლები, სააღრიცხვო ჩანაწერებში დაშვებული შეცდომები ან თაღლითობით გამოწვეული დანაკლისები. აქედან გამომდინარე,

საჭირო ხდება მკდარი სააღრიცხვო ჩანაწერების შესწორება. ამ მიზნით გამოიყენება **ინვენტარიზაცია**, რაც ფაქტობრივი მდგომარეობის აღწერას ნიშნავს. ინვენტარიზაციას ატარებს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დანიშნული კომისია, რომელიც ადგენს ინვენტარიზაციის აქტს და რომელშიც ასახულია ფაქტობრივად აღმოჩენილი მონაცემები. ინვენტარიზაციის აქტის საფუძველზე მომზადდება ინვენტარიზაციის შედარების უწყისი, რომელშიც სააღრიცხვო მონაცემებსა და ინვენტარიზაციის შედეგებს ერთმანეთს შეუდარებენ და გამოითვლება გადახრები, რომლის საფუძველზეც, აღრიცხვაში დაშვებული შეცდომების გასწორება მოხდება.

შეფასება, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთი ხერხი, ნიშნავს ნატურალურ და შრომით ერთეულებში გამოხატული აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის და საფინანსო-ეკონომიკური ოპერაციების გადაყვანას ფულად-თანხობრივ გამოსახულებაში. შეფასების მეთოდი აუცილებელია ფინანსურ ანგარიშგებაში მისი ელემენტების აღიარება-ასახვის მიზნით.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტები და მათი მუხლები, ანგარიშგებაში აღიარებული უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, თუ:

- ა. მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა;
- ბ. მუხლს გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

ამრიგად, შეფასება არის ფულადი თანხების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება საწარმოს ბალანსსა და მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. ეს პროცესი გულისხმობს შეფასების გარკვეული მეთოდის შერჩევას.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს საწარმოები (მათ შორის ბანკები) იყენებენ შეფასების სხვადასხვა სახეებს, სხვადასხვა ხარისხით და მრავალი კომბინაციით. **შეფასების ძირითადი სახეებია:** პირვანდელი ღირებულება ანუ თვითღირებულება, მიმდინარე ღირებულება, რეალური ღირებულება და დისკონტირებული ღირებულება.

პირვანდელი ღირებულება (ან თვითღირებულება) არის აქტივის შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ოდენობა, ან რეალური ღირებულება, რომელიც უნდა გადახდილიყო მათი შეძენის მომენტში. ან პროდუქციის დამზადებასა და მომსახურების გაწევაზე გაწეული დანახარჯების ჯამი.

მიმდინარე ღირებულება არის ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების ის ოდენობა, რომელიც უნდა გადახდილიყო საწარმოს მიერ აქტივის შეძენისას. ვალდებულებები აღირიცხება არადისკონტირებული ფულადი თანხით, რომელიც საჭიროა მის დასაფარავად მიმდინარე პერიოდში.

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვადებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისათვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნაბაყოფლობით განხორციელებული ოპერაციების დროს (ფასს 13. მუხლი 9).

დისკონტირებული ღირებულება არის აქტივების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულების თანხა, რომელიც საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში მომავალში შემოსასვლელი წმინდა ფულადი სახსრების ტოლია. ვალდებულება აღირიცხება იმ მიმდინარე დისკონტირებული თანხით, რომელიც საჭიროა ამ ვალდებულების დასაფარად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში და რომელიც საწარმოდან მომავალში ამ მიზნით გასასვლელი ფულადი სახსრების ტოლია (ფასს 1. მუხლი 100).

კალკულაცია არის დამზადებული პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოების თვითღირებულების გამოთვლა დანახარჯთა სახეების მიხედვით, რომელიც ბანკებში არ გამოიყენება. ეს მეთოდი ძირითადად მატერიალური წარმოების სფეროს კომპანიებს ჭირდებათ. ბანკებში შესაძლოა განისაზღვროს ვთქვათ, რა ჯდება საბანკო მომსახურების ერთი საათი.

ბუღალტრული ანგარიში არის თითოეული სახის აქტივებში, ვალდებულებებში, საკუთარ კაპიტალში, შემოსავლებსა და ხარჯებში მომხდარი ნებისმიერი ცვლილების აღრიცხვის ხერხი.

ორმაგი (ანუ ორადი) აღრიცხვა ნიშნავს ერთი რომელიმე საბანკო-ეკონომიკური ოპერაციის ასახვას ორ სხვადასხვა ბუღალტრულ ანგარიშზე: ერთის დებეტში და მეორის კრედიტში.

საცდელი ბალანსი არის ყველა ბუღალტრულ ანგარიშზე დარჩენილი ნაშთების დეკლარაცია, შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშების დახურვამდე.

დისკუსია: შევნიშნავთ, რომ სააღრიცხვო ლიტერატურაში, აღრიცხვის ხერხების მეოთხე წევრი წარმოდგენილია, როგორც: **ბალანსი და ანგარიშგება**, რასაც არ ვეთანხმებით. ბუღალტრული ბალანსი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი კომპონენტია და მასთან ერთად განიხილება. ლოგიკურია საცდელი ბალანსის, როგორც აღრიცხვის ხერხის გამოყოფა, ვინაიდან, სწორედ საცდელი ბალანსიდან მზადდება ანგარიშგების კომპონენტები, როგორცაა ბუღალტრული ბალანსი და მოგება/ზარალის ანგარიშგება. პირველ რიგში საცდელმა ბალანსმა უნდა აჩვენოს დაცულია თუ არა „წონასწორობა“ საწარმოს აქტივებსა და დაფინანსების წყაროებს შორის. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მომზადდეს თვით ბუღალტრული ბალანსი.

ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და საქმიანობის შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. ანგარიშგებას „ბუღალტრული აღრიცხვის გვირგვინს“ უწოდებენ. მას მიეკუთვნება: **ბუღალტრული ბალანსი, მოგება/ზარალის ანგარიშგება, ფულადი ნაკადების ანგარიშგება, ცვლილებები საკუთარ კაპიტალში და წერილობითი განმარტებები**. ყველა იურიდიული პირი ვალდებულია გამოაქვეყნოს ფინანსური ანგარიშგება რათა სხვადასხვა იურიდიულმა პირებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა შეძლონ შეაფასონ ამა თუ იმ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები, მასთან ამა თუ იმ სახის საქმიანი კავშირების დამყარების შესახებ.

14. კომერციული ბანკების ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურა

ბუღალტრული ბალანსი არის ფირმის აქტივების ანუ ქონების ორმხრივი ასახვა: ერთი მხრივ, აქტივების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ანუ სახეების მიხედვით და მეორე მხრივ, აქტივების დაფინანსების წყაროების მიხედვით.

ბუღალტრულ ბალანსს ორი მხარე აქვს: აქტივი და პასივი. აქტივში ასახულია ფირმის ქონება ერთგვაროვანი სახის აქტივების მუხლების მიხედვით. პასივში კი მოცემულია აქტივების შექმნის წყაროები: ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი.

დისკუსია: შევნიშნავთ, რომ ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები (ფასს) და აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს) ბალანსის მეორე მხარეს არ უწოდებს „პასივს“, ამ ტერმინს არ იყენებს. ბალანსის მეორე მხარეს მოიხსენიებს როგორც: „ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი“.

ვეიქრობთ, რომ ტერმინოლოგია მით უფრო სასარგებლოა, რაც უფრო მოკლედ, ლაკონურად და სწრაფად გამოითქმის. ამასთან, ვალდებულებებიც და საკუთარი კაპიტალიც, აქტივების დაფინანსების წყაროებია და ამდენად, გამართლებულად მიგვაჩნია ერთი ტერმინის - „პასივების“ - ცნების ქვეშ მათი გაერთიანება. მით უფრო, რომ ტერმინი - „პასივები“ ფარგლოდ გამოიყენება თეორიასა და პრაქტიკაშიც.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, აქტივი წარმოდგენილი უნდა იყოს მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების განაყოფების სახით. ასევე, ვალდებულებები დაჯგუფებული უნდა იყოს მიმდინარე და გრძელვადიანი ვალდებულებების სახით.

ბუღალტრული ბალანსი ეყრდნობა შემდეგ ტოლობას:

აქტივი = ვალდებულებები + საკუთარი კაპიტალი

გარეგნულად, ბუღალტრული ბალანსი შეიძლება იყოს **ჰორიზონტალური ან ვერტიკალური ფორმის**.

ჰორიზონტალური ტიპის ბალანსში მარცხნივ აქტივია და მარჯვნივ პასივი. **ვერტიკალური ფორმის ბალანსში** კი ჯერ აქტივის მუხლებია ჩამოთვლილი და შემდეგ პასივის: ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი. ბუღალტრული ბალანსი რომელი ფორმითაც არ უნდა მომზადდეს, მასში ყოველთვის არის ასახული აქტივებისა და მათი დაფინანსების წყაროების ტოლობა. კერძოდ, ბალანსის აქტივის ჯამი ყოველთვის ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ჯამის ტოლია.

ბუღალტრულ ბალანსში გაკეთებულ ყოველ თანხობრივ ჩანაწერს, **ბუღალტრული მუხლი ეწოდება**. დანიშნულებისა და ლიკვიდურობის მიხედვით ერთგვაროვანი სახის აქტივი, ვალდებულება და საკუთარი კაპიტალი ბუღალტრულ ბალანსში აღიარდება განცალკავებული მუხლების სახით.

სასწავლო მიზნებისათვის ჯერ განვიხილოთ ჰორიზონტალური ტიპის ბალანსი გამარტივებული სახით. დაფუშვით, ბანკის დაფუძნების დორს შეტანილია 18 მლნ ლარი. 12 მლნ ლარი მესაკუთრეებმა საკუთარი სახსრებით მოაგროვა,

(კონდმებლობიტ, სავალდებულო 12 მლნ კლარი საკუთარი სახსრებით უნდა იყოს დაფარული). დანარჩენი კი ისესხეს. ასეთ შემთხვევაში, ბანკის საწყისი ბალანსი იქნება შემდეგი სახის:

ცხრილი 14.1.

საწყისი ბალანსი (მლნ.ლ)

აქტივი	თანხა	პასივი	თანხა
ფულადი სახსრები	18,0	სააქციო კაპიტალი	12,0
-----	-----	ვალდებულება	6,0
ჯამი	18,0	ჯამი	18,0

განვიხილოთ მარტივი საბანკო ოპერაციები და ვაჩვენოთ, რომ საბალანსო ტოლობა არასოდეს არ დაირღვევა.

I. დაფუშვით, ბანკში დეპოზიტებზე შეიტანეს 8,0 მლნ ლ.

ამ ოპერაციის შედეგად, ბალანსის აქტივში გაიზრდება ფულადი სახსრები და პასივში, იმავე სიდიდით გაიზრდება ვალდებულებები.

II. ბანკმა გასცა სესხის სახით 15 მლნ ლარი.

ამ ოპერაციით, აქტივში შემცირდება ფულადი სახსრები და იმავე აქტივში, წარმოიშვება ახალი მუხლი: მოთხოვნა გაცემული სესხებით.

III. ბანკმა დეპოზიტებზე გასცა 1 მლნ ლარის პროცენტის თანხა.

ამ ოპერაციით, ბალანსის აქტივში შემცირდება ფულადი სახსრები და იმავე სიდიდით პასივში შემცირდება ეკონომიკური სარგებელი.

IV. ბანკმა გაცემული სესხებიდან მიიღო 1,5 მლნ ლარი საპროცენტო შემოსავალი.

ეს ოპერაცია ზრდის ფულად სახსრებს – აქტივში და იმვე თანხით ზრდის ეკონომიკურ სარგებელს – მოგებას, ბალანსის პასივში.

ჩამოთვლილი ოპერაციების გავლენის გათვალისწინების შემდეგ, ბუღალტრული ბალანსი მიიღებს შემდეგ სახეს (იხ. ცხრილი 14.2).

ცხრილი 14.2.

ბალანსი რეგისტრირებული ოპერაციების შემდეგ (მლნ.ლ)

აქტივი	თანხა	პასივი	თანხა
ფულადი სახსრები (18+8-15-1+1,5)	11,5	სააქციო კაპიტალი	12,0
მოთხოვნა გაცემული სესხებით	15,0	ვალდებულება (8+6)	14,0
-----	-----	მოგება (1,5 -1)	0,5
ჯამი	26,5	-----	-----
		ჯამი	26,5

როგორც 14.2 ცხრილიდან ჩანს, საბალანსო წონასწორობა არ დარღვეულა და არც შეიძლება დაირღვეს თუ ყველა ცვლილების აღიარება უშეცდომოდ მოხდება. მოტანილი მაგალითი მართალია ძალიან მარტივი სახისაა, მაგრამ როგორი რთული და მრავალრიცხოვანიც არ უნდა იყოს ამა თუ იმ პერიოდში განხორციელებული საბანკო ოპერაციები, არსებული კანონზომიერება ყოველთვის დაცული იქნება.

შეიძლება დაისვას ასეთი კითხვა: შემდეგი კვირის ბოლოსათვის ბალანსის საბოლოო ჯამი არ შეცვლილა. მაგრამ, ფულადი თანხები 7 მლნ ლარით შემცირდა. რა მოცულობის გახდება გაცემული სესხები? პასუხი: გაიზრდება 7 მლნ ლარით.

ხოლო, გარეგნულად ბალანსი ჰორიზონტალური ტიპის იქნება თუ ვერტიკალური, ეს არაარსებითი საკითხია და შინაარსობრივად ბალანსში არაფერს არ ცვლის.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების რეკომენდაციით, საწარმოებმა ბუღალტრულ ბალანსში უნდა ასახონ შესადარისი ინფორმაცია სულ მცირე ორი საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ბუღალტრულ ბალანსში ყველა საწარმო ვალდებულია აჩვენოს მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები განცალკავებულად. მხოლოდ ბანკებს აქვთ უფლება, აქტივები და ვალდებულებები არ წარადგინონ მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლების სახით. აღრიცხვის სტანდარტების განმარტებით, „უფრო სასარგებლო ინფორმაციას იძლევა მუხლების წარდგენა ლიკვიდურობის ზრდადობის ან შემცირების მიხედვით, ვიდრე მიმდინარე და გრძელვადიანი ნიშნის მიხედვით ასახვა. ეს იმითაა გამართლებული, რომ ბანკები არ აწარმოებენ საქონლისა და მომსახურების მიწოდებას მკაფიოდ განსაზღვრულ საოპერაციო ციკლში. (ბასს 1. მუხლი 63).

დისკუსია:

ჩვენი აზრით, უფრო მართებული იქნება თუკი ბანკების წლიურ ბუღალტრულ ბალანსში აქტივები (ასევე ვალდებულებები) წარმოდგენილი იქნება მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების განყოფილების სახით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინფორმაციის გარე მომხმარებლებისათვის შეუძლებელი ხდება ლიკვიდურობის კოეფიციენტების გამოანგარიშება, რომელთა გამოსათვლელად მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების მაჩვენებლებია საჭირო. შესაბამისად, ნაწილობრივ იზღუდება ბალანსის ფინანსური მდგომარეობის შეფასების ფუნქცია.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკები მატერიალურ პროდუქციას არ აწარმოებენ, ეს არაარსებითი საკითხია. მთავარია ანგარიშგებაში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის თავისებურებები ჩანდეს.

ფიქრობთ, ბანკებზეც სავალდებულო წესით უნდა გავრცელდეს მოთხოვნა რომ, საწარმომ აქტივი მიმდინარე აქტივად უნდა მიიჩნიოს, თუ: ნავარაუდევია აქტივის რეალიზაცია ან გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისათვის, ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში; ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით; ნავარაუდევია მისი რეალიზაცია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან არის ფულადი აქტივი და მისი ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც. ყველა სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნოს გძელვადიან აქტივებს (ბასს 1. მუხლი 66).

გრძელვადიანი აქტივი მოიცავს ყველა იმ მატერიალურ, არამატერიალურ და ფინანსურ აქტივს, რომელიც გრძელვადიანი დანიშნულებით (ერთ წელზე მეტი ხნით) გამოიყენება.

დღეისათვის, კომერციული ბანკები წლიურ ბუღალტრულ ბალანსში არ გამოყოფენ მიმდინარე და გრძელვადიან აქტივებსა და ვალდებულებებს. იგი შემდეგი სახით ქვეყნდება (იხ. ჩხრილი 14.1).

ცხრილი 14.1.

**კომერციული ბანკის ბუღალტრული ბალანსი
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარებში)**

აქტივი	თანხა	პასივი (ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი)	თანხა
ნაღდი ფული	5 000	I. ვალდებულებები	
საკორესპოდენტო ანგარიში	21 000	მიმდინარე ანგარიშები	25 400
ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	9 000	ბანკების დეპოზიტები	12 000
ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის	1 500	მიმდინარე დეპოზიტები	14 500
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	22 000	მოთხოვნამდე დეპოზიტები	15 400
გაცემული სესხები	60 000	საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	12 000
სესხების შესაძლო დანაკ. რეზერვი	(4 000)	ნასესხები სახსრები	15 600
წმინდა სესხები (60000 – 4000)	56 000	გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები	16 500
მისაღები პროცენტები და დივიდენდები	12 000	სუბორდინირებული ვალდებულებები	9 400
ინვესტიციები საწასდებო კაპიტალში	30 000	სხვა ვალდებულებები	-----
გასაყიდად გამზადებული აქტივები	16 800		131 800
ძირითადი საშუალებები	45 000	სულ	
გუდვილი	5 000	ვალდებულებები	
არამატერიალური აქტივები	2 500	II. საკუთარი კაპიტალი	45 000
სხვა აქტივები	1 200	სააქციო კაპიტალი ჩვეულებრივ აქციებში	14 000
სულ აქტივები	227 000	სააქციო კაპიტალი პრივილეგირებულ აქციებში	10 000
		საემისიო კაპიტალი	12 400
		საერთო რეზერვები	7 500
		აქტივების გადაფასების რეზერვი	6 300
		გაუნაწილებელი მოგება	-----
		სულ საკუთარი კაპიტალი	95 200
		სულ პასივები	227 000

კომერციულ ბანკებში ბუღალტრული ბალანსი ყოველი დღის ბოლოს მზადდება და ყოველი მომდევნო დღის 11 საათამდე, ელექტრონული ფაილის სახით უგზავნიან ეროვნულ ბანკს. ყოველდღიურ ბალანსში მოცემულია ყველა ანგარიშის ნაშთი შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშების ჩათვლით. ყოველი თვის 10 სამუშაო დღეში აგრეთვე წარადგენენ საანგარიშგებო თვის ბოლო რიცხვის მდგომარეობით მომზადებულ ბალანსს ვალუტების ჭრილში, მოგება/ზარალის ანგარიშგებას, ბანკთაშორისი სესხებისა და დეპოზიტების შესახებ ინფორმაციას. კვარტლის დამთავრებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, მას შემდეგ რაც ნებართვას მიიღებენ ეროვნულ ბანკში წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე, კვარტალურ ანგარიშგებას აქვეყნებენ ბეჭდვით ორგანოში. აგრეთვე, ყოველწლიურად, მომდევნო წლის 15 მაისამდე ეროვნულ ბანკს წარედგინება წლიური ფინანსური ანგარიშგება, დამოუკიდებელი გარე აუდიტის მიერ მომზადებულ დასკვნასთან ერთად. გარდა ეროვნული ბანკისა, კომერციული ბანკები ყოველთვიურ, კვარტალურ და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას უგზავნიან ცენტრალურ საზღვარგარეთის ოფისებს.

ბუღალტრული ბალანსი კომერციულ ბანკებში ცალ-ცალკე დგება ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, რომელთა დაჯამებით მიიღება კრებისით ბალანსი, რომელშიც, ყველა სახის უცხოური ვალუტა გადაყვანილია ეროვნულ ვალუტაში.

ბანკმა თავისი საკრედიტო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ ანგარიშგება უნდა წარადგინოს დროის გარკვეული ინტერვალით. ბანკებში ანგარიშგების ორი ფორმა არსებობს: შიდა და გარე ანგარიშგება.

შიდა ანგარიშგება მზადდება ბანკის მენეჯმენტისა და ხელმძღვანელობის მიერ მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად დროის ნებისმიერი პერიოდისათვის: დღე, დეკადა, თვე, კვარტალი და წელიწადი. შიდა ანგარიშის წარდგენის პერიოდულობას ადგენს ბანკის დირექტორთა საბჭო.

გარე ანგარიშგება ძირითადად ინფორმაციის გარე მომხმარებლებისათვის მზადდება. კომერციული ბანკები სხვადასხვა ტიპის გარე ანგარიშგებას წარადგენენ. ესენია:

- ანგარიშგება საქართველოს ეროვნულ ბანკთან;
- ანგარიშგება სახელმწიფო სტრუქტურებთან (საგადასახადო სამსახურები);
- ანგარიშგება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან;
- ანგარიშგება საერთაშორისო აუდიტთან;
- ანგარიშგება საზოგადოებისათვის.

ეროვნული ბანკისათვის ანგარიშგების წარდგენის პერიოდულობას განსაზღვრავს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული სპეციალური დადგენილებები. სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ანგარიშგება წარედგინება ყოველთვიურად, კვარტალურად და წლიურად. საერთაშორისო აუდიტისა და ინფორმაციის დანარჩენი ტიპის მომხმარებლებისათვის, წელიწადში ერთხელ.

1.5. ბუღალტრული ანგარიშები და ორმაზი აღრიცხვა

ბუღალტრული ანგარიშები გამოიყენება საფინანსო-ეკონომიკური ოპერაციებით გამოწვეული ცვლილებების აღრიცხვისათვის.

ბუღალტრული ანგარიში არის სპეციალური მოხაზულობის ცხრილი, რომელშიც ერთგვაროვანი ტიპის ოპერაციები სათანდო წესით აღრიცხება.

საფინანსო-ეკონომიკური (სამეურნეო) ოპერაცია არის ყოველი ცალკეული ქმედება, რომელსაც ადგილი აქვს ნებისმიერი კომპანიის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესში. მაგალითად, სესხის აღება, სესხის გაცემა, შენობის შექმნა, ხელფასის გაცემა და ა.შ. ცალკეული ოპერაციაა, რომლებიც ცვლიან ფირმის ანგარიშგების ეკონომიკურ ელემენტებს ანუ ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

ყოველი სამეურნეო (ეკონომიკური) ოპერაცია ცვლილებებს იწვევს კომპანიების და შესაბამისად, ბანკების ისეთ ნაერთ ეკონომიკურ მაჩვენებლებში, როგორცაა: აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები. ეს ცვლილებები დადებით ან უარყოფით გავლენას ახდენენ საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, ამიტომ მენეჯმენტს ეფექტიანი მართვის მიზნით სჭირდება სრულყოფილი ინფორმაცია იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც მხოლოდ ბუღალტრული ანგარიშების გამოყენებით აღირიცხება.

ვინაიდან ბუღალტრული ანგარიშები ცვლილებებს აღრიცხავენ, ხოლო ნებისმიერი სახის ცვლილება შეიძლება მხოლოდ ორი მიმართულებით: ზრდის ან შემცირების მიმართულებით მოხდეს, ამიტომ, ყველა ბუღალტრულ ანგარიშს ორ-ორი მხარე აქვს, რომელთაც ტრადიციულად, ლათინური წარმოშობის ტერმინები – დებეტი და კრედიტი ეწოდებათ.

ცალკეული სახის აქტივის, ვალდებულების, საკუთარ კაპიტალის, შემოსავლისა და ხარჯის აღრიცხვისათვის შესაბამისი სახელწოდების ანგარიში გამოიყენება. იმის შესაბამისად, თუ ბუღალტრული ანგარიში ეკონომიკური შინაარსის მიხედვით რას აღრიცხავს, გასხვავებულია მათი სადებეტო და საკრედიტო მხარეების შინაარსი. ამიტომ, პირველ რიგში, **ეკონომიკური შინაარსის მიხედვით გამოიყოფა: აქტიური, პასიური და აქტიურ-პასიური ანგარიშები.**

აქტიური ანგარიში ეწოდება აქტივების ანუ (ქონების) და დანახარჯების აღმრიცხველ ანგარიშებს. აქტიური ანგარიშების – დებეტში აღირიცხება ანგარიშის ზრდა და კრედიტში – ანგარიშის შემცირება. აქტიურ ანგარიშებს აქვთ მხოლოდ დებეტის ნაშთი.

პასიური ანგარიში ეწოდება აქტივების დაფინანსების წყაროების ანუ ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალისა და შემოსავლების აღმრიცხველ ანგარიშებს. მათ შებრუნებული ბუნება აქვთ აქტიურ ანგარიშებთან შედარებით. დებეტში აღირიცხება – შემცირება და კრედიტში – ზრდა. პასიურ ანგარიშებს აქვთ მხოლოდ კრედიტის ნაშთი.

აქტიურ-პასიურ ანგარიშებს ორივე ტიპის ანგარიშის ბუნება აქვთ. მათ შეიძლება ჰქონდეთ დებეტის ან კრედიტის ნაშთი.

ბუღალტრულ ანგარიშზე დარჩენილი ნაშთი ახასიათებს ოპერაციებით გამოწვეული ცვლილებების დარჩენილ შედეგს. ანგარიშის ნაშთი შეიძლება გამოთვლილი იქნეს ან ბრუნვის მეთოდით ან მთლიანი ჯამის მეთოდით.

ა). ნაშთის გამოთვლა ბრუნვის მეთოდით

ამ მეთოდით აქტიური ანგარიშის საბოლოო ნაშთი უდრის დებეტის საწყის ნაშთს მიმატებული დებეტის ბრუნვა და გამოკლებული კრედიტის ბრუნვა. ანგარიშის ბრუნვა არის მიმდინარე პერიოდში ასახული თანხების ჯამი. ბრუნვაში ნაშთი არ შედის.

პასიური ანგარიშის საბოლოო ნაშთი უდრის კრედიტის საწყის ნაშთს მიმატებული კრედიტის ბრუნვა და გამოკლებული დებეტის ბრუნვა.

მაგალითზე ნაჩვენებია ნაშთების გამოთვლა თანხობრივად. წერტილებში იგულისხმება სხვადასხვა ოპერაციის ნომერი.

აქტიური ანგარიში		პასიური ანგარიში	
ღ	კ	ღ	კ
ნაშთი: 5 000	* 14 000	* 15 000	ნაშთი: 10 000
* 12 000	* 16 000	* 20 000	* 24 000
* 14 500			* 10 000
ბრუნვა: 26 500	ბრუნვა: 30 000	ბრუნვა: 35 000	ბრუნვა: 34 000
ნაშთი: 1 500 (5000+26500-30000)			ნაშთი: 9 000 (10000+34000-35000)

ბ). ნაშთის გამოთვლა მთლიანი ჯამის მეთოდით:

ბუღალტრულ ანგარიშებზე საბოლოო ნაშთის გამოთვლის მთლიანი ჯამის მეთოდის დროს საჭიროა შემდეგი საფეხურებს გაველა:

- I. თითოეულ ბუღალტრულ ანგარიშზე გამოითვლება დებეტისა და კრედიტის მთლიანი ჯამები საწყისი ნაშთის ჩათვლით. ე.ი. მიმდინარე ბრუნვა არ გამოიყოფა;
- II. უდიდესი ჯამი, ერთი სტრიქონის გამოტოვებით ჩაიწერება ანგარიშის ორივე მხარეს;
- III. სხვაობა უდიდეს და უმცირეს ჯამებს შორის, როგორც დამაბალანსებელი რიცხვი, „გადასატანი ნაშთის“ სახით, უმცირესი ჯამის მხარეს ჩაიწერება.
- IV. საცდელ ბალანსში ნაშთის გადატანის შემდეგ, კი იგივე თანხა ჩაიწერება მოპირდაპირე მხარეს – „გადატანილი ნაშთის“ სახელწოდებით. ამრიგად, „გადასატანი ნაშთი“ და „გადატანილი ნაშთი“, არსით, ორივე საბოლოო ნაშთია. ხოლო, თვის დასაწყისში, ბალანსიდან ანგარიშებში ნაშთის გადმოტანის შემდეგ, მათ უწოდებენ „გადმოტანილ ნაშთს“. მაშასადამე, „გადმოტანილი ნაშთი“ იგივე საწყისი ნაშთია.

შევნიშნავთ, რომ ნაშთების ასეთი გამოთვლის ხერხი და ტერმინოლოგია საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში გამოიყენება. ჩვენთან კი, ტრადიციულად, ბრუნვის მეთოდი გამოიყენება. ნაშთის გამოთვლის რომელი ხერხიც არ უნდა აირჩიოს ბუღალტერმა, იგი შედეგებზე გავლენას არ ახდენს. ამდენად ეს წმინდა ტექნიკური საკითხია.

მთლიანი ჯამის ხერხი ნაჩვენებია შემდეგ მაგალითზე:

აქტიური ანგარიში		პასიური ანგარიში	
ღ	კ	ღ	კ
ნაშთი: 5 000	* 14 000	* 15 000	ნაშთი: 10 000
* 12 000	* 16 000	* 20 000	* 24 000
* 14 500	გადასატანი ნაშთ 1 500	გადასატანი ნაშთი 9 000	* 10 000
ჯამი: 31 500	ჯამი: 31 500	ჯამი: 44 000	ჯამი: 44 000
გადატანილი ნაშთი 1 500			გადატანილი ნაშთი 9 000

(31500 – (14000+16000) = 1 500

(44000 – (15000+20000) = 9 000

ბუღალტრულ ანგარიშებზე თანხების ჩაწერა ანუ აღრიცხვა, სამეურნეო ოპერაციების საფუძველზე ხდება. დებეტში თანხის ჩაწერას, ამ **ანგარიშის დებეტობა**, ხოლო, კრედიტში ჩაწერას, ამ **ანგარიშის – კრედიტობა** ეწოდება. აქტიური ანგარიში ზრდის დროს დებედტება, შემცირების დროს კი კრედიტდება.

ბუღალტრული ბალანსის განხილვის დროს დავინახეთ, რომ ყოველი საბანკო ოპერაცია რამდენიმე მაჩვენებელს ერთდროულად და თანაბრად ცვლის. ბიზნესის ამ შიდა ეკონომიკური წონასწორობის ბუღალტრულ ანგარიშებში ასახვის მიზნით, ოპერაციების ორმაგი (იგივე ორადი) აღრიცხვა გამოიყენება.

✓ **სამეურნეო ოპერაციების ორმაგი აღრიცხვის მეთოდი**

ორმაგი აღრიცხვა ნიშნავს ერთი საბანკო ოპერაციით, ერთდაიგივე თანხის მინიმუმ ორ ბუღალტრულ ანგარიშზე ჩაწერას: ერთის – დებეტში და მეორის – კრედიტში.

ერთი საბანკო (სამეურნეო) ოპერაციის საფუძველზე ბუღალტრული ანგარიშების დაკავშირებას **ანგარიშთა კორესპოდენცია ეწოდება, ხოლო, თვით ანგარიშებს მოკორესპოდენტო ანგარიშები ჰქვია.**

ერთი მოკორესპოდენტო ანგარიშის სადებეტო ჩანაწერი უდრის მეორე მოკორესპოდენტო ანგარიშის საკრედიტო ჩანაწერს.

მაგალითად:

სალაროდან მეანაბრემ გაიტანა 1.000 ლარი.

მოცემული ერთი ოპერაცია ერთდროულად შეცვლის ფულის მოცულობას სალაროში და ვალდებულებას მეანაბრის მიმართ. ორივე მაჩვენებელი მცირდება. ამ ოპერაციის ბუღალტრული აღრიცხვისათვის ორი ანგარიშია საჭირო და შედგება შემდეგი ბუღალტრული მუხლი:

დებეტი – ვალდებულება მიღებული დეპოზიტებით - 1000 ლ

კრედიტი – სალარო - 1000 ლ

(ვალდებულების აღმრიცხველი ანგაიში პასიური ანგარიშია და მისი შემცირება დებეტში აღრიცხება. სალაროს ანგარიში კი აქტიური ანგარიშია და აქ შემცირება კრედიტში აღრიცხება).

ამრიგად, **ბუღალტრული მუხლი არის** ჩანაწერი, რომელშიც მოკორესპოდენტო ანუ სადებეტო და საკრედიტო ანგარიშების სახელება მითითებული.

ბუღალტრული მუხლი შეიძლება იყოს მარტივი ან რთული.

მარტივია ისეთი ბუღალტრული მუხლი, რომელშიც ერთი ანგარიშის - დებეტია და მეორე ანგარიშის – კრედიტი.

რთულია ისეთი ბუღალტრული მუხლი, რომელშიც ერთი ანგარიშის დებეტია და რამდენიმე ანგარიშის კრედიტი ან პირიქით. ან რამდენიმე სადებეტო და რამდენიმე საკრედიტო ანგარიშია ერთდროულად. ყოველი რთული ბუღალტრული მუხლი შეიძლება მარტივ მუხლებად დაიშალოს.

ამრიგად, ბუღალტრული აღრიცხვა მოიცავს პერიოდს პირველადი დოკუმენტების შედგენიდან, ფინანსური ანგარიშგების მომზადების ჩათვლით.

პერიოდს პირველადი დოკუმენტის შედგენიდან ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე, **სააღრიცხვო ციკლი ეწოდება.**


სააღრიცხვო ციკლის საფეხურებია:

• სამეურნეო ოპერაციების ანუ ფაქტების გაფორმება პირველად დოკუმენტებში;

- პირველადი დოკუმენტებიდან სამეურნეო ოპერაციების გადატანა ჟურნალებში, როგორცაა: შესყიდვების, გაყიდვების, სალაროს ოპერაციების, დეპოზიტების და სხვათა ჟურნალები;
- ჟურნალებიდან ოპერაციების გადატანა ოპერაციების მთავარ სარეგისტრაციო ჟურნალში ანუ საერთო ჟურნალში ხდება;
- ოპერაციების სარეგისტრაციო ჟურნალიდან ბუღალტრული მუხლების გადატანა მთავარ საბუღალტრო წიგნში ანუ „T“ ანგარიშებში;
- საბოლოო ნაშთების გამოთვლა მთავარი წიგნის ანგარიშებში;
- მთავარი წიგნიდან ნაშთების გადატანა საცდელ ბალანსში
- კორექტირებული საცდელი ბალანსის მომზადება;
- დამასრულებელი გატარებები, როცა შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშები იხურება მოგება-ზარალის ანგარიშით;
- საცდელი ბალანსიდან მოგება/ზარალის ანგარიშების მომზადება;
- საცდელი ბალანსიდან ბუღალტრული ბალანსის მომზადება;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშების მომზადება
- ფულადი ნაკლების ანგარიშების მომზადება მთავარი წიგნიდან.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაში, ჩამოთვლილი საფეხურებიდან ზოგიერთი ამოღებულია. საერთო სქემა კი იგივეა (იხ. სქემა 1.5.1).

სქემიდან ნათლად ჩანს კავშირი საბანკო ოპერაციებსა და ფინანსურ ანგარშებებს შორის. ცალკეული ოპერაცია ცვლის ბუღალტრული ბალანსის მუხლებს. ეს ცვლილებები ოთხი ტიპის შეიძლება იყოს:



სქემა 1.5.1.

პირველი ტიპის ცვლილება შეეხება ბალანსის აქტივს, როცა აქტივის ერთი მუხლი იზრდება, მეორე მუხლი იმავე თანხით მცირდება, საბოლოო ჯამი კი არ იცვლება.

მეორე ტიპის ცვლილება შეეხება მხოლოდ ბალანსის პასივს, როცა პასივის ეტი მუხლი რაიმე თანხით იზრდება, მეორე მუხლი იმავე თანხით მცირდება. საბოლოო ჯამი კი არ იცვლება.

მესამე ტიპის ცვლილება შეეხება აქტივსა და პასივს ერთდროულად. კერძოდ, აქტივის რომელიმე მუხლი იზრდება და პასივის რომელიმე მუხლიც იმავე თანხით იზრდება. ბალანსის საბოლოო ჯამიც იზრდება.

მეოთხე ტიპის ცვლილების დროს ერთდროულად მცირდება აქტივისა და პასივის მუხლები და ბალანსის საბოლოო ჯამიც იმავე თანხით მცირდება.

1.6. ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა

საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა არის მთავრი ანგარიშების ჩამონათვალი, რომელიც მოამზადა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ. იგი სავალდებულოა ეროვნული ბანკისა და ყველა კომერციული ბანკებისათვის.

2001 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მოქმედებს ახალი ანგარიშთა გეგმა, რომელიც დამუშავებულია აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების საფუძველზე. ყველა ანგარიშს მიკუთვნებული აქვს ოთხნიშნა რიცხვითი კოდი, რომელიც საჭიროა ოპერაციების კომპიუტერული დამუშავებისა და ფუნქციური ანალიზისათვის.

ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა შედგება ექვსი განაყოფისაგან. თითოეული განაყოფი შეიცავს კლასებს, ყოველი კლასი შეიცავს ჯგუფებსა და ჯგუფები – თვით მთავარ ანგარიშების კოდებს (იხ: დანართი):

ანგარიშთა გეგმის განაყოფებია:

- I. **აქტივები** – კლასი 10 – 29. აქტივების აღმრიცხველი ანგარიშების კოდები იწყება ერთით და ორით;
- II. **ვალდებულებები** – კლასი 30 – 49. ამ განაყოფის ანგარიშების კოდები იწყება სამით და ოთხით;
- III. **საკუთარი კაპიტალი** – კლასი 50 – 59. ანგარიშთა კოდები იწყება ხუთით;
- IV. **შემოსავლები** – კლასები 60 – 76. ე.ი. შემოსავლების ანგარიშთა კოდები იწყება ექვსით და შვიდით;
- V. **ხარჯები** – კლასები 80 – 96. ხარჯების ანგარიშთა კოდები იწყება რვიანითა და ცხრიანით;
- VI. **ბალანსგარეშე ანგარიშები**, მათი კოდები იწყება ნულით. ესენია კლასები; 01 – 09.

ანგარიშთა გეგმაში ყოველ ანგარიშს მიკუთვნებული აქვს ოთხნიშნა კოდი, რომლის პირველი ციფრი აღნიშნავს განაყოფს, მეორე – კლასს, მესამე – ჯგუფის ნომერს ამ კლასში და მეოთხე – ანგარიშის ნომერს მოცემულ ჯგუფში.

ასე მაგალითად: ანგარიში – 1003 – „კომერციული ბანკის სალარო“ – მისი რიცხვითი კოდი შემდეგნაირად იშიფრება: 1 – აღნიშნავს პირველ განაყოფს ანუ ანგარიში აქტივების განაყოფშია, 0 – ნული კლასის ანგარიშია, მესამე ისევ – 0 – ნული ჯგუფის ანგარიშია და – 3 – ნულოვანი ჯგუფის მესამე ანგარიშია.

ანგარიში – „დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდების დანახარჯები – 2911 – მისი კოდი შემდეგნაირად იშიფრება: ეს ანგარიში არის ანგარიშთა გეგმის მეორე განაყოფის, მეცხრე კლასის, პირველი ჯგუფის პირველი ანგარიში.

ანგარიში – 3501 – „არარეზიდენტი ცენტრალური ბანკების „ლორო“ ანგარიშები“ – არის ანგარიშთა გეგმის მესამე განაყოფის, მეხუთე კლასის, ნულოვანი ჯგუფის პირველი ანგარიში და ა.შ.

ანგარიშები იხსნება ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. მოთხოვნებისა და ვალდებულებების ანგარიშები გამოყოფილია საწარმოთა სამი ტიპის სამართლებრივ-იურიდიული ფორმის ორგანიზაციებისათვის, როგორცაა: სახელმწიფო ინსტიტუტები, სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული

ინსტიტუტები და კლიენტები (იგივე, კერძო სექტორი). ამასთან, გამოყოფილია ორგანიზაციების საქმიანობის რვა სფეროს ანგარიშები.

ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშები ფინანსური ანგარიშგებისადმი დამოკიდებულების მიხედვით ჯგუფდება: **საბალანსო, მოგება/ზარალის და ბალანსგარეშე ანგარიშებად.**

საბალანსო ანგარიშები ის ანგარიშებია, რომელთა ნაშთები ბუღალტრულ ბალანსში გადაიტანება. ესენია აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის აღმრიცხველი ანგარიშები.

მოგება/ზარალის ანგარიშების ნაშთები ბუღალტრულ ბალანსში არ გადადის, ისინი მოგება/ზარალის ანგარიშგებაში შეიტანება, ერთმანეთს გადაფარავენ და მხოლოდ დარჩენილი სხვაობა, გაუნაწილებელი მოგების სახით, გადადის ბუღალტრულ ბალანსში.

ბალანსგარეშე ანგარიშების ნაშთები ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება, მაგრამ მოცემულია ბალანსთან ერთად, როგორც დამატება. ბალანსგარეშე ანგარიშები გამოიყენება ბანკების პირობითი და ფორმალური ვალდებულებების აღსარიცხავად და ისეთი ფასეულობების აღსარიცხავად, რომელიც ბანკის აქტივს არ წარმოადგენს, მაგრამ ბანკის პასუხისმგებლობის ქვეშ მის საცავებში იმყოფება. მაგალითად, ანგარიში – 0101 – „ბანკნოტები საცავში” – აღრიცხავს ეროვნული ბანკის საცავში მყოფ ფულის ნიშნებს, რომელიც ჯერ მიმოქცევაში არაა გაშვებული და ამიტომ, ჯერ არც აქტივია და არც ვალდებულება. ანგარიში – 0301 – „აღებული ფორმალური ფინანსური ვალდებულებები” – აღრიცხავს ბანკის მიერ ვალდებულების აღიარებას გასაცემ კრედიტებზე, რომელიც ხელშეკრულებით უკვე გაფორმებულია და ა.შ. ბალანსგარეშე ანგარიშებშიც გამოიყენება ორმაგი აღრიცხვის მეთოდი. ხოლო, პარალელური ანგარიშის არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება ტექნიკური ანგარიში – 0999.


საბანკო დაწესებულებების ანგარიშთა გეგმის სისტემა არის ერთიანი და მისი შეცვლა ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე დაუშვებელია.

ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდიკა, როგორც ყველა სხვა იურიდიული პირებისათვის, ექვემდებარება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) მოთხოვნებს.

2016 წლის მდგომარეობით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ დამტკიცებული და გამოცემულია ფინანსური ანგარიშგების (ფასს) თექვსმეტი და ბასს-ის ორმოცდაერთი სტანდარტი (იხ: დანართი).

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. განმარტეთ ბუღალტრული აღრიცხვის საგანი;
2. განმარტეთ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი;
3. რას უდრის აქტიური ანგარიშის საბოლოო ნაშთი;
4. როგორ გამოითვლება პასიური ანგარიშის საბოლოო ნაშთი;
5. რას ნიშნავს გადასატანი ნაშთი;
6. რომელ ტოლობას ეყრდნობა ბუღალტრული ბალანსი;
7. ახსენით, რატომ არ შეიძლება დაირღვეს წონასწორობა ბუღალტრულ ბალანსში;
8. როდის დებეტდება აქტიური ანგარიში;
9. როდის კრედიტდება პასიური ანგარიში.



თავი 2. საკასო ოპერაციების

აღრიცხვა

კომერციული ბანკების ერთ-ერთ აუცილებელ საქმიანობას კლიენტებისადმი საკასო ანუ ნაღდი ფულით მომსახურების გაწევა წარმოადგენს. კლიენტებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორება ითვალისწინებს კლიენტებზე ფულადი ნიშნების მიღება-გაცემას. ფულადი ნიშნები შეიძლება იყოს ბანკნოტები (ქაღალდის ფული) და მონეტები (ლითონის ფული). კომერციულ ბანკებში საკასო საქმიანობის ორგანიზაციის წესებს არეგულირებს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული სპეციალური „დებულება კომერციული ბანკების საღაროს მეურნეობის შესახებ“.

მოცემულ თავში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- კომერციული ბანკების საკასო კვანძის ორგანიზება;
- ნაღდი ფულით ოპერაციების წარმოების წესები;
- ნაღდი ფულის გადაზიდვა და ინკასაცია;
- ფულის ბანკნოტებისა და მონეტების ფორმირება და შენახვა;
- საღაროს ოპერაციების აღრიცხვა;
- უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების აღრიცხვა.

2.1. კომერციული ბანკების საკასო სამუშაოების ორგანიზაცია

ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ნაღდი ფულით მომსახურებისათვის, კომერციულ ბანკებში, მათ კუთვნილ ან იჯარით აღებულ შენობაში იქმნება საკასო კვანძი. ხოლო, მოსახლეობის საკასო მომსახურების გაუმჯობესებისა და დაჩქარების მიზნით, ანაბრების მიღება-გაცემისათვის, ეროვნული და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვისათვის, ფიზიკური პირებისაგან კომუნალური და სხვა გადასახადების მიღებისათვის, იხსნება კვანძგარეთა საღაროები როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა ორგანიზაციებში (საწარმოებში). აგრეთვე დგამენ ბანკომატებს. ყოველივე ამისათვის კომერციულ ბანკებს უნდა ჰქონდეთ ლიცენზია, რომელსაც ეროვნული ბანკი იძლევა.

ბანკის საკასო კვანძი შეიძლება შეიცავდეს შემდეგ სათავსებს (განყოფილებებს):

- ფრონტ დესკი (წინა ხაზი. საოპერაციო)
- ოპერაციების მმართველი განყოფილება (ბექ ოფისი)
- საღაროები
- საღამოს საღარო
- ფასეულობათა საცავი (საკუჭნაო, სეიფების ოთახი)
- ინკასატორებისაგან ფულის მიღება-გაცემის სათავსო

- კლიენტთა ფასეულობების ოთახი და სხვა.

საოპერაციო (ფრონტ დესკი, წინა ხაზი), როგორც წესი განთავსებულია კომპაქტურად, პირველ სართულზე, ოპერატიული მუშაობის უზრუნველსაყოფად. მისი მუშაკები ემსახურებიან კლიენტებს გადარიცხვებისა და ანგარიშების გახსნის მიზნით. საოპერაციო განყოფილების ყოველი სათავსი ერთმანეთისაგან გამოყოფილია ტიხრებით ორი მეტრის სიმაღლეზე. მაგიდის ზედაპირიდან შემინულია.

ოპერაციების განყოფილება კი აკონტროლებს საოპერაციო მუშაკის მიერ შესრულებული ოპერაციების სიზუსტეს.

საღაროები მომსახურების ოთახიდან გამოყოფილია ტიხრით, რომელსაც აქვს ტყვიაგაუმტარი მინა და სარკმელი ფულის გადასაცემად. ამასთან, შესაძლებელია ფულის გადათვლა კლიენტის მიერ. რეკომენდებულია საღაროს მუშაკის ოთახის შემდეგნაირად მოწყობა: სპეციალური მაგიდა, მბრუნავი სკამი, ფულის სათვლელი მანქანა, მეტალის კარადა ან სეიფი, ბანკნოტების ნამდვილობის შემოწმების ხელსაწყო და სხვა.

საღამოს საღარო ფულს იბარებს საოპერაციო დღის დამთავრების შემდეგ კვანძგარეთა საღაროებიდან ან ფილიალებიდან ფულის შემოტანის დროს.

ფულის გადათვლის საღარო განკუთვნილია დღის ბოლოსათვის არსებული ფულის დათვლისა და ფორმირებისათვის.

ფასეულობათა საცავში ინახება ფულის ბანკნოტები და მონეტები. მისი ფართობი არანაკლებ 10 კვ.მ. უნდა იყოს. კარი უნდა იყოს დაჯავშნული და სამი ან არანაკლებ ორი საკეტი უნდა იკეტებოდეს. ფასეულობათა საცავის კედელი არ უნდა ესაზღვრებოდეს ღია სივრცეს ან სხვა ორგანიზაციის კედელს. შესასვლელი ჩაკეტილია ცხაურებიანი კარით. დერეფნის კედლები აღჭურვილია დაცვის სიგნალიზაციით და ვიდეოკონტროლით. საცავის ქვეშ იგება ორი მეტრი სისქის ბეტონი. საცავის ქვეშ რაიმე სარდაფის მოწყობა დაუშვებელია.

ფულის საცავი აღჭურვილია სიგნალიზაციის ორი-სამი დაცვითი ზღუდით. პირველი ზღუდე იცავს საცავის კარს გაღებაზე; მეორე ზღუდე იცავს საცავის კედლებს, იატაკს და ჭერს „გატეხვაზე“. მესამე ზღუდე იცავს საცავის მთელ სივრცეს.

თუ ბანკი განთავსებულია არასტანდარტულ შენობაში და ფულის საცავის აშენება შეუძლებელია, მაშინ შეიძლება მოეწყოს სეიფების შესანახი ოთახი IV კლასის სიმტკიცის სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით. იგი აღიჭურვება დამცავი სიგნალიზაციის სამი ზღუდით: კარ-ფანჯრები, ოთახის მოცულობა და თვით სეიფები.

საგანგაშო სიგნალიზაციით აღჭურვილია საკასო კვანძის ყველა სათავსი. ისინი ასევე აღჭურვილია ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციით.

ბანკებში შეიძლება იყოს იარაღის შენახვის ოთახიც, ოღონდ შსს მიერ დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

კვანძგარეთა საოპერაციო საღაროს ფართი განისაზღვრება შესასრულებელი ოპერაციების მოცულობის მიხედვით. იგი აღჭურვილი უნდა იყოს დაცვითი სიგნალიზაციის ორი ზღუდით. პირველი ზღუდით ბლოკირებულია შესასვლელი კარი, კედელი და იატაკი. მეორე ზღუდით – სეიფები. მოღარის მაგიდაზე დამონტაჟებულია საგანგაშო სიგნალიზაციის დილაკი, რომელიც ცენტრალური დაცვის პუნქტს უკავშირდება.

კვანძგარეთა საოპერაციო საღაროს მუშაობის დამთავრების შემდეგ, ნაღდი ფული ყოველდღე ბარდება ბანკს კვანძგარეთა საღაროს მუშაკის მიერ. საოპერაციო დღის ბოლოს იგი ადგენს შემაჯამებელ ცნობას საკასო ბრუნვაზე და დარჩენილ ნაშთზე.

ბანკომატების მუშაობის უზრუნველსაყოფად ბანკის ხელმძღვანლის მიერ ინიშნება პასუხისმგებელი მუშაკი, რომელსაც ბარდება ბანკომატის გასაღებები. ბანკომატის უზრუნველყოფა ნაღდი ფულით ხდება ბანკომატის მომსახურე მუშაკის წერილობითი განაცხადის საფუძველზე.

ბანკის სალაროს გამგე გასაღების ორდერით მუშაკს აძლევს ბანკომატისათვის აუცილებელ თანხას. იგი ფულს გადაითვლის, აწყობს სპეციალურ კასეტებში, კეტავს და ლუქავს მას. კასეტაზე მაგრდება იარლიყი, რომელზეც აღნიშნულია ჩატვირთული ფულის რაოდენობა, ბანკომატის ნომერი, თარიღი, სალაროს გამგის ხელმოწერა.

ბანკის ხელმძღვანლის ბრძანებით ინიშნება სალაროს გამგე, რომელიც საკასო ქვედანაყოფს ხელმძღვანელობს და რომელთანაც იდება ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

საკასო ოპერაციებს ნაღდ ფულზე უშუალოდ ახორციელებენ სალაროს და ინკასაციის მუშაკები, რომლებთანაც ასევე იდება ხელშეკრულება კოლექტიური პასუხისმგებლობის შესახებ.

ამრიგად, ფულისა და ფასეულობების შენახვაზე პასუხისმგებელია ბანკის ხელმძღვანელი, მთავარი ბუღალტერი და სალაროს გამგე. ისინი აკონტროლებენ შემოსული ფულის მიღებისა და საცავში მისი შენახვის პროცესს.

2.2. ნაღდი ფულით ოპერაციების წარმოების დოკუმენტაცია

ბანკში ფული შეიძლება შევიდეს ფიზიკური ან იურიდიული პირებისაგან. იურიდიულ პირებს ფულის შეტანა შეუძლიათ მხოლოდ საკუთარ მიმდინარე ანგარიშზე.

ნაღდი ფულის შეტანაზე, საოპერაციო მუშაკი ადგენს სალაროს შემოსავლის ორდერს ორ ცალად და აწერს ხელს. ორდერი გადაეცემა მოლარეს, რომელიც ამოწმებს საოპერაციო მუშაკის ხელმოწერას, გადათვლის შემოტანილ ფულს, ორდერზე სვამს ბეჭედს და ხელს აწერს მას. ერთ ეგზემპლარს იტოვებს, მეორეს კი ფულის შემომტანს გადასცემს. ნაღდი ფულის გაცემა ხდება სალაროს გასაღების ორდერით.

ფულის შემოსავლებისა და გასაღების ორდერები, საკასო ჟურნალები, დღის განმავლობაში გაფორმებული დოკუმენტები სრულდება კომპიუტერებით. დოკუმენტებზე სალაროს მუშაკების ხელმოწერების ნიმუშები დამოწმებულია ბანკის ხელმძღვანელისა და მთავარი ბუღალტრის მიერ.

სალაროს მუშაკი საოპერაციო დღის განმავლობაში ნაღდი ფულის მოძრაობაზე ადგენს ცნობას, რომელსაც დარჩენილი ფულის ნაშთთან, მიღებული და გაცემული ფულის დოკუმენტებთან ერთად აბარებს სალაროს გამგეს, მიღებული და გაცემული ფულის აღრიცხვის წიგნში ხელმოწერით.

გადამცველი პუნქტებიდან და ორგანიზაციებიდან ნაღდი ფული შემოიტანება ჩანთებით ინკასატორების მიერ, საოპერაციო დღის დამთავრების შემდეგ კი სადამოს სალაროში. მიღებული ფული კლიენტის შესაბამის ანგარიშებზე უნდა ჩაირიცხოს არა უგვიანეს შემდგომი სამუშაო დღისა.

სადამოს სალაროში ფულის შემომტანი ინკასატორი ფულს აბარებს განცხადების სპეციალური ფორმით, რომელზეც სალაროს მუშაკი ბეჭედს სვამს წარწერით: „სადამოს სალარო“. სადამოს სალაროში შემოსული ფულის ტომრები, თანდართული შემოსავლის ორდერი, სალაროს ჟურნალი და ბეჭედი

ინახება სეიფში, რომელიც იკეტება სალაროს და საოპერაციო მუშაკის მიერ და ბარდება დაცვის მუშაკს.

მომდევნო დღით, საღამოს სალაროს მუშაკები დაცვის მუშაკებისაგან იბარებენ ფულსა და დოკუმენტებს, რომელსაც გადასცემენ სალაროს გამგეს, სალაროს ჟურნალში ხელმოწერით. შემოსავლის საკასო დოკუმენტები გადაეცემა მთავარ ბუღალტერს.

ყოველ დღით, გასავლის ოპერაციების შესასრულებლად, სალაროს გამგე სალაროს მუშაკებს ანგარიშით აძლევს ფულს, მიღებული და გაცემული ფულის აღრიცხვის წიგნში ხელმოწერით. საოპერაციო დღის ბოლოს, სალაროს მუშაკი ერთმანეთს შეუდარებს სალაროს გამგისაგან ანგარიშით მიღებული ფულისა და კლიენტებისაგან შემოტანილი ფულის ჯამს და მის მიერ გაცემულ ფულს. მიღებულ სხვაობას შეუდარებს ფულის ნაშთს. შეადგენს ცნობას ფულის მიღების, გაცემისა და ნაშთის შესახებ.

კლიენტებმა შეიძლება ფული შემოიტანონ ან გაიტანონ ჩეკით, რომელსაც ჯერ წარუდგენს საოპერაციო მუშაკს. იგი მის საფუძველზე გამოწერს სალაროს გასავლის ორდერს და აგზავნის სალაროში საკონტროლო მარკასთან ერთად, ხელმოწერით. სალაროს მუშაკი ამოწმებს ფულად ჩეკს და საკონტროლო მარკას. ხელს აწერს ჩეკს ფულის გაცემაზე და გასცემს ფულს. ფული შეიძლება გაიცეს კონებად, ნეკნებად ან ფურცლობრივი გადათვლით.

დღის ბოლოს, სალაროს გამგე, სალაროების მუშაკების მიერ შესრულებული ცნობების, შემოსავლებისა და გასავლების ორდერების, საღამოს სალაროდან მიღებული ცნობების საფუძველზე ადგენს მთელი დღის საკასო ბრუნვების შემაჯამებელ ცნობას და მის შედეგებს ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს უდარებს.

სალაროს გამგეს გამოჰყავს ნაღდი ფულის მთლიანი ნაშთი დღის ბოლოსათვის. შეირჩევა ბალანსგარეშე ანგარიშებიც. არაუგვიანეს მეორე დღისა, მთავარი ბუღალტერი ახდენს შედარებას აღრიცხვის მონაცემებთან და ამოწმებს მას ხელმოწერით.

სალაროს მუშაკებს ეკრძალებათ მათზე მინდობილი სამუშაოების თვითნებურად სხვა პირზე გადაბარება, ან იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც მათ არ ევალებათ, ან საოპერაციო მუშაკის გვერდის ავლით უშუალოდ შეასრულონ კლიენტთა თხოვნა მათ ანგარიშებზე ნაღდი ფულის შეტანის ან გატანის შესახებ, ან საკუთარი ფულადი სახსრები შეინახონ ბანკის ფულად თანხებთან ერთად.

ლარის ბანკნოტებისა და მონეტების ყოველდღიური ნაშთების აღრიცხვა კომერციული ბანკების მიერ წარმოებს „კუპიურული წყობის უწყისში“. პასუხისმგებელი პირების მიერ ხელმოწერილი ცნობები და კუპიურული წყობის უწყისი ინახება სალაროს დღიურ საბუთებთან ერთად.

სალაროში არსებული ფულის (ფასეულობების) ნაშთსა და ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს შორის სხვაობის შემთხვევაში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს ბანკის ხელმძღვანელობას. სხვაობის მიზეზების გამოკვლევამდე, სალაროში გამოვლენილი ზედმეტობის ან დანაკლისის დადასტურების შემდეგ, დგება შესაბამისი აქტი, რის საფუძველზეც ზედმეტობა ჩაირიცხება ბანკის ანგარიშზე, ხოლო დანაკლისის თანხა აღირიცხება ბანკის დებიტორებში და დაეწერება იმ მუშაკს, ვისი მიზეზითაც მოხდა აღნიშნული დანაკლისი.

სალაროს დღიური საბუთები დანართებთან ერთად იკინძება საბალანსო და ბალანსგარეშე ანგარიშების, შემოსავლისა და გასავლის დოკუმენტების მიხედვით.

კომერციული ბანკები ვალდებული არიან ნაღდ ფულთან და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციები აღრიცხონ კონტროლის მექანიზმის შემცველი პროგრამული უზრუნველყოფით, სადაც დაცული უნდა იყოს ზუსტი აღრიცხვიანობის, ოპერატიულობის, თანმიმდევრულობისა და ყოველდღიურობის პრინციპი ისე, რომ შესაძლებელი იყოს ოპერაციის იდენტიფიცირება მის ყოველ ეტაპზე.

2.3. ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების ბაღაზიდვა და ინკასაცია

კომერციული ბანკების სალაროს მეურნეობის დებულების მოთხოვნების თანახმად, ფულისა და სხვა ფასეულობების გადაზიდვებსა და ინკასაციის ოპერაციებს ასრულებს ინკასატორთა ბრიგადა. ბრიგადის წევრთა რიცხვი განისაზღვრება კონკრეტული სამუშაოს მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით. ერთ-ერთი წევრი ინიშნება ბრიგადის უფროსად. გასვლის წინ ბრიგადის უფროსი იღებს ცარიელ ჩანთებს, ინკასატორ-ამღების მინდობილობას ფასეულობათა მიღებასა და გადატანაზე, ბეჭედს და გამოცხადების ბარათს.

ორგანიზაციებიდან ბანკებში ფულის ინკასაციისათვის (შემოტანისათვის) ფული იდება ინკასატორის მიერ წარდგენილ ჩანთებში, რომლებიც დანომრილია და იპლომბება მოლარის მიერ. ინკასატორი მინდობილობით ორგანიზაციის მოლარისაგან იბარებს ფულის ჩანთებს და უტოვებს მას ცარიელ ჩანთებს შემდეგი მომსახურებისათვის. ფულიან ჩანთებს ამკრები ინკასატორი გადასცემს ბრიგადის უფროსს, რომელიც მას დაჯავშნული მანქანის სეიფში ინახავს და მარშრუტზე მუშაობის მთელი დღის განმავლობაში ინახება ბრიგადის უფროსის პასუხისმგებლობის ქვეშ. საოპერაციო დღის განმავლობაში ბანკში შეტანილი ფული ბრიგადის უფროსის მიერ ბარდება სალაროს გამგეს. საოპერაციო დღის დამთავრების შემდეგ შეტანილი ფული კი ბარდება სალაროს სალაროს.

ბანკიდან ფულის გაგზავნის მიზნით, ინკასაციის ქვედანაყოფის ხელმძღვანელი ავსებს ინკასატორებზე გაცემული ჩანთებისა და გამოცხადების ბარათების ცნობას და გადასცემს მას ბანკის საკასო ქვედანაყოფს.

ბანკის ფილიალებისა და კვანძგარეთა სალაროების ფულით გამაგრება ხდება მათი ხელმძღვანელების წერილის საფუძველზე. ფულის გასაგზავნად დგება ცალკეული ნუსხები, რომელშიც უნდა აღინიშნოს ფულის საერთო თანხა ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ნუსხა დგება სამ ეგზემპლიარად. პირველი ეგზემპლიარი ეგზავნება ფულის მიმღებ ფილიალს ან კვანძგარეთა სალაროს, მეორე ეგზემპლიარი რჩება გამგზავნს, მესამე კი გადაეცემა ინკასაციის ქვედანაყოფს, ინკასატორთა მიერ დავალების შესრულების შემდეგ.

ინკასატორები სალაროს გამგისა და სპეციალურად გამოყოფილი სალაროს მუშაკის კონტროლის ქვეშ, ნაღდ ფულს აწყობენ ჩანთებში, რომლებიც იპლომბება სალაროს გამგის მიერ. ეროვნული და უცხოური ვალუტა ლაგდება სხვადასხვა ჩანთებში. ფულის მიღებაზე ინკასატორთა ბრიგადის უფროსი და კვანძგარეთა სალაროს მუშაკები ხელს აწერენ გასავლის ორდერს. ხოლო, ნუსხის მეორე ეგზემპლიარზე ხელს აწერს ყველა ინკასატორი.

ორგანიზაციებზე ფულის გადაზიდვის მიზნით, ორგანიზაცია ბანკს წარუდგენს საფულე ჩეკს, რომლის საკონტროლო მარკა რჩება კლიენტთან. კლიენტებისათვის გასაგზავნი ნაღდი ფულის მომზადებას ახდენს სალაროს გამგე ან სპეციალურად გამოყოფილი სალაროს მუშაკი. ყოველი კლიენტისათვის ფული ლაგდება ჩანთებში, რომელსაც იარლიყზე ეწერება კლიენტის დასახელება, თანხა, შეფუთვის თარიღი, სალაროს მუშაკის

ხელმოწერა და შტამპი. ინკასატორთა ბრიგადის ხელმძღვანელი ხელს აწერს ფულის მიღებაზე სალაროს გასავლის ორდერში.

ორგანიზაციაში მიტანილი ფულის მიღება ხდება ორგანიზაციის ხელმძღვანლის მიერ წერილობითი განკარგულებით დანიშნული რწმუნებული პირებისაგან შემდგარი კომისიის მიერ, რომელშიც შედის ორგანიზაციის მოლარეც.

ინკასატორები, ფულის მიმღები ორგანიზაციის მოლარეს წარუდგენენ პირადობის მოწმობას, საფულე ჩეკს და გამოცხადების ბარათს. თავის მხრივ, მიმღები ორგანიზაციის მოლარე მათ წარუდგენს პირადობის მოწმობას. მოლარე ამოწმებს ფულის ჩანთას, მის პლომბებს, რეკვიზიტებს. შემდეგ, მიღებულ ფულად თანხას უდარებს ჩეკს და ხელს აწერს მას.

ინკასატორების მიერ ბანკში შემოტანილი ფული მიიღება სალაროს გამგის მიერ კონებად. თუ შეფუთული კონები ან ტომრები დაზიანებული აღმოჩნდა, მაშინ ფული მიიღება ფურცლობრივი და ცალობრივი დათვლით. გადათვლაზე დგება აქტი სამ ეგზემპლიარად, რომელსაც ხელს აწერს მიღებასა და გადათვლაში მონაწილე ყველა პირი.

შემოტანილი ნაღდი ფულის გადათვლისას მეტ-ნაკლებობის გამოვლენის შემთხვევაში ზედმეტობა უბრუნდება კლიენტს ან ჩაირიცხება მის ანგარიშზე. ხოლო გამოვლენილი დანაკლისის თანხა არ ექვემდებარება ანგარიშზე ასახვას.

საეჭვო ანუ დაზიანებული ფულის (მათ შორის ფულის ის ნიშნებიც, რომელთა გადასახდელად ვარგისიანობა ვერ დგინდება კომერციული ბანკის მიერ) გამოვლენის შემთხვევაში, დგება ცნობა სამ ცალად. რომლის ეთი პირი ეძლევა კლიენტს, მეორე რჩება სალაროს, მესამე – ფულის ნიშანთან ერთად ეგზავნება ეროვნული ბანკის სათავო ოფისს შემდგომი რეაგირებისათვის.

ეროვნული ბანკი ხუთი დღის განმავლობაში კომერციულ ბანკს უგზავნის შეტყობინებას ექსპერტიზის შედეგების შესახებ. ფულის ნიშნის ნამდვილობისა და გადასახდელად ვარგისიანობის შემთხვევაში, შესაბამისი თანხა უნაზღაურდება კლიენტს.

კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკში შეტანილი ფულის ნიშნები კომერციული ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე აისახება ოპერაციის შესრულების დღეს.

ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკიდან მიღებული ფულის ნიშნები ექვემდებარება გადათვლას, დახარისხებას, ფორმირებას და შეფუთვას.

კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკში შეტანილი ფულის ნიშნების ზედმეტობა/დანაკლისის ან საეჭვო ფულის აღმოჩენის შემთხვევაში, დგება ცნობა სამ ეგზემპლიარად. ერთი იგზავნება კომერციულ ბანკში, დანარჩენი რჩება ეროვნულ ბანკში, შემდგომი რეაგირებისათვის. ცნობის საფუძველზე, კომერციული ბანკის ფორმირებულ ფულში აღმოჩენილი ზედმეტობა ჩაირიცხება მის საკორესპოდენტო ანგარიშზე. ხოლო, დანაკლისის, არგადახდის ან ყალბი ფულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი თანხა ეროვნული ბანკის მიერ ჩამოიწერება კომერციული ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშიდან.

ეროვნული ბანკიდან ნაღდი ფულის გატანის მიზნით, კომერციული ბანკი საგადახდო დავალების მეშვეობით, საკორესპოდენტო ანგარიშიდან თანხას ჩაირიცხავს ეროვნულ ბანკში გახსნილ მის საკასო მომსახურების ანგარიშზე. ხოლო, უცხოურ ვალუტაში საკასო მომსახურების ანგარიშზე თანხის ჩაირიცხვა ხდება კომერციული ბანკის მიერ გამოგზავნილი მსოფლიო ბანკთაშორის საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოების – შეტყობინების საფუძველზე, ეროვნული ბანკის მიერ შექმნილი მემორიალური ორდერით.

ეროვნული ბანკის ოპერატორი ამოწმებს საკასო ანგარიშზე ფულის არსებობას და კომერციული ბანკის წარმომადგენლის დოკუმენტების იდენტიფიკაციის შემდეგ გამოწერს გასაგლის ორდერს ორ ეგზემპლიარად. გადასცემს მას კომერციული ბანკის წარმომადგენელს სალაროში წარსადგენად. დოკუმენტების სისწორის შემოწმების შემდეგ ეროვნული ბანკის მოლარე ხელს აწერს გასაგლის ორდერს და შეფუთულ ფულად თანხას აბარებს კომერციული ბანკის წარმომადგენელს (ინკასატორს). ფულის ნიშნების მიმღებ პირს უფლება აქვს კონებად შეფუთული ფულის ბანკნოტები გადათვალოს ფურცლობრივად და ტომრებში მოთავსებული მონეტები – ცალობრივად. ფულის გადათვლა ხდება სალაროს პასუხისმგებელი პირის თანდასწრებით სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. აღმოჩენილი დანაკლისის თანხა დაუყოვნებლივ აუნაზღაურდება ფულის ნიშნების მიმღებს, ხოლო ზედმეტობა ჩაირიცხება ეროვნული ბანკის ანგარიშზე. თუ ფულის გადათვლა ადგილზე არ მოხდება, კომერციული ბანკის პრეტენზია ფულის დანაკლისზე აღარ მიიღება.

კომერციული ბანკი ვალდებულია ეროვნული ბანკიდან ფულის ნიშნების გატანა მოახდინოს საკასო მომსახურების ანგარიშზე თანხის ჩაირიცხვის დღესვე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული ბანკი მომდევნო სამუშაო დღეს ახდენს თანხის დაბრუნებას კომერციული ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე.

2.4. ფულის ბანკნოტებისა და მონეტების ფორმირება და შენახვა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული დებულება კომერციული ბანკების სალაროს მქურნეობის შესახებ, რომლითაც ასევე განსაზღვრულია ფულის ბანკნოტებისა და მონეტების ფორმირებისა და შენახვის წესები.

ფულის გადათვლის სალაროში ფულის ბანკნოტების ფორმირება ხდება ნეკნებად და კონებად. ერთი ნეკნი შეიცავს ერთი და იმავე ნომინალის ას ფურცელს, ერთი კონა კი შეიცავს ათ ნეკნს. ფულის ყოველ კონას ედება პლომბი, რომელზეც ამოტვიფრულია ბანკის დასახელება, საკორესპოდენტო ანგარიშის ნომერი და სალაროს მუშაკის პლომბირის ნომერი. ფულის კონების შეფუთვა ხდება პოლიეთილენის პაკეტებში და მათ ფორმირებაზე პასუხისმგებელია გადამთვლელი სალაროს მოლარე.

მონეტების დაფასოება ხდება სალაროს მუშაკის მიერ სრულ ან არასრულ ტომრებად. სალაროს დებულების მიხედვით, ერთ ტომარაში მოთავსებული ფულის მაქსიმალური თანხა ღირებულების მიხედვით არის: 1 თეთრი – 20 ლარის; 2 თეთრი – 30 ლარის; 5 თეთრი – 50 ლარის; 10 თეთრი – 100 ლარის; 20 თეთრი – 200 ლარის; 50 თეთრი – 500 ლარის; 1 ლარი – 1000 ლარის და 2 ლარი – 2000 ლარის. მონეტები თავსდება გარე ნაკერის არმქონე ტომრებში. ტომრის პირი მჭიდროდ იკერება და იკვრება უწყვეტი და უნასკვო ხეზით (სპეციფიკური წვრილი ბაწარი). ედება პლომბი სათანადო წარწერით.

ბანკებში, ფულადი თანხები ინახება ფასეულობათა საცავში. მისი კარი ორი ან სამი საკეტით იკეტება, რომელთაგან, ერთი გასაღები აქვს ბანკის მმართველს, მეორე – მთავარ ბუღალტერს და მესამე – სალაროს გამგეს. თუ საცავის კარი ორი საკეტით იკეტება, მაშინ გასაღები არა აქვს მთავარ ბუღალტერს.

საცავის კარს ერთდროულად აღებენ და კეტავენ გასაღებების მქონე პირები. სამუშაო დღის განმავლობაში ფულის საცავი დაკეტილი უნდა იყოს. ფული და სხვა ფასეულობები საცავში ინახება ლითონის კარაღებში, ბუნკერებში,

სეიფებში, ურიკებში, რომლებიც გასაღებებით იკეტება. მათი გასაღებები თვით საცავში ინახება.

ფასეულობათა საცავის გასაღებებს უნდა ჰქონდეთ დუბლიკატები, რომლებიც სათანადო ნუსხის თანხლებით იღება შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ დალუქულ პაკეტში. გასაღებთა დუბლიკატების პაკეტები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ ხელმოწერილ წერილთან ერთად, ფასეულობათა საცავში შესანახად ბარდება კომეციული ბანკის ერთ-ერთ უახლოეს ფილიალს ან ხელშეკრულების საფუძველზე სხვა კომერციულ ბანკს, რის შესახებაც პაკეტის ჩამბარებელს ეძლევა ხელმოწერილი და ბეჭედდასმული, შემოსავლის ბალანსგარეშე ორდერის ერთი ეგზემპლარი. გასაღებთა დუბლიკატების შესანახად ჩამბარების დამადასტურებელი საბუთები ინახება შეთანხმებაში მონაწილე კომერციული ბანკის ერთ-ერთ პასუხისმგებელ პირთან სეიფში.

დაუშვებელია საცავებში არაფორმირებული ფულის შენახვა, გარდა ბანკომატებისა და ფულის მიღება-გაცემის სხვა ალტერნატიული ავტომატური მოწყობილობებისათვის განკუთვნილი ფულისა, რომელიც მოთავსებული უნდა იყოს კასეტებში.

საცავის დაკეტვამდე, ხდება მეორე დღის დასაწყისისათვის დარჩენილი ფასეულობების ჩაწერა სალაროს აღრიცხვის წიგნში ყოველი ანგარიშის მიხედვით. დღის განმავლობაში წიგნი ინახება სალაროს გამგესთან, დღის დამთავრების შემდეგ კი ფულის საცავში. საცავის დაკეტვამდე, ფასეულობის შენახვაზე პასუხისმგებელი პირები ამოწმებენ შეტანილია თუ არა საცავში ყველა ფასეულობა, წიგნი და დოკუმენტი. საცავი იკეტება სამივე (ან ორი) პასუხისმგებელი პირის მიერ დაცვის წარმომადგენლების თანდასწრებით. საცავი უნდა დაილუქოს სამივე პასუხისმგებელი პირის მიერ ლუქის ბეჭდით. ამასთან, დღისათვის ბანკებში ფულის გადათვლის, მიღების, გაგზავნის, ფორმირების და შენახვის ყოველგვარი ოპერაცია ტარდება ვიდეოთვალის კონტროლის ქვეშ, რაც აადვილებს დარღვევის აღმოჩენის ფაქტებს.

დროთა განმავლობაში, როგორც ცნობილია, ფულის ბანკნოტები და მონეტები ზიანდება. ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ არ მიიღონ მოძველებული, დაზიანებული ბანკნოტები და მონეტები. ხოლო ყველა იურიდიული პირი, საკუთრების ფორმების მიუხედავად, ვალდებულია მოქალაქეებისაგან მიიღოს დაზიანებული ფულის ნიშნები. თავის მხრივ, ბანკები ვალდებულნი არიან იურიდიული პირებისაგან მიიღონ აღნიშნული ფულის ნიშნები და ჩარიცხონ შესაბამის ანგარიშზე. იმავე დროს, მოახდინონ მათი დაფასობა-ფორმირება და მოათავსონ ისინი „მოძველებული და დაზიანებული ბანკნოტების“ ჯგუფში.

გადასახდელად ვარგისია ისეთი ფულის ნიშანი, რომელიც მის ნამდვილობაში ეჭვს არ იწვევს ან რომელსაც გააჩნია ბუნებრივი ცვეთის შედეგად წარმოქმნილი უმნიშვნელო დეფექტები: გაჭუჭყიანებულია, აქვს უმნიშვნელო ნახევები და ცვეთა, მცირე ლაქები და წარწერები, რომლებიც არ ცვლიან აღნიშნული ბანკნოტების აუცილებელ ყველა რეკვიზიტს და ღირებულებას. არა აქვს განზრახ დაზიანების კვალი, შენარჩუნებული აქვს თავისი გეომეტრიული ზომები.

ბანკები ვალდებულნი არიან ადგილზე გამოცვალონ ყველა ფულის ნიშანი. ხოლო ის ბანკნოტები და მონეტები, რომლებიც ადგილზე გამოცვლას არ ექვემდებარებიან (ძალია დაზიანებულია ან ყალბია), ექსპერტიზისათვის გადაეცემა ეროვნული ბანკის შესაბამის სამსახურს.

დაზიანებული ფულის ნიშნების მიღებისას კომერციული ბანკი ადგენს სპეციალურ ნუსხას სამ ცალად. ორი ეგზემპლარი ფულის ნიშნებთან ერთად ილუქება კონვერტში და იგზავნება ეროვნულ ბანკში. ეროვნული ბანკი ათი დღის განმავლობაში ატარებს მიღებული დაზიანებული ფულის ნიშნების

ექსპერტიზას და წყვეტს მათი გაცვლის საკითხს, რის შესახებაც ეცნობება კომერციულ ბანკს. გადასახდელად ვარგის ბანკნოტებს ესმება შტამპი: „გამოიცვალოს“. ხოლო უვარგისზე - „გაცვლაზე უარი ეთქვას“ და აღარ უბრუნდება კომერციულ ბანკს. ასეთი ფულის ნიშნები ინახება ეროვნული ბანკის საცავებში მათ განადგურებამდე.

კომერციული ბანკების საღაროებში, ბანკომატებსა და კვანძარეთა საღაროებში არსებული ფულადი თანხების რევიზია ტარდება კვარტალში ერთხელ და ყოველწლიურად 31 დეკემბრის მდგომარეობით. აგრეთვე, პასუხისმგებელი პირის შეცვლის დროს.

რევიზიაში მონაწილეობენ ის პირები, რომლებიც საღაროს ოპერაციებით უშუალოდ დაკავებული არ არიან. ბანკის ხელმძღვანელი ნიშნავს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს. რევიზია ტარდება მოულოდნელად. რევიზიის დასაწყისში ილუქება ფულის საცავი. აგრეთვე არკვევენ, ხომ არ არის ფული დარჩენილი საღაროებში.

რევიზიის დროს ფულის ბანკნოტები მოწმდება კონებისა და მათი ნეკნების მიხედვით – ფურცლობრივად – შერჩევის წესით. არასრული კონები და ნეკნები ფურცლობრივად გადაითვლება. ასევე მოწმდება ჩეკების, მენაბრეებისა და სხვა მკაცრი დოკუმენტების წიგნაკები არსებული წარწერებით და შერჩევითი წესით - ფურცლობრივად.

საცავში აღმოჩენილი ფაქტიური ფასეულობების მაჩვენებლებს სარევიზიო კომისია უდარებს ფასეულობათა აღრიცხვის წიგნს, ყოველდღიური ბალანსის და ანალიზური აღრიცხვის მონაცემებს.

რევიზიის დამთავრებისას დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. დანაკლისის აღმოჩენის ფაქტი დაუყოვნებლივ უნდა გაირკვეს. აღმოჩენილი დანაკლისი დაეწერება მაფორმირებელი საღაროს მუშაკს მის სრულ დაფარვამდე.

რევიზიის დროს აღმოჩენილი ფულის დანაკლისი აღრიცხვაში დაეწერება „სხვა დებიტორების“ (2501) - ანგარიშს. ზედმეტობა კი “სხვა საოპერაციო შემოსავლების” (6409) - ანგარიშს, საღაროს ანგარიშთან (1003) კორესპონდენციით.

2.5. საღაროს ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა

საოპერაციო დღის განმავლობაში ბანკში მიღებული ნაღდი ფული, შემოსავლების დოკუმენტებთან ერთად, ბარდება საღაროს გამგეს, მიღებული და გაცემული ფულის აღრიცხვის წიგნში ხელმოწერით. შემოსული ფული იმავე დღეს უნდა ჩაირიცხოს კლიენტის ანგარიშზე.

ნაღდი ფულით ოპერაციების აღრიცხვისათვის, ბანკების ანგარიშთა გეგმა ითვალისწინებს შემდეგ ანგარიშებს (იხ. დანართი):

- საქართველოს ეროვნული ბანკის საღარო – 1002
- კომერციული ბანკის საღარო – 1003
- ფულადი სახსრები ბანკომატებში – 1004
- კვანძარეთა საოპერაციო საღარო – 1005
- ბანკნოტები და მონეტები გზაში – 1006
- მიმოქცევიდან ამოსაღები ბანკნოტები და მონეტები - 1007

ეს ანგარიშები აქტიური ანგარიშებია. მათ დებეტში - ფულის შემოსვლა და კრედიტში – ფულის გატანა აღირიცხება. იგივე ანგარიშები იხსნება უცხოურ ვალუტაშიც, გარდა ანგარიშისა: 1007 – მიმოქცევიდან ამოსადები ბანკნოტები და მონეტები“- მას მხოლოდ ეროვნული ბანკი იყენებს და შეეხება მხოლოდ ეროვნულ ფულად ნიშნებს.

კომერციულ ბანკებში ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ ფულის შემოტანის დროს, ერთი მხრივ იზრდება ფულის მოცულობა სალაროში და მეორე მხრივ იზრდება ბანკის დავალიანება ამ თანხებზე კლიენტების მიმართ.

ძირითადი ოპერაციები შემდეგნაირად აღირიცხება:

1. ფიზიკური პირის მიერ სალაროში ფულის შემოტანა, თავის მიმდინარე ანგარიშზე – 2 000 ლარი.

დებეტი – (1003) სალარო - 2 000 ლ
კრედიტი – (3601) ვალდებულება ფიზიკური პირების მიმდინარე ანგარიშებით – 2 000 ლ

2. ფიზიკურმა პირმა სალაროში შემოიტან დეპოზიტზე 1000 \$:

დებეტი – 1013 სალარო უცხოურ ვალუტაში – 1000 დოლარი
კრედიტი – 3661 ვალდებულება მიღებული დეპოზიტებით უცხოურ ვალუტაში – 1000 დოლარი

3. სალაროდან გატანილია მოქალაქის მიერ თავისი დეპოზიტიდან – 1400 ლ

დებეტი – 3651 ვალდებულება ფიზიკური პირების დეპოზიტებით - 1400 ლ
კრედიტი – 1003 სალარო – 1400 ლ

4. გაგზავნილია ბანკომატში ჩატვირთვის მიზნით – 10 000 ლარი

დებეტი – 1006 ბანკნოტები და მონეტები გზაში – 10 000 ლ
კრედიტი – 1003 სალარო - 10 000 ლ

5. ბანკომატში ფულის ჩატვირთვის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ:

დებეტი – 1004 ფულადი სახსრები ბანკომატებში – 10 000 ლ
კრედიტი – 1006 ბანკნოტები და მონეტები გზაში – 10 000 ლ

ამ ოპერაციების მსგავსად აღირიცხება კვანძგარეთა საოპერაციო სალაროებში ფულის გაგზავნა.

6. კომუნალური გადასახადებისათვის თანხების შემოტანა მოქალაქეების მიერ - 590 ლარი

დებეტი – 1003 სალარო – 590 ლ
კრედიტი – 4501 კრედიტორები – 590 ლ

2.6. ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში ფულის ნიშნების ბამოშვების ოპერაციების აღრიცხვა

სახელმწიფო კანონმდებლობით, მხოლოდ ეროვნულ ბანკს აქვს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფულის ემისიის ანუ მიმოქცევაში ფულის გამოშვების უფლება. ფულის ემისია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის მიზნით, დაუშვებელია. ასევე, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს მიმოქცევიდან ამოიღოს და გაანადგუროს შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი ფულის ნიშნები და შეცვალოს იგი. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2015 წლის მდგომარეობით მიმოქცევაში იმყოფებოდა 2,5 მილიარდი ლარის ბანკნოტები და მონეტები. მათ შორის, მონეტები იყო 77,2 მლნ ლარის ოდენობით.

ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში ფულის გამოშვების დროს, ფულის ბანკნოტები და მონეტები საცავიდან დაეწერება მის სალაროს და ამ მომენტიდან იგი იქცევა აქტივად. მანამდე, საცავში არსებული დაბეჭდილი ფული არის იგივე, რაც პასუხისმგებლობის ქვეშ შენახული მკაცრი აღრიცხვის ბლანკები. ამიტომ იგი ჯერ ბალანსგარეშე ანგარიშზე აღრიცხება.

ეროვნული ბანკი პირველ რიგში ეწევა ფულის ბეჭდვის ხარჯებს.

1. ეროვნული ბანკის მიერ, ფულის ბეჭდვის ხარჯების გაწევა აღრიცხება:

დებეტი – 9101 ბანკნოტების ბეჭდვის ხარჯი – 45 000 ლ

დებეტი – 9102 მონეტების მოჭრის ხარჯი - 15 000 ლ

კრედიტი – 4501 კრედიტორები (ან სალარო) – 60 000 ლ

2. მომსახურე ორგანიზაციიდან დაბეჭდილი ფულის ნიშნების მიღება:

ბანკნოტები ნომინალური ღირებულებით – 10 მლნ ლ

მონეტები ნომინალური ღირებულებით – 5 მლნ ლ

დებეტი – 0101 ბანკნოტები საცავში – 10 მლნ ლ

დებეტი – 0102 მონეტები საცავში – 5 მლნ ლ

კრედიტი – 0999 ტექნიკური ანგარიში – 15 მლნ ლ

3. ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში ფულის ემისია – 15 მლნ ლ.

დებეტი – 1002 ეროვნული ბანკის სალარო – 15 მლნ ლ

კრედიტი – 3001 ვალდებულება მიმოქცევაში გაშვებულ
ბანკნოტებზე - 10 მლნ ლ

კრედიტი – 3002 ვალდებულება მიმოქცევაში გაშვებულ
მონეტებზე - 5 მლნ ლ

მაშასადამე, ეროვნულმა ბანკმა აღრიცხვაში აღიარა უპირობო ფინანსური ვალდებულება, ქვეყნის ეკონომიკა უზრუნველყოს გამოცხადებული ფულის მასით, რომელიც უკვე მის სალაროში იმყოფება, როგორც ფულადი აქტივი.

იმავედროულად გაკეთდება გატარება ბალანსგარეშე ანგარიშებში:

დებეტი – 0999 ტექნიკური ანგარიში – 15 მლნ ლ

კრედიტი – 0101 ბანკნოტები საცავში – 10 მლნ ლ

კრედიტი – 0102 მონეტები საცავში – 5 მლნ ლ

გარკვეული დროის შემდეგ, მიმოქცევიდან ამოიღება ფულის ისეთი ბანკნოტები და მონეტები, რომლებიც დადგენილი ნორმატივების შესაბამისად უვარგისია შემდგომი გამოყენებისათვის.

უვარგისი ფასეულობის გასანადგურებლად გატანის ნებართვას იძლევა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ან ვიცეპრეზიდენტი, ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის სამმართველოს უფროსის შუამდგომლობის საფუძველზე.

უვარგისი ფულის განადგურება ხდება ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების განადგურების საამქროში, მხოლოდ მათი საკონტროლო გადათვლის შემდეგ. საჭიროა შემდეგი ეტაპების გავლა:

- საკონტროლო გადათვლილი ფასეულობის საცავიდან გაცემა;
- ფასეულობის იმავდროული დახვრეტა;
- დახვრეტილი ბანკნოტების განადგურების საამქრომდე ინკასირება
- დახვრეტილი ბანკნოტების განადგურება

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ოპერაციას შესაბამისი ჯგუფები ასრულებენ, რომლებიც იქმნება ფულის განადგურების საგანგებო კომისიის მიერ. ამ ჯგუფებში აგრეთვე მოწვეული არიან წარმომადგენლები ეროვნული ბანკის შიდა აუდიტორული სამსახურიდან და უშიშროებისა და ინფორმაციის დაცვის სამმართველოდან.

მიმოქცევიდან ამოღებული ფასეულობის განადგურების მთელი პროცესის დასრულების შემდეგ დგება კრებისთი აქტი ორ ეგზემპლიარად. მის პირველ პირს ამოწმებს კომისიის მდივანი ჯგუფის უფროსებთან ერთად და გადასცემს საკასო ოპერაციების ნაღდი ფულის მიმოქცევის სამმართველოს. ხოლო ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის მიერ დამტკიცების შემდეგ ერთი ეგზემპლიარი, დადგენილი წესით ინახება უვადოდ. მეორე ეგზემპლიარი რჩება საკასო ცენტრის საბუთებში.

მიმოქცევიდან უვარგისი ფულის ამოღება აღირიცხება ნომინალური ღირებულებით:

- ა). დებეტი – 1007 – მიმოქცევიდან ამოსაღები ბანკნოტები და მონეტები
კრედიტი – 1002 ეროვნული ბანკის საღარო

ბ). პარალელურად გამოიყენება ბალანსგარეშე ანგარიშები:

- დებეტი – 0104 გასანადგურებლად გადაცემული ბანკნოტები
კრედიტი – 0999 ტექნიკური ანგარიში (ვინაიდან არ არსებობს სხვა პარალელური ანგარიში)

მიმოქცევიდან ამოღებული უვარგისი ფულის განადგურებაც ასევე ორი გატარებით აღირიცხება - საბალანსო და ბალანსგარეშე ანგარიშებზე:

- ა). დებეტი – 3001 ვალდებულება მიმოქცევაში გაშვებულ ბანკნოტებზე
დებეტი – 3002 ვალდებულება მიმოქცევაში გაშვებულ მონეტებზე
კრედიტი – 1007 მიმოქცევიდან ამოსაღები ბანკნოტები და მონეტები

- ბ). დებეტი – 0999 ტექნიკური ანგარიში
კრედიტი – 0104 გასანადგურებლად გადაცემული ბანკნოტები

2.7. უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების აღრიცხვა

საბანკო ოპერაციების შემადგენლობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სავალუტო ოპერაციებს უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის სახით.

სავალუტო ოპერაციებს საფუძველად უდევს საერთაშორისო ვაჭრობა, რაც დაკავშირებულია აქტივების კონვერტირებასთან ერთი ვალუტიდან მეორეში.

სავალუტო ოპერაციებს ეკუთვნის:

- კლიენტების სავალუტო ანგარიშსწორებების წარმოება;
- საკორესპოდენტო ურთიერთობები ადგილობრივ და საზღვარგარეთულ ბანკებს შორის;
- ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებული საერთაშორისო ანგარიშსწორება;
- უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა შიდა ბაზარზე;
- სავალუტო სახსრების მოზიდვა და განთავსება ქვეყნის შიგნით და სხვა.

უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა შეიძლება მოხდეს ნაღდი ანგარიშსწორებით ან ვადიანი გარიგებების საფუძველზე. ვადიან გარიგებებს ეკუთვნის: ფორვარდული, ფიუჩერული, ოფციონები და „სვოპ“ გარიგებები.

ფორვარდული გარიგებით ვალუტის გამყიდველი იღებს ვალდებულებას, ორი სამუშაო დღის შემდეგ მიყიდოს ვალუტა მყიდველს მომავალში, გარიგების დროს არსებული ფასით.

ფიუჩერული კონტრაქტი ფორვარდის მსგავსია, ოღონდ საბირჟო კონტრაქტია. მისი პირობები სტანდარტულია და მას ბირჟა ადგენს, ამიტომ უფრო ლიკვიდურია. მას თითქმის არა აქვს შეუსრულებლობის რისკი, რადგან ხშირად თვით ბირჟები გამოდიან კონტრაქტის მოპირდაპირე მხარეს.

ოფციონები არის ვალუტის ყიდვა-გაყიდვის პირობა შეთანხმებული შეღავათიანი პირობებით. ამასთან, მყიდველს უფლება აქვს შეცვალოს პირობები.

სვოპ გარიგებები იღება სადეპოზიტო ოპერაციების მიმართ. ეროვნული ვალუტის გაცვლა ხდება უცხოურ ვალუტაზე იმ პირობით, თუ გარკვეული დროის შემდეგ მოხდება შებრუნებული ოპერაცია.

სპოტური ოპერაციები არ მიეკუთვნება ვადიან გარიგებებს. იგი არის შეთანხმება ვალუტის ყიდვა-გაყიდვაზე, რომელიც უნდა შესრულდეს ორ სამუშაო დღეში, მიმდინარე საბაზრო პირობებით.

უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის დროს კომერციულ ბანკებში წარმოიქმნება მოთხოვნები და ვალდებულებები, რომელთა თანაფარდობას სავალუტო პოზიციას უწოდებენ. სავალუტო პოზიცია შეიძლება იყოს ღია ან დახურული.

დახურული სავალუტო პოზიცია არის პოზიცია ცალკეული სახის უცხოურ ვალუტაში, რომელშიც მოთხოვნები (აქტივები) და ვალდებულებები ერთმანეთს ემთხვევა.

ღია სავალუტო პოზიციის დროს ცალკეული უცხოური ვალუტის მიხედვით აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთს არ ემთხვევა. ღია სავალუტო პოზიცია შეიძლება იყოს გრძელი ან მოკლე.

გრძელი ღია სავალუტო პოზიცია არის ისეთი პოზიცია, როცა მოცემული სახის უცხოურ ვალუტაში ბანკის მოთხოვნები აღემატება ვალდებულებებს.

მოკლე ღია სავალუტო პოზიცია არის პოზიცია, როცა მოცემული სახის უცხოურ ვალუტაში ბანკის მოთხოვნები ნაკლებია ვალდებულებებზე.

უცხოური ვალუტის მოძრაობის აღრიცხვისათვის ბანკებში საღაროს ანგარიში იხსნება უცხოურ ვალუტაში (1013) ვალუტის სახეების მიხედვით ცალ-ცალკე. სხვადასხვა ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების აღრიცხვისათვის დამატებით გამოიყენება აქტიურ-პასიური, ტექნიკური ხასიათის შემდეგი ბუღალტრული ანგარიშები:

- 2611 - „სავალუტო პოზიცია“ – რომელიც იხსნება უცხოურ ვალუტაში, ვალუტის სახეების მიხედვით ცალ-ცალკე.
- 2601 - „სავალუტო პოზიციის კონტრფასი“, რომელიც იხსნება მხოლოდ ლარებში ყოველი სახის უცხოური ვალუტისათვის.

„კონტრფასის“ 2601 - ანგარიშზე აღრიცხული თანხები წარმოადგენს უცხოური ვალუტის ფასს, გამოხატულს ეროვნულ ვალუტაში. ამ ანგარიშების ნაშთების თანაფარდობა ასახავს თანაფარდობას ეროვნულ და უცხოური ვალუტის კურსებს შორის. ამიტომ, კონტრფასის 2601 - ანგარიშს გაეხსნება პირადი (კერძო) ანგარიშები სხვადასხვა სახის ვალუტის კონტრფასის აღრიცხვისათვის. ამ ანგარიშზე ასახული თანხები წარმოადგენს:

- 2611 ანგარიშის თანხების კონტრფასს, რომელიც გამოანგარიშებულია გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად;
- სავალუტო პოზიციის გადაფასების შედეგებს კურსის შეცვლის შესაბამისად.

სავალუტო პოზიციის – 2611 – ანგარიში გამოიყენება კონტრ ჩანაწერებისათვის ისეთი ოპერაციების აღრიცხვისას, რომლებიც კეთდება უცხოური ვალუტით, და როცა ამ გატარებებისათვის, კონკრეტული ვალუტის ბალანსში არ არის რეალური კონტრანგარიშები, ე.ი. გაცვლის ოპერაციების უცხოურ ვალუტაში შესრულების დროს, როგორცაა: უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა; უცხოური ვალუტით დენომინირებული და სხვა ვალუტით ავანსირებადი ფასიანი ქაღალდების ყიდვა ან გაყიდვა; სესხების გაცემა კლიენტებისათვის, რომელთაც სურთ სახსრების კონვერტირება სხვა სახეობის ვალუტით, ან კლიენტს არა აქვს მიმდინარე ანგარიში უცხოური ვალუტით და ა.შ.

სავალუტო პოზიციის ანგარიშის დებეტის ნაშთი ნიშნავს მოკლე დია სავალუტო პოზიციას, ხოლო, კრედიტის ნაშთი ნიშნავს, გრძელ დია სავალუტო პოზიციას. ეს ანგარიში გამოიყენებული უნდა იქნეს უცხო ვალუტაში შედგენილ ბალანსებში. კრებსით ბალანსში მოცემული ანგარიში უნდა დასაღლოვდეს სავალუტო პოზიციის კონტრფასის (2601) ანგარიშებთან. დასაღლოვების შედეგი ყოველთვის ნულის ტოლი უნდა იყოს.

უცხოური ვალუტით ოპერაციების აღრიცხვისათვის ბალანსის ყველა ანგარიში გაიხსნება ანგარიშთა გეგმის თანახმად, როგორც ლარში, ისე თითოეული სახის უცხოურ ვალუტაში, რომლითაც ბანკი მუშაობს. ოღონდ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი უნდა აღრიცხოს მხოლოდ მათი ეკვივალენტი ლარებით. მაშასადამე, მოგებისა და ზარალის ანგარიშები არ შეიძლება დადენომინირდეს (აისახოს) უცხოური ვალუტით.

ანალიზურ აღრიცხვაში 2611 საბალანსო ანგარიშზე გაიხსნება პირადი (ანალიზური) ანგარიშები ვალუტის სახეების მიხედვით. შესაბამისად იხსნება კონტრფასის 2601 საბალანსო ანგარიშის პირადი ანგარიშები ცალკეული სახის ვალუტისათვის.

ამრიგად, სავალუტო პოზიციისა და სავალუტო პოზიციის კონტრფასის ანგარიშები გამოიყენება ისეთი ოპერაციების აღრიცხვის დროს, როცა აქტივების ან პასივების ყიდვა ან გაყიდვა დენომინირებულია ერთი ვალუტით და გადაიხდება მეორე ვალუტით. ნებისმიერ შემთხვევაში, კონტრფასის 2601

ანგარიშზე გატარებული თანხები ყოველთვის ასახავს სავალუტო პოზიციის 2611 ანგარიშებით გატარებული თანხების ეკვივალენტს, რომლებიც გამოანგარიშებულია ოფიციალური კურსით.

ბანკმა ყოველდღიურად უნდა გადააფასოს სავალუტო პოზიციის ანგარიშები მოცემული თარიღისათვის დაფიქსირებული ოპიციალური კურსის შესაბამისად, თუ იგი დღის ბოლოს შეიცვალა.

გადაფასების შედეგები აისახება კონტრფასის 2601 ანგარიშისა და მოგება/ზარალის ანგარიშის კორესპოდენციით. ეს შესაძლებლობას იძლევა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გამოანგარიშებული იქნეს ცაკლკეული სავალუტო პოზიციების მიხედვით მიღებული მოგება ან ზარალი.

ბანკის კრებსითი ბალანსის მომზადებისას, ცალკეული სავალუტო ანგარიშების ნაშთები გადაყვანილი უნდა იქნეს ლარში, მიმდინარე ოფიციალური კურსის შესაბამისად და მოხდეს მათი კონსოლიდაცია (შეერთება, შეკრება). ამ დროს სავალუტო პოზიციისა და სავალუტო პოზიციის კონტრფასის ყველა ანგარიში ერთმანეთს შორის უნდა დასაღღოვდეს. თუ სავალუტო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურები სწორად წარიმართება, აღნიშნული ანგარიშების დასაღღოვების შედეგი ნულს უდრის. არ უნდა დაგვაგიწყდეს, რომ დასაღღოვების (გადახურვის) პროცედურა ხორციელდება მხოლოდ ბანკის კრებსითი (ჯამური) ბალანსის დონეზე.

საბანკო ოპერაცია როცა იწვევს უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივების გაზრდას და ლარებში აქტივების შემცირებას, მაშინ უნდა დადებებდეს ფულადი სახსრების შესაბამისი ანგარიში უცხოური ვალუტით და დაკრედიტდეს ანგარიში 2611 „სავალუტო პოზიცია“. იმავედროულად უნდა დაკრედიტდეს ფულადი სახსრების ანგარიში ლარებში და დადებებდეს კონტრფასის 2601 ანგარიში.

განვიხილოთ საილუსტრაციო მაგალითები:

1. დაუშვათ, 100 ლარად შესყიდულია 80 დოლარი
ამ ოპერაციაზე უნდა შედგეს ორი ბუღალტრული მუხლი:
 - ა). დოლარის შემოსვლის აღიარება
დებეტი – 1013 დოლარის სალარო 80 \$
კრედიტი – 2611 სავალუტო პოზიცია დოლარში 80 \$
 - ბ). შესაბამისი ლარის გასვლა სალაროდან – 100 ლ
დებეტი – 2601 სავალუტო პოზიციის კონტრფასი - 100 ლ
კრედიტი – 1003 ლარის სალარო - 100 ლ
2. ახლა დაუშვათ, რომ რამდენიმე დღეში, 80 დოლარი გაიყიდა 110 ლარად
ამ ოპერაციის აღსარიცხავად, კვლავ ორი ბუღალტრული მუხლია საჭირო:
 - ა). ლარის შემოსვლა
დებეტი – 1003 ლარის სალარო - 110 ლ
კრედიტი – 2601 სავალუტო პოზიციის კონტრფასი – 110 ლ
 - ბ) დოლარის გასვლა
დებეტი – 2611 სავალუტო პოზიცია დოლარში - 80 \$
კრედიტი – 1013 სალარო დოლარში - 80 \$
3. უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან მიღებული ფინანსური შედეგი - მოგება ან ზარალი გამოვლინდება „კონტრფასის“ ანგარიშზე და აღრიცხება:
დებეტი – 2601 სავალუტო პოზიციის კონტრფასი - 10 ლ
კრედიტი – 6604 შემოსავალი უცხოური ვალუტის ოპერაციებთან დაკავშირებით - 10 ლ

თუ წინასწარ დაიდება ხელშეკრულება უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის შესახებ, ჯერ აღრიცხვა მოხდება ბალანსგარეშე ანგარიშებზე, როგორცაა:

- 0306 ფორვარდული სავალუტო ოპერაციები
- 0305 ნაღდ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციები
- 0401 ბალანსგარეშე ანგარიშების სავალუტო პოზიციის პარალელური ღირებულება
- 0402 ბალანსგარეშე ანგარიშების სავალუტო პოზიცია

ეს ანგარიშები აქტიურ-პასიური ანგარიშებია და გამოიყენება უცხოური ვალუტის ან ლარის აღსარიცხავად, რომელიც გაიყიდა ფორვარდული (ან ფიუნერსული) სავალუტო კონტრაქტებით.


მაგალითად, დადებულია ფორვარდული შეთანხმება, რომ გარკვეული დროის შემდეგ ბანკი შეისყიდის 2000 დოლარს 3000 ლარად.

- ა). დებეტი – 0305 ნაღდ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციები – 3000 ლ
კრედიტი – 0401 პარალელური ღირებულება – 3000 ლ
- ბ). დებეტი – ბალანსგარეშე ანგარიშების სავალუტო პოზიცია – 2000 \$
კრედიტი – 0306 ფორვარდული სავალუტო ოპერაციები – 2000 \$

კონტრაქტის შესრულების შემდეგ მოხდება შებრუნებული გატარება ამავე ბალანსგარეშე ანგარიშებში. ხოლო საბალანსო ანგარიშებში აღრიცხვა მოხდება ზემოთ განხილული მაგალითის მსგავსად.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. როგორ აღირიცხება ბანკის სალაროში ფიზიკური პირის მიერ ნაღდი ფულის შეტანა;
2. როგორ აღირიცხება დეპოზიტზე ფულის შეტანა და გატანა;
3. როგორ აღირიცხება კვანძგარეთა სალაროებში ფულის გაგზავნა;
4. როგორ აღირიცხება ბანკომატების ფულით გამაგრება;
5. როგორ აღირიცხება ეროვნული ბანკის მიერ ფულის ემისია;
6. როგორ აღირიცხება მიმოქცევიდან უვარგისი ფულის ამოღება;
7. როგორ აღირიცხება უვარგისი ფულის განადგურება ეროვნული ბანკის მიერ;
8. რა მიზნით გამოიყენება ანგარიში 2601 – „სავალუტო პოზიციის კონტრაფასი“;
9. რა მიზნით გამოიყენება ანგარიში 2611 – „სავალუტო პოზიცია“ ;
10. როგორ აღირიცხება დოლარის შესყიდვა ლარით;
11. როგორ აღირიცხება ევროს შესყიდვა ლარით.



თავი 3. ბანკის საანგარიშსწორებო

ოპერაციების აღრიცხვა

მოცემულ თავში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- ოპერაციების აღრიცხვა ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშებზე;
- კომერციული ბანკების სავალდებულო რეზერვები ეროვნულ ბანკში და მისი აღრიცხვა;
- ოპერაციების აღრიცხვა კლიენტთა მიმდინარე ანგარიშებზე;
- ოპერაციების აღრიცხვა სადეპოზიტო ანგარიშებზე;
- ბანკთაშორისი ოპერაციების აღრიცხვა;
- ჩეკებით ანგარიშსწორების აღრიცხვა.

3.1. ოპერაციების აღრიცხვა ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე

ანგარიშსწორება ნიშნავს ორგანიზაციებს შორის მომხდარი ოპერაციების შესაბამისად ფულადი სახსრების მიღება-გადარიცხვას საბანკო დაწესებულებების მეშვეობით.

ცნობილია ანგარიშსწორების ორი ფორმა: ნაღდი და უნაღლო. ნაღდი ანგარიშსწორების დროს ხელზე მოძრაობს ნაღდი ფული და ხორციელდება საღაროების მეშვეობით. უნაღლო ანგარიშსწორება კი ხორციელდება საგადახდო საბუთებით, ნაღდი ფულის გამოყენების გარეშე.

საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელებისა და კლიენტთა თავისუფალი სახსრების შენახვისათვის, კომერციული ბანკები ვალდებული არიან ეროვნულ ბანკში გახსნან **საკორესპოდენტო ანგარიში**. იგი უნაღლო ანგარიშსწორებისათვის გამოიყენება.

კომერციული ბანკების საანგარიშსწორებო ოპერაციებს მიეკუთვნება თანხების გადარიცხვა კლიენტების მითითებებისა და დავალებების საფუძველზე მათი დავალიანებების დასაფარავად, საბიუჯეტო დავალიანებების დასაფარავად, საპენსიო და სხვა ფონდებში გადარიცხვებისათვის, მყიდველებისაგან მიღებული თანხების ჩარიცხვა და ასე შემდეგ. გარდა ამისა, კომერციული ბანკი, წარმოადგენს რა იურიდიულ პირს, ანგარიშსწორებას აწარმოებს საკუთარი სამეურნეო საქმიანობის მოთხოვნების შესაბამისად.

საკორესპოდენტო ანგარიში ეროვნულ ბანკში იხსნება ეროვნულ (1052) და უცხოურ ვალუტაში (1062). ეს ბუღალტრული ანგარიშები კომერციული ბანკისთვის აქტიური ანგარიშებია, ეროვნული ბანკისათვის კი პასიური.

საკორესპოდენტო ანგარიშიდან ბანკები უნაღლო ანგარიშსწორებას ახორციელებენ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

უნადლო ანგარიშსწორების დროს გამოიყენება შემდეგი საგადახდო საბუთები: საგადახდო დავალება, საინკასო დავალება, პლასტიკური ბარათი, საანგარიშსწორებო ჩეკი, აკრედიტივი, თამასუქი.

საგადახდო დავალება არის კლიენტის განკარგულება მისი მომსახურე ბანკისადმი თანხის გადარიცხვაზე. საგადახდო დავალება კლიენტის მიერ შეიძლება ბანკს წარედგინოს ქალაქში შესრულებული ან ელექტრონული სახით ანუ ქალაქის დოკუმენტის გარეშე, როგორცაა ტექნოლოგიური პროდუქტები ინტერნეტ ბანკის და ბანკი-კლიენტის მეშვეობით.

საგადახდო დავალება ძალაშია მათი გამოწერიდან ათი დღის განმავლობაში (გამოწერის დღის ჩათვლელად). საგადახდო დავალებები მიიღება კლიენტის ანგარიშზე ფულადი სახსრების არსებობის შემთხვევაში (გარდა საბიუჯეტო გადარიცხვებისა). საოპერაციო დღის განმავლობაში შემოსული საგადახდო დავალებებით გადარიცხვები კლიენტის ანგარიშიდან წარმოებს იმავე საოპერაციო დღის ბოლომდე. კომპიუტერულ პროგრამაში საგადახდო დავალების ასახვის სიზუსტის შემოწმების შემდეგ, მას ეძღვნა „დადასტურებულის“ სტატუსი.

თავის მხრივ, გადარიცხვები იყოფა შიგა და გარე გადარიცხვებად. **შიგა** ანუ ბანკის სისტემის შიგნით გადარიცხვის შემთხვევაში, როცა კომპანიებს ერთ ბანკში აქვთ ანგარიშები გახსნილი, საბუთის დადასტურებისთანავე შესაბამისი თანხა ავტომატურად აისახება მიმღების ანგარიშზე.

ბანკის სისტემის გარეთ გადარიცხვის შემთხვევაში საოპერაციო დღის კომპიუტერულ პროგრამაში დადასტურებული ყველა საგადახდო დავალების საფუძველზე კომერციული ბანკის კლირინგის სამსახური აფორმებს ე.წ. „გასაგზავნი საბუთების პორციას“ და ეროვნულ ბანკთან ანგარიშსწორების სპეციალური სისტემის მეშვეობით გადაუგზავნის ეროვნულ ბანკს. თავის მხრივ, ეროვნულ ბანკში ხდება მიღებული ინფორმაციის დამუშავება და შესაბამისი მიმღები ბანკებისათვის თანხების ჩარიცხვა. ეროვნული ბანკისათვის გადარიცხვების მასალების მიწოდების ბოლო ვადაა საოპერაციო დღის საღამოს ხუთი საათი. ამიტომ, კომერციული ბანკის კლირინგის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს საღამოს ოთხის ნახევრამდე დადასტურებული დოკუმენტების გადაგზავნა ეროვნულ ბანკში.

კლიენტს უფლება აქვს გააუქმოს მის მიერ ბანკისთვის მიცემული დავალება გადარიცხვის შესახებ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ გადარიცხვა არ არის შესრულებული ეროვნული ბანკის მიერ და თუ, გადარიცხვა შესრულებულია, მაგრამ ჯერ არ არის ჩარიცხული მიმღების ანგარიშზე მიმღების მომსახურე ბანკის მიერ.

გადარიცხვები შეიძლება მოხდეს **წინასწარი დავალებების** საფუძველზე კლიენტსა და კომერციულ ბანკს შორის არსებული სპეციალური ხელშეკრულების შესაბამისად, განსაზღვრული პერიოდულობით. ასეთ შემთხვევაში, თითოეულ გადარიცხვაზე გადახდის დავალებების წარმოდგენა საჭირო აღარაა.

გადარიცხვები ბანკმა შეიძლება განახორციელოს **დისკეტით**. იგი გამოიყენება ბანკის კლიენტი ორგანიზაციის მიერ თანამშრომელთა ანგარიშებზე ხელფასების ჩასარიცხად. ორგანიზაცია კომერციულ ბანკში წარადგენს სპეციალურ დისკეტას, რომელშიც ჩაწერილია თანამშრომელთა ანგარიშებისა და სახელფასო თანხების რეესტრი, რომლის საფუძველზეც სპეციალური კომპიუტერული პროგრამული მოდულის საფუძველზე ხორციელდება გადარიცხვები.

უცხოურ ვალუტაში გადარიცხვების შესრულებისას, ბანკის მიერ დამატებით გაითვალისწინება შემდეგი თავისებურებები:

ა. როგორც წესი საქართველოს ტერიტორიეზე აკრძალულია უცხოური ვალუტით ანგარიშსწორება შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების, მიწოდებული საქონლის ღირებულების და სხვათა მიხედვით. დასაშვებია მხოლოდ ფიზიკურ პირებს შორის ფულადი სახსრების გადაგზავნა პირადი დანიშნულებით (ფულადი გზავნილები);

ბ. ქვეყნის გარეთ სავალუტო გადარიცხვების შესრულებისათვის აუცილებელია საგადახდო დავალებასთან ერთად ბანკს წარედგინოს ხელშეკრულება და ინვოისი.

საინკასო დავალება არის ბანკისადმი მიცემული დავალება კლიენტის ანგარიშიდან თანხების უაქცეპტო წესით (კლიენტის თანხმობის გარეშე) უპირობო ჩამოწერაზე. მაგალითად, ეროვნული ბანკის, საგადასახადოსა და საბაჟო სამსახურების ან სასამართლოს დავალებით. საინკასო დავალების სრულად შესრულებამდე ინკასოს ოპერაციების გარდა სხვა ოპერაციების შესრულება არ დაიშვება. პირველ რიგში ეროვნული ბანკის საინკასო დავალება უნდა შესრულდეს. შემდეგ სრულდება საგადასახადო და საბაჟო ორგანოების დავალებები. კომერციულ ბანკში შემოსული საინკასო დავალება შეიტანება ინკასოს მოდულში მათი მიღებისთანავე, ვალუტის სახეების მიხედვით. კლიენტის ანგარიშები იბლოკება და საინკასო დავალიანების დაფარვამდე სხვა გადარიცხვები არ განხორციელდება. ინკასო ვრცელდება ყველა ანგარიშზე, რაც კი გახსნილი ექნება კლიენტს მოცემულ ბანკში (საბარათე, სადეპოზიტო, სახელფასო). საინკასო დავალებით თანხის ჩამოწერა კლიენტის ანგარიშიდან ხორციელდება საინკასო დოკუმენტის მიღებიდან არა უგვიანეს, მეორე დღის საღამოს ხუთის ნახევრამდე.

ინკასოს მოდულში რეგისტრირებული თითოეული საინკასო დავალების თანხა აისახება ბალანსგარეშე ანგარიშზე, რომელიც ავტომატურად იხსნება თითოეულ კლიენტზე. ეს ანგარიში ინკასოს თანხის დაფარვის შესაბამისად იხურება.

ანგარიშსწორების ბოლო ეტაპია გადარიცხვა ანუ ფულის მიმღების საბანკო ანგარიშზე თანხების ასახვა (ჩარიცხვა). კომერციული ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშიდან ფულის გადარიცხვას ახდენს ეროვნული ბანკი და მიმღების ანგარიშებზე ეროვნული ბანკიდან განხორციელებულ ჩარიცხვებზე ინფორმაციას იღებს კომერციული ბანკის კლირინგის სამსახური. ჩარიცხვები მუშავდება მიმღები ორგანიზაციის ნომრისა და დასახელების მიხედვით. ჩარიცხვის დოკუმენტები უღარდება ბანკის მონაცემებს. თუ მოხდა რაიმე შეუსაბამობა, მაშინ იგი „გაურკვეველი თანხების“ ანგარიშზე გადაიტანება.

კომერციული ბანკების საკორესპოდენტო ანგარიშზე აგრეთვე ხდება სხვადასხვა ორგანიზაციების ანგარიშებიდან თანხების გადმორიცხვა.

ეროვნულ ბანკში, საკორესპოდენტო ანგარიშებზე განთავსებული თანხები კომერციული ბანკისათვის, შეიძლება შევადაროთ „დეპოზიტს მოთხოვნამდე“. მისი მოთხოვნა შეიძლება ნებისმიერ დროს და შესრულება სავალდებულოა ერთი სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან, ეროვნული ბანკი პერიოდულად კომერციულ ბანკებს უგზავნის „ამონაწერს“ მათი საკორესპოდენტო ანგარიშიდან. ამონაწერში ნაჩვენებია საკორესპოდენტო ანგარიშის კრედიტის ნაშთი ნიშნავს კომერციული ბანკის მოთხოვნას ეროვნული ბანკის მიმართ. ანუ ეს ნაშთი კომერციული ბანკების აღრიცხვაში, საკორესპოდენტო ანგარიშის დებეტში აისახება.

ამრიგად, კომერციული ბანკების საკორესპოდენტო ანგარიშზე ოპერაციებს ახორციელებს ეროვნული ბანკი კომერციული ბანკის მითითებების საფუძველზე. ძირითადი ოპერაციები შემდეგნაირად აღირიცხება.

1. რომელიმე სამინისტროს მიერ თანხის ჩარიცხვა თავის მიმდინარე ანგარიშზე:
დებეტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში
კრედიტი – 3301-3306 სამინისტროს მიმდინარე ანგარიშები
2. კლიენტის დავალებით ფულადი თანხების გადარიცხვა მიმდინარე ანგარიშიდან:
დებეტი – 3601-3608 კლიენტების მიმდინარე ანგარიშები
კრედიტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში
3. კლიენტმა მიმდინარე ანგარიშებზე ჩარიცხა უცხოური ვალუტა
დებეტი – 1062 სავალუტო საკორესპოდენტო ანგარიში
კრედიტი – 3611-3618 მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში

კომერციულ ბანკში ეროვნული ბანკიდან მოსული ამონაწერის შედარების შედეგად თუ აღმოჩნდა ისეთი სხვაობა, რომ კომერციულ ბანკს გააჩნია მოთხოვნა მისაღებ თანხებზე, მაშინ შედგება შემდეგი ბუღალტრული მუხლი:

დებეტი – 2502 მოთხოვნა გაურკვეველ თანხებზე
კრედიტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში

თანხების მიღების შემთხვევაში გაკეთდება შებრუნებული გატარება.

თუკი, შედარების შედეგად, პირიქით, კომერციულ ბანკს გაუჩნდება ვალდებულება გადასახდელ თანხებზე, ანუ ეროვნულ ბანკის ამონაწერში დაფიქსირებული საკორესპოდენტო ანგარიშის ნაშთი მეტია კომერციულ ბანკში ასახულ ნაშთზე, მაშინ შედგება შემდეგი ბუღალტრული გატარება:

დებეტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში
კრედიტი – 4502 ვალდებულება გაურკვეველ თანხებზე

საკორესპოდენტო ანგარიშზე ეროვნული ბანკის მომსახურებისათვის გადახდილი საკომისიოს ჩამოწერა:

დებეტი – საკომისიო ხარჯები
კრედიტი – საკორესპოდენტო ანგარიში

აკრედიტივი არის ანგარიშსწორების ისეთი ფორმა, როდესაც მყიდველის დავალებით კომერციული ბანკი იღებს ვალდებულებას გამყიდველს გადაუხადოს წინასწარგანსახდურული თანხა, გარკვეულ ვადაში, სათანადო საბუთების წარდგენის შემდეგ.

აკრედიტივი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც საერთაშორისო ისე ქვეყნის შიგნით ანგარიშსწორების დროს. როცა გამყიდველი კომპანია არ იცნობს მყიდველ კომპანიას და ვერ ენდობა მას გადახისუნარიანობის სფეროში, გამყიდველი თხოვს მყიდველის მომსახურე ბანკს მან საქონლის მიმწოდებელი კომპანიის სახელზე წინასწარ დაჯავშნოს თანხა სპეციალურ ანგარიშზე – აკრედიტივზე. გაიხსნება რა აკრედიტივი, ანუ ბანკი იღებს ვალდებულებას, რომ გაანაღდებს მყიდველის დავალიანებას, გამყიდველი კომპანია გააგზავნის საქონელს მყიდველთან, რომლის დამადასტურებელ დოკუმენტებს წარადგენს ბანკში, კუთვნილი თანხის მისაღებად. ბოლოს, მყიდველი კომპანია, საქონლის მიმწოდებლის ნაცვლად, თავის მომსახურე ბანკს უხდის დავალიანების თანხას.

პრაქტიკაში, აკრედიტი შეიძლება იყოს **დაუყოვნებელი განაღდების პირობით**, როცა განაღდება ბანკის მიერ ხდება დაუყოვნებლივ, როგორც კი გამყიდველი კომპანიის მიერ საქონლის გაგზავნის საბუთები მოთხოვნებს შეესაბამება; **განვადებით გადახდით** – როცა მყიდველისა და გამყიდველის ხელშეკრულება ამ პირობას ითვალისწინებს; **სარეზერვო ხასიათის** – როცა ბანკი საჭირო თანხას გაამზადებს ანუ დაჯავშნის გამყიდველისათვის, აკრედიტივის სპეციალურ ანგარიშზე და **ტრანსფერაბელური** – გამოიყენება სატრანზიტო ვაჭრობაში და

ბანკი „შუამავლის“ სახით გამოდის, რომელსაც უფლება ეძლევა ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტებით წარმოებული ტრანზაქცია დააფინანსოს.

მაგალითი:

1. ბანკის მიერ გარანტიის გაცემა 77000 ლარის აკრედიტივის განაღდებაზე

დებეტი – 0502 – კლიენტის ვალდებულება (ბანკისთვის აქტიური ანგარიშია და ნიშნავს ბანკის მოთხოვნას კლიენტის მიმართ რათა შემდეგ ეს ფული უკან დაუბრუნოს)

კრედიტი – 0301 – აღებული ფორმალური ვალდებულებები (პასიური ანგარიშია და მოცემულ შემთხვევაში ნიშნავს ბანკის ვალდებულებას საქონლის მიმწოდებელი ორგანიზაციის მიმართ, აკრედიტივის თანხის განაღდებაზე)

2. აკრედიტივის დაფარვა ბანკის მიერ ან სახსრების გადარიცხვა სხვა ბანკში აკრედიტივის მიზნით თანხების დეპონირებისათვის:

დებეტი – 2585 დეპოზიტები აკრედიტივის მიხედვით (მოთხოვნები):

კრედიტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში ან კლიენტის მიმდინარე ანგარიშები

3. ფულის უკან დაბრუნება (ანუ თანხის დაფარვა მყიდველის მიერ):

დებეტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში ან კლიენტის მიმდინარე ანგარიშები
კრედიტი – 2585 დეპოზიტები აკრედიტივის მიხედვით

პარალელურად დაიხურება ბალანსგარეშე ანგარიშები

დებეტი – 0301 აღებული ფორმალური ვალდებულებები
კრედიტი – 0502 კლიენტის ვალდებულება

ბოლო წლებში გავრცელდა კლიენტებთან უნაღდო ანგარიშსწორების თანამედროვე ფორმები, როგორცაა: პლასტიკური ბარათები, ბანკი-კლიენტი, ტელეფონბანკინგი.

პლასტიკური საბანკო ბარათები განკუთვნილია ბანკის კლიენტი ორგანიზაციების წარმომადგენლობითი, სამიველინებო და სხვა ხარჯების დასაფარავად. იგი საშუალებას იძლევა კომპანიის საბარათე ანგარიშზე რიცხული თანხები გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა გარიგებების უზრუნველსაყოფად მსოფლიოს ნებისმიერი ვალუტით. აგრეთვე, ორგანიზაციის თანამშრომლებს შეუძლიათ ბანკომატებიდან აიღონ თავიანთი ხელფასი მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, რაც მათზე ნაღდი ფულის გაცემის და ვალუტის გაყიდვის ხარჯებს ამცირებს. იძლევა დროის დიდ ეკონომიას. ბარათით შეიძლება ინტერნეტით ანგარიშსწორება და დიდი ოდენობით თანხის გატანა. ბანკომატიდან თანხის გატანის დღიური ლიმიტია 5000 ლარი.

„**ბანკი-კლიენტის**“ მეშვეობით შეიძლება დისტანციური მომსახურება ოფისიდან და სახლიდან გაუსვლელად. ამ სისტემით შეიძლება თანხების გადარიცხვა საქრთველოს ნებისმიერ ადგილზე და უცხოური ვალუტის გადარიცხვა მთელ მსოფლიოში. შესაძლებელია საკონვერტაციო ოპერაციების განხორციელება; ბანკში სხვადასხვა ტესტური შეტყობინების გაგზავნა; ანგარიშების ბრუნვისა და ნაშთების გაცნობა ნებისმიერი პერიოდისათვის, ნებისმიერ ვალუტაში; ნებისმიერ ოპერაციასთან ხელმისაწვდომობა და ა.შ. ამასთან დაცულია კლიენტის ინფორმაციის კონფიდენციალობა უსაფრთხოების სათანადო კომპიუტერული პროგრამებით.

ტელეფონბანკინგი აგრეთვე დისტანციური მომსახურების სახეა, როცა ტელეფონის მეშვეობით შეიძლება ნებისმიერი ოპერაციის განხორციელება. ამ სისტემის მეშვეობით კლიენტს შეუძლია 24 საათის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, გაიგოს ინფორმაცია თავისი ანგარიშების ნაშთებზე, სავალუტო კურსებზე და სხვა საინფორმაციო განცხადებებზე. შედეგად, კლიენტს შეუძლია ოპერატიულად და განუწყვეტლივ აკონტროლოს თავისი ანგარიშები.

3.2. კომერციული ბანკების სავალდებულო რეზერვები ეროვნულ ბანკში და მისი აღრიცხვა

საკორესპოდენტო ანგარიშის გარდა კომერციულმა ბანკებმა ეროვნულ ბანკში უნდა გახსნან სავალდებულო რეზერვების ანგარიში, რომლის აღრიცხვის ბუღალტრული ანგარიში (1051) აქტიური ანგარიშია.

სავალდებულო რეზერვების ფონდი წარმოადგენს კომერციული ბანკების მოზიდული სახსრების ნაწილს, რომელთა დეპონირება (შენახვა) ხდება ეროვნულ ბანკში. ეს ფონდი შეიძლება სხვადასხვა პოზიციიდან განვიხილოთ:

1. კომერციული ბანკების მოზიდული სახსრების რეზერვირებული ნაწილი ეროვნულ ბანკში, წარმოადგენს მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის რეგულირების ერთ-ერთ ეკონომიკურ მეთოდს. ეროვნული ბანკის მიერ რეზერვების ნორმის გადიდებით კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალი მცირდება. ხოლო, რეზერვების ნორმის შემცირების შემთხვევაში კომერციული ბანკების განკარგულებაში უფრო მეტი რესურსები რჩება მათ მიერ მოზიდული რესურსებიდან, რითაც იზრდება ეკონომიკის რეალური სექტორისათვის კრედიტების წარდგენის შესაძლებლობა;

2. სავალდებულო რეზერვების ფონდი წარმოადგენს კომერციული ბანკების თავისებურ სადაზღვევო რეზერვს კლიენტების წინაშე არსებული ვალდებულებების დროული დაფარვის უზრუნველყოფისათვის, რათა დააბრუნოს ადრე მოზიდული რესურსები. ეს განპირობებულია იმით, რომ ამ ფონდში დეპონირებული თანხები არ შეიძლება კომერციული ბანკის მიერ გამოყენებულ იქნას საკრედიტო რესურსების (ანუ სესხის გაცემის) სახით;

3. კომერციული ბანკების მიერ მოზიდული სახსრების ნაწილის დეპონირება ეროვნულ ბანკში, საშუალებას ქმნის კომერციული ბანკები, საჭიროების მიხედვით, დაფინანსდეს ეროვნული ბანკის მიერ.

კომერციული ბანკების სავალდებულო რეზერვების შექმნა ცენტრალურ ბანკში, მსოფლიო პრაქტიკაში ითვლება ფულად-საკრედიტო რეგულირების საკმაოდ მკაცრ ინსტრუმენტად, რომლის განმასხვავებელ ნიშნებს წარმოადგენს არჩევითობის არარსებობა და ზემოქმედება ყველა ბანკის ლიკვიდურობაზე.

საქართველოში ამჟამად ეროვნული ბანკის მიერ დაკანონებულია სავალდებულო რეზერვების მინიმალური ნორმები:

1. ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის 10%;
2. უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის 15%, გარდა ნარჩენი ვადიანობის მიხედვით უცხოური ვალუტით 365 დღიდან 730 დღემდე ვადიანობის ნასესხები სახსრებისა, რომლის მინიმალური სარეზერვო ნორმაა 5%.

ეს ნორმები ზოგჯერ ეროვნული ბანკის მიერ იცვლება. მინიმალური სარეზერვო ნორმების დაცვა სავალდებულოა საქართველოში ლიცენზირებული ყველა კომერციული ბანკისა და უცხოური ბანკის ფილიალისათვის. წინამდებარე სახელმძღვანელოში, ამოცანების ამოხსნის დროს,

სიმარტივისათვის, ყოველთვის გამოიყენება სავალდებულო რეზერვის 10%-იანი ნორმა.

სავალდებულო რეზერვები გაიანგარიშება ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულებების საშუალო ნაშთიდან ცალ-ცალკე. გაანგარიშება ხდება მთელი რიცხვის მეთოდით. თანხა 50 თეთრი და მეტი, მრგვალდება ერთამდე და 50 თეთრზე დაბლა, მხედველობაში არ მიიღება.

ვალდებულებების საშუალო ნაშთი გამოითვლება ყოველი დღის ბოლოს არსებული ვალდებულებების ნაშთების საშუალო არითმეტიკულის სახით. გაანგარიშების პერიოდს წარმოადგენს ორკვირიანი ინტერვალი, რომელიც იწყება ხუთშაბათს და მთავრდება ორი კვირის შემდეგ ოთხშაბათის ჩათვლით.

გაანგარიშებაში გაითვალისწინება მოზიდული ვალდებულებების ნაშთები კომერციული ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმით გათვალისწინებულ საბალანსო ანგარიშებზე, უცხოურ (3312, 3316, 3361-63, 3412-18, 3462-68, 3531-32, 3611-18, 3661-68, 3811-13, 4311, 4511-16, 4518, 4519) და ეროვნულ ვალუტაში (3302, 3306, 3351-53, 3402-08, 3452-58, 3521-22, 3601-08, 3651-58, 3801-03, 4301, 4501-06, 4508, 4509), გარდა ფინანსთა სამინისტროსა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიმდინარე ანგარიშებისა, მთავრობიდან მიღებული სესხებისა, „ლორო“ ანგარიშებისა, რეზიდენტი კომერციული ბანკებიდან მიღებული სესხების, ეროვნული ბანკიდან მიღებული სესხების და საგადახდო ვალდებულებებისა. აგრეთვე, არ გაითვალისწინება ეროვნულ ვალუტაში 365 დღისა და მეტი ვადით, უცხოურ ვალუტაში 730 დღისა და მეტი ვადით ნასესხები სახსრები.

ვალდებულებების საშუალო ნაშთის გაანგარიშება ხდება ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში ცალ-ცალკე. ამასთან, აშშ დოლარისა და ევროს გარდა, სხვა უცხოურ ვალუტაში მოზიდული სახსრების მიხედვით გამოთვლილი სავალდებულო რეზერვები აისახება აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხებით.

კომერციული ბანკები ვალდებული არიან, სპეციალურ სარეზერვო ანგარიშებზე ყოველდღიურად იქონიონ მინიმალური რეზერვი ლარში, აშშ დოლარში და ევროში.

თავდაპირველად, კომერციული ბანკი სარეზერვო ანგარიშზე მთლიანად შეიტანს დამფუძნებლების მიერ შენატანებს დაფუძნების მომენტში, რომელზეც შედგება შემდეგი ბუღალტრული მუხლი:

დებეტი – 1051 სავალდებულო რეზერვები ეროვნულ ბანკში – 15 მლნ ლ

კრედიტი – საწესდებო კაპიტალი – 15 მლნ ლ

ლიცენზიის მიღების შემდეგ, თანხა სარეზერვო ანგარიშიდან მთლიანად გადაირიცხება კომერციული ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე:

დებეტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში – 15 მლნ ლ

კრედიტი – 1051 სავალდებულო რეზერვები ეროვნულ ბანკში – 15 მლნ ლ

კომერციული ბანკი დაიწყებს რა ფუნქციონირებას, ორი კვირის განმავლობაში წარმოშობილი ვალდებულებების საშუალო ნაშთების საფუძველზე გამოითვლება ეროვნულ ბანკში გადასარიცხი სავალდებულო რეზერვის ახალი სიდიდე. ყოველი მომდევნო ორი კვირის შემდეგ ეროვნული ბანკის მიერ ხდება სავალდებულო რეზერვების კორექტირება კომერციული ბანკების ვალდებულებების ცვლილების შესაბამისად.

დავუშვათ პირველი ორი კვირის განმავლობაში წარმოიშვა 20 მლნ ლარის ვალდებულება. მაშასადამე, სავალდებულო რეზერვის სიდიდე იქნება 2 მლნ ლ (20*10%); შემდეგი ორი კვირის განმავლობაში თუკი გასათვალისწინებელი ვალდებულებები გახდება 24 მლნ ლარი, მაშინ ეროვნული ბანკი მოახდენს

კომერციული ბანკის სავალდებულო რეზერვების კორექტირებას და გაზრდის მას 0,4 მლნ ლარით (12,4 – 2).

გადარიცხვები სარეზერვო ფონდში აღირიცხება შემდეგნაირად:

დებეტი – 1051 სავალდებულო რეზერვები ეროვნულ ბანკში

კრედიტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში

იმ შემთხვევაში, თუკი ვალდებულებები შემცირდება, მაშინ, სავალდებულო რეზერვის არსებული ნაშთი გადააჭარბებს რეზერვის სავალდებულო მინიმუმს და სხვაობის თანხას ეროვნული ბანკი უკან დაუბრუნებს კომერციულ ბანკს, რაც კომერციული ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე ჩაირიცხება.

კომერციულმა ბანკებმა, სავალდებულო რეზერვების სპეციალური ფორმის ანგარიშგება ეროვნულ ბანკში უნდა წარადგინონ ყოველი პერიოდის დამთავრებიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში. რომელიმე კომერციული ბანკის დროებითი ფინანსური სიძნელების შემთხვევაში, ლიკვიდური სახსრების მწვავე უკმარისობის აღმოფხვრის მიზნით, ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის წინადადებით, ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის თანხმობით, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ განსაზღვრული ვადებით და პირობებით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი (ან ვიცე პრეზიდენტი) უფლებამოსილია, ბანკი გაათავისუფლოს სარეზერვო მოთხოვნების დაცვისაგან.

კომერციული ბანკის სავალდებულო რეზერვების თანხაზე ან მის ნაწილზე, ეროვნული ბანკი ახდენს პროცენტის დარიცხვას, მის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

3.3. ოპერაციების აღრიცხვა კლიენტების მიმდინარე ანგარიშებზე

მიმდინარე (ანუ კლიენტების საანგარიშსწორებო) ანგარიშები ისეთი ანგარიშებია, რომელსაც იურიდიული და ფიზიკური პირები ხსნიან კომერციულ ბანკებში, უნაღლო ანგარიშსწორებისათვის. მიმდინარე ანგარიში იხსნება როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში. საწარმოებმა ერთ კომერციულ ბანკში მხოლოდ ერთი მიმდინარე ანგარიში უნდა გახსნან.

მიმდინარე ანგარიშების გასახსნელად საწარმოებმა ბანკში უნდა წარადგინონ განაცხადი ანგარიშის გახსნაზე, წესდების ასლი, რეგისტრაციის მოწმობის ასლი, ცნობა საგადასახადო კოდის შესახებ, ხელმძღვანელისა და მთავარი ბუღალტრის ხელმოწერის ნიმუშები, დამოწმებული ნოტარიუსის მიერ.

მიმდინარე ანგარიშის გახსნის დროს ბანკი კლიენტთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომლითაც განისაზღვრება ორმხრივი ურთიერთობის პირობები. მიმდინარე ანგარიშზე არსებულ თანხებზე შეიძლება ბანკმა კლიენტს არ გადაუხადოს პროცენტი და არც კლიენტს გადაახდევინოს პროცენტი, გაწეული მომსახურებისათვის.

მიმდინარე ანგარიში ბანკმა შეიძლება დახუროს კლიენტის განცხადების საფუძველზე ან კლიენტის გაკოტრების დროს, ან სამი თვის განმავლობაში ანგარიშზე ფულის მოძრაობის არ არსებობის გამო, ან ერთი ბანკიდან მეორე ბანკში ანგარიშის გადატანის შემთხვევაში.

მიმდინარე ანგარიშის აღმრიცხველი ბუღალტრული ანგარიშები პასიური ანგარიშებია. მათ, როგორც წესი, აქვთ კრედიტის ნაშთი. ოღონდ თუ არსებობს შეთანხმება კომერციულ ბანკსა და კლიენტს შორის – ოვერდრაფტზე, მაშინ მიმდინარე ანგარიშზე შეიძლება წარმოიშვას დებეტის ნაშთი. მიმდინარე

ანგარიშის კრედიტის ნაშთი ბანკისთვის ვალდებულებას ნიშნავს, ხოლო დებეტის ნაშთი – მოთხოვნას კლიენტის მიმართ.

ოვერდრაფტზე შეთანხმების დროს ბანკი თვის ბოლომდე ისე ანაღლებს კლიენტის ვალდებულებებს, რომ მის მიმდინარე ანგარიშზე თანხების არსებობას არ ამოწმებს. თვის ბოლო დღეს კი ხდება ანგარიშის შემოწმება და თუ აღმოჩნდა, რომ ბანკის მიერ გადარიცხული თანხები აღემატება კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე შემოსულ თანხებს, წარმოიშვება ოვერდრაფტი ანუ მიმდინარე ანგარიშის სადებეტო ნაშთი, რაც ნიშნავს მოთხოვნას კლიენტის მიმართ. ბანკისა და კლიენტის შეთანხმებით შეიძლება ბანკის მიერ წინასწარ იყოს განსაზღვრული ოვერდრაფტის ლიმიტი. ლიმიტის ზემოთ გამოყენებულ ოვერდრაფტზე ბანკი კლიენტებს უფრო მაღალ პროცენტს ახდევინებს. ოვერდრაფტი მაქსიმუმ ერთ თვეში უნდა დაიფაროს. შეიძლება შეთანხმებით უფრო მოკლევადიანიც იყოს. სანამ ოვერდრაფტი არ დაიფარება, ბანკი კლიენტის მიმდინარე ანგარიშიდან ყველა ოპერაციის განაღდებას წყვეტს. განსაკუთრებით მაღალი საიმედოობის კლიენტებთან ბანკმა შეიძლება გააფორმოს შეთანხმება ისეთ ოვერდრაფტზეც, რომელსაც არ ექნება დადგენილი ლიმიტი.

ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმით, მიმდინარე ანგარიშები დაჯგუფებულია კლიენტების საკუთრების ფორმების შესაბამისად:

1. სახელმწიფო ინსტიტუტების მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (ჯგუფები: 330-331).

2. სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (ჯგუფები: 340-341);

3. კლიენტების მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (ჯგუფები: 360-361).

პირველ ჯგუფში მოცემულია სამინისტროებისა და თვითმმართველობის ორგანიზაციების მიმდინარე ანგარიშების კოდები (იხილეთ დანართი).

მეორე ჯგუფში მოცემულია საქმიანობის ცალკეული სფეროს საწარმოების ანგარიშთა კოდები. სულ საქმიანობის რვა სახეა იდენტიფიცირებული. ამ საწარმოებში წილის 50%-ზე მეტი სახელმწიფოს ეკუთვნის.

მესამე ჯგუფის ანგარიშები გამოყოფილია კერძო სექტორის საწარმოებისათვის, რომლებიც ასევე საქმიანობის რვა სახის მიხედვითაა დაჯგუფებული.

ეს ანგარიშები პასიური ანგარიშებია და ასახავს ბანკის ვალდებულებებს სამინისტროების, ორგანიზაციების და სხვადასხვა კლიენტების წინაშე, მათ მიერ შემოტანილ თანხებზე.

სახსრების ჩარიცხვა სამინისტროების და კლიენტების მიერ მათ მიმდინარე ანგარიშებზე, ბანკში შემდეგნაირად აღირიცხება:

დებეტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში

კრედიტი – 3301 და სხვა ვალდებულებები მიმდინარე ანგარიშებით

სახსრების გადარიცხვა კლიენტების დავალებით:

დებეტი – 3301 და სხვა ვალდებულებები მიმდინარე ანგარიშებით

კრედიტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში

თვის ბოლო დღეს მიმდინარე ანგარიშებზე ოვერდრაფტის არსებობის დროს, იგი გადაიტანება ოვერდრაფტის სპეციალურ ანგარიშზე:

**დებეტი – 1809 ან 1819 ოვერდრაფტი მიმდინარე ანგარიშებზე
კრედიტი – მიმდინარე ანგარიშები**

ახალი თვის პირველივე დღეს ოვერდრაფტის თანხა კვლავ გადაიტანება მიმდინარე ანგარიშებზე, შებრუნებული გატარებით.

თუ მიმდინარე ანგარიშებზე არსებობს პროცენტის გადახდის შეთანხმება, მაშინ თვის ბოლოს მოხდება გადასახდელი პროცენტის დარიცხვა, რომლის დროსაც, ერთი მხრივ წარმოიშობა ხარჯი და მეორე მხრივ – ვალდებულება:

**დებეტი – 8001-8002 პროცენტული ხარჯები მიმდინარე ანგარიშების მიხედვით
კრედიტი – 4401-02 ვალდებულება მიმდინარე ანგარიშებზე
გადასახდელი პროცენტების მიხედვით**

კლიენტს როცა გახსნილი არა აქვს მიმდინარე ანგარიში უცხოურ ვალუტაში, შეუძლია მოითხოვოს ლარის კონვერტაცია (გადაცვლა) დოლარზე. დაუშვათ, კლიენტს, რომელსაც კომერციულ ბანკში მიმდინარე ანგარიში ეროვნულ ვალუტაში აქვს გახსნილი, სურს 5000 დოლარი, მიმდინარე ანგარიშზე არსებული ლარის ნაცვლად. გასაცვლელი კურსია 1:1,5. შედეგადად შექმნილი ბუღალტრული მუხლები:

ა). დებეტი – კლიენტის მიმდინარე ანგარიში – 7500 ლ (5000 * 1,5)
კრედიტი – 2601 კონტრაქტის – 7500 ლ

ბ). დებეტი – 2611 სავალუტო პოზიცია – 5000 \$
კრედიტი – 1062 საკორესპოდენტო ანგარიში უცხოურ ვალუტაში – 5000 \$

ამ გატარებების შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ კლიენტის „ლარის“ მიმდინარე ანგარიშიდან ჩამოიწერა 7500 ლარი, მაგრამ სანაცვლოდ, ბანკიდან გავიდა 5000 დოლარ

3.4. სადეპოზიტო ოპერაციების აღრიცხვა

სადეპოზიტო ოპერაციები წარმოადგენს ბანკის პასიური ოპერაციების მნიშვნელოვან ჯგუფს. **დეპოზიტი** არის ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ბანკში შესანახად შეტანილი თანხა (ანაბარი), გარკვეული სარგებლის მიღების პირობით.

განასხვავებენ ვადიან და უვადო დეპოზიტებს (ანაბრებს).

ვადიანი დეპოზიტიდან კლიენტს უფლება არა აქვს ვადის დადგომამდე თანხა გაიტანოს. ამიტომ ბანკები ვადიან ანაბრებზე უფრო მაღალ პროცენტს აწესებენ, ვიდრე უვადო ანაბარზე. ბანკს ეკისრება ვალდებულება ვადის დადგომისას იმავე ვალუტაში დააბრუნოს მენაბრის კუთვნილი თანხა. **უვადო ანაბარზე** კი კლიენტმა თანხა ნებისმიერ დროს შეიძლება მოითხოვოს. ბანკს შეიძლება გააჩნდეს **მიღებული და გაცემული დეპოზიტები**. მიღებული დეპოზიტები ბანკისთვის ვალდებულებას წარმოადგენს, ხოლო გაცემული დეპოზიტები – მოთხოვნას. მიღებული დეპოზიტებისათვის (ანაბრებისათვის) ბანკი ხსნის შემნახველ წიგნაკს როგორც სახელობით, ასევე წარმომდგენზე.

სადეპოზიტო ოპერაციების აღსარიცხავად გამოყენებული ბუღალტრული ანგარიშები, მიმდინარე ანგარიშების მსგავსად, იხსნება ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში ცალ-ცალკე და ამასთან, დაჯგუფებულია საწარმოთა იურიდიული სტატუსის შესაბამისად:

1. სახელმწიფო ინსტიტუტებიდან მიღებული დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (335-336 ჯგუფები);

2. სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა დეპოზიტები (ჯგუფები: 345-346);

3. კლიენტებისაგან მიღებული დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (ჯგუფები: 365-366).

კომერციულ ბანკში კლიენტების მიერ დეპოზიტების განთავსებით ანუ დეპოზიტზე თანხის შეტანით, ბანკში ერთი მხრივ, წარმოიშობა ფულადი სახსრები და მეორე მხრივ – წარმოიშობა ვლადებულებები შესანახად მიღებულ თანხებზე, ამიტომ, მიღებული დეპოზიტების ანგარიშები პასიური ანგარიშებია. კლიენტების მიერ დეპოზიტებზე თანხის შემოატანა, ბანკში შემდგენიერად აღირიცხება:

დებეტი – ფულადი სახსრების ანგარიშები ან მიმდინარე ანგარიშები
კრედიტი – მიღებული დეპოზიტები

იურიდიულ პირებს, უშუალოდ სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის შეტანა ეკრძალებათ. მათ, მხოლოდ მიმდინარე ანგარიშებიდან შეიძლება გახსნან დეპოზიტები ან გადმორიცხონ თანხები სხვა ბანკში გახსნილი მიმდინარე ანგარიშიდან.

სხვადასხვა ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის მიერ თანხის გატანა საკუთარი დეპოზიტებიდან, აღირიცხება:

დებეტი – მიღებული დეპოზიტები ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში
კრედიტი – საღარო ან საკორესპოდენტო ანგარიში ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში

მიღებულ დეპოზიტებზე ბანკები კლიენტებს უხდიან პროცენტის თანხას. დეპოზიტებზე პროცენტის გადახდა ხდება რთული პროცენტის მეთოდით ანუ ხდება პროცენტის კაპიტალიზაცია მანამ, სანამ კლიენტი მას არ გაიტანს.

დეპოზიტებზე გადასახდელი პროცენტის დარიცხვა აღირიცხება:

დებეტი – 8051-52; 8061-62; 8351-52; 8361-62; საპროცენტო ხარჯები
მიღებული დეპოზიტების მიხედვით
კრედიტი – 4401-03, 4405 ვალდებულება გადასახდელ პროცენტებზე

საილუსტრაციო მაგალითი:

დავუშვათ, კერძო იურიდიულმა პირმა გახსნა ერთწლიანი ვადიანი ანაბარი და შეიტანა 30000 ლარი, წლიურად 12%-იანი სარგებლით. მაშინ, რთული პროცენტის მეთოდით, ყოველთვიური პროცენტის თანხა შემდგენიერად გამოითვლება:

პირველ თვეს:	30000 – ის 1% = 300 ლ
მეორე თვეს :	30300 – ის 1% = 303 ლ
მესამე თვეს:	30603 – ის 1% = 306,06 ლ და ასე შემდეგ.

უვადო ანაბრის (დეპოზიტის) შემთხვევაში, კლიენტს ულება აქვს მისი სურვილის შესაბამისად, შეიტანოს და გაიტანოს ფული ანაბრიდან. ასეთ ანაბრებზე ყოველთვიურად გადასახდელი პროცენტის (სარგებლის) სიდიდე განისაზღვრება თანხის უცვლელი და ცვალებადი ნაწილის მიხედვით ცალ-ცალკე.

საქართველოს კანონმდებლობით, დეპოზიტების დღიური საპროცენტო სარგებლის გამოთვლისათვის გაითვალისწინება წელიწადის 365 კალენდარული დღე.

უფადო დეპოზიტზე

გადასახდელი სარგებელი = თანხის უცვლელი ნაწილის სარგებელს + ცვალებადი ნაწილის სარგებელი.

უცვლელი ნაწილის სარგებელი = თვის განმავლობაში დაფიქსირებულ უცვლელ ნაშთი * სა-% განაკვეთი * თვის დღ რაოდენობა/365

$$\text{ცვალებადი ნაწილის სარგებელი} = \sum \frac{X * I * D}{365}, \text{ სადაც:}$$

X – არის ანაბარზე შეტანილი ან გატანილი თანხა

I – არის წლიური საპროცენტო განაკვეთი

D – ანაბარზე თანხის განთავსებიდან ან თანხის გატანიდან თვის ბოლომდე დარჩენილი დღეების რაოდენობა

საილუსტრაციო მაგალითი:

ერთ-ერთი ფიზიკური პირის ანაბარზე ოქტომბრის თვეში ადგილი ჰქონდა შემდეგ ჩანაწერებს:

		ლარი
საწყისი ნაშთი	1 ოქტომბერს	900
შეიტანა	5 ოქტომბერს	1000
გაიტანა	10 ოქტომბერს	(1100)
შეიტანა	20 ოქტომბერს	1500
გაიტანა	26 ოქტომბერს	(700)

წლიური საპროცენტო განაკვეთია: უძრავ ნაწილზე 12%

მოძრავ ნაწილზე 5%

მითხვენა: გამოთვლილ იქნას ოქტომბრის თვეში დასარიცხი პროცენტის თანხა.

ამოხსნა:

ჯერ გამოითვლება ნაშთები ყოველი ოპერაციის შემდეგ:

		ლარი
საწყისი ნაშთი	1 ოქტომბერს	900
შეიტანა	5 ოქტომბერს	1.000
	ნაშთი	1900
გაიტანა	10 ოქტომბერს	(1100)
	ნაშთი	800
შეიტანა	20 ოქტომბერს	1500
	ნაშთი	2300
გაიტანა	26 ოქტომბერს	(700)
	საბოლოო ნაშთი 31.10	1600

თვის განმავლობაში დაფიქსირებული უმცირესი ნაშთი იქნება თანხის უცვლელი ანუ უძრავი ნაწილი. მაშასადამე, იგი 800 ლარია. ოქტომბერში, როგორც წესი 31 დღეა. მაშასადამე:

$$800 * 12\% * 31/365 = 8,15 \text{ ლარი}$$

მოძრავ ნაწილზე გასაცემი პროცენტის თანხა შემდეგნაირად გამოითვლება: პირველ რიგში, თუ აღმოჩნდა, რომ დაფიქსირებული უმცირესი ნაშთი საწყის ნაშთზე ნაკლებია, მაშინ მათ შორის სხვაობა მოძრავ ნაწილს მიეკუთვნება. ამასთან, მიღებულია წესად, რომ კლიენტის ანაბარზე პროცენტის დარიცხვა იწყება თანხის ჩარიცხვის დღესვე. ხოლო, წყდება თანხის გატანის დღეს.

ამდენად, კლიენტს პროცენტი ეკუთვნის თანხის შეტანის დღეს და აღარ ეკუთვნის, თანხის გატანის დღეს.

მოძრავ ნაწილზე კუთვნილი პროცენტის თანა =

$$= (900 - 800) * 5\% * 31/365 + 1000 * 5\% * 27/365 - (1100 * 5\% * 22/365) + (1500 * 5\% * 12/365) - (700 * 5\% * 6/365) = 0,42 + 3,70 - 3,31 + 2,47 - 0,58 = 2,70 \text{ ლარი}$$

მაშასადამე, მოცემულ ანაბარზე, ოქტომბერში დასარიცხი საპროცენტო ხარჯი სულ იქნება $8,15 + 2,70 = 10,85$ ლარი.

კომერციულმა ბანკებმა შეიძლება სხვა ბანკებში თავად შეიტანონ თანხები დეპოზიტებზე. მათ აღსარიცხავად გამოიყენება ანგარიშები: 1721-23 – ბანკებში განთავსებული დეპოზიტები ეროვნული და 1732-33 - უცხოური ვალუტით. ეს ანგარიშები აქტიური ანგარიშებია და ნიშნავს მოთხოვნას სხვა ბანკის მიმართ, იქ განთავსებულ დეპოზიტებზე. სადეპოზიტო ოპერაციები ტარდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და თუკი ხელშეკრულებით განისაზღვრა რომ ბანკის მიერ სახსრების განთავსება სხვა ბანკში რამდენიმე დღის შემდეგ მოხდება, მაშინ ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე გატარებები გაკეთდება ბალანსგარეშე ანგარიშებში:

დებეტი – 0999 ტექნიკური ანგარიში

კრედიტი – 0301 აღებული ფორმალური ვალდებულებები

ხელშეკრულების პირობების შესრულების დღეს დაიხურება ბალანსგარეშე ანგარიშები, შებრუნებული გატარებით და ოპერაცია აისახება საბალანსო ანგარიშებზე:

დებეტი – 1721 – 33, მოთხოვნა ბანკებში განთავსებული დეპოზიტებით

კრედიტი – 1052, საკორესპოდენტო ანგარიში

კომერციულმა ბანკმა აგრეთვე, შეიძლება სხვა ბანკში შეიტანოს თანხები სპეციალური დეპოზიტების სახით, როგორცაა: დეპოზიტები მიცემული გარანტიების, ჩეკის წიგნაკების, საბანკო ბარათების, აკრედიტივის და სხვა საგადახდო საბუთების მიხედვით. მსგავსი ოპერაციები შესაბამის ბუღალტრულ ანგარიშებზე აღირიცხება დეპოზიტების აღრიცხვის საერთო მეთოდის შესაბამისად.

ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ისეთი ვითარება, როცა ბანკები მეანაბრეებისათვის საიმედონი არიან. ამჟამად, საქართველოში კომერციული ბანკების აქტივები მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-ს შეადგენს. განვითარებულ ქვეყნებში იგი 50% და მეტია. ბანკის აქტივებში, მიღებული ანაბრების წილიც ძალიან დაბალია. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება ჯერ კიდევ არ ენდობა ბანკებს. (თუმცა არსებობს მეორე ფაქტორიც, მოსახლეობას არა აქვს იმდენი შემოსავალი, რომ დაგროვება შესძლოს).

ბანკების საიმედოობის გაზრდის მიზნით ხდება დეპოზიტების დაზღვევა. პირველად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდი დეპრესიის შემდეგ, როცა ქვეყანა საბანკო პანიკამ მოიცვა, 1933 წელს, შეიქმნა დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია (FCDI), რომელმაც ბანკებს დაავალა დაეზღვიათ მათთან არსებული მოქალაქეთა ანაბრები. ამის შემდეგ, აშშ-ში არ შექმნილა საბანკო პანიკა და ჩამოყალიბდა სტაბილური ფინანსური სისტენა, რამაც თავის მხრივ, ეკონომიკის მყარ ზრდას შეუწყო ხელი.

დღეისათვის, ანაბრების დაზღვევა ხდება ყველა განვითარებულ ქვეყანაში. შექმნილია სახელმწიფო, კერძო და შერეული ტიპის სადაზღვევო ფონდები, რომელთა კონტროლს აუდიტის ეროვნული პალატა ახორციელებს.

საქართველოში, მიღებულია კანონი ანაბრების სადაზღვევო სისტემის შექმნის შესახებ, თუმცა იგი აქტიურად ჯერჯერობით ვერ მუშაობს.

3.5. ბანკთაშორისი ოპერაციების აღრიცხვა

კომერციული ბანკები, მიუხედავად იმისა რომ კონკურენტები არიან, ერთმანეთს სესხებს აძლევენ, ერთმანეთთან ხსნიან სადეპოზიტო ანგარიშებს. ამასთან, მათ შორის არსებობს სხვადასხვა საანგარიშსწორებო ურთიერთობები, კლიენტების მომსახურების მიზნებისათვის, როცა კლიენტების ანგარიშები გახსნილია სხვადასხვა ბანკში. ამ მიზნით ბანკები ერთმანეთთან ხსნიან საკორესპოდენტო ანგარიშებს. არსებობს ბანკთა შორის საანგარიშსწორებო ოპერაციების აღრიცხვის ორი ტიპის ანგარიში: „ნოსტრო“ და „ლორო“.

„ნოსტრო“ ანგარიში მოცემული ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშია სხვა კომერციულ ბანკში. იგი ნიშნავს მოთხოვნას სხვა ბანკის მიმართ. ამიტომ, მისი აღმრიცხველი ბუღალტრული ანგარიშები აქტიური ანგარიშებია. ნოსტრო ანგარიში შეიძლება გაიხსნას რეზიდენტ ან არარეზიდენტ კომერციულ ბანკში, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში. მისი აღმრიცხველი ანგარიშებია:

1701-11 - „ნოსტრო ანგარიშები არარეზიდენტ ცენტრალურ ბანკებში.

ამ ანგარიშს მხოლოდ ეროვნული ბანკი იყენებს.

1702-12 - „ნოსტრო“ ანგარიშები არარეზიდენტ კომერციულ ბანკებში

1703-13 - „ნოსტრო“ ანგარიშები რეზიდენტ კომერციულ ბანკებში

ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში

„ლორო“ ანგარიში არის სხვა ბანკის მიერ გახსნილი საკორესპოდენტო ანგარიში მოცემულ კომერციულ ბანკში. იგი ვალდებულებას წარმოადგენს და ამიტომ მისი აღმრიცხველი ბუღალტრული ანგარიშები პასიური ანგარიშებია. იხსნება როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში.

3501-11 – არარეზიდენტი ცენტრალური ბანკების „ლორო“ ანგარიშები

3502-12 – არარეზიდენტი კომერციული ბანკების „ლორო“ ანგარიშები

3503-13 – რეზიდენტი კომერციული ბანკების „ლორო“ ანგარიშები

ამ ანგარიშების გახსნაზე, ბანკებს შორის დადებული საკორესპოდენტო შეთანხმებით, განისაზღვრება ოპერაციების წარმოების წესები, ვალუტის სახე, პროცენტის დარიცხვის წესი, ანგარიშებიდან სხვა ქვეყანაში თანხების გადარიცხვის წესი, სახსრების კონვერსიის წესი, გადახდის პერიოდულობა, ოვერდრაფტის შესაძლებლობა, საკომისიოების ამოღების წესი და პასუხისმგებლობა საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელებაზე.

„ნოსტრო“ და „ლორო“ ანგარიშების გახსნის მიზნით, ყველა ბანკი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი კონტროლის ფორმები, რათა ურთიერთობები არ დაამყარონ ისეთ ბანკებთან, რომლებიც წარმოადგენენ ფიქტიურ ბანკებს, ან იმყოფებიან მაღალი რისკის ქვეყნებსა და რეგიონებში. **ფიქტიურია ბანკი**, რომელიც ფიზიკურად არ არის წარმოდგენილი იმ ქვეყანაში და იმ მისამართზე, სადაც რეგისტრირებულია და რომელზეც კონტროლი და ზედამხედველობა არ ხორციელდება.

ბანკებმა საერთაშორისო საკორესპოდენტო ურთიერთობების დამყარებისას საჯარო წყაროებიდან უნდა მოიძიონ ინფორმაცია რესპოდენტი ბანკის რეპუტაციისა და მასზე განხორციელებული ზედამხედველობის ხარისხის შესახებ. წარმოადგენს თუ არა იგი მონიტორინგის განმახორციელებელ პირს, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის საკითხებში.

ბანკებმა რესპოდენტი ბანკისაგან უნდა მოითხოვონ ინფორმაცია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში მათი საქმიანობისა და შიდა კონტროლის განხორციელების შესახებ და შეაფასონ ამ კონტროლის ხარისხი.

იდენტიფიკაციის პროცესი უნდა წარიმართოს „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. აგრეთვე ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული შესაბამისი აქტებით. დაუშვებელია საერთაშორისო ურთიერთობების დამყარება დირექტორატის (ან კურატორი დირექტორის) თანხმობის გარეშე.

ნოსტრო და ლორო ანგარიშების მიხედვით ანგარიშსწორების ერთ-ერთი პირობა ის არის, რომ ოპერაციები მასზე არსებული ნაშთის ფარგლებში უნდა განაღდდეს. შეიძლება არსებობდეს ოვერდრაფტის შესაძლებლობა. „ნოსტრო“ ანგარიშის კრედიტის ნაშთი და „ლორო“ ანგარიშის დებეტის ნაშთი, ამ ანგარიშებზე ოვერდრაფტის წარმოშობას ნიშნავს.

„ნოსტრო“ ანგარიში შეიძლება ბანკმა გახსნას სკორესპოდენტო ანგარიშიდან, სადეპოზიტო ანგარიშიდან ან სესხის ხარჯზეც. ნოსტრო ანგარიშის გახსნა და თანხების ჩარიცხვა აღირიცხება შემდეგნაირად:

დებეტი – „ნოსტრო“
კრედიტი – საკორესპოდენტო ანგარიშები ან აღებული სესხები

კლიენტის მიმდინარე ანგარიშის განაღდება ნოსტრო ანგარიშიდან:

დებეტი – მიმდინარე ანგარიშები
კრედიტი – „ნოსტრო“

სხვა ბანკის მიერ, „ლორო“ ანგარიში გახსნა მოცემულ კომერციულ ბანკში, აღირიცხება:

დებეტი – საკორესპოდენტო ანგარიში
კრედიტი – „ლორო“

კორესპოდენტი ბანკიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე, გადარიცხულია თანხები ლორო ანგარიშიდან:

დებეტი – „ლორო“
კრედიტი – საკორესპოდენტო ანგარიში

მიმდინარე თვის ბოლო დღეს, აღიარებულია ოვერდრაფტი „ნოსტრო“ ანგარიშებზე:

დებეტი – „ნოსტრო“
კრედიტი – 3559 ან 3569, ოვერდრაფტი „ნოსტრო“ ანგარიშებზე

მომდევნო თვის პირველ დღეს გაკეთდება შებრუნებული გატარება.

ლორო ანგარიშებზე წარმოქმნილი ოვერდრაფტი, ასევე თვის ბოლო დღეს, გადაიტანება „ოვერდრაფტის“ ანგარიშზე:

დებეტი – 1759 - 1769, ოვერდრაფტი „ლორო“ ანგარიშებზე
კრედიტი - „ლორო“ ანგარიშები

მომავალი თვის პირველ დღეს კი გაკეთდება შებრუნებული გატარება.

ნოსტრო და ლორო ანგარიშებიდან მისაღები და გადასახდელი პროცენტების აღრიცხვა ხდება დარიცხვის პრინციპით, შემდეგ ანგარიშებში:

6202 და 6212 პროცენტული შემოსავლები „ნოსტრო“ ანგარიშების მიხედვით
6209 და 6219 პროცენტული შემოსავლები „ლორო“ ანგარიშებზე
ოვერდრაფტების მიხედვით

8201 და 8202 პროცენტული ხარჯები „ლორო“ ანგარიშების მიხედვით
8209 და 8219 პროცენტული ხარჯები „ნოსტრო“ ანგარიშებზე ოვერდრაფტების
მიხედვით

2403 და 2413 მისაღები პროცენტები ბანკებში განთავსებული სახსრების მიხედვით
4403 და 4413 გადასახდელი პროცენტები ბანკებიდან მოზიდული სახსრების მიხედვით

კომერციულმა ბანკებმა შეიძლება უცხოური ვალუტა შეიძინონ არარეზიდენტი ბანკებიდან. ამ მიზნით, ლიკვიდობისა და ფულადი სახსრების ანალიზის საფუძველზე, ბანკის ხაზინის დეპარტამენტის უფროსი, ლიკვიდობის და ფულადი სახსრების მართვის განყოფილება და დილინგის განყოფილება ადგენს ჩამოსატანი ან გასაგზავნი თანხის ოდენობას, კუპიურულ წყობას, გარიგების დადების თარიღს, ვალუტირების თარიღს, ჩამოტანა/გაგზავნის თარიღს და შესასრულებლად გადასცემს დილინგის განყოფილებას. დილინგის განყოფილება ხაზინის დეპარტამენტის უფროსთან შეჯერების შემდეგ დებს გარიგებას უცხოურ ან ადგილობრივ ბანკთან ვალუტის იმპორტის (ან ექსპორტის) შესახებ. ხელშეკრულებები ივსება ელექტრონული წესით, რომელიც სათანადო დოკუმენტებთან ერთად ეძლევა ინკასატორს, რომელიც პასუხისმგებელია თანხის განბაჟებასა და ინკასირებაზე.

რეზიდენტი ან არარეზიდენტი ბანკებიდან უცხოური ვალუტის ყიდვის შემთხვევაში ადგილი ექნება შემდეგ ოპერაციებს:

1. ფულის გამოგზავნის შესახებ შეტყობინებისთანავე ბანკი აღიარებს ვალდებულებას უცხოურ ვალუტაში:

დებეტი – 1016 სავალუტო ბანკნოტები და მონეტები გზაში – 5000 \$

კრედიტი – 4511 (კრედიტორები) ვალდებულებების სატრანზიტო ანგარიში - 5000\$

2. თანხის გადარიცხვა რეზიდენტ ბანკში

ა. დებეტი – 4511 ვალდებულებების სატრანზიტო ანგარიში – 5000 \$

კრედიტი – დოლარის სავალუტო პოზიცია – 5000 \$

ბ. დებეტი – 2601 დოლარის კონტრფასი – 7000 ლ

კრედიტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში – 7000 ლ

3. მომსახურების საკომისიოს დარიცხვა – 50 დოლარის, როცა კურსია 1,7

ორი ბუღალტრული მუხლი უნდა შედგეს რადგან, ხარჯების აღმრიცხველი ანგარიშები მართალია უცხოური ვალუტის მიხედვით იხსნება, მაგრამ აღრიცხვა ხდება ეროვნულ ვალუტაში.

ა). დებეტი – 8412 საკომისიო ხარჯი სალაროს ოპერაციებიდან – 85 ლ

კრედიტი – 2601 სავალუტო პოზიციის კონტრფასი – 85 ლ

ბ). დებეტი – 2611 სავალუტო პოზიცია – 50 \$

კრედიტი – 1016 ბანკნოტები და მონეტები გზაში უცხოურ ვალუტაში – 50 \$

4. ბანკის სალაროში თანხის შემოსვლა:

დებეტი – 1013 სალარო უცხოურ ვალუტაში – 4050 \$

კრედიტი – 1016 სავალუტო ბანკნოტები და მონეტები გზაში – 4050 \$

5. თუ დოლარის შესყიდვა მოხდება არარეზიდენტი ბანკიდან ლარებით, მაშინ უცხოელ მომწოდებელს საქართველოს კომერციულ ბანკში გაეხსნება ღორი ანგარიში ლარში, სადაც ჩაირიცხება 5000 დოლარის ეკვივალენტი - 7000 ლარი.

ა. დებეტი – 4511 ვალდებულებები – 5000 \$

კრედიტი – 2611 სავალუტო პოზიცია დოლარში – 5000 \$

ბ. დებეტი – 2601 დოლარის კონტრაქტი – 7000 ლ

კრედიტი – 3502 ღორი ლარში – 7000 ლ

რეზიდენტ ან არარეზიდენტ ბანკებზე უცხოური ვალუტის გაყიდვის შემთხვევაში, ოპერაციები აღირიცხება შემდეგნაირად:

1. დაეუშვათ, 3000 დოლარი გაიგზავნა ევროზე გასაყიდად. ვალუტის გაგზავნის დღეს:

დებეტი – 1016 ბანკნოტები და მონეტები გზაში – 3000 \$

კრედიტი – 1013 დოლარის სალარო – 3000 \$

2. დანიშნულების ადგილზე ფულის მისვლის შემდეგ, გზაში მყოფი ბანკნოტების ჩამოწერა (კურსი: ერთი დოლარი არის 0,8 ევრო):

ა. დებეტი – 2501 (დებიტორები) ჩარიცხვის სატრანზიტო ანგარიში 2400 ევრო

კრედიტი – ევროს სავალუტო პოზიცია – 2400 ევრო

ბ. დებეტი – დოლარის სავალუტო პოზიცია – 3000 \$

კრედიტი – 1016 ბანკნოტები და მონეტები გზაში 3000 \$

3. მყიდველის მიერ განადდება ვალუტირების თარიღით (დაეუშვათ დოლარი გაყიდულია ევროზე და ერთი დოლარი უდრის 0,8 ევროს)

დებეტი – 1712 საკორესპოდენტო ანგარიში (ან ნოსტრო) ევროში – $3000 * 0,8 = 2400$ ევრო

კრედიტი – 2501 ჩარიცხვის სატრანზიტო ანგარიში – 2400 ევრო

4. საკომისიო ხარჯების დარიცხვა – 60 \$ (1 : 1,7)

ა). დებეტი – 8412 საკომისიო სალაროს ოპერაციებიდან 102 ლ

კრედიტი – 2601 დოლარის სავალუტო პოზიციის კონტრაქტი 102 ლ

ბ). დებეტი – 2611 დოლარის სავალუტო პოზიცია 60 \$

კრედიტი – 1016 ბანკნოტები და მონეტები გზაში 60 \$

3.6. ჩეკებით ანგარიშსწორების აღრიცხვა

ჩეკი არის საანგარიშსწორებო დოკუმენტი, რომელიც მის მფლობელს უფლებას აძლევს მიიღოს მასში აღნიშნული თანხა. იგი არის გადახდის დოკუმენტი და მზადდება ერთიანი ნიმუშების მიხედვით. ამასთან, მკაცრი აღრიცხვის ბლანკია. ჩეკების დამზადებისათვის აუცილებელია ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი ნებართვა.

საჩეკო წიგნაკის გაცემის დროს, კომერციული ბანკი ჩეკის ზედა მარჯვენა მხარეს აღნიშნავს ბანკის დასახელებას, მის ადგილმდებარეობას, ფილიალის შემთხვევაში, მის დასახელებას, საკორესპოდენტო ანგარიშის ნომერს. ჩეკის მეორე მხარეს ბოლოში მიეთითება საჩეკო წიგნაკის მიმღები ორგანიზაციის დასახელება და იმ თანხის ზღვრული ოდენობა ციფრებით და სიტყვებით, რომელზეც შეიძლება ჩეკის გამოწერა. ბოლოს დამოწმებულია ბანკის თანამდებობის პირის ხელმოწერითა და ბეჭდით. აგრეთვე აკეთებს წარწერას: „გარანტირებულია“

განასხვავებენ ფულად და საანგარიშსწორებო ჩეკებს. ფულადი ჩეკები გამოიყენება ნაღდი ფულის მიღებისათვის, საანგარიშსწორებო ჩეკები გამოიყენება უნაღდო ანგარიშსწორებისათვის.

ჩეკი შეიძლება იყოს სახელობითი ან უსახელო ანუ წარმომდგენის. სახელობითი ჩეკით თანხა მიეცემა მხოლოდ ჩეკში დასახელებულ პირს. უსახელო ჩეკით კი თანხა მიეცემა მის ნებისმიერ წარმომდგენს, პირადობის მოწმობით.

ჩეკის მფლობელი არის პირი, რომელმაც უნდა მიიღოს ფული. ჩეკის გამცემი არის პირი, რომლის ანგარიშიდან უნდა იქნას ფული გადახდილი და ფულის გამცემი არის ბანკი, რომელიც ფაქტიურად შეუამავალია და კლიენტის ანგარიშიდან გასცემს ჩეკზე აღნიშნულ თანხას. ამდენად, ჩეკის გამცემი, საბანკო დაწესებულებას აძლევს წერილობით დავალებას, ჩეკში აღნიშნული თანხის გაცემის შესახებ.

ჩეკებით ანგარიშსწორებისათვის, საწარმოები კომერციულ ბანკებში ხსნიან სპეციალურ ანგარიშებს საჩეკო წიგნაკებისათვის, რომელიც ბანკისთვის ვალდებულებას წარმოადგენს. როგორცაა, ანგარიში: 4505 და 4515 – „დეპოზიტური ანგარიშები ჩეკის წიგნაკების მიხედვით“, ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. კლიენტების მიერ საჩეკო წიგნაკებისათვის, ბანკში თანხის შეტანა, აღრიცხება:

დებეტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში

კრედიტი – 4505 დეპოზიტური ანგარიშები ჩეკის წიგნაკების მიხედვით

საჩეკო წიგნაკი ერთი წლის ვადისაა. თუკი ჩეკი დარჩება გამოუყენებელი, ორგანიზაციის თხოვნით, ჩეკის წიგნაკის ვადა, კიდევ ერთი წლით შეიძლება გაგრძელდეს. ვადის გასვლის შემდეგ, ჩეკის ამდები მას აბარებს ბანკს. თუკი ჩეკებისათვის დეპოზიტზე არსებული თანხები კლიენტის მიერ სრულად გამოყენებული არაა, მაშინ იგი გამოუყენებელ საჩეკო წიგნაკთან ერთად ბანკს წარუდგენს გადახდის დავალებას, რითაც ბანკი კლიენტის საჩეკო დეპოზიტზე დარჩენილ თანხას, მის მიმდინარე ანგარიშზე გადარიცხავს. თუკი, საჩეკო დეპოზიტზე დარჩენილი ნაშთი კლიენტმა სამი თვის განმავლობაში არ გამოიყენა, მაშინ ბანკი მას თავად ჩარიცხავს კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე.

ჩეკის მფლობელი საანგარიშსწორებო ჩეკს წარადგენს თავის მომსახურე ბანკში, რომელიც მას დავალების რეესტრთან ერთად აგზავნის ჩეკის

გამნაღდებლის მომსახურე ბანკში. ეს უკანასკნელი, ჩეკის გამცემის ანგარიშიდან ჩამოწერს ჩეკში აღნიშნულ თანხას:

დებეტი – 4505 დეპოზიტური ანგარიშები ჩეკის წიგნაკების მიხედვით
კრედიტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში

ჩეკის გამცემის შესაბამის ანგარიშზე სახსრების უკმარისობის შემთხვევაში, თუ ორგანიზაციები დროულად ასრულებენ ვალდებულებებს, ჩეკი დაიფარება ბანკის მიერ გაცემული საგარანტიო ვალდებულებებიდან – 4504 – დეპოზიტები გარანტიების მიხედვით.

კომერციულმა ბანკმა შეიძლება სხვა ბანკის ჩეკის განაღდება გადაწყვიტოს, რაზეც აკეთებს აქცეპტს ანუ თანხმობას განაღდების შესახებ და ჩეკს უკეთებს წარწერას „ინდოსამენტი“. იმავედროულად გატარება შედგება ბალანსგარეშე ანგარიშებში:

დებეტი – 0501 მოთხოვნა ტრასატის მიმართ გაცემული აქცეპტებით
კრედიტი – 0201 აქცეპტები და ინდოსამენტები (პირობითი ვალდებულებები)

ტრასატა არის დებიტორი, რომელმაც უნდა გადაუხადოს მომწოდებელს, მაგრამ თუ ანგარიშზე ჩეკის გასანაღდებელი თანხა არა აქვს, მაშინ, შეიძლება მიმართოს სხვა ბანკს მისი განაღდებისათვის. ბანკის მიერ აქცეპტებული ჩეკის განაღდება აღრიცხება:

დებეტი – 2508 მოთხოვნები გარანტიების მიხედვით
კრედიტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში

პარალელურად, ბალანსგარეშე ანგარიშებში მოხდება გატარება:


დებეტი – 0201 აქცეპტები და ინდოსამენტები (პირობითი ვალდებულებები)
კრედიტი – 0501 მოთხოვნა ტრასატის მიმართ

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. რას ნიშნავს სავალდებულო რეზერვები ეროვნულ ბანკში;
2. კომერციული ბანკის მიერ, სად იხსნება საკორესპოდენტო ანგარიში;
3. აღრიცხეთ კლიენტების მიმდინარე ანგარიშებზე თანხის გადმორიცხვა;
4. რას ნიშნავს ოვერდრაფტი მიმდინარე ანგარიშებზე;
5. რას ნიშნავს ოვერდრაფტი „ნოსტრო“ ანგარიშებზე;
6. რა არის საანგარიშსწორებო ჩეკი;
7. იარსებებს თუ არა ოვერდრაფტი საკორესპოდენტო ანგარიშზე.

თავი 4. საშუაშაგლო ოპერაციების

აღრიცხვა



ბანკები აგრეთვე ასრულებენ სხვადასხვა საშუაშაგლო ოპერაციებს, რითაც ხელს უწყობენ ეკონომიკაში სხვადასხვა ტიპის კომპანიების შეუფერხებელ მუშაობას და ანგარისწორების დაჩქარებას.

მოცემულ თავში შესწავლილი იქნება შემდეგი საკითხები:

- სალიზინგო ოპერაციების აღრიცხვა;
- ფაქტორინგული ოპერაციების აღრიცხვა;
- დანარჩენი საშუაშაგლო ოპერაციების აღრიცხვა.

4.1. სალიზინგო ოპერაციების აღრიცხვა

თანამედროვე სწრაფად განვითარებადი ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, მანქანა-მოწყობილობები მორალურად მალე ძველდება. ორ-სამ წელიწადში ბაზარზე გამოდის სულ უფრო მაღალი წარმადობის, ძვირადღირებული ტექნიკა და ტექნოლოგიები, რომელთა შეძენა მეწარმეებს უძნელდებოდათ. ამიტომ, ბანკებმა დაიწყეს ტექნიკის შესყიდვა, რათა შემდეგ იჯარით, თანდათან გამოსყიდვის პირობით მეწარმეებისთვის გადაეცათ. ასე ჩამოყალიბდა იჯარის ახალი სახე – ლიზინგი. ამდენად, ლიზინგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, ეკონომიკის აქტიურობაზე ბანკების დადებითი ზემოქმედების მიმართულებით.

ლიზინგი არის საიჯარო ხელშეკრულება მანქანებსა და მოწყობილობებზე, რომელიც ნაყიდა იჯარის გამცემის მიერ მოიჯარისათვის (იჯარის ამღებისათვის), მისი სამრეწველო გამოყენების მიზნით.

სალიზინგო ოპერაციით ბანკი ფაქტიურად მოიჯარეს აკრედიტებს. ლიზინგური ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, ლიზინგის მიმღებს შეუძლია შეიძინოს გარიგების ობიექტი შეთანხმებული ფასით ან გააგრძელოს სალიზინგო ხელშეკრულება ან სალიზინგო აქტივი დაუბრუნოს მფლობელს.

ძირითადი საშუალებების საიჯარო ოპერაციების აღრიცხვის მეთოდის არეგულირებს ფასს 16 - „იჯარა“ (რომელმაც შეცვალა ბასს 17). განასხვავებენ საოპერაციო და ფინანსურ ლიზინგს.

საოპერაციო ლიზინგი არის ისეთი საიჯარო ურთიერთობა, რომლის დროსაც ლიზინგის გამცემის მიერ იჯარით გაცემული ობიექტის შეძენასა და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები ერთი ლიზინგური კონტრაქტის განმავლობაში არ იფარება. ეს ხელშეკრულება ფორმდება ორი-სამი წლით, რაც მანქანა-მოწყობილობების ცვეთის ვადაზე მნიშვნელოვნად ნაკლებია და ლიზინგის მიმღების მიერ ნებისმიერ დროს შეიძლება დაირღვეს. ოპერაციული ლიზინგით გაცემულ ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვას აგრძელებს იჯარის გამცემი. მასზე საიჯარო გადასახდელი უფრო მაღალია, ვიდრე ფინანსურ ლიზინგზე.

ლიზინგური კომპანია (ბანკი) როცა წინასწარ იძენს მოწყობილობებს ისე, რომ არ იცის კონკრეტული მოიჯარე, თავად აზღვევს მას და უზრუნველყოფს მის ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს. მოიჯარეს (იჯარის ამღებს) უფლება

აქვს ლიზინგის ვადის გასვლისას არ შეისყიდოს ქონება და უკან დაუბრუნოს მოიჯარეს (იჯარის გამცემს).

ფინანსური ლიზინგი ისეთი შეთანხმებაა, როცა იგი ქვემოთ მოცემული პირობებიდან, ერთ-ერთს მაინც აკმაყოფილებს:

- საკუთრების უფლება ნაგებობებსა და მოწყობილობებზე ვადადის მოიჯარეზე იჯარის ვადის ბოლოს;

- მოიჯარეს აქვს შესაძლებლობა, იჯარის ვადის ბოლოს შეისყიდოს იჯარით აღებული აქტივი ფიქსირებული ფასით ან იჯარის დამთავრების დროს განსაზღვრული ფასით;

- ლიზინგის ვადა შეადგენს აქტივის ფუნქციონირების ნორმატიული დროის 80%-ს მაინც. (ფუნქციონირების ვადა წარმოადგენს ნორმატიულ პერიოდს, რომლის შემდეგაც აქტივი მთლიანად ამორტიზირებული იქნება);

- ლიზინგის მიხედვით გადასახდელების ჯამი შეადგენს მიმდინარე ფასებით მოწყობილობების ღირებულების 90%-ს. მიმდინარე ფასი წარმოადგენს სალიზინგო კონტრაქტში აღნიშნულ ფასს;

- საიჯარო აქტივები ატარებენ სპეციფიკურ ხასიათს ისე, რომ მხოლოდ მოიჯარეს შეუძლია გამოიყენოს ისინი მნიშვნელოვანი მოდიფიკაციის გარეშე.

თუ ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნებიდან არცერთი არ სრულდება, ლიზინგის შეთანხმება განიხილება როგორც ოპერაციული ლიზინგი.

ლიზინგურ გარიგებებში ჩვეულებრივ შემდეგი სუბიექტები მონაწილეობენ:

1. **ლიზინგის ობიექტის მომწოდებელი** – არის სამრეწველო კომპანია, რომელიც ამზადებს მანქანა-მოწყობილობებს და რომელიც მას სალიზინგო კომპანიაზე (ან ბანკზე) ანუ ლიზინგის გამცემზე ყიდის.

2. **ლიზინგის გამცემი** – არის იურიდიული პირი, ბანკი ან სალიზინგო ფირმა, რომელიც იძენს სალიზინგო ობიექტს, რათა იგი იჯარით გასცეს სალიზინგო ხელშეკრულებით;

3. **ლიზინგის მიმღები** – სამეურნეო სუბიექტი, რომელიც იყენებს სალიზინგო ობიექტს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

სალიზინგო ობიექტი – არის ნებისმიერი საგანი, ქონება, რომელიც გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობის პროცესში. იგი შეიძლება იყოს მოძრავი და უძრავი ქონება, რომელიც მიეკუთვნება ლიზინგით გაცემულ ძირითად საშუალებებს.

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ობიექტი გადაეცემა ლიზინგის მიმღებს მომწოდებლის მიერ სპეციალური აქტით. იმავდროულად, ლიზინგის გამცემი ბანკი სრულად ანაღდება ქონების მომწოდებლის ანგარიშს. ამის შემდეგ სალიზინგო ხელშეკრულება ძალაში შედის.

იჯარის ამღები ბანკს უხდის სალიზინგო გადასახდელს, რომელიც მოიცავს: სალიზინგო გადასახდელის პროცენტს და ქონების ღირებულების ნაწილს.

ფინანსური ლიზინგის ოპერაციები შემდგენაირად აღირიცხება:

1. ობიექტის შესყიდვა, როცა ბანკმა არ იცის, ლიზინგით ვის გადასცემს მას:

დებეტი – 2901-2906 ძირითადი საშუალებები
კრედიტი – 1052 საკორეპოდენტო ანგარიში ან კრედიტორები

2. ობიექტის გადაცემა ფინანსური ლიზინგით (ბანკს გაუჩნდება მოთხოვნა მისაღებ თანხებზე):

დებეტი – 2303 მოთხოვნა ფინანსური ლიზინგით
კრედიტი – 2901-2906 ძირითადი საშუალებები

ობიექტის შექმნა თუ მოხდა კლიენტის დაგალებით და პირდაპირ გადაეცემა მოიჯარეს, მაშინ:

დებეტი – 2303 მოთხოვნა ფინანსური ლიზინგით
კრედიტი – 1052 საკორეს. ანგარიში ან კრედიტორები

2. მისაღები პროცენტის დარიცხვა:

დებეტი – 2409 მოთხოვნა პროცენტზე ფინანსური ლიზინგით
კრედიტი – 7034 შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან

3. ძირითადი თანხისა და პროცენტის მიღება:

დებეტი – ფულადი სახსრები
კრედიტი – 2303 მოთხოვნა ფინანსური ლიზინგით
კრედიტი – 2409 მოთხოვნა მისაღებ პროცენტზე

საოპერაციო ლიზინგით აქტივების გაცემის ოპერაციები შემდგენიერად აღირიცხება:

1. ობიექტის გადაცემა ოპერაციული ლიზინგით:

დებეტი – 2921-26 მოთხოვნა ოპერაციული ლიზინგით
კრედიტი – 2901-06 ძირითადი საშუალებები

2. ოპერაციული ლიზინგით გაცემულ ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა:

დებეტი – 9302-06 ცვეთის ხარჯები
კრედიტი – 4902-06 დაგროვილი ცვეთა

3. მისაღები პროცენტის დარიცხვა:

დებეტი – 2409 მოთხოვნა მისაღებ პროცენტზე
კრედიტი – 7933 შემოსავალი ოპერაციული ლიზინგიდან

4. კუთვნილი თანხების მიღება

დებეტი – ფულადი სახსრები
კრედიტი – 2409 მოთხოვნა მისაღებ პროცენტზე (დარიცხული ცვეთის ტოლი თანხით)

5. სალიზინგო ობიექტის უკან დაბრუნება:

დებეტი – ძირითადი საშუალებები (პირგანდელი ღირებულებით)
კრედიტი – 2921-26 საოპერაციო ლიზინგი

ფინანსური ლიზინგით მოწყობილობების გადაცემის დროს ბანკი იღებს სალიზინგო შემოსულობებს, რომელიც შეიცავს ძირითადი თანხის ნაწილს ანუ აქტივის გამოსასყიდ თანხას და საპროცენტო შემოსავალს. ბანკი ადგენს სალიზინგო შემოსავლების მიღების გრაფიკს, რომელშიც გამოყოფილია საპროცენტო შემოსავალი და წმინდა საინვესტიციო ღირებულება (ანუ იჯარით გაცემული მოწყობილობების ღირებულების ნაწილი). იჯარის ამღებს ანუ მოიჯარეს, ბანკი საერთო თანხას თანაბარი სიდიდით ახდევინებს და იყენებს დისკონტირების კოეფიციენტს ბანკთაშორის ბირჟაზე არსებული განაკვეთის მიხედვით.

საილუსტრაციო მაგალითი:

დავუშვათ, ბანკმა ფინანსური ლიზინგით გასცა 50000 ლარის ღირებულების სამრეწველო მოწყობილობები, ხუთი წლით, წლიურად 15% საიჯარო განაკვეთით. ხუთი წლის ბოლოს აქტივი გადავა იჯარის ამღების საკუთრებაში.

15%-ის შეაბამისი, ანუიტეტის დისკონტირების კოეფიციენტი (PVA) – ხუთი წლისათვის არის 3,35216. მაშასადამე, ყოველწლიურად მისაღები თანაბარი თანხა იქნება:

$$50000/3,35216 = 14915,75 \text{ ლარი}$$

სალიზინგო შემოსავლების გრაფიკი შემდეგნაირად შედგება:

ცხრილი 4.1.

სალიზინგო შემოსავლების გრაფიკი (ლარში)

წლები	წლიურად მისაღები თანხები	საპროცენტო შემოსავალი	ძირითადი საინვესტიციო ღირებულება	სალიზინგო მოთხოვნის ნაშთი
0 საწყისი ინვესტიცია		–	–	50000
I	14915,75	7500	7415,75	42584,25
II	14915,75	6387,64	8528,11	34056,14
III	14915,75	5108,42	9807,33	24248,81
IV	14915,75	3637,32	11278,43	12970,38
V	14915,75	1945,37	12970,38	0
ჯამი	74578,75	24578,75	50000,0	

I წელი: ლიზინგიდან მისაღები საპროცენტო შემოსავალი ყოველი წლისათვის, გამოითვლება სალიზინგო მოთხოვნის ნაშთიდან, ერთი და იგივე საპროცენტო განაკვეთით.

$$\begin{aligned} \text{საპროცენტო შემოსავალი} &= 50000 * 15\% = 7500 \text{ ლ} \\ \text{ძირითადი საინვესტიციო თანხის ნაწილი} &= 14915,75 - 7500 = 7415,75 \text{ ლ} \\ \text{სალიზინგო მოთხოვნის ნაშთი} &= 50000 - 7415,75 = 42584,25 \text{ ლ} \end{aligned}$$

II წელი:

$$\begin{aligned} \text{საპროცენტო შემოსავალი} &= 42584,25 * 15\% = 6387,64 \text{ ლ} \\ \text{ძირითადი საინვესტიციო თანხის ნაწილი} &= 14915,75 - 6387,64 = 8528,11 \text{ ლ} \\ \text{სალიზინგო მოთხოვნის ნაშთი} &= 42584,25 - 8528,11 = 34056,14 \text{ ლ} \end{aligned}$$

ანალოგიურად გაკეთდება გამოთვლები შემდეგი წლების მიხედვით. ხუთი წლის ბოლოს მოთხოვნა ფინანსური ლიზინგით, ბანკს აღარ ექნება.

ბუღალტრული გატარებები პირველ წელს იქნება შემდეგი:

1. მოწყობილობების გაცემა ფინანსური ლიზინგით:
 დებეტი – 2303 მოთხოვნა ფინანსური ლიზინგით – 50000 ლ
 კრედიტი – 2905 მოწყობილობები – 50000 ლ
2. მისაღებ საპროცენტო თანხაზე მოთხოვნის აღიარება:
 დებეტი – 2409 მისაღები პროცენტები ფინანსური ლიზინგიდან – 7500 ლ
 კრედიტი – 7034 შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან – 7500 ლ
3. კუთვნილი თანხების მიღება, სულ – 14915,75 ლ
 კრედიტი – 2409 მოთხოვნა მისაღებ პროცენტზე – 7500 ლ
 კრედიტი – 2303 მოთხოვნა ფინანსური ლიზინგით – 7415,75 ლ
 დებეტი – ფულადი სახსრები – 14915,75 ლ

4.2. ფაქტორინგული ოპერაციების აღრიცხვა

ფაქტორინგული ოპერაციები ნიშნავს სხვისი ვალების გადახდის უფლების ყიდვას. ფაქტორინგულ ოპერაციებში სამი მხარე მონაწილეობს:

1. ფაქტორ-შუამავალი, რომელიც შეიძლება იყოს ბანკი ან სპეციალური ფაქტორინგული ორგანიზაცია;
2. საქონლის მიმწოდებელი (კრედიტორი);
3. საქონლის მყიდველი (დებიტორი)

ფაქტორინგული ოპერაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გადაუხდელობის პრობლემების გამწვავების დროს. ამით ჩქარდება ანგარიშსწორება საწარმოებს შორის და ბანკი იღებს მომსახურების საკომისიოს.

ფაქტორინგული ოპერაციების ძირითადი არსი ისაა, რომ ბანკი თავისი კლიენტისაგან ყიდულობს მისი დებიტორული დავალიანების განაღდებას უფლებას. ორი-სამი დღის განმავლობაში იხდის მოთხოვნილი თანხის 70-90%-ს. დანარჩენს კი კლიენტი იღებს გადამხდელებისაგან მოთხოვნილი თანხების მთლიანი დაფარვის შემდეგ. ამით ბანკი ფაქტიურად ახდენს კლიენტის საბრუნავი კაპიტალის ავანსირებას (ანგარიშ-ფაქტურის დისკონტირებას). დარჩენილ 10-30%-ს კლიენტს ჯერ არ უხდის, ახდენენ მის დაჯავშნას ცალკე ანგარიშზე იმ შემთხვევისათვის, თუ იქნება მყიდველის პრეტენზია საქონლის ხარისხთან დაკავშირებით.

ანგარიშ-ფაქტურების დისკონტირებისათვის ბანკი იღებს:

- საკომისიოს (ანგარიშის ინკასირებისათვის);
 - ფაქტორინგული კრედიტის პროცენტს, რომელსაც ახდენენ ბანკი კლიენტს, კრედიტის მიცემის დღიდან, მყიდველისაგან სახსრების შემოსვლამდე.
- ფაქტორინგი ორი სახის შეიძლება იყოს: ღია და დახურული.

ღია ფაქტორინგი მომსახურების ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც ფულის გადამხდელმა (ბანკის კლიენტის დებიტორმა) იცის, რომ მომწოდებელი ახდენს ანგარიშ-ფაქტურების გადაცემას ფაქტორინგული განაღდებასათვის, და რომ დებიტორმა ფული მომწოდებლის ნაცვლად, კომერციულ ბანკს უნდა გადაუხადოს.

დახურული ანუ კონფიდენციალური ფაქტორინგის დროს ბანკის კლიენტის არცერთმა კონტრაგენტმა არაფერი არ იცის ფაქტორინგული კომპანიის შესახებ. ამ შემთხვევაში დებიტორი ანგარიშსწორებას ეწევა თავის მომწოდებელთან, რომელიც საზღაურის მიღების შემდეგ ვალდებულია მისი შესაბამისი ნაწილი კრედიტის დასაფარავად გადაურიცხოს ბანკს (ანუ ფაქტორინგულ კომპანიას).

ფაქტორინგული ოპერაციების განხორციელებისათვის კომერციული ბანკი ხელშეკრულებას დებს კლიენტთან, რომლითაც განისაზღვრება ფაქტორინგის სახე, მხარეთა უფლება-მოვალეობები, ფაქტორინგული კრედიტის სიდიდე, საპროცენტო განაკვეთი და საკომისიო ანაზღაურების სიდიდე. ფაქტორინგული ხელშეკრულების ვადა მაქსიმუმ ერთი წელია.

ფაქტორინგულ ოპერაციებს ბანკისათვის, დიდი რისკი ახლავს თან. ამიტომ, ბანკი სწავლობს კლიენტის ფინანსურ მდგომარეობას, მისი საქონლის რეალიზაციის შესაძლებლობებს და გადახდისუნარიანობის დონეს.

ამრიგად, ფაქტორინგი არსებითად წარმოადგენს კომერციული კრედიტის საბანკო კრედიტად გარდაქმნის ფორმას.

ფაქტორინგული ხელშეკრულების გაფორმებისთანვე, გადასახდელი ვალდებულებების თანხა აღირიცხება ბალანსგარეშე ანგარიშებზე:

დებეტი – 0999 ტექნიკური ანგარიში

რედიტი – 0301 აღებული ფორმალური ვალდებულებები

ფაქტორინგული ოპერაციების აღრიცხვისათვის გამოიყენება ბუღალტრული ანგარიში – 2302 „მოთხოვნა ფაქტორინგით“, იგი აქტიური ანგარიშია და 7032 - „შემოსავლები ფაქტორინგული ოპერაციებიდან“. ეს პასიური ანგარიშია.

ფაქტორინგული ოპერაციის შესრულება ანუ კლიენტის დებიტორული დავალიანების დაფარვა, აღირიცხება:

დებეტი – 2302 მოთხოვნა ფაქტორინგით

კრედიტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში

პარალელურად დაიხურება ფორმალური ვალდებულებების ბალანსგარეშე ანგარიში

დებეტი – 0301 აღებული ფორმალური ვალდებულებები
კრედიტი – 0999 ტექნიკური ანგარიში

ფაქტორინგული მომსახურებიდან მისაღები პროცენტების დარიცხვა:

დებეტი – 2403 მისაღები პროცენტები დანარჩენი ოპერაციებიდან
კრედიტი – 7032 შემოსავალი ფაქტორინგული ოპერაციებიდან

კუთვნილი თანხების მიღება:

დებეტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში
კრედიტი – 2302 მოთხოვნა ფაქტორინგით
კრედიტი – 2403 მისაღები პროცენტები დანარჩენი ოპერაციებიდან

4.3. დანარჩენი საშუაშაგლო ოპერაციების აღრიცხვა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იმ სახელმწიფოებში, სადაც სუსტი იყო სახელმწიფოს მხრიდან ექსპორტის დაკრედიტება, განვითარდა ბანკების საშუაშაგლო ოპერაციების ახალი სახე – ფორფეიტინგი. მისი განვითარების უმნიშვნელოვანესი წანამძღვარია საერთაშორისო ინტეგრაციის გაძლიერება, საგარეო სავაჭრო ურთიერთობების განვითარება. ამდენად, **ფორფეიტინგი** ფაქტორინგული ოპერაციების მსგავსია, ოღონდ მხოლოდ საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში გამოიყენება.

ფორფეიტინგის მექანიზმს ორგვარ გარიგებებში იყენებენ:

- ფინანსურ გარიგებებში – გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების სწრაფად რეალიზაციის მიზნით;
- საექსპორტო გარიგებებში – იმ ექსპორტიორისათვის ნაღდი ფულის მიღებაში ხელშეწყობის მიზნით, რომელმაც უცხოელ მყიდველს საქონელი მიაწოდა კრედიტით. ამასთან, მთელი რისკი გადადის კომერციულ ბანკზე და მას უფლება არა აქვს ექსპორტიორს უკან დაუბრუნოს მყიდველის მიერ გაუნაღდებელი ანგარიშები.

ფორფეიტინგის ვადაა 180 დღიდან 5-7 წლამდე. ფორფეიტინგზე გარიგებებს უპირატესად გერმანულ მარკებში, შვეიცარულ ფრანკებსა და დოლარში დებდნენ. ამჟამად კი ევრო გამოიყენება.

ფორფეიტინგული გარიგების გაფორმება რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს:

1. გარიგების მომზადება – ამ ეტაპზე ექსპორტიორი, მისი ბანკი ან იმპორტიორი გამოდიან გარიგების ინიციატორებად. ექსპორტიორს აინტერესებს რა პირობებს წამოაყენებს ბანკი. დადგინდება, გარიგება ფინანსურია თუ საქონლური.

2. შემდეგი ნაბიჯია სხვა ინფორმაციის შეგროვება: ვალუტის სახე, იმპორტიორი, ექსპორტიორი, მათი ადგილმდებარეობა.

ფორფეიტინგის ინსტრუმენტებად გამოყენებული მიმოქცევის ძირითადი დოკუმენტია თამასუქი. გამორიცხული არაა სხვა ფასიანი ქაღალდების გამოყენებაც.

ფორფეიტინგის ოპერაციების აღრიცხვა ფაქტორინგული ოპერაციების აღრიცხვის მსგავსია, ოღონდ ამ შემთხვევაში მხოლოდ უცხოური ვალუტაში გახსნილი ანგარიშები გამოიყენება, რადგან ფორფეიტინგი საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში გამოიყენება.

ფორფეიტინგული გარიგებით წარმოშობილი ოპერაციები შეიძლება აღირიცხოს შემდეგ ანგარიშებზე – 2511 „დანარჩენი დებიტორები უცხოური ვალუტით“. 7049 „დანარჩენი შემოსავლები უცხოური ვალუტით“ და 2419 „მისაღები პროცენტები დანარჩენი ოპერაციებით უცხოური ვალუტით“.

კომერციულმა ბანკებმა აგრეთვე, შეიძლება იმოქმედონ და განახორციელონ ოპერაციები როგორც სხვა სუბიექტების ნდობით აღჭურვილმა პირებმა. ბანკი მინდობილობით უფლებას იძენს მართოს **ტრასტის ქონება**. ამ მიზნით ბანკებში შეიძლება სპეციალური ტრასტ განყოფილება არსებობდეს. ამდენად, **სატრასტო ოპერაციები ნიშნავს მინდობილობით სხვისი ქონების მართვას**. სატრასტო მომსახურება კომერციულმა ბანკებმა შეიძლება გაუწიონ როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებს.

სატრასტო საქმიანობა ოპერაციების სამ ჯგუფს მოიცავს:

1. მემკვიდრეობის განკარგვა – როცა მოქალაქე ბანკს ანდობს უფლებას, მისი გარდაცვალების შემდეგ განკარგოს მისი ქონება;

2. ოპერაციების განხორციელება მინდობილობით და მეურვეობასთან დაკავშირებით;

3. სააგენტო მომსახურება

სატრასტო ოპერაციებზე იდება შესაბამისი ხელშეკრულება. ბანკი იძლევა გარანტიებს, რომ შეასრულებს მასზე მინდობილ (დაკისრებულ) მოვალეობებს.

კომერციული ბანკები სატრასტო ოპერაციების განხორციელებისათვის იღებენ საკომისიოს, რომლის სიდიდე ხელშეკრულებით განისაზღვრება, პროცენტულად, მინდობილი ქონების თანხიდან, რომლის მართვა ხდება ბანკის მიერ მინდობილობით.

სატრასტო ოპერაციების დროს, ქონება, რომელსაც ბანკი მართავს, მისი საკუთრება არაა. არც მომავალში არაა მოსალოდნელი ამ ქონების ბანკის საკუთრებაში გადასვლა. ამიტომ, სატრასტო ქონება ანუ ბანკზე მინდობილობით მინდობილი ქონება არც ბალანსში და არც ბალანსგარეშე ანგარიშებზე არ აისახება. ოღონდ, ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებებში ბანკმა ასეთი ფაქტი უნდა დააფიქსიროს და მიუთითოს ამგვარი სამუშაოების მასშტაბები, იმ პოტენციური ვალდებულებების გამო, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას მინდობილი მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბანკის აღრიცხვაში ბუღალტრულად მხოლოდ სატრასტო მომსახურებისათვის კუთვნილი საკომისიოები აღირიცხება.

1. მისაღები საკომისიოს დარიცხვა:

დებეტი – 2501-2511 დებიტორები

**კრედიტი – 6409-6419 საკომისიოები და შემოსავლები
დანარჩენი ოპერაციებიდან**


2. კუთვნილი საკომისიო თანხების მიღება:

დებეტი – 1052 -1062 საკორესპოდენტო ანგარიში ან საღარო

კრედიტი – 2501-2511 დებიტორები

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. როდის გამოიყენება სალიზინგო ოპერაციები;
2. აღრიცხეთ შენობის გადაცემა ფინანსური ლიზინგით;
3. აღრიცხეთ ფაქტორინგული ოპერაციის განხორციელება ბანკის მიერ;
4. აღრიცხეთ ფაქტორინგული შეთანხმების გაფორმება;
5. აღრიცხება თუ არა სატრასტო გარიგებები.



თემა 5. საკრედიტო და სასესხო

ოპერაციების აღრიცხვა

კომერციული ბანკების საქმიანობის ძირითადი მიმართულება თავმოყრილი თავისუფალი სახსრების გასესხებაა, რითაც ისინი ხელს უწყობენ ეკონომიკის აქტიურობას და დასაქმების ზრდას ქვეყანაში.

ამ თავში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- საკრედიტო ოპერაციები და კრედიტის სახეები
- გაცემული და აღებული სესხების აღრიცხვა
- ეროვნული ბანკიდან აღებული სესხების აღრიცხვა

5.1. საკრედიტო ოპერაციები და კრედიტის სახეები

საკრედიტო ოპერაციები ნიშნავს ბანკის (კრედიტორის) მიერ თავისუფალი საკრედიტო რესურსების გასესხებას ვადიანობის, დაბრუნებითობისა და სარგებლიანობის პირობებით.

კომერციული ბანკები დაინტერესებული არიან მიიღონ მოგება სასესხო კაპიტალის ბრუნვის საფუძველზე. ბანკი თავისუფალია თავისი რესურსების განკარგვაში. დაკრედიტების სისტემის თავისებურება მდგომარეობს მასში, რომ კლიენტი თავად ირჩევს ბანკს, საიდანაც იღებს კრედიტს. ამასთან, კლიენტმა შეიძლება სასესხო ანგარიში რამდენიმე ბანკში გახსნას. ეს ხელს უწყობს ბანკებს შორის კონკურენციული გარემოს შექმნას. გასაცემი კრედიტების მოცულობა დამოკიდებულია მოზიდული სახსრების მოცულობაზე. ცენტრალური ბანკი ადგენს საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალურ საზღვარს.

არსებობს შემდეგი სახის საკრედიტო ოპერაციები: ბანკთაშორისი კრედიტები, კლიენტებზე გაცემული სესხები, ავალები, კომერციული კრედიტი, ლომბარდული კრედიტი, საბლანკო კრედიტი.

ბანკთაშორის კრედიტებს მიეკუთვნება არა მხოლოდ ერთი ბანკის მიერ მეორე ბანკზე გაცემული სესხები, არამედ ბანკების დეპოზიტები, თამასუქები, ფინანსური ლიზინგი, გაცემული გარანტიები, ოვერდრაფტები.

კლიენტებზე გაცემული სესხები შეიძლება იყოს გირავნობით, გირავნობის გარეშე, ან თამასუქებით.

კლიენტებზე გაცემული სესხების სახეებია:

მარტივი სასესხო ანგარიში – წარმოადგენს ნაშთების მიხედვით დაკრედიტებას. სესხი გაიცემა მსესხებელი საწარმოს დანახარჯების და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფაქტიური ნაშთების მიხედვით. ამასთან, საწარმოს შეუძლია იგი ნებისმიერი ოდენობით გახსნას.

„საკრედიტო ხაზი“ – დაკრედიტების ახალი სახეა. ამ დროს კლიენტთან ხდება შეთანხმება კრედიტის ლიმიტზე და მიმდინარე ანგარიშზე ფულის უქონლობის შემთხვევაში, ბანკი ავტომატურად გასცემს კრედიტს ლიმიტის ფარგლებში. ლიმიტი შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ უფრო მაღალი პროცენტი დაერიცხება მას. კლიენტის მიმდინარე ანგარიშის ნაშთი ყოველდღიურად გადაიტანება სასესხო ანგარიშზე.

ოვერდრაფტი – ასევე დაკრედიტების ახალი სახეა. ფართოდ გამოიყენება საზღვარგარეთის ქვეყნებში და თანდათან ვრცელდება საქართველოშიც. ოვერდრაფტზე შეთანხმების დროს, ბანკი თვის განმავლობაში, ისე ანაღლებს

კლიენტის ვალდებულებებს, რომ არ ამოწმებს თანხის არსებობას კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე. ყოველი თვის ბოლო დღეს, ბანკი ახდენს მის მიერ გადახდილი ვალდებულებებისა და კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე შემოსული თანხების შედარებას. გადარიცხვების გადამეტების შემთხვევაში აღიარებს ოვერდრაფტს, რომელიც ათ დღეში (მაქსიმუმ ერთ თვეში) უნდა დაიფაროს. ვადის გადაცილების შემთხვევაში ბანკი ზრდის საპროცენტი განაკვეთს. ოვერდრაფტის დაფარვამდე, ბანკი წყვეტს კლიენტის ანგარიშების განაღდებას და მიმდინარე ანგარიშზე შემოსული ყველა ფულადი თანხა ოვერდრაფტის დასაფარავად მიემართება. ოვერდრაფტის დაფარვის შემდეგ, ბანკი კვლავ აგრძელებს კლიენტის ანგარიშების განაღდებას და ა. შ. ბუნებრივია, ასეთი სახის დაკრედიტებას ბანკები მაღალი საიმედოობის მქონე კომპანიებს აძლევენ.

კონტოკორენტი – კრედიტის ისეთი სახეა, როცა საწარმოს დაკრედიტება ხდება ბრუნვის მიხედვით. საჭირო არაა ბანკში ინფორმაციის წარდგენა საქონლური ნაშთების შესახებ. იგი მოკლევადიანია და მხოლოდ ერთი შეიძლება გაიხსნას. ამ დროს იხურება კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიში და ბანკში იხსნება ერთი კონტოკორენტის ანგარიში, რომელიც აქტიურ-პასიური ანგარიშია. მასზე აღირიცხება კლიენტის სახელზე შემოსული ფულადი ნაკადები: კონტოკორენტის ანგარიშის კრედიტში აღირიცხება ფულის შემოსვლა, დებეტში – გადახდები. მისი სადებეტო ნაშთი ნიშნავს კლიენტის დავალიანებას ბანკის მიმართ და კრედიტის ნაშთი – ბანკის დავალიანებას კლიენტის მიმართ.

კონტოკორენტით გაცემული სესხები ასევე მაღალი რისკით ხასიათდება და იგი მაღალი გადახდისუნარიანობის მქონე კლიენტს ეძლევა.

ავალები – ანუ საავალო კრედიტის დროს ბანკი თავის თავზე იღებს თავისი კლიენტის პასუხისმგებლობას. ეს პასუხისმგებლობა იღებს გარანტიის ფორმას. ბანკი იღებს ვალდებულებას კლიენტის ვალდებულებების დაფარვაზე.

კომერციული კრედიტი – როცა ერთი საწარმო სესხს აძლევს მეორე საწარმოს და მათ შორის არცერთი არ არის საკრედიტო ორგანიზაცია.

საბლანკო კრედიტი – სესხების გაცემა უზრუნველყოფის გარეშე.

სამომხმარებლო კრედიტი – გაიცემა საბანკო საკრედიტო ბარათებით.

ლომბარდული კრედიტი – გაიცემა ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე მათი ლიკვიდურობის რეგულირების მიზნით, ფასიანი ქაღალდების გირავნობის ქვეშ. იგი მოკლევადიანია: ერთიდან შვიდ დღემდე. გამონაკლის შემთხვევაში, მაქსიმუმ ერთი თვე. თუ ვალდებულება კომერციული ბანკის მიერ ვადაში ვერ დაიფარება, ფასიანი ქაღალდები გადადის ეროვნული ბანკის საკუთრებაში.

სესხები ყოველთვის დაკავშირებულია რისკებთან. **რისკების მიხედვით, სესხები შეიძლება იყოს:**

სტანდარტული სესხები – ეკუთვნის I ჯგუფს. იქმნება 2%-იანი რეზერვი ძირითადი თანხის ნაშთიდან. უზრუნველყოფილია გირავნობით.

საყურადღებო სესხები – იგი ადეკვატურადაა დაცული, მაგრამ პოტენციურად სუსტია. მსესხებლის გადახდისუნარიანობა საეჭვო გახდა. გირავნობის დოკუმენტები არასწორადაა გაფორმებული. ვადაგადაცილება 30 დღემდეა. რეზერვი იქმნება გადასახდელი თანხის 10%.

არასტანდარტული სესხები – იგი არაადეკვატურადაა დაცული კაპიტალით და გადახდის უნარით, ან იპოთეკის ან გირაოს ღირებულებით. ვადაგადაცილება 30-60 დღე. იქმნება 30%-იანი რეზერვი.

საეჭვო სესხები – III ხარისხის რისკის მქონე სესხებია. გადახდა საეჭვო გახდა, მაგრამ ჯერ უიმედო არაა. მოსალოდნელია, რომ იგი გირავნობით უზრუნველყოფილი გახდება. საბლანკო ან ნაწილობრივ უზრუნველყოფილ სესხებს, რომლებიც 90 დღეზე მეტად ვადაგადაცილებულია, უნდა მიეცეს

საექვო სესხის კლასიფიკაცია. მთლიანად უზრუნველყოფილ სესხს, კი 120 დღის გადაცილების შემდეგ უნდა მიეცეს „საექვო“ სესხის კლასიფიკაცია. რეზერვი იქმნება გადაუხდელი ნაშთის 50% -ის ოდენობით.

უიმედო სესხები – V ხარისხის რისკისაა. გადაცილებულია 150 დღეზე მეტი დღით. იქმნება 100%-იანი რეზერვი.

5.2. ბაცემული სესხების აღრიცხვა

თანახმად, ბასს 39–ისა: „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“, სესხი და მოთხოვნები არის არაწარმოებული აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. გარდა ამისა, საწარმო მას თავდაპირველი აღიარებისას განიხილავს, როგორც გასაყიდად არსებულს და რომელთათვისაც მფლობელმა შესაძლოა ვერ ამოიღოს მისი მთლიანი საწყისი სიდიდე, საკრედიტო ხაზის გაუარესებისა და სხვა მიზეზების გამო და ამიტომ, კლასიფიცირებულ იქნება როგორც გასაყიდად არსებულ (ბასს 39, მუხლი 9).

ფინანსურ აქტივებს მიეკუთვნება ფულადი საშუალებები, ფასიანი ქაღალდები, გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები.

ბანკი ფინანსურ აქტივს გადასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა). გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს;

ბ). ინარჩუნებს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს, მაგრამ აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებას, გადაუხადოს ფულადი სახსრები ერთ ან მეტ მიმღებ პირს გარკვეული პირობების თანახმად.

რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება ხდება გადაცემულ აქტივზე წმინდა ფულადი ნაკადების ოდენობისა და ვადიანობის ნავარაუდები ცვლილებების შედარებით, გადაცემამდე და გადაცემის შემდეგ.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ნიშნავს მათ ჩამოწერას ბალანსიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა). ფინანსურ აქტივებს გასდის ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებების ვადა;

ბ). გადასცემს მესამე მხარეს ფინანსურ აქტივს და აღნიშნული გადაცემა განაპირობებს აქტივთან დაკავშირებით ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას.

კომერციული ბანკები კრედიტებს შემდეგი წესით გასცემენ:

- იურიდიულ პირებზე – უნაღლო ფორმით, მიმდინარე ანგარიშებზე თანხის ჩარიცხვით;

- ფიზიკურ პირებზე – უნაღლო ფორმით, ბანკში პიროვნების მიმდინარე ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით ან ნაღდი ფორმით – ბანკის სალაროს მეშვეობით;

- კრედიტები უცხოური ვალუტით იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გაიცემა უნაღლო წესით;

- საკრედიტო ხაზის გახსნით.

კომერციულმა ბანკებმა სესხის გაცემის წინ აუცილებლად უნდა შექმნან რეზერვები საკრედიტო საქმიანობისაგან შესაძლო დანაკარგების შემთხვევისათვის.

სესხის გაცემის გადაწყვეტილების მიღებამდე ბანკი ვალდებულია:

1. გულდასმით შეისწავლოს მსესხებლის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ბიზნეს-გეგმის, მარკეტინგის, წარმოებისა და მართვის გეგმების, ფულადი ნაკადების პროგნოზის, დასაკრედიტებელი ობიექტის (გარიგების) ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ჩათვლით.

2. შეამოწმოს დასაკრედიტებელი გარიგების ნამდვილობა, შეისწავლოს მსესხებლის საკრედიტო ისტორია. გაანალიზოს მისი გადახდისუნარიანობა.

ბანკის შესაბამისმა ქვედანაყოფმა ყოველდღიურად უნდა აკონტროლოს კრედიტების დაბრუნების და მათზე პასუხისმგებლობის გადახდის ვადები, ვადაგადაცილებული დავალიანებები და მიიღოს აუცილებელი ზომები.

გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთებზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, როგორცაა: დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები, საკრედიტო რესურსების ღირებულება ბანკთაშორის ბირჟაზე, მსესხებლის კრედიტუნარიანობა, კრედიტის სახე, ზომა და ვადა. აგრეთვე, სესხის პროცენტული დანაკარგები, კონკურენტი ბანკების განაკვეთები, ადმინისტრაციული ხარჯები.

სესხების გაცემაზე ხელშეკრულების დადების შედეგად, ბანკს კლიენტის მიმართ წარმოექმნება ფორმალური ვალდებულება კრედიტის გაცემაზე, რომელიც ბალანსგარეშე ანგარიშებში აღირიცხება:

დებეტი – 0999 ტექნიკური ანგარიში

კრედიტი – 0301 აღებული ფორმალური ფინანსური ვალდებულებები

სესხის გაცემის დღეს, სათანადო განკარგულების საფუძველზე, საბალანსო ანგარიშებში აღიარებული იქნება ერთი მხრივ, მოთხოვნა გაცემულ სესხებზე ვალუტის სახეების, სესხის ვადიანობის (მოკლევადიანია თუ გრძელვადიანი) და მსესხებელი სუბიექტების იურიდიულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით და მეორე მხრივ, ფულადი სახსრების გასვლა ბანკიდან. გაცემული სესხების აღრიცხვისათვის ანგარიშთა გეგმაში, დეპოზიტების მსგავსად, სამი ჯგუფის ანგარიშებია გამოყოფილი:

1. სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის მიცემული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (კლასი 12);

2. სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისათვის მიცემული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (კლასი 13);

3. კლიენტებისათვის მიცემული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (კლასი 18).

ეს ანგარიშები ყველა აქტიური ანგარიშებია და ასახავენ ბანკის მოთხოვნებს გაცემული სესხებისათვის.

სესხების გაცემა აღირიცხება:

დებეტი – მოთხოვნები გაცემული სესხებით (12, 13 და 18 კლასის ანგარიშები)

კრედიტი – ფულადი სახსრების ანგარიშები (1052, 1062, 1003)

შებრუნებული გატარებები გაკეთდება გასესხებული ფულის დაბრუნებაზე. მისაღები პროცენტების აღრიცხვა მოხდება ყოველთვიურად:

დებეტი – მისაღები პროცენტები (240 – 241 ჯგუფის ანგარიშები)

კრედიტი – პროცენტული შემოსავლები სესხებიდან (კლასი 60 და 63)

საექვო სესხებისათვის რეზერვის შექმნა:

დებეტი – 8501 ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით

კრედიტი – 4101 სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი

(გატარება ხდება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში)

უიმედო სესხის ჩამოწერა:

დებეტი – 4101 სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი
კრედიტი – მოთხოვნები გაცემული სესხებით

თუ დანაკარგების რეზერვი საკმარისი არ აღმოჩნდა, მაშინ სხვაობის თანხა დამატებით ჩამოიწერება ზარალის (8501) ანგარიშზე.

უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავლები აღრიცხება „უცხოურ ვალუტაში შემოსავლების“ ანგარიშზე, ოღონდ აღრიცხვა ხდება ეროვნული ვალუტით, სავალუტო პოზიციის ანგარიშების გამოყენებით.

დავუშვათ, გასესხებულია 1000 დოლარი, წლიურად 20%-იანი განაკვეთით. საპროცენტო შემოსავალი აღრიცხება ანგარიშზე – 6312 „პროცენტული შემოსავალი უცხოური ვალუტით“, მაგრამ აღრიცხვა მოხდება ეროვნულ ვალუტაში, დარიცხვის მომენტისათვის არსებული გასაცემელი კურსით და ერთდროულად ორი გატარება შედგება:

ა). **დებეტი – (2411 და სხვა) მისაღები პროცენტი უცხოური ვალუტით - 200 დოლარი**
კრედიტი – 2611 დოლარის სავალუტო პოზიცია – 200 დოლარ

ბ). **დებეტი – 2601 დოლარის კონტრფასი - 300 ლარი**
კრედიტი – 6312 პროცენტული შემოსავალი უცხოური ვალუტით - 300 ლარი

ბანკმა შეიძლება გაცემული სესხის ძირის ფულის (საწყისი ან თაზნი) და პროცენტის თანხის გადახდის სხვადასხვა პირობები წაუყენოს კლიენტს:

- ძირის ფულის ანუ ძირითად თანხის გადახდა პერიოდის ბოლოს და პროცენტი ყოველწლიურად;
- ძირის ფულის თანაბარი გადახდა და შესაბამისი პროცენტის თანხა;
- საერთო თანხის თანაბრად გადახდა პროცენტის თანხის ჩათვლით.

ჩამოთვლილი პირობების შესაბამისად იცვლება კლიენტის მიერ გადახდილი პროცენტის თანხა.

საილუსტრაციო მაგალითი:

დავუშვათ ბანკმა გასცა 50000 ლარი, ხუთი თვით, წლიურად 24%-იანი სარგებლით. მაშასადამე, თვიურად 2% განაკვეთით.

I. პირველი ტიპის პირობის შემთხვევაში, კლიენტი ყოველთვიურად გადაიხდის მხოლოდ პროცენტის თანხას 1000 ლარს და ხუთი თვის ბოლოს 50000 ლარს. ბანკი სულ მიიღებს 5000 ლარის საპროცენტო შემოსავალს.

II. ყოველთვიურად ბანკი მიიღებს ძირითად თანხას 10000 ლარს და საპროცენტო შემოსავლები იქნება:

პირველ თვეს – 50000-ის 2% = 1000 ლ
მეორე თვეს – 40000-ის 2% = 800 ლ
მესამე თვეს – 30000-ის 2% = 600 ლ
მეოთხე თვეს – 20000-ის 2% = 400 ლ
მეხუთე თვეს – 10000-ის 2% = 200 ლ

სულ საპროცენტო შემოსავალი 3000 ლ

III. ყოველთვიურად მისაღები თანაბარი თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ფულის დროითი ღირებულების გამოთვლის, კერძოდ, ანუიტეტის დისკონტირების კოეფიციენტი. გასესხებული თანხა უნდა გაიყოს ანუიტეტის დისკონტირების კოეფიციენტზე, რომელიც არსებობს 2%-სა და ხუთი თვის პერიოდისათვის (როგორც ცნობილია, ანუიტეტის კოეფიციენტები მოცემულია ფულის დროითი ღირებულების კოეფიციენტების ცხრილებში).

ანუიტეტის (ანუ თანაბარ ნაკადად მოძრავი ფულის) დისკონტირების კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$PVA = \left(1 - \frac{1}{1+r} \right)^n : r$$

ფორმულაში, r - არის სპროცენტო განაკვეთის კოეფიციენტი – 0,02 ჩვენს მაგალითზე

n - არის თვეების (ან წლების) რიცხვი პერიოდში

ჩვენს მაგალითზე მოტანილი ინფორმაციის საფუძველზე, ანუიტეტის კოეფიციენტი არის 4,71346, ხოლო, ყოველთვიურად თანაბრად მისაღები ანუ კლიენტის მიერ გადასახდელი თანხა იქნება:

$$50000 : 4,71346 = 10607,92 \text{ ლარი}$$

საჭიროა საერთო თანხიდან საპროცენტო შემოსავლის გამოყოფა, რისთვისაც შედგება გაცემული სესხების შემოდინების გრაფიკი, რომელშიც საპროცენტო შემოსავალი ყოველთვის მოთხოვნების ნაშთიდან გამოითვლება. ჩვენს მაგალითზე მას შემდეგი სახე ექნება:

ცხრილი 5.1.

თვეები	გაცემული სესხების დაფარვის გრაფიკი (ლარი)			
	ყოველთვიურად მისაღები თანხა	საპროცენტო შემოსავალი	ძირითადი თანხა	მოთხოვნის ნაშთი
0	-	-	-	50 000,0
1	10 607,92	1 000,0	9 607,92	40 392,08
2	10 607,92	807,84	9 800,08	30 592,0
3	10 607,92	611,84	9 996,08	20 595,92
4	10 607,92	411,92	10 196,0	10 399,92
5	10 607,92	208,00	10 399,92	0
ჯამი	53 039,6	3 039,6	50 000,0	-

როგორც გაანგარიშებებიდან სჩანს, საპროცენტო შემოსავალი ყოველთვიურად მცირდება, ძირის ფული ანუ საწყისი თანხის მისაღები ნაწილი კი ყოველთვიურად იზრდება.

გამოთვლები შემდეგნაირად ხდება: ჯერ გამოითვლება საპროცენტო შემოსავალი, შემდეგ ძირითადი თანხა და საერთო მოთხოვნის ნაშთი.

პირველ თვეს: საპროცენტო შემოსავალი = 50000-ის 2% = 1000 ლ
 მისაღები ძირითადი თანხა = 10607,92 – 1000 = 9607,92
 სასესხო მოთხოვნის ნაშთი = 50000 – 9607,92 = 40392,08

მეორე თვეს: საპროცენტო შემოსავალი = 40392,08-ის 2% = 807,84 ლ
 მისაღები ძირითადი თანხა = 10607,92 – 807,84 = 9800,08
 სასესხო მოთხოვნის ნაშთი = 40392,08 – 9800,08 = 30592,0

და ასე შემდეგ.

მოცემული მაგალითის მიხედვით, სესხის გაცემა აღირიცხება:

დებიტი – 1802 კლიენტებზე გაცემული სესხები – 50000 ლ
 კრედიტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში – 50000 ლ

პირველი თვის ბოლოს მოხდება მისაღებ პროცენტზე მოთხოვნის აღიარება ბანკის მიერ, რომელიც შემდეგნაირად აღირიცხება:

დებეტი – 2405 მისაღები პროცენტები კლიენტებზე გაცემული
სესხებიდან – 1000 ლ
კრედიტი – 6302 პროცენტული შემოსავლები იურიდიულ
პირებზე მიცემული სესხებიდან – 1000 ლ

ხოლო, თანხების მიღება აღირიცხება:

დებეტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში – 10 607,92 ლ
კრედიტი – 1802 მოთხოვნა გაცემულ სესხებზე – 9607,92 ლ
კრედიტი – 2405 მოთხოვნა კლიენტებიდან მისაღებ პროცენტზე – 1000 ლ

როგორც ცნობილია, ბანკებში ყოველთვის არსებობს სესხების უკან დაბრუნების რისკი. ფასს 7-ის (ფინანსური ინსტრუმენტების განმარტებითი შენიშვნები) რეკომენდაციების თანახმად, ბანკებმა ანგარიშგებაში უნდა წარადგინონ სესხების რისკების შესახებ მოკლე მიმოხილვა, რომელიც ეხება საანგარიშგებო თარიღისათვის ამ რისკის გავლენას. სესხების თითოეული კატეგორიისათვის ბანკებმა ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა აჩვენონ თანხა, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ გავლენას ბანკების ფინანსურ მდგომარეობაზე. აგრეთვე, კრედიტის გარანტიის სახით ფლობილი უზრუნველყოფის ან კრედიტის სხვა საგარანტიო საშუალებების აღწერა; ინფორმაცია ისეთი ფინანსური აქტივების კრედიტის ხარისხის შესახებ, რომელიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული. აგრეთვე, უნდა წარადგინოს ასაკობრივი ანალიზი გაცემული სესხებისა, რომლებიც წლის ბოლოს მდგომარეობით ვადაგადაცილებულია, მაგრამ არ არის გაუფასურებული და აჩვენოს ის აქტივები ცალკე, რომელიც გაუფასურებულია.

გაცემული სესხების უკან დაბრუნების რისკების უზრუნველყოფისათვის, იქმნება სესხების დანაკარგების რეზერვი, რომელიც უარყოფითი რიცხვის სახით გადაიტანება ბალანსის აქტივში, აკლდება გაცემული სესხების თანხას და განისაზღვრება წმინდა სესხები.

1. რეზერვის შექმნა აღირიცხება:

დებეტი – 8501, 8509 ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით
კრედიტი – 4101, 4109 სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი

2. წლის ბოლოს რეზერვი შეიძლება შემცირდეს, თუკი საჭირო არ აღმოჩნდა

დებეტი – 4101, 4109 სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი
კრედიტი - 8501, 8509 ზარალი

3. უიმედო სესხების ჩამოწერა

დებეტი – 4101, 4109 სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი
კრედიტი – გაცემული სესხების შესაბამისი ანგარიშები

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებულია ბრძანება იმის შესახებ, რომ კომერციული ბანკები ვალდებული არიან მომხმარებელს აუცილებელი ინფორმაცია მიაწოდონ. მათ შორის არის **ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დადგენისა და წარდგენის აუცილებლობა**. იგი უფრო დეტალურად შემდეგში იქნება განხილული.

5.3. აღებული სესხების აღრიცხვა კომერციულ ბანკებში

კომერციული ბანკები ზოგჯერ თავადაც საჭიროებენ სესხებს. კომერციულმა ბანკებმა სესხები შეიძლება აიღონ სხვა კომერციული ბანკებიდან, ეროვნული ბანკიდან, მთავრობიდან ან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში.

ბუღალტრული აღრიცხვისათვის შესაბამისი ანგარიშები გამოიყენება. ასე მაგალითად:

1. მთავრობიდან სესხების აღება:

დებეტი – 1052 ან 1062 საკორესპოდენტო ანგარიში

კრედიტი – ვალდებულება მთავრობიდან აღებულ სესხებზე
(3371 ან 3381)

2. კომერციული ბანკებიდან სესხების აღება:

დებეტი – 1052 ან 1062 საკორესპოდენტო ანგარიში

კრედიტი – ვალდებულება კომერციული ბანკებიდან აღებულ სესხებზე (3552 ან 3562 და სხვა)

3. სესხების აღება უცხოურ ვალუტაში, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან:

დებეტი – 1062 საკორესპოდენტო ანგარიში უცხოურ ვალუტაში

კრედიტი – 3711-13 ვალდებულება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან აღებული სესხებით

4. ეროვნული ბანკიდან სესხის აღება ხდება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში:

დებეტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში

კრედიტი – 3581 ვალდებულება ეროვნული ბანკიდან აღებულ სესხებზე

გადასახდელი პროცენტები ბანკისთვის არის ხარჯი და შესაბამის საპროცენტო ხარჯების ანგარიშებზე აღირიცხება, მეორე მხრივ კი, აღიარებული იქნება ვალდებულება გადასახდელ პროცენტზე.

1. მთავრობის სესხებზე გადასახდელი პროცენტის დარიცხვა:

დებეტი – 9039 ან 9049 პროცენტული ხარჯები მთავრობიდან

აღებული სესხების მიხედვით

კრედიტი – 4401-02 გადასახდელი პროცენტები სახელმწიფო

ინსტიტუტებიდან აღებული სესხების მიხედვით

2. კომერციული ბანკებიდან აღებულ სესხებზე გადასახდელი პროცენტის აღიარება:

დებეტი – 8205-06 პროცენტული ხარჯები ბანკებიდან აღებული სესხების მიხედვით

კრედიტი – 4404 გადასახდელი პროცენტები ბანკების სესხების მიხედვით

3. გადასახდელი პროცენტების დარიცხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებზე:

ა. დებეტი – (2611) სავალუტო პოზიცია – თანხა უცხოურ ვალუტაში

კრედიტი – (4416) გადასახდელი პროცენტები უცხოურ ვალუტაში

ბ. დებეტი – 8231-34 პროცენტული ხარჯები საფინანსო ორგანიზაციების სესხების მიხედვით უცხოურ ვალუტაში (თანხა ლარებში)

კრედიტი – (2601) სავალუტო პოზიციის კონტრაფასი – ლარებში

- ბ. ეროვნული ბანკიდან აღებულ სესხებზე გადასახდელი პროცენტების დარიცხვა:

**დებეტი – 9039 საპროცენტო ხარჯები ეროვნული ბანკიდან აღებული
სესხების მიხედვით**
კრედიტი – 4404 გადასახდელი პროცენტები

შეიძლება მოხდეს აღებული სესხის პროცენტის კაპიტალიზაცია თუ სესხის აღება ხდება რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის შესაძენად, ასაშენებლად ან საწარმოებლად. განსაკუთრებული აქტივი ისეთი სასაქონლო-მატერიალური ქონებაა, რომელთა სათანადო დანიშნულების მიზნით გამოყენებისათვის მომზადება მოითხოვს დროის დიდ პერიოდს.

5.4. ვადაგადაცილებული სესხების აღრიცხვა

გაცემული სესხი ვადაგადაცილებულად ითვლება თუ დავალიანება დაფარული არ არის საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. როდესაც სესხი კლასიფიცირდება როგორც ვადაგადაცილებული, კლიენტის სესხის თანხა გადაიტანება ვადაგადაცილებული სესხების ბუღალტრულ ანგარიშებზე, რომელიც მოცემულია ანგარიშთ გეგმის მე-19 კლასში - „ვადაგადაცილებული სესხები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში“. ამასთან, ბუღალტრული ანგარიშები კლასიფიცირებულია კლიენტების სამართლებრივი ფორმების მიხედვით, როგორც ესაა სასესხო ანგარიშების დროს.

სესხების გადატანა ვადაგადაცილებული სესხების ანგარიშზე ხდება ვადის გასვლიდან ერთი თვის შემდეგ და აღირიცხება:

**დებეტი – 1901 სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის მიცემული სესხების
ვადაგადაცილებული დავალიანება**

**დებეტი – 1902 სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისათვის
მიცემული სესხების ვადაგადაცილებული დავალიანება და ა.შ.**

კრედიტი – გაცემული სესხების შესაბამისი ანგარიშები

თუ გაირკვა, რომ კლიენტს სესხის დაბრუნება შეუძლია, მაშინ თანხა აღდგება მსესხებელთა ანგარიშზე შებრუნებული გატარებით.

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის მისაღები, მაგრამ გადაუხდელი პროცენტის თანხაზე შედგება ბუღალტრული გატარება:

დებეტი – მისაღები პროცენტები სესხების მიხედვით

კრედიტი – საპროცენტო შემოსავალი

პროცენტის თანხის გადახდის 30 დღით დაგვიანების შემთხვევაში პროცენტები ჩამოიწერება შებრუნებული გატარებით და იმავდროულად თანხა გადაიტანება არასისტემურ აღრიცხვაში.

ვადაგადაცილებულ სესხებზე ყოველდღიურად ერიცხება ჯარიმა, ამჟამად 0,5%. ვადაცილებულ პროცენტზე ჯარიმა არ ერიცხება.

სესხის დაფარვის ვადა 150 დღეს თუ გადაცილდება, იგი ითვლება უიმედი სესხად და მოხდება მისი ჩამოწერა.

გაცემულ სესხებზე გადაუხდლობის რისკის არსებობის გამო, კომერციული ბანკები ქმნიან სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვს, რომელიც აღირიცხება ამავე სახელწოდების – 4101 ანგარიშზე. იგი პასიური ანგარიშია. მას ყოველთვის კრედიტის ნაშთი აქვს. მისი ნაშთი აკლდება გაცემულ სესხებს ბალანსში და გამოითვლება წმინდა სესხები.

შესაძლო დანაკარგების რეზერვის შექმნის, გამოყენებისა და წარმოების წესი რეგულირდება ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული დებულებით. რეზერვის შექმნა აღიარებული უნდა იქნეს, როგორც ხარჯი.

უიმედო სესხების რეზერვის შექმნა აღირიცხება შემდეგნაირად:

დებეტი – (8501) ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით
კრედიტი – (4101) სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი

რეზერვის შემცირება გატარდება შებრუნებული გატარებით. ხოლო, უიმედო სესხის ჩამოწერა აღრიცხება:

დებეტი – 4101 სესხების დანაკარგების რეზერვი
დებეტი – 8501 ზარალი უიმედო სესხების ჩამოწერიდან (თუ რეზერვი საკმარისი არ აღოჩნდა)
კრედიტი – 1901-05 ვადაგადაცილებული სესხები

მისაღები ჯარიმების დარიცხვა:

დებეტი – 2501 დებიტორები
კრედიტი – 7065 შემოსავლები მიღებული ჯარიმებიდან

ჯარიმის თანხის მიღება:

დებეტი – 1003 ან 1052 ფულადი სახსრები
კრედიტი – 2501 დებიტორები

5.5. ეროვნული ბანკიდან აღებული სესხების აღრიცხვა

ლომბარდული კრედიტი არის ეროვნული ბანკის მიერ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გირავნობის ქვეშ გაცემული სესხები. მხარეები ვალდებული არიან ფასიანი ქაღალდების რეესტრში და სუბრეესტრში აწარმოონ შესაბამისი ჩანაწერები ფასიანი ქაღალდების გირავნობის გადაცემისა და მიღების თაობაზე. ეს სესხი გაიცემა ეროვნული ბანკის შეხედულებისამებრ.

ეროვნულ ბანკს უფლება აქვს კრედიტის გაცემაზე უარი განაცხადოს. კრედიტი გაიცემა ერთიდან შვიდი დღით. იშვიათად ერთი თვით.

გასაცემი კრედიტის მოცულობას ეროვნული ბანკი ითვლის შემდეგი ფორმულით:

$$L = [N : (1 + i/100) * d/365] / CF ; \text{ სადაც,}$$

N - არის ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება

i - არის მიმოქცევის უმცირესი ვადის მქონე სახაზინო ვალდებულებების ბოლო აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი

d - დღეების რაოდენობა ფასიანი ქაღალდების დაფარვის დღემდე

CF - დაფარვის ფაქტორის კოეფიციენტი, რომელიც რისკისაგან დაცვის მიზნით ერთზე მეტი უნდა იყოს და შეადგენს 1,10. შეიძლება შეიცვალოს კიდევ.

ლომბარდული კრედიტისათვის გადასახდელი საპროცენტო განაკვეთის სიდიდე ეროვნული ბანკის მიერ გაზრდილია 5%-ული პუნქტით (I + 5).

გადასახდელი პროცენტული თანხა შემდეგნაირად გაიანგარიშება:

$$A = [(i+5) / 100 * (\text{სესხის დაფარვის ვადა}/365)] * L$$

ლომბარდული კრედიტი ერთი დღის განმავლობაში ჩაირიცხება კომერციული ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე. თუკი კომერციული ბანკი ლომბარდულ კრედიტსა და მის პროცენტს შეთანხმებულ დროში ვერ დაფარავს, ფასიანი ქაღალდები გადადის ეროვნული ბანკის საკუთრებაში.

კომერციული ბანკის მიერ ლომბარდული სესხის გადაუხდელობისას, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, სესხის დაფარვის ვადის დადგომის დღიდან, გირაოთი აღებული ფასიანი ქაღალდების დაფარვის დღემდე, მოახდინოს სესხის პროცენტის გაზრდა სამი პუნქტით და პირგასამტეხლო მიიღოს ყოველ დაგვიანებულ დღეზე, თანხის 0,5%. ეროვნული ბანკი გაყიდის ფასიან ქაღალდებს და თუ მიღებული შემოსავალი სესხზე ნაკლები აღმოჩნდა, სხვაობა კომერციულმა ბანკმა უნდა დაფაროს.

ლომბარდული კრედიტის აღება აღრიცხება:

- ა). დებეტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში
კრედიტი – 3881 ეროვნული ბანკის სესხები
- ბ). დებეტი – 0204 გირავნობის უზრუნველყოფის სახით მიცემული აქტივები
კრედიტი – 0999 ტექნიკური ანგარიში

სესხების დროულად დაფარვის ბოლო დღეს გაკეთდება შებრუნებული გატარებები.

კომერციულმა ბანკმა სესხი თუ ვერ გადაუხადა ეროვნულ ბანკს, მაშინ, ჩამოიწერება ეროვნულ ბანკში ჩადებული ფასიანი ქაღალდები:

- ა). დებეტი – 0999
კრედიტი – 0204
- ბ). დებეტი – ეროვნული ბანკის სესხები
კრედიტი – 1401 ან 1501 ფასიანი ქაღალდები

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. აღრიცხეთ შეთანხმების დადება კლიენტთან სესხის გაცემაზე;
2. აღრიცხეთ სესხებიდან მისაღები პროცენტის დარიცხვა;
3. აღრიცხეთ სესხის გაცემა უცხოურ ვალუტაში;
4. აღრიცხეთ ლომბარდული კრედიტის აღება კომერციული ბანკის მიერ;
5. აღრიცხეთ გადაგადაცილებილი სესხების აღიარება.
6. რას ნიშნავს ანუიტეტი;
7. აღრიცხეთ უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხზე გადასახდელი პროცენტის დარიცხვა.

თავი 6. ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა



ფასიანი ქაღალდები არის მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია წილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქაღალდების სახით, ან რომლებიც შეიძლება გარდაიქმნან ასეთებად ან არიან ასეთი უფლებების მატარებლები.

ფასიანი ქაღალდების ემისიას, მიმოქცევას და მათთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ. ფასიანი ქაღალდების ემისიის ლიცენზიას იძლევა საქართველოს ეროვნული ბანკი, დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ფასიანი ქაღალდების აღრიცხვის საკითხებს არეგულირებს ფასს-7- „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“, ბასს 32 – ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა; ბასს 39 - „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“.

ფასიანი ქაღალდები ბანკმა შეიძლება სხვა კომპანიებიდან შეისყიდოს ან თავად გამოუშვას ისინი.

მოცემულ თავში განხილულია შემდეგი საკითხები:

- დილინგური ოპერაციებისათვის ნაყიდი აქციების აღრიცხვა;
- შესყიდული ობლიგაციების აღრიცხვა ფასნამატით და ფასდაკლებით;
- ობლიგაციების გამოშვების აღრიცხვა.

6.1. დილინგური ოპერაციებისათვის ნაყიდი აქციების აღრიცხვა

აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელსაც მისი მფლობელისათვის მოაქვს შემოსავალი დივიდენდის სახით.

კომერციულმა ბანკებმა შეიძლება შეისყიდონ სხვა კომპანიის აქციები დილინგური ოპერაციებისათვის ანუ ყიდვა-გაყიდვის მიზნით, ან სხვა საწარმოს საწესდებო კაპიტალში წილის მოპოვების მიზნით.

არსებობს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები.

ჩვეულებრივი აქცია ისეთი აქციაა, რომელზეც არაა დაწესებული დივიდენდის უცვლელი საპროცენტო განაკვეთი. მისი დივიდენდის სიდიდე დამოკიდებულია აქციის გამომშვები კომპანიის მოგებაზე. მაღალი მოგების შემთხვევაში განაწილებული იქნება მაღალი დივიდენდი და პირიქით. ამიტომ, ჩვეულებრივი აქციის მფლობელები მონაწილეობენ აქციის გამომშვები კომპანიის მართვაში და აქვთ ხმის უფლება.

პრივილეგირებულ აქციებზე დაწესებულია დივიდენდის უცვლელი საპროცენტო განაკვეთი და იგი დამოკიდებული არაა აქციის გამომშვების მოგების სიდიდეზე. მათ აქვთ გარანტირებული დივიდენდი და ამიტომ, არ მონაწილეობენ აქციის გამომშვები კომპანიის მართვაში. ჩვეულებრივი აქციების მფლობელების მოთხოვნები დაკმაყოფილდება მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილდება პრივილეგირებულ აქციების მფლობელთა მოთხოვნები.

აქციებს გააჩნიათ ნომინალური ღირებულება და შესყიდვის ფასი. ნომინალური ღირებულება არის ის, რაც აწერია აქციის ბლანკს. თუ აქციის ბლანკზე ნომინალური ღირებულება დაფიქსირებული არაა, მაშინ ნომინალურ ღირებულებად ითვლება გამოცხადებული ფასი.

აქციების შესყიდვა შეიძლება მოხდეს როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში. აქცია შეიძლება იყოს მოკლევადიანი (ერთ წლამდე) ან გრძელვადიანი (ერთი წლის ზემოთ).

არაფიქსირებული შემოსავლის მქონე აქციები, როგორც წესი, ჩვეულებრივ აქციებს წარმოადგენენ. ისინი, ისეთი სახის ნაყიდი აქციებია, რომელთა თავისუფალი გაყიდვის უფლება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ნებადართულია ამ აქციების გამომშვების მიერ და აღირიცხება ანგარიშზე – 1501 - „აქციები“ (ეროვნულ ვალუტაში) და 1511 - „აქციები უცხოურ ვალუტაში“. ოპერაციები ამ ანგარიშებზე ტარდება გარიგების დადების თარიღისათვის, მიუხედავად იმისა, როდის მოხდება ფასიანი ქაღალდების მიწოდება ან თანხის გადახდა.

აქციის შესყიდვის ღირებულებაში შედის მისი ნომინალური ღირებულება, დარიცხული, მაგრამ ჯერ გაუცემელი შემოსავალი (დივიდენდი) შესყიდვის თარიღისათვის იმ შემთხვევაში, თუ აქციას აქვს დეკლარირებული შემოსავალი და ყიდვასთან დაკავშირებული სხვადასხვა ხარჯები.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ფასიანი ქაღალდების ღირებულების ცვლილების შესაბამისად, ბანკმა უნდა მოახდინოს 1501 („აქციები“) ანგარიშზე აღრიცხული ნაყიდი აქციების ღირებულების გადაფასება. დილინგური დანიშნულების აქციები უნდა გადაფასდეს თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. გადაფასების შედეგად მიღებული სხვაობა მიეკუთვნება ხარჯებს ან შემოსავლებს.

იმ შემთხვევაში, თუ საბაზრო ღირებულება აქციის საბალანსო ღირებულებაზე მეტია, ბანკმა უნდა აღიაროს მოგება. თუ საბაზრო ფასი აქციის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები აღმოჩნდა, აღიარდება ზარალი.

აქციების გაყიდვის დროს ანგარიშში 1501 (აქციები) უნდა დაკრედიტდეს აქციების საბალანსო ღირებულებით. რეალურად გაყიდული ფასის ტოლი თანხები ფულადი სახსრების ანგარიშებზე აღირიცხება. ხოლო, სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის ფასს შორის, აღიარებულ იქნება მოგებად ან ზარალად.

მაგალითი:

შესყიდულია ჩვეულებრივი აქციები თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის უფლებით ანუ დილინგური ოპერაციებისათვის - 10 000 ლარად.

დებეტი - 1501 აქციები - 10 000 ლ

კრედიტი - 1052 საკორესპოდენტო ანგარიში - 10 000 ლ

წლის ბოლოს მოხდა აქციების გადაფასება და საბალანსო ღირებულება 3%-ით გაიზარადა.

დებეტი - 1501 აქციები - 300 ლ

კრედიტი - 6601 შემოსავლები აქციებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით - 300 ლ

მომდევნო წელს მოხდა აქციების ხელმეორედ გადაფასება და საბალანსო ღირებულება შემცირდება 5%-ით. (10300-ის 5% = 515 ლ)

დებეტი - 8601 ზარალი აქციებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით 515 ლ

კრედიტი - 1501 აქციები - 515 ლ

ბანკმა აქციები გაყიდა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე - 9000 ლარად

დებეტი - 1003 სალარო - 9 000 ლ

დებეტი - 8601 ზარალი აქციებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით - 785 ლ

კრედიტი - 1501 აქციები - 9 785 ლ (საბალანსო ღირებულებით: 9785 - 9000)

თუ ბანკი იყიდის ვადიან აქციებს ისეთი პირობით, რომელთა თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის უფლებას აქციის გამომშვები არ იძლევა და რომელთაც, გარკვეული დროის შემდეგ, გამომშვები უკან შეისყიდის ნომინალური ღირებულებით, მაშინ, აქციების შესყიდვის დროს, შესყიდული აქციების ბუღალტრულ ანგარიშზე (1501), ნაყიდი აქციები აღირიცხება შესყიდვის ფასით, საიდანაც, სხვაობის თანხა შესყიდვის ფასსა და აქციის ნომინალურ ღირებულებას შორის, ჩამოიწერება წრფივი მეთოდით, აქციის ვადის განმავლობაში. თუ აქციები ნაყიდი იქნება ნომინალურზე მაღალი ფასით, მაშინ სხვაობის თანხა ჩამოიწერება არასაოპერაციო ხარჯებში. ხოლო, ნომინალურზე დაბალი ფასით აქციების შესყიდვის შემთხვევაში, სხვაობის თანხა აისახება შემოსავლებში (6601 – შემოსავალი დილინგური ოპერაციებიდან).

მაგალითი:

1. 5000 ლარის ნომინალური ღირებულების აქციები შესყიდულია 5500 ლარად, ხუთი წლით. ვადის გასვლის ბოლოს აქციების გამომშვები შეისყიდის მათ ნომინალური ღირებულებით.

დებეტი – (1501) აქციები – 5500 ლ
კრედიტი – (1052) საკორესპოდენტო ანგარიში – 5500 ლ

2. ხუთი წლის განმავლობაში, ყოველი წლის ბოლოს ჩამოიწერება სხვაობის თანხის მესხუთედი (500/5), წრფივი მეთოდით, და აღიარდება ხარჯად:

დებეტი – (9069) ხარჯები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით – 100 ლ
კრედიტი – (1501) აქციები – 100 ლ

ამდენად, ხუთი წლის ბოლოს, აქციების აღმრიცხველ ანგარიშზე (1501) ნაყიდი აქციების ღირებულება დავა ნომინალურ ღირებულებამდე და აქციების გამომშვების მიერ მათი უკან შესყიდვის დროს, ნომინალური ღირებულებაც ჩამოიწერება, რითაც, აქციების აღმრიცხველი ანგარიში ხუთი წლის ბოლოს დაიხურება:

დებეტი – (1003) სალარო ან (1052) საკორესპოდენტო ანგარიში – 5000 ლ
კრედიტი – (1501) აქციები – 5000 ლ

ისეთი ნაყიდი აქციების აღსარიცხავად, რომელიც წარმოადგენს სხვა კომპანიების სააქციო კაპიტალში, მოცემული ბანკის წილს, აღირიცხება ინვესტიციების ბუღალტრულ ანგარიშებზე (2001-03 ან 2011-13) რომელსაც ცალკე განვიხილავთ.

6.2. ინვესტიციების აღრიცხვა

ინვესტიცია არის ფულის დაბანდება სხვა კომპანიის საკუთარ კაპიტალში წილის მოპოვებისა და სარგებლის მიღების მიზნით.

ინვესტიცია შეიძლება იყოს ფინანსური, რომელიც დაბანდება ფასიან ქაღალდებში (აქციებში) და რეალური, რომელიც არსებობს საინვესტიციო ქონების ანუ უძრავი ქონების სახით. აქ გნვიხილავთ ფინანსურ ინვესტიციებს.

მოკლევადიანი ინვესტიციები ძირითადად სწრაფად რეალიზებადი მიზნებისათვის გამოიყენება და გათვალისწინებულია ერთ წლამდე შესანარჩუნებლად.

გრძელვადიანი ანუ ერთ წელზე მეტი ვადის ინვესტიციები, ინვესტირებულ საწარმოში ბანკის მიერ მოპოვებული უფლებების ხარისხის მიხედვით შეიძლება იყოს:

ა) ინვესტიციები, რომლებიც შეადგენს 20 პროცენტზე ნაკლებს სხვა კომპანიების საწესდებო კაპიტალში;

ბ) ინვესტიციები, რომლებიც შეადგენს 20-50 პროცენტს სხვა კომპანიების საწესდებო კაპიტალში

გ) ინვესტიციები, რომლებიც შეადგენს 50 პროცენტზე მეტს სხვა კომპანიების

საწესდებო კაპიტალში

ბასს 28 – „ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში“ – განმარტავს, რომ თუ ინვესტორს ეკუთვნის მეკავშირე საწარმოში 20% და მეტი ხმის უფლება, ითვლება, რომ ინვესტორს გააჩნია მწმენელოვანი ზეგავლენის უფლება.

ინვესტიციები ბანკმა შეიძლება განახორციელოს როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში ქვეყნის შიგნით და გარეთ. ინვესტირება შეიძლება მოხდეს შვილობილ ან სხვა საწარმოებში.

ინვესტორი ბანკი ყოველთვის დგას რისკის წინაშე, რადგან არ არსებობს ისეთი ფასიანი ქაღალდი, რომელსაც ერთდროულად გააჩნია ინვესტიციის ყველა თვისება: უსაფრთხოება, შემოსავლის სტაბილურობა და ლიკვიდურობა.

ამიტომ, ბანკები სერიოზულად სწავლობენ ინვესტიციების რისკის ხარისხს. რისკების შემცირება შეიძლება ინვესტიციების დივერსიფიკაციის გზით, რაც ნიშნავს ინვესტიციების გადანაწილებას სხვადასხვა სახის ფასიან ქაღალდებში.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით მიღებული მეთოდის მიხედვით, ინვესტიციების შეფასება თავდაპირველად უნდა მოხდეს შეძენის რეალური ღირებულებით. პერიოდულად უნდა განხორციელდეს მათი გადაფასება, ხოლო ყოველწლურად ჩატარდეს ტესტირება გაუფასურებაზე. თუ ბანკს გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენის უფლება მეკავშირე ან შვილობილ კომპანიაში, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს კაპიტალ-მეთოდი.

კაპიტალ-მეთოდი ისეთი სააღრიცხვო მეთოდია, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე საწარმოს მოგება/ზარალში, ინვესტორის წილის შეძენის შემდგომი ცვლილების შესაბამისად, შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში. ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგება/ზარალში აღიარდება ინვესტორის მოგება/ზარალში. ინვესტორის მიერ მეკავშირე საწარმოდან დივიდენდების ან სხვა გასანაწილებელი თანხების მიღება, ამცირებს ინვესტიციის მიმდინარე საბალანსო ღირებულებას. ინვესტიციების მიმდინარე საბალანსო ღირებულების ცვლილება შეიძლება აგრეთვე გამოიწვიოს მეკავშირე საწარმოს კაპიტალის ისეთმა ცვლილებამ, რომელიც ასახული არ იყო მის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. ასეთი ცვლილება წარმოიშობა ძირითადი საშუალებების გადაფასებით, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული საკურსო სხვაობით. ინვესტორის წილი ამ ცვლილებებში, პირდაპირ აისახება ინვესტორის კაპიტალში (მოგება/ზარალში).

ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმით, ინვესტიციების აღსარიცხავად როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში, გამოყოფილია სამი ტიპის ანგარიშები, საინვესტიციო წილის დონეების მიხედვით:

2001 – ინვესტიციები, რომლებიც შეადგენს 20 პროცენტზე ნაკლებს საწარმოთა საწესდებო კაპიტალში;

2002 – ინვესტიციები, რომლებიც შეადგენს 20-50 პროცენტს საწარმოთა საწესდებო კაპიტალში;

2003 – ინვესტიციები, რომლებიც შეადგენს 50 პროცენტზე მეტს საწარმოთა საწესდებო კაპიტალში;

ეს ბუღალტრული ანგარიშები აქტიური ანგარიშებია. მათ დებეტში აღრიცხება ფინანსური ინვესტიციების შექმნა ფასიანი ქაღალდების თვითღირებულებით, რომელიც არის მისი შესყიდვის რეალური ღირებულება.

ინვესტიციების შესყიდვა:

დებეტი – ინვესტიციები (რეალური ღირებულებით)

კრედიტი – საკორესოდენტო ანგარიში ან სხვა აქტივი

ვინაიდან ინვესტიციები გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული, უნდა შეიქმნას ინვესტიციების დანაკარგების რეზერვი, რომლის აღიციხვისათვის გამოიყენება ანგარიში 4107 - „ინვესტიციების გაუფასურების და შესაძლო დანაკარგების რეზერვი“. 8509 - ზარალი დანარჩენი აქტივების შესაძლო დანაკარგების – ანგარიშის დებეტში და, კრედიტი – 4107 დანარჩენი აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (იქმნება ეროვნულ ვალუტაში).

6.3. ნაჟიდი ობლიგაციების აღრიცხვა

ობლიგაცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც მის მფლობელს აძლევს საპროცენტო შემოსავალს.

ობლიგაცია შეიძლება გამოუშვას სახელმწიფომ, ეროვნულმა ბანკმა, კომერციულმა ბანკმა ან სხვა კერძო კორპორაციამ.

ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულება 1000 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს. ობლიგაციის წლიურ საპროცენტო განაკვეთს ეწოდება კუპონი. იმ ობლიგაციებს, რომელზეც დადგენილია უცვლელი საპროცენტო განაკვეთი, კუპონური ობლიგაციები ეწოდება. ობლიგაციის შესყიდვა, ფაქტობრივად სესხის გაცემას ნიშნავს. ამიტომ მათ აგრეთვე სავალო ფასიან ქაღალდებს უწოდებენ.

ობლიგაციები შეიძლება შესყიდული იქნეს ნომინალურზე მაღალი ან დაბალი ფასით. თუ ობლიგაცია იყიდება ნომინალურზე მაღალი ფასით, მაშასადამე, **ობლიგაცია გამოშვებულია პრემიით**. თუ ობლიგაცია იყიდება ნომინალურ ღირებულებაზე დაბალი ფასით, მაშინ **ობლიგაცია გამოშვებულია დისკონტით**.

ობლიგაციის პრემია მისი გამომშვებისათვის (ემიტენტისათვის) მოგებაა, მყიდველისთვის კი ზარალი. **ობლიგაციის დისკონტი** მისი გამომშვებისათვის ზარალია, მყიდველისათვის კი მოგება.

ეროვნული ბანკი ადგენს სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვებისა და გაყიდვის წესებს. ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულება უნდა იყოს 1000 ლარი და არამატერიალური ფორმით გამოიცემა (ანუ ობლიგაციის ბლანკები არ იბეჭდება). ასევე, იგი ადგენს გასაყიდი ობლიგაციების რაოდენობას, ერთი მყიდველის მიერ ობლიგაციების შესყიდვის მაქსიმალურ რაოდენობას, პროცენტის მაქსიმალურ დონეს. ფინანსთა სამინისტრო კი ობლიგაციის ყოველ გამომშვებას ანიჭებს სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერს.

ეროვნული ბანკი ობლიგაციებს ყიდის აუქციონზე და სამი დღით ადრე ატყობინებს კომერციულ ბანკებს. ობლიგაცია იყიდება საანგარიშსწორებო ფასით, რომელსაც ეროვნული ბანკი დადგენილი ფორმულის საფუძველზე ითვლის.

კომერციულმა ბანკებმა ობლიგაციები შეიძლება შეისყიდონ ნომინალურზე მაღალი ფასით ანუ პრემიით, რაც მისთვის ხარჯს წარმოადგენს. ან შესყიდვა მოხდეს ნომინალურზე დაბალი ფასით ანუ დისკონტით, რაც მისთვის შემოსავალია.

ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმით, ცალ-ცაკლე იხსნება სახელმწიფო (კლასი 14) და კორპორაციული (ანუ კერძო სექტორის – კლასი 16) ობლიგაციების აღრიცხვის ანგარიშები. ნაყიდი ობლიგაციები შეიძლება აღირიცხოს როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში.

ნაყიდი ობლიგაციების აღმრიცხველი ანგარიშები აქტიური ანგარიშებია. მათ დებეტში აღირიცხება ნაყიდი ობლიგაციები ნომინალური ღირებულებით, ხოლო სხვაობა ნომინალურ და შესყიდვის ფასს შორის ცალკე აღირიცხება, ან „დისკონტის“ (1401 ან 1601) ანგარიშებზე, რომლებიც პასიური ანგარიშებია, რადგან „დისკონტი“ მყიდველი ბანკისთვის შემოსავალს ნიშნავს და/ან „პრემიის“ ანგარიშზე, რომელიც აქტიური ანგარიშია, რადგან მყიდველი ბანკისთვის იგი ხარჯს ნიშნავს.

ობლიგაციის ვადის განმავლობაში ხდება დისკონტის (ან პრემიის) თანხის ჩამოწერა ანუ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით იმდენჯერ, რამდენჯერაც ხდება პროცენტის მიღება.

1. ობლიგაციის შესყიდვა ფასნამატივით, აღირიცხება:
დებეტი – 1403 ან 1603 ობლიგაციები - ნომინალური ღირებულებით
დებეტი – 1405 ან 1605 ობლიგაციის პრემია – სხვაობის თანხა
კრედიტი – ფულადი სახსრები ან კრედიტორები
2. ობლიგაციის პრემიის თანხის ჩამოწერა (ამორტიზაცია):
დებეტი – 8121 ან 8613 ფასიანი ქაღალდების პრემია
კრედიტი – 1405 ან 1605 ობლიგაციების პრემია
3. მისაღები პროცენტის დარიცხვა:
დებეტი – 2406 ან 2407 მისაღები პროცენტები
კრედიტი – 6062, 6602 ან 6603 შემოსავალი ობლიგაციებიდან
4. ობლიგაციის შესყიდვა ფასდაკლებით ანუ დისკონტით:
დებეტი – 1401 ან 1601 დისკონტური ობლიგაციები- ნომინალური ღირებულებით
კრედიტი – 1402 ან 1602 ფასიანი ქაღალდების დისკონტი-სხვაობის თანხით
კრედიტი – ფულადი სახსრები ან კრედიტორები
5. დისკონტის თანხის ჩამოწერა ანუ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით:
დებეტი – 1402 ან 1602 ობლიგაციის დისკონტი
კრედიტი – 6601, 6602 ან 6603 შემოსავალი ფასიანი ქაღალდების მიხედვით
6. ობლიგაციების გაყიდვა ნომინალური ღირებულებით:
დებეტი – ფულადი სახსრები
კრედიტი – ნაყიდი ობლიგაციების შესაბამისი ანგარიშები

თუ ნაყიდი ობლიგაციების გაყიდვა მოხდება ვადის დადგომამდე, მაშინ აღიარებული იქნება მოგება ან ზარალი გაყიდვის პირობების შესაბამისად.

მაგალითი:

კომერციული ბანკის მიერ შესყიდულია სამწლიანი სახელმწიფო კუპონური ობლიგაცია 60000 ლარად, რომლის ნომინალური ღირებულებაა 58800 ლარი, წლიურად 15%-იანი სარგებლით.

1. დებეტი – 1403 სახ. სავალო კუპონური ფასიანი ქაღალდები – 58 800
დებეტი – 1405 ფასიანი ქაღალდების პრემია – 1 200
კრედიტი – 1062 საკორესპოდენტო ანგარიში

2. წლის ბოლოს ჩამოწერილია ობლიგაციების პრემია – 400 (1200–ის მესამედი)

დებეტი – 8121 სახ. კუპ.ფასიანი ქაღალდების პრემიის ხარჯი – 400 ლ
კრედიტი – 1405 ფასიანი ქაღალდების პრემია – 400 ლ

3. დარიცხულია ობლიგაციებიდან მისაღები პროცენტი – 58800-ის 15%

დებეტი – 2406 მისაღები პროცენტები – 8 820 ლ
კრედიტი – 6062 შემოსავალი სავალ ფასიანი ქაღალდებიდან – 8 820 ლ

4. პროცენტის თანხის მიღება:

დებეტი – 1003 ან 1052 ფულადი სახსრები – 8 820 ლ
კრედიტი – 2406 მისაღები პროცენტები – 8 820 ლ

სამი წლის განმავლობაში განმეორდება მეორე, მესამე და მეოთხე ოპერაცია. სამი წლის ბოლოს ნაყიდი ობლიგაციების პრემიის ანგარიში(1405) დაიხურება. თვით ობლიგაციებს კი უკან შეისყიდის მისი გამომშვები ნომინალური ღირებულებით და შედგება შემდეგი ბუღალტრული მუხლი:

დებეტი – 1003 ან 1052 ფულადი სახსრები – 58 800 ლ
კრედიტი – 1403 ობლიგაციები – 58 800 ლ

ამ გატარებით ობლიგაციების აღმრიცხველი ბუღალტრული ანგარიში დაიხურება.

6.4. ბამოშვებული ობლიგაციების აღრიცხვა

კომერციულმა ბანკმა შეიძლება თავად გამოუშვას ობლიგაციები, რომელიც ნიშნავს ბანკის ვალდებულებებს გამომშვებული ობლიგაციის მყიდველების ანუ მფლობელების მიმართ.

გამომშვებული ობლიგაციების რეკვიზიტებია: გამომშვების (ემიტენტის) დასახელება, სესხის თანხა ანუ ნომინალური ღირებულება, პროცენტის წლიური განაკვეთი ანუ კუპონი, პროცენტის გადახდის პერიოდულობა და ძირითადი თანხის ანუ ნომინალური ღირებულების დაფარვის ვადა.

რაიმე დამატებით პირობებზე შეიძლება დაიდოს ხელშეკრულება ობლიგაციის გამომშვებსა და მყიდველებს შორის.

ცნობილია **სხვადასხვა ტიპის ობლიგაციები**. ესენია:

1. **სახეების მიხედვით:** ჩვეულებრივი ანუ კლასიკური (პროცენტის მიღება ხდება ყოველწლიურად, ძირითადი ღირებულებისა კი ვადის გასვლის ბოლოს), მომგებიანი (რომელთა გათამაშება ხდება), კონვერტირებადი (ანუ აქციებზე შეიძლება გაიცვალოს ფიქსირებული ფასით), დაბრუნებადი (ვადაზე ადრე შეიძლება დაიბრუნოს ემიტენტმა, რაზეც ორმოცი დღით ადრე უნდა აცნობოს ობლიგაციის მფლობელებს);

2. **დაზღვევის მიხედვით:** უზრუნველყოფილი ანუ დაზღვეულია გამომშვების ქონებით და არაუზრუნველყოფილი, რომელიც უზრუნველყოფილია მხოლოდ „პატიოსანი სიტყვით“;

3. **საპროცენტო განაკვეთების გადახდის მიხედვით:** ფიქსირებული ანუ კუპონური; „მცოცავი“ – რომლის საპროცენტი განაკვეთი რაღაც ინტერვალში მოძრაობს; ნულოვანი – როცა ობლიგაცია გაიყიდება ნომინალურ ღირებულებაზე დაბლა (დისკონტით), შეიძლება პროცენტი საერთოდ აღარ ჰქონდეს, რადგან გამომშვები, ობლიგაციებს უკან, ნომინალური ღირებულებით შეისყიდის;

4. **დაფარვის თანმიმდევრობის მიხედვით:** უმაღლესი ვალდებულების ანუ პირველ რიგში დასაფარი და სუბორდინაციული ანუ მეორე რიგში დასაფარი;

5. **გამოშვების დაფარვის მიხედვით:** ფიქსირებული ანუ იფარება ერთბაშად და სერიული ანუ იფარება ნაწილ-ნაწილ რამდენიმე წლის განმავლობაში;

6. **მფლობელთა რეგისტრაციის მიხედვით:** რეგისტრირებული - რომელთა მფლობელები ემიტენტის მიერ რეგისტრირებულია და მათი ვინაობა აღნიშნულია ობლიგაციაზე. და კუპონური – მასზე მყიდველის ვინაობა აღნიშნული არაა. ობლიგაციას აქვს სპეციალური მოსახვევი კუპონი, რომელზეც აღნიშნულია ყველა მისაღები პროცენტის თანხა და თარიღი. კუპონის განადგება ხდება ემიტენტის (გამომშვების) მიერ.

გამომშვებული ობლიგაციების გაყიდვა შეიძლება მოხდეს ნომინალურზე მაღალი ფასით ანუ პრემიით, რაც ემიტენტისათვის შემოსავალია, ან ნომინალურზე დაბალი ფასით ანუ დისკონტით, რაც გამომშვებისათვის ხარჯია.

თუ გამომშვებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა 50000 ლარი და გაიყიდა 51000 ლარად, მაშასადამე პრემიაა 1000 ლარი. თუ ობლიგაციები გაიყიდებოდა 38000 ლარად, მაშინ დისკონტის თანხაა 2000 ლარი, რაც ზარალს ნიშნავს.

გამომშვებული ობლიგაციების ბუღალტრული აღრიცხვისათვის, ანგარიშთა გეგმით გათვალისწინებულია ვალდებულებების აღმრიცხველი ანგარიშები 38-ე კლასის მიხედვით, ეროვნულ ვალუტაში:

3801 – „საკუთარი სავალო დისკონტური ფასიანი ქაღალდები“ - იგი პასიური ანგარიშია. ეს ანგარიში გამოიყენება ბანკის მიერ ბაზარზე გამომშვებული ფიქსირებული ვადის მქონე ობლიგაციების (ან თამასუქების) აღსარიცხავად, რომელიც იყიდება დისკონტით. ოპერაციები ანგარიშზე აისახება გარიგების დადების თარიღისათვის მიუხედავად იმისა, თუ როდის გაგზავნეს ფასიანი ქაღალდები ან მიიღეს ფულადი სახსრები. ამ ანგარიშზე ფასიანი ქაღალდები აღმრიცხება ნომინალური ღირებულებით.

3802 – საკუთარი სავალო დისკონტური ფასიანი ქაღალდების კონტრანგარიშ-დისკონტი – იგი აქტიური ანგარიშია. ამ ანგარიშზე აღმრიცხება გამომშვებული ობლიგაციის დისკონტის თანხა ანუ დისკონტის თანხა და შემდეგ, ობლიგაციის ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით ყოველწლიურად ჩამოიწერება ანუ მოხდება დისკონტური პროცენტის დარიცხვა. ობლიგაციის უკან გამოსყიდვის მომენტისათვის, დისკონტის ანგარიში დაიხურება.

3803 – საკუთარი სავალო კუპონური ფასიანი ქაღალდები – იგი პასიური ანგარიშია. ამ ანგარიშზე აღმრიცხება ბანკის მიერ გამომშვებული ობლიგაციები ნომინალური ღირებულებით, რომელზეც გამოცხადებულია პროცენტის ფიქსირებული განაკვეთი.

მაგალითი 1:

განვიხილოთ შემთხვევა, როცა ბანკის მიერ, ორი წლის ვადით გამომშვებული, 30000 ლარის ნომინალური ღირებულების ობლიგაციები გაიყიდა 29000 ლარად. ასეთ შემთხვევაში ობლიგაციები გაყიდულია დისკონტით, რაც გამომშვებზე ბანკისთვის ხარჯია.

ოპერაციები შემდეგნაირად აღმრიცხება:

1. საკუთარი ობლიგაციების გაყიდვა 29000 ლარად
დებეტი - 1052 საკორესპოდენტო ანგარიში – 29 000 ლ
დებეტი – 3802 კონტრანგარიშ – დისკონტი - 1 000 ლ
კრედიტი – 3801 ვალდებულება ფასიანი ქაღალდების გამომშვებით - 30 000 ლ
2. ყოველწლიურად მოხდება დისკონტის თანხის ჩამოწერა – 500 ლ
(1000 ლარის მეორედი)

დებეტი – 8101 საკუთარი ფასიანი ქაღალდების დისკონტის ხარჯი – 500 ლ
კრედიტი – 3802 კონტრ-ანგარიში დისკონტი – 500 ლ

ორი წლის ბოლოს დისკონტის ანგარიში დაიხურება.

3. ბოლოს, მოხდება საკუთარი ობლიგაციების უკან გამოსყიდვა 30000 ლარად:

დებეტი – 3801 საკუთარი ფასიანი ქაღალდები – 30 000 ლ
კრედიტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში – 30 000 ლ

მაგალითი 2:

ბანკის მიერ გამოშვებული 30000 ლარის ნომინალური ღირებულების ორწლიანი კუპონური ობლიგაცია, გაიყიდა 32000 ლარად, წლიურად 15%-იანი განაკვეთით. პროცენტი გადაიხდება წელიწადში ერთხელ, ხოლო ძირითადი თანხა, ვადის გასვლის ბოლოს.

ოპერაციების აღრიცხვა მოხდება შემდეგნაირად:

1. ობლიგაციების გამოშვება და გაყიდვა 32000 ლარად

დებეტი – 1003 ან 1052 ფულადი სახსრები – 32000 ლ

კრედიტი – 3803 საკუთარი ფასიანი ქაღალდები - 32000 ლ

ანგარიშთა გეგმით, გამოშვებული ობლიგაციებისათვის პრემიის ანგარიში ცალკე გამოყოფილი არაა. ამიტომ, აღრიცხვა ხდება მთლიანი გაყიდვის ფასით. ანგარიში 3803 – პასიური ანგარიშია და აღრიცხავს ვალდებულებებს, რომელიც წარმოიშობა ობლიგაციების გამოშვების შედეგად.

2. წლის ბოლოს, გამოშვებული ობლიგაციების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების ანგარიშიდან ჩამოიწერება პრემიის თანხის მეორედი:

დებეტი – 3803 საკუთარი ფასიანი ქაღალდები – 1000 ლ

კრედიტი – 6603 შემოსავალი სავალო ფასიანი ქაღალდებიდან – 1000 ლ

3. გადასახდელი პროცენტის დარიცხვა პირველი წლის ბოლოს –
30000-ის 15% = 4500 ლ

დებეტი – 8102 ხარჯები საკუთარი სავალი ფასიანი ქაღალდების მიხედვით – 4500 ლ

კრედიტი – 4407 გადასახდელი პროცენტები – 4500 ლ

4. პროცენტის გადახდა:

დებეტი – 4407 გადასახდელი პროცენტები – 4500 ლ

კრედიტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში – 4500 ლ


მეორე წელს განმეორდება ბოლო სამი გატარება და გამოშვებული ობლიგაციების პრემიით ანუ ფასნამატით გაყიდვის ღირებულება 3803 ანგარიშზე, დაიყვანება მათ ნომინალურ ღირებულებამდე. ბოლოს, მოხდება საბოლოო ანგარიშსწორება ობლიგაციის მფლობელებთან, მათი უკან გამოსყიდვის გზით:

დებეტი – 3803 ვალდებულება საკუთარი ფასიანი ქაღალდებით – 30000 ლ

კრედიტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში – 30000 ლ

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. როგორ აქციებს ეწოდება ჩვეულებრივი აქციები;
2. როგორ აქციებს ეწოდება პრივილეგირებული აქციები;
3. რომელი ტიპის აქციებია ბანკის აქტივი: საკუთრივ მის მიერ გამოშვებული თუ სხვა კომპანიებისაგან ნაყიდი;
4. რას ნიშნავს ობლიგაციის დისკონტი მისი ემიტენტი ბანკისათვის;
5. რას ნიშნავს ობლიგაციის პრემია მისი მყიდველისათვის.



თავი 7. ოპერაციების აღრიცხვა

უცხოურ ვალუტაში

საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების დროს და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ანგარიშსწორების განხორციელების მიზნით წარმოიქმნება უცხოურ ვალუტაში ოპერაციების აღრიცხვის აუცილებლობა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ორ ჯგუფად იყოფა:

- მიმდინარე სავალუტო ოპერაციები და
 - კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციები
- ამ თავში შეისწავლით მათი აღრიცხვის მეთოდოლოგიას.

7.1 საანბარიშწორებო ოპერაციების აღრიცხვა უცხოურ ვალუტაში

მიმდინარე სავალუტო ოპერაციებს მიეკუთვნება:

- უცხოური ვალუტის მიღება და გაცემა ექსპორტირებული ან იმპორტირებული საქონლის, სამუშაოს ან მომსახურებისათვის ქვეყნის შიგნიდან გარეთ და გარედან შიგნით;
- საბანკო კრედიტების აღება უცხოური ბანკებიდან ან პირიქით;
- პროცენტებისა და დივიდენდების გადმორიცხვა-გადარიცხვის ოპერაციები უცხოეთის ქვეყნებთან;
- ხელფასის და სხვა გასაცემლების გაცემა უცხო სახელმწიფოების მოქალაქეებზე;

კაპიტალის მოძრაობის ოპერაციებს მიეკუთვნება:

- პირდაპირი ინვესტიციები საწარმოთა საწესდებო კაპიტალში, განხორციელებული უცხოური კომპანიების მიერ;
- ფასიანი ქაღალდების შექმნა უცხოელი მოქალაქეების მიერ;
- ფინანსური კრედიტების გაცემა და მიღება სხვა სახელმწიფოებიდან.

უცხოურ ვალუტაში ანგარიშსწორების განხორციელებისათვის, ეროვნული ბანკის დებულებების თანახმად, კომერციული ბანკები ეროვნულ ბანკში ხსნიან საკორესპოდენტო ანგარიშს უცხოურ ვალუტაში (1062) და ბანკებს შორის საკორესპოდენტო ანგარიშებს: „ლოროს“ (3511, 3512 ან 3513)) და „ნოსტროს“ (1712 ან 1713), ასევე უცხოურ ვალუტაში.

თავის მხრივ, ყოველ იურიდულ პირს უფლება აქვს კომერციულ ბანკებში გახსნან ანგარიშები უცხოურ ვალუტაში. საწარმოებს უფლება აქვთ სავალუტო ანგარიში გახსნან სხვადასხვა ბანკში, ნებისმიერი სახის ვალუტაში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

არარეზიდენტებიდან ამონაგების მისაღებად, თანხა ჯერ ჩაირიცხება სატრანზიტო სავალუტო ანგარიშზე და საბოლოოდ კუთვნილი თანხა ჩაირიცხება კლიენტის მიმდინარე სავალუტო ანგარიშზე.

სავალუტო ანგარიშების გახსნა ასევე შეუძლიათ ფიზიკურ პირებს.

ნაღდი უცხოური ვალუტით ანგარიშსწორება ნებადართულია მხოლოდ ფიზიკურ პირებთან. ამ მიზნით კომერციულ ბანკებში სალაროს ანგარიშები იხსნება ცალ-ცალკე ვალუტის სახეების მიხედვით. ამ ანგარიშებზე, განსხვავებით სხვა ტიპის ორგანიზაციების აღრიცხვისაგან, ნაღდი უცხოური ვალუტა, ლარში არ აღირიცხება. არამედ, აღრიცხვა უშუალოდ, შესაბამის უცხოურ ვალუტაში ხდება და პარალელურად გამოიყენება სავალუტო პოზიციისა (2611) და სავალუტო პოზიციის კონტრფასის (2601) ანგარიშები. ამ ანგარიშების გამოყენების მეთოდოლოგია თქვენ ადრე უკვე შეისწავლეთ.

სხვადასხვა ქვეყნის ბანკებს შორის ანგარიშსწორების დროს, როცა ერთი ქვეყნის კომერციული ბანკიდან ფული გადაირიცხება სხვა ქვეყნის ბანკში, დღეს ეს ხდება ფიზიკური ფულის მოძრაობის გარეშე, რომელსაც „წიგნის ფულის“ და ელექტრონული ფულის ერას უწოდებენ.

დავუშვათ, ერთ-ერთმა ქართულმა კომერციულმა ბანკმა, გერმანიის ბანკიდან იყიდა 20000 ევრო, 40000 ლარად. გერმანიაში მყოფი კომერციულ ბანკში გაიხსნება „ნოსტრო“ ანგარიში ევროში, სადაც ჩაირიცხება 20000 ევრო. ხოლო საქართველოში, ქართული კომერციული ბანკი თავისთან ხსნის მომწოდებელი ბანკის სახელზე „ლორო“ ანგარიშს, სადაც ჩაირიცხავს – 40000 ლარს. ერთდროულად შედგება ორი ბუღალტრული მუხლი. არც ევრო და არც ლარი ფიზიკურად არ ტოვებს თავისი ქვეყნის საზღვრებს მაშინაც კი, თუკი ევრო გადმოირიცხება ქართული კომერციული ბანკის ევროს საკორესპოდენტო ანგარიშზე საქართველოში.

- ა). დებეტი – ნოსტრო ევროში – 20 000 ევრო
კრედიტი – ევროს სავალუტო პოზიცია – 20 000 ევრო
- ბ). დებეტი – ევროს კონტრფასი – 40 000 ლ
კრედიტი – „ლორო“ ლარში – 40 000 ლ

თუკი საჭირო გახდება ანგარიშსწორება მოხდეს ვთქვათ გერმანიაში (ან ევროს ზონის სხვა ქვეყნებში) მყოფ კლიენტთან, ამისთვის უკვე გახსნილი – ევროს „ნოსტრო“ ანგარიში იქნება გამოყენებული.

მაგალითი 1.

დავუშვათ, საქართველოს ერთ-ერთმა კომპანია „თოლიამ“, მოახდინა 60000 ლარის ღირებულის საქონლის ექსპორტი გერმანიაში, რომელიც 30000 ევროს ეკვივალენტია.

ასეთ შემთხვევაში, „თოლიას“ მომსახურე ქართული კომერციული ბანკი გერმანულ ბანკში გახსნის „ნოსტრო“ ანგარიშს ევროში და თავისთან, კლიენტის („თოლიას“) მიმდინარე ანგარიშს, ასევე ევროში.

1. „ნოსტრო“ ანგარიშის გახსნა ევროში – 30000 ევრო (ეკვივლენტი 60000 ლარი), კლიენტის მიმდინარე ანგარიშის ხარჯზე:

- დებეტი – 1712 „ნოსტრო“ ევროში, არარეზიდენტ კომ/ბანკში – 30000
- კრედიტი – 3612 კლიენტის მიმდინარე ანგარიში ევროში – 30000

2. გერმანიაში, საქართველოს იმავე კომპანია „თოლიამ“ დაფარა ერთ-ერთი კომპანიის დავალიანება – 5000 ევრო

- დებეტი – 3612 „თოლიას“ მიმდინარე ანგარიში – 5000 ევრო
- კრედიტი – 1712 „ნოსტრო ევროში“ – 5000 ევრო

იმ შემთხვევაში თუკი 25000 ევრო გადმოირიცხა უცხოეთის ბანკიდან, საქართველოს მოცემულ კომერციულ ბანკში, მაშინ:

1. კლიენტის მიმსახურე ბანკში გადმორიცხა – 25000 ევრო
დებეტი – 1062 საკორესპოდენტო ანგარიში ევროში – 25000 ევრო
კრედიტი – ნოსტრო ევროში – 25 000 ევრო

2. იმავე კლიენტმა მოითხოვა ერთ-ერთი ქართული კომპანიისადმი მისი დავალიანების დაფარვა 10000 ლარის ოდენობით, ევროში გახსნილი მიმდინარე ანგარიშის ხარჯზე, რადგან ეროვნულ ანგარიშებზე არ აღმოაჩნდა ლარი. ვთქვათ, ერთი ევრო ორი ლარის ტოლია.

მაშასადამე, საჭიროა კონვერტაცია და ადგილი ექნება შემდეგ ბუღალტრულ გატარებებს:

- ა). დებეტი – 3612 კლიენტის მიმდინარე ანგარიში ევროში – 5000 ევრო
კრედიტი – 2611 – ევროს სავალუტო პოზიცია – 5000 ევრო
- ბ). დებეტი – 2601 ევროს კონტრფასი – 10000 ლარი
კრედიტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში – 10000 ლარი

3. სხვა რომელიმე კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე გადმორიცხულია 26000 დოლარი

- დებეტი – 1062 საკორესპოდენტო ანგარიში დოლარში – 26000 \$
კრედიტი – 3612 კლიენტის მიმდინარე ანგარიში დოლარში 26000 \$

4. კლიენტის მიმდინარე სავალუტო ანგარიშიდან გადარიცხულია 5000 დოლარი

- დებეტი – 3612 კლიენტის მიმდინარე ანგარიში დოლარში – 5000 \$
კრედიტი – 1062 საკორესპოდენტო ანგარიში დოლარში – 5000 \$

5. არარეზიდენტი ბანკის მიერ გადმორიცხულია „ლორო“ ანგარიშზე 14000 დოლარი

- დებეტი – 1062 საკორესპოდენტო ანგარიში დოლარში – 14000 \$
კრედიტი – 3512 „ლორო“ დოლარში – 14000 \$

კომერციულმა ბანკებმა შეიძლება სესხები აიღონ უცხოურ ვალუტაში არარეზიდენტი ბანკებიდან. ამ შემთხვევაში ასევე გამოიყენება სავალუტო ანგარიშები. უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებზე გადასახდელი პროცენტების დარიცხვის დროს წარმოშობილი ვალდებულების აღიარება უცხოურ ვალუტაში ხდება. ოღონდ საპროცენტო ხარჯები აღირიცხება ეროვნულ ვალუტაში, სავალუტო პოზიციისა და კონტრფასის ანგარიშების გამოყენებით.

მაგალითი:

კომერციულმა ბანკმა გასცა სესხი 40000 დოლარი არარეზიდენტ (საზღვარგარეთის) ბანკზე. წლიურად 15%-იანი სარგებლით.

1. დებეტი – 1818 – კლიენტებზე გაცემული სესხები დოლარში – 40000 \$
კრედიტი – 1062 – საკორესპოდენტო ანგარიში დოლარში – 40000 \$

2. დარიცხულია გაცემული სესხიდან მისაღები პროცენტი – 6000 დოლარი, კურსი 1:1,5

- ა. დებეტი – (2414) მოთხოვნა მისაღებ პროცენტზე დოლარში – 6000 \$
კრედიტი – (2611) დოლარის სავალუტო პოზიცია – 6000 \$

- ბ. დებეტი – (2601) სავალუტო პოზიციის კონტრფასი – 9000 ლ
კრედიტი – (6312) საპროცენტო შემოსავალი უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხებიდან – 9000 ლ

3. პროცენტის თანხა კი გადმოირიცხება დოლარში – 6000 \$
დებეტი – (1062) საკორესპ. ანგარიში უცხოურ ვალუტაში – 6000 \$
კრედიტი – (2414) მოთხოვნა მისაღებ პროცენტზე – 6000 \$

როგორც უკვე ვისაუბრეთ, ეს არ ნიშნავს რომ დოლარი ფიზიკურად გადმოიგზავნება საქართველოში.

7.2. უცხოური ინვესტიციების აღრიცხვა

ადრე უკვე განხილულ იქნა, რომ **ინვესტიცია არის** ფულის დაბანდება სხვისი კომპანიის საკუთარ კაპიტალში წილის მოპოვებისა და სარგებლის მიღების მიზნით.

ინვესტიცია შეიძლება იყოს ფინანსური, რომელიც დაბანდება ფასიან ქაღალდებში და რეალური, რომელიც არსებობს საინვესტიციო ქონების ანუ უძრავი ქონების სახით.

მოკლევადიანი ანუ მიმდინარე ინვესტიციები ძირითადად სწრაფად რეალიზებადი მიზნებისათვის გამოიყენება და გათვალისწინებულია ერთ წლამდე შესანარჩუნებლად.

გრძელვადიანი ანუ ერთ წელზე მეტი ვადის ინვესტიციები, ინვესტირებულ საწარმოში ბანკის მიერ მოპოვებული უფლებების ხარისხის მიხედვით შეიძლება იყოს:

ა) ინვესტიციები, რომლებიც შეადგენს 20 პროცენტზე ნაკლებს სხვა კომპანიების საწესდებო კაპიტალში;

ბ) ინვესტიციები, რომლებიც შეადგენს 20-50 პროცენტს სხვა კომპანიების საწესდებო კაპიტალში

გ). ინვესტიციები, რომლებიც შეადგენს 50 პროცენტზე მეტს სხვა კომპანიების საწესდებო კაპიტალში

ბასს 28 – „ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში“ – განმარტავს, რომ თუ ინვესტორს ეკუთვნის მეკავშირე საწარმოში 20% და მეტი ხმის უფლება, ითვლება, რომ ინვესტორს გააჩნია მწმუნელოვანი ზეგავლენის უფლება.

ინვესტიციები ბანკმა შეიძლება განახორციელოს როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში ქვეყნის შიგნით და გარეთ. ინვესტირება შეიძლება მოხდეს შეიღობილ ან სხვა საწარმოებში.

ინვესტორი ბანკი ყოველთვის დგას რისკის წინაშე, რადგან არ არსებობს ისეთი ფასიანი ქაღალდი, რომელსაც ერთდროულად გააჩნია **ინვესტიციის ყველა თვისება: უსაფრთხოება, შემოსავლის სტაბილურობა და ლიკვიდურობა.**

ამიტომ, ბანკები სერიოზულად სწავლობენ ინვესტიციების რისკის ხარისხს. რისკების შემცირება შეიძლება ინვესტიციების დივერსიფიკაციის გზით, რაც ნიშნავს ინვესტიციების გადანაწილებას სხვადასხვა სახის ფასიან ქაღალდებში.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით მიღებული მეთოდის მიხედვით, ინვესტიციების შეფასება თავდაპირველად უნდა მოხდეს შეძენის რეალური ღირებულებით ანუ ფასით, რომელიც ყალიბდება ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოერაციების დროს. პერიოდულად უნდა განხორციელდეს ინვესტიციების გადაფასება, ხოლო ყოველწლურად ჩატარდეს ტესტირება გაუფასურებაზე. თუ ბანკს გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენის უფლება მეკავშირე ან შეიღობილ კომპანიაში, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს კაპიტალ-მეთოდი.

კაპიტალ-მეთოდი ისეთი სააღრიცხვო მეთოდია, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე საწარმოს მოგება/ზარალში, ინვესტორის

წილის შექმნის შემდგომი ცვლილების შესაბამისად, შექმნის თარიღის შემდგომ პერიოდში. ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგება/ზარალში, აღიარდება ინვესტორის მოგება/ზარალში. ინვესტორის მიერ შეკავშირე საწარმოდან დივიდენდების ან სხვა გასანაწილებელი თანხების მიღება, ამცირებს ინვესტიციის მიმდინარე საბალანსო ღირებულებას. ინვესტიციების მიმდინარე საბალანსო ღირებულების ცვლილება შეიძლება აგრეთვე გამოიწვიოს შეკავშირე საწარმოს კაპიტალის ისეთმა ცვლილებამ, რომელიც ასახული არ იყო მის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. ასეთი ცვლილება წარმოიშობა ძირითადი საშუალებების გადაფასებით ან უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული საკურსო სხვაობით. ინვესტორის წილი ამ ცვლილებებში, პირდაპირ აისახება ინვესტორის კაპიტალში (მოგება/ზარალში).

ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმით, ინვესტიციების აღსარიცხავად როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში, გამოყოფილია სამი ტიპის ანგარიშები, საინვესტიციო წილის დონეების მიხედვით:

- 2011 – ინვესტიციები უცხოურ ვალუტაში, რომლებიც შეადგენს 20%-ზე ნაკლებს საწარმოთა საწესდებო კაპიტალში;
- 2012 – ინვესტიციები უცხოურ ვალუტაში, რომლებიც შეადგენს 20-50%-ს საწარმოთა საწესდებო კაპიტალში;
- 2013 – ინვესტიციები უცხოურ ვალუტაში, რომლებიც შეადგენს 50%-ზე მეტს საწარმოთა საწესდებო კაპიტალში.

ვინაიდან ინვესტიციები გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული, უნდა შეიქმნას ინვესტიციების დანაკარგების რეზერვი: 8509 – ზარალი დანარჩენი აქტივების შესაძლო დანაკარგების – ანგარიშის დებეტში და, კრედიტი – 4107-ინვესტიციების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (იქმნება ეროვნულ ვალუტაში). ამ ანგარიშს ყოველთვის კრედიტის ნაშთი აქვს. მისი ნაშთი, წლის ბოლოსათვის, გამოაკლდება უცხოური ინვესტიციის სიდიდეს და სხვაობა ანუ ინვესტიციის წმინდა ღირებულება აისახება ბუღალტრულ ბალანსში. ინვესტიციების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების რეზერვი იქმნება ეროვნულ ვალუტაში. ამიტომ, აღრიცხვაში გამოიყენება სავალუტო პოზიციის ანგარიშები. 4107 - (ინვესტიციების შესაძლო დანაკარგების რეზერვის) – ანგარიშის კრედიტში აღირიცხება ინვესტიციების აფასება, დებეტში აღირიცხება უცხოური ინვესტიციების ჩამოფასება და უიმედო ინვესტიციების ჩამოწერა. თუ რეზერვი საკმარისი არ აღმოჩნდა, მაშინ სხვაობა წარმოადგენს ზარალს საინვესტიციო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით და აღირიცხება 8911-12-13 ანგარიშებზე („ზარალი საინვესტიციო ოპერაციების მიხედვით, უცხოური ვალუტით“).

ინვესტიციების ანუ საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა აღირიცხება შემდეგნაირად:

- დებეტი – 2011-12-13 ინვესტიციები უცხოურ ვალუტაში
- კრედიტი – 1062 საკორესპ. ანგარიში უცხოურ ვალუტაში

ინვესტიციების ჩამოფასება:

- ა). დებეტი – 4107 ინვესტიციების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (ერ.ვალუტაში)
 - კრედიტი – 2601 კონტრფასი ლარებში
- ბ). დებეტი – 2611 სავალუტო პოზიცია დოლარში
 - კრედიტი – უცხოური ინვესტიციები დოლარში

საინვესტიციო მაგალითი:

ბანკის მიერ შესყიდულია საზღვარგარეთის კომპანიის 1000 ცალი აქცია, ერთეულის ნომინალური ღირებულებაა 100 დოლარი და შესყიდული იქნა 120 დოლარად. ინვესტიციის შედეგად მოპოვებულია 25%-იანი წილი, კომპანიის საწასდებო კაპიტალში.

დებეტი – 2012 უცხოური ინვესტიციები – 120 000 დოლარი
კრედიტი – 1062 საკორესპოდენტო ანგარიში 120 000 დოლარი


1. დარიცხულია მისაღები დივიდენდი 5000 დოლარი, გასაცვლელი კურსია 1:1,5
 - ა). დებეტი – 2472 მისაღები დივიდენდები უცხოური ინვესტიციებიდან – 5000 დ
კრედიტი – 2611 სავალუტო პოზიცია დოლარში – 5000 დ
 - ბ). დებეტი – 2601 დოლარის კონტრფასი – 7500 ლ
კრედიტი – 6512 შემოსავალი დივიდენდიდან – 7500 ლ
2. გადაფასების შედეგად მოხდა უცხოური ინვესტიციების ფასმატება 10%-ით.
 - ა). დებეტი – 2012 უცხოური ინვესტიციები – 12000 დ (120 000-ის 10%)
კრედიტი – 2611 სავალუტო პოზიცია დოლარში – 12000 დ
 - ბ). დებეტი – 2601 დოლარის კონტრფასი – 18 000 ლ
კრედიტი – 4107 ინვესტიციების შესაძლო დანაკარგების რეზერვი – 18000 ლ
3. წლის ბოლოსათვის ჩამოწერილია უიმედო ინვესტიციები 10000 დოლარი, რომელიც ეროვნულ ვალუტაში 16 000 ლარია
 - ა). დებეტი – 4107 ინვესტიციების დანაკარგების რეზერვი – 16000 ლ
კრედიტი – 2601 დოლარის კონტრფასი – 16000 ლ
 - ბ). დებეტი – 2611 სავალუტო პოზიცია დოლარში – 10000 დოლარი
კრედიტი – 2012 უცხოური ინვესტიციები – 10000 დოლარი

რაც შეეხება რეალურ ინვესტიციებს, იგი წარმოადგენს საინვესტიციო ქონებას, რომელსაც მიეკუთვნება მიწა ან შენობები, რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე – ფინანსური იჯარის პირობებში) საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორცაა: გამოყენება საქონლის წამოებისათვის, მომსახურების გაწევისათვის, ადმინისტრაციული მიზნებისათვის ან გაყიდვისათვის (ბასს 40 – „საინვესტიციო ქონება“).

საინვესტიციო ქონება საწყის ეტაპზე უნდა შეფასდეს თვითღირებულებით, გარიგების ხარჯების ჩათვლით. შემდეგ საწარმოს შეუძლია აირჩიოს რეალური ღირებულების მოდელი. საინვესტიციო ქონების რეალურმა ღირებულებამ უნდა ასახოს ბაზრის ის მდგომარეობა, რომელიც არსებობს ბალანსის შედგენის თარიღისათვის. ღირებულების ყველა ცვლილება უნდა აისახოს მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალში.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. რას ნიშნავს სავალუტო ოპერაციები;
2. აღრიცხეთ აქციების შესყიდვა უცხოურ ვალუტაში;
3. აღრიცხეთ მისაღები პროცენტის დარიცხვა უცხოურ ვალუტაში;
4. აღრიცხეთ გადასახდელი პროცენტის დარიცხვა უცხოურ ვალუტაში;
5. აღრიცხეთ უცხოურ ვალუტაში მისაღები დივიდენდის დარიცხვა.



თავი 8. კომერციული ბანკების შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა

შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა კომერციულ ბანკებში წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

ამ თავში განიხილება შემდეგი საკითხები:

- შემოსავლების არსი, კლასიფიკაცია და აღიარება;
- საოპერაციო შემოსავლების აღრიცხვა;
- ბანკების ხარჯების კლასიფიკაცია, აღიარება და აღრიცხვა;
- არასაოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა.

8.1. ბანკების შემოსავლების არსი, კლასიფიკაცია და აღიარება

შემოსავალი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც არაა დაკავშირებული საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებთან.

კომერციული ბანკების შემოსავლები, სხვა კომანიების მსგავსად, საქმიანობის სფეროების მიხედვით, იყოფა საოპერაციო, არასაოპერაციო და განსაკუთრებულ შემოსავლებად.

შემოსავლები მოიცავს ამონაგებს ძირითადი საქმიანობიდან ან გაწეული მომსახურებიდან და სხვა შემოსულობებს დივიდენდების, როიალტებისა და საიჯარო პროცენტების სახით.

ბანკებში ამონაგებს მიეკუთვნება გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი, განსხვავებით სხვა სფეროს კომპანიებისა, სადაც საპროცენტო შემოსავლები არასაოპერაციო შემოსავლებს წარმოადგენს.

კომერციული ბანკების საოპერაციო შემოსავალს მიეკუთვნება გაწეული მომსახურებიდან მიღებული საპროცენტო და საკომისიო შემოსავლები.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების მიღება ხდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიების მიხედვით, მიუხედავად იმისა მიღებულია თუ არა ფული. მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პრობები (ბასს 18 - „ამონაგები“):

- მოცემული საბანკო ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა;

- შემოსავლის შეფასება შეიძლება საიმედოდ;

- შესაძლებელია მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში ანუ ჩნდება თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, მაშინ იგი აღიარებულ უნდა იქნეს როგორც ხარჯი.

თუ შეუძლებელია მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული შედეგის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ უკვე აღიარებული ამოღებადი ხარჯების ფარგლებში.

სესხით მომსახურებისათვის მისაღები საკომისიო უნდა აღიარდეს მომსახურების გაწევის მომენტისათვის.

ბანკის აქტივების სხვა პირთა მიერ გამოყენებიდან მიღებული ამონაგები საიჯარო პროცენტების, როიალტის და დივიდენდების სახით, უნდა აისახოს, თუ მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ასეთი შემოსავლების აღიარება უნდა მოხდეს ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, რომელსაც ითვალისწინებს ბასს 39 (მუხლი 9).

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას მოკლე პერიოდის განმავლობაში (ბასს 39).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლის დროს ფინანსური ინსტრუმენტები და ფულადი ნაკადები უნდა შეფასდეს ყველა საკონტრაქტო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ გაითვალისწინება მომავალი საკრედიტო დანაკარგები. ეროვნული ბანკის სპეციალური დებულებით დამტკიცებულია საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლის მეთოდიკა ().

მასში გადმოცემულია, რომ კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისათვის საჭიროა მომხმარებელს მიერ თანხის გადახდების დღეებანდელი (დისკონტირებული) ღირებულება გაუთანაბრდეს მომხმარებლის მიერ ბანკიდან მიღებული და მისაღები თანხების დღეებანდელ ღირებულებას. იგი გამოისახება წლიური პროცენტით და გაიანგარიშება მომხმარებლის მიერ კრედიტზე გაწეული ფინანსური ხარჯების გათვალისწინებით.

კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\sum_{k=1}^{k=m} \frac{A_k}{(1+i)^{t_k}} = \sum_{k'=1}^{k'=m'} \frac{A'_{k'}}{(1+i)^{t_{k'}}$$

სადაც,

ა) k – არის თანხის გამოტანის რიგითი ნომერი;

ბ) k' – თანხის შეტანის (გადახდის) რიგითი ნომერი;

გ) A_k - k რიგითობით გამოტანილი კრედიტის თანხა;

დ) $A'_{k'}$ - k' რიგითობით გადახადილი თანხა – ფინანსური ხარჯი;

ე) Σ - ჯამის ნიშანი;

ვ) m - თანხის გამოტანის საერთო რაოდენობა;

ზ) m' - თანხის გადახდების საერთო რაოდენობა;

თ) t_k – დროის ინტერვალი, გამოსახული წლებში ან წლის წილადის სახით, სესხის პირველ რიგითობით გამოტანასა და შემდგომ გამოტანებს შორის – მეორედან – m – მდე.

ო) ტკ' – დროის ინტერვალი, გამოსახული წლებში ან წლის წილადის სახით, სესხის პირველ რიგითობით გამოტანასა და გადახდებს შორის – პირველიდან m'- მდე;

კ) i – კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

(გამოთვლებში რა თქმა უნდა, გამოიყენება კომპიუტერული ტექნიკა)

დებულების თანახმად, კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოსათვლელად გამოყენებულ უნდა იქნას შემდეგი დაშვებები:

- თუ მომხმარებელ შეუძლია გარკვეული ლიმიტის ფარგლებში ნებისმიერი ოდენობის თანხა გამოიტანოს გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დაიშვება, რომ მომხმარებელს მთლიანი თანხა გამოაქვს ერთდროულად პირველივე გამოტანის შესაძლებლობისთანავე;
- თუ არსებობს თანხის გამოტანის სხვადასხვა მეთოდები (ბანკის სალაროდან, ბანკომატიდან და სხვ.), რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის ფინანსურ ხარჯებთან, დაიშვება, რომ მომხმარებელს თანხა გამოაქვს პრაქტიკაში არსებული ნაღდი ანგარიშსწორების ყველაზე იაფი მეთოდით;
- თუ თანხის გადახდის ფიქსირებული პერიოდი არ არის მითითებული. კრედიტის ხანგრძლივობად დაიშვება ერთი წელი და შენატანების სქემად ყოველთვიური შეტანის სქემა;
- დაიშვება რომ მომხმარებელი ასორციელებს მინიმალური შესაძლო თანხის შეტანას თითოეული თარიღისათვის;
- თუ კრედიტის ზედა ზღვარი არ არის მითითებული, დაიშვება, რომ აღნიშნული ზღვარია 3000 ლარი;
- ოვერდრაფტის ან საკრედიტო ბარათის შემთხვევაში. დაიშვება, რომ მომხმარებელს გამოაქვს მაქსიმალური დასაშვები თანხა პირველივე შესაძლებლობისთანავე და ფარავს მას საკრედიტო პერიოდის დასასრულს. ხოლო თუ არ არის მითითებული საკრედიტო ხელშეკრულების ხანგრძლივობა, ასეთად დაიშვება ერთი წელი;
- ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება დაშვებით, რომ კრედიტის საპროცენტო განაკვეთი მუდმივია და უტოლდება კრედიტის საწყის საპროცენტო განაკვეთს;
- თუ საკრედიტო ხელშეკრულება ითვალისწინებს განსხვავებულ საპროცენტო განაკვეთებს სხვადასხვა პერიოდებისათვის, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება უნდა მოხდეს საპროცენტო განაკვეთის ყველაზე მაღალი მნიშვნელობის გამოყენებით;
- დაიშვება რომ მხარეები დროულად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს და ამიტომ გაანგარიშებაში არ გაითვალისწინება მოსალოდნელი ჯარიმები და საურავები;
- დაიშვება, რომ ლარის გაუფასურება ხდება ყოველდღიურად თანაბარი აბსოლუტური ოდენობით და რომ, მომხმარებლები თანხის შეტანასა და გამოტანას ლარში ახდენენ;
- გაანგარიშებაში დაიშვება, რომ წელიწადში არის 365 დღე, ხოლო ნაკიან წელიწადში 366 დღე.

საილუსტრაციო მაგალითები:

მაგალითი №1

საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა – 6000 ლარი, რომლის დაფარვა ხდება ერთჯერადად 6270 ლარის შეტანით ხელშეკრულების გაფორმებიდან (1/1/10) ექვსი თვის შემდეგ (7/1/10):

$$6,000 = \frac{6,270}{(1 + X)^{181/365}}$$

შედეგად, X=9.28220%, ე.ი. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 9.3%.

მაგალითი 2:

საკრედიტო ხელშეკრულებით (1/1/10) გათვალისწინებული კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობაა – 6000 ლარი, რომლის დაფარვაც ხდება ოთხჯერ თანაბარი წლიური შენატანით. წლიური საპროცენტო განაკვეთია 9%. ბანკის მიერ განსაზღვრული თითოეული თანაბარი შენატანის ოდენობაა 1852,01 ლარი.

$$6,000 = \frac{1,852.01}{(1 + X)^1} + \frac{1,852.01}{(1 + X)^{729/365 + 1/366}} + \frac{1,852.01}{(1 + X)^{729/365 + 1 + 1/365}} + \frac{1,852.01}{(1 + X)^4}$$

შედეგად, X=8.99509%, ე.ი. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 9.0% (იხ. abg.org.ge/docs/interest_rate_calculation.docx)

ბასს-ის რეკომენდაციებით, შემოსავლები და შემოსულობები უნდა აღიარდეს მოგებას/ზარალში.

8.2. შემოსავლების აღრიცხვა

კომერციული ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმით, შემოსავლების აღმრიცხველი ანგარიშები დაჯგუფებულია იმ ორგანიზაციების სამართლებრივი ფორმების მიხედვით, საიდანაც მიიღება შემოსავლები, აგრეთვე, ოპერაციის ტიპების და ვალუტის სახეების მიხედვით.

კომერციული ბანკები იღებენ შემდეგი ტიპის შემოსავლებს:

ა). საპროცენტო შემოსავლები სახელმწიფო სექტორზე გაცემული გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხებიდან, ბანკებზე გაცემული სესხებიდან, ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან და სხვა ანგარიშებიდან, კერძო სექტორის კომპანიებზე გაცემული სესხებიდან და ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში;

ბ). საკომისიო შემოსავლები საღაროს ოპერაციებიდან, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან, ფულის ინკასაციისა და ტრანსპორტირებიდან, კლიენტების მიმდინარე ანგარიშებიდან, კლიენტების ლორო ანგარიშებიდან, საკომუნიკაციო მომსახურებიდან, საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურებიდან, დეპოზიტური ოპერაციებიდან და სხვა დანარჩენი მომსახურებიდან ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

გ). მიღებული დივიდენდები და შემოსავლები საინვესტიციო ოპერაციებიდან, სავალო ფასიანი ქაღალდებიდან, შემოსავლები დილინგური ოპერაციებიდან, შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან;

დ). შემოსავლები დანარჩენი ოპერაციებიდან, როგორცაა: შემოსავლები ბროკერული ოპერაციებიდან, ფაქტორული ოპერაციებიდან, ლიზინგიდან, გარანტიებიდან, სპეციალური დეპოზიტებიდან, ძირითადი საშუალებების

გაყიდვიდან, ძვირფასი ლითონების, ხელოვნების ნაწარმოებებისა და საკოლექციო საგნების გაყიდვიდან და გადაფასებიდან, შემოსავლები უსასყიდლოდ მიღებული აქტივებიდან, შემოსავლები გასული წლების ოპერაციებიდან და დანარჩენი ოპერაციებიდან როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში.

ე). გაუთვალისწინებელი შემოსავლები სალაროს ზედმეტობიდან, მიღებული ჯარიმები და საურავები და სხვა.

შემოსავლების აღრიცხვა-აღიარება ხდება დარიცხვის პრინციპით, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემულ პერიოდში წარმოშობილი შემოსავლები აღიარდება ამავე პერიოდის შემოსავლად, მიუხედავად იმისა მიღებულია თუ არა უშუალოდ ფულადი თანხები. ასეთი მეთოდით აღიარებული შემოსავლები მონაწილეობენ მოგება/ზარალის გამოთვლაში.

შემოსავლების აღმრიცხველი ანგარიშები პასიური ანგარიშებია და მისაღები შემოსავლების დარიცხვის დროს მოხდება მისი დაკრედიტება, ხოლო მეორე მხრივ აღიარდება მოთხოვნა მისაღებ შემოსავლებზე. ანგარიშთა გეგმაში, შემოსავლების ანგარიშების კოდები იწყება ექვსიანი თან ან შვიდიანი.

ასე მაგალითად:

შემოსავლები სახელმწიფო სექტორისაგან მიცემული მოკლევადიანი სესხებიდან ეროვნულ ვალუტაში (6001) და უცხოურ ვალუტაში (6011); საპროცენტო შემოსავლები სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდების მიხედვით ეროვნულ (6061) და უცხოური ვალუტით (6071) და ა/შ.

ძირითადი ოპერაციები შემდეგნაირად აღირიცხება:

1. დარიცხულია გაცემული სესხებიდან მისაღები საპროცენტო შემოსავალი
დებეტი – 2401-05 მოთხოვნები მისაღებ პროცენტებზე
კრედიტი – 6301, 6302 და ა.შ. საპროცენტო შემოსავლები გაცემული სესხებიდან
2. დარიცხულია მისაღები პროცენტები „ნოსტრო“ ანგარიშებიდან
დებეტი – 2403 მისაღები პროცენტები ბანკებში განთავსებული სახსრების მიხედვით
კრედიტი – 6201, ან 6202 და ა.შ. პროცენტული შემოსავალი „ნოსტრო“ ანგარიშებიდან
3. დარიცხულია მისაღები პროცენტები „ლორო“ ანგარიშების ოვერდრაფტების მიხედვით:
დებეტი – 2409 მისაღები პროცენტები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით
კრედიტი – 6209 პროცენტული შემოსავლები „ლორო“ ანგარიშების ოვერდრაფტების მიხედვით
4. შემოსავალი სალაროს ზედმეტობიდან
დებეტი – 1003 სალარო
კრედიტი – 7074 შემოსავალი სალაროს ზედმეტობიდან
5. ჯარიმებისა და საურავების მიღება:
დებეტი - (1003) სალარო
კრედიტი – (7075) მიღებული ჯარიმები და საურავები
6. შემოსავალი თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდების გაყიდვებიდან
დებეტი – 1003 ან 1052 ფულადი სახსრები
კრედიტი – 6601-03 შემოსავალი დილინგური ოპერაციებიდან
7. საკომისიო შემოსავლების ჩამოწერა მიმდინარე ანგარიშებიდან
დებეტი – 3601-08 მიმდინარე ანგარიშები
კრედიტი – 6404 საკომისიოები და შემოსავლები კლიენტთა

მიმდინარე ანგარიშებიდან

8. საკომისიო თანხის დაკავება ნაღდი ფულით მომსახურებისათვის
დებეტი – 1003 სალარო
კრედიტი – 6402 საკომისიოები სალაროს ოპერაციებიდან

9. დარიცხულია მისაღები პროცენტები სპეციალური დეპოზიტებისა და გარანტიების მიხედვით

დებეტი – (2409) მისაღები პროცენტები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით
კრედიტი – 7037 ან 7035 შემოსავლები სპეციალური დეპოზიტებიდან და მიღებული გარანტიებიდან

ხოლო, როცა მოხდება ფულადი თანხების მიღება:

დებეტი – (1003) სალარო
კრედიტი – (2409) მისაღები პროცენტები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით

უცხოურ ვალუტაში მისაღები პროცენტები შემოსავლების აღმრიცხველ ანგარიშებზე, განსხვავებით აქტივებისა და ვალდებულებებისა, აღმრიცხება ეროვნულ ვალუტაში, სავალუტო პოზიციისა და კონტრფასის ანგარიშების გამოყენებით.

1. დავუშვათ დარიცხულია არარეზიდენტ ბანკზე გაცემული სესხებიდან მისაღების პროცენტი – 10000 დოლარი, როცა გასაცვლელი კურსია 1:1,5

ერთდროულად შედგება ორი ბუღალტრული მუხლი:

ა). დებეტი – 2414 მოთხოვნა მისაღებ პროცენტზე უცხოურ ვალუტაში – 10000 \$
კრედიტი – 2611 სავალუტო პოზიცია დოლარში – 10000 \$

ბ). დებეტი - 2601 დოლარის კონტრფასი - 15000 ლ
კრედიტი – 6215 პროცენტული შემოსავალი უცხოური ვალუტით – 15000 ლ

2. საპროცენტი თანხის გადმორიცხვა უცხოეთის ბანკიდან – 10000 \$

დებეტი – 1061 დოლარის საკორესპოდენტო ანგარიში – 10000 \$
კრედიტი – 2414 მოთხოვნა მისაღები პროცენტზე უცხოვალუტაში 1000

8.3. ბანკების ხარჯების კლასიფიკაცია და აღიარება

ხარჯების ცნება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, შემდგენილია განმარტებული: **ხარჯები არის** საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთათვის კაპიტალის გადანაწილებასთან.

ხარჯის გაწევის გარეშე შეუძლებელია მომავალში რაიმე ეკონომიკური სარგებლის მიღება მოხდეს. ბიზნესის აუცილებელი ხარჯები უზრუნველყოფენ შემოსავლების მიღებას მომავალში. მაშასადამე, არსებობს გარკვეული კონფლიქტი ხარჯების გაწევის აუცილებლობასა და ეკონომიკურ სარგებელს ანუ მოგებას შორის, ვინაიდან, მოგება როგორც წესი, არის სხვაობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. ამდენად, არსებობს გარდაუვალი ხარჯები, რომელიც აუცილებელია ამა თუ იმ კომპანიის ფინანსური მიზნების მიღწევისათვის და ხარჯები, რომლებიც ნორმალური ფუნქციონირების შემთხვევაში არც უნდა წარმოიშვას. ასეთია ზარალი და ნორმის ზემოთ დანაკარგები. აქედან გამომდინარე, დანახარჯების მართვა და კონტროლი ხელმძღვანელობის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

საქმიანობის სფეროების მიხედვით, დანახარჯების კლასიფიკაცია ხდება საოპერაციო, არასაოპერაციო და გაუთვალისწინებელ ხარჯებად.

საოპერაციო ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომელიც გაიწევა კომპანიის მაპროფილებელი საქმიანობის განხორციელებასა, მართვასა და მომსახურებაზე.

ბანკების საოპერაციო ხარჯებს მიეკუთვნება: პროცენტული ხარჯები მიღებულ დეპოზიტებზე, აღებულ სესხებზე, კლიენტების მიმდინარე ანგარიშებზე, საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებზე; საკომისიო ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით, საკომისიოები უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის მიხედვით; დილინგურ ოპერაციებთან დაკავშირებით წარმოქმნილი ზარალი; ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან; ზარალი საინვესტიციო ოპერაციებიდან; ხარჯები ფაქტორინგის, სალიზინგო და საგარანტიო მოსახურებაზე და ა.შ.; ბანკის პერსონალისა და ბანკის განვითარების ხარჯები, ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები, სამეურნეო მასალებისა და ინვენტარის შეძენის ხარჯები; საქსპლოატაციო ხარჯები; ბანკოტებისა და მონეტების ბეჭდვის ხარჯები.

არასაოპერაციო ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომელიც გაიწევა კომპანიის არაძირითად, დამხმარე საქმიანობაზე.

ბანკებში არასაოპერაციო ხარჯებს მიეკუთვნება: ზარალი ზედმეტი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან, ზარალი დილინგური ოპერაციებიდან, ზარალი საინვესტიციო საქმიანობიდან, ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან, ზარალი ფაქტორინგული, საბროკერო, საგარანტიო და სხვა საქმიანობიდან

გაუთვალისწინებელი ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომლის წინასწარ დაგეგმვა და გათვალისწინება შეუძლებელია, როგორცაა დანაკარგები და ჯარიმები.

გაუთვალისწინებელ ხარჯებს მიეკუთვნება ზარალი საღაროს დანაკლისებიდან, გადახდილი ჯარიმები და საურავები, ზარალი დატაცებებიდან და სტიქიური შემთვევებიდან.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის პრინციპით, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე პერიოდს მიეკუთვნება ხარჯი, რომელმაც უზრუნველყო ამავე პერიოდის შემოსავლების მიღება, მიუხედავად იმისა, გადახდილია თუ არა უშუალოდ ფული. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც იქნა გაწეული, მიუხედავად იმისა, სესხი როგორ იქნა გამოყენებული.

8.4. ბანკების ხარჯების აღრიცხვა

ხარჯების აღიარება და აღრიცხვა ხდება მაშინ, თუ მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. ხარჯების აღმრიცხველი ანგარიშები ბანკების ანგარიშთა გეგმაში დაჯგუფებულია ხარჯების მიმართულებისა და ვალუტის სახეების მიხედვით, როგორცაა:

- პროცენტული ხარჯები სახელმწიფო სექტორის მიმდინარე ანგარიშების მიხედვით ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (8001-12);
- პროცენტული ხარჯები სახელმწიფო სექტორის დეპოზიტების მიხედვით (8051-61; 8052-62);
- პროცენტული ხარჯები ბანკებიდან მოზიდული სახსრების მიხედვით (8201-09, 8211-19)

და ასე შემდეგ.

ხარჯების აღმრიცხველი ბუღალტრული ანგარიშები აქტიური ანგარიშებია. ანგარიშთა გეგმაში მათი კოდები იწყება რვიანით ან ცხრიანით. მათ დებეტში აღრიცხება ხარჯის წარმოქმნა მათი დარიცხვის დროს. გასაწევი ხარჯების

დარიცხვის დროს ბანკს ერთი მხრივ წარმოექმნება ხარჯი და მეორე მხრივ – ვალდებულება გადასახდელ პროცენტებზე და სხვა ხარჯებზე.

ასე მაგალითად:

1. გადასახდელი პროცენტების დარიცხვა გატარდება:
დებეტი – საპროცენტო ხარჯების შესაბამისი ანგარიშები
კრედიტი – ვალდებულება გადასახდელ პროცენტებზე
(შესაბამისი ანგარიშებით)
2. დარიცხულია ფიზიკური პირების დეპოზიტებზე გასაცემი საპროცენტო ხარჯები
დებეტი – 8351 პროცენტული ხარჯები ფიზიკური პირების
დეპოზიტების მიხედვით
კრედიტი – 4505 გადასახდელი პროცენტები კლიენტებიდან
მოზიდული სახსრების მიხედვით
3. სალაროში აღმოჩენილია დანაკლისი
დებეტი – 9064 დანაკლისი სალაროში (როცა დამნაშავე პირი ცნობილი არაა)
კრედიტი – 1003 სალარო

როცა პასუხისმგებელი პირი ცნობილია, მაშინ სალაროში აღმოჩენილი დანაკლისი მას დაეწერება:

- დებეტი - 2501 დებიტორები
კრედიტი - 1003 სალარო
4. გადასახდელი ჯარიმები
დებეტი – 9601 გაუთვალისწინებელი ხარჯები
კრედიტი – 4501 კრედიტორები

განსხვავებით აქტივებისა და ვალდებულებებისა, უცხოურ ვალუტაში წარმომოხილი ხარჯები მათ აღმრიცხველ ბუღალტრულ ანგარიშებში აღირიცხება ლარებში, (2611) სავალუტო პოზიციისა და კონტრფასის (2601) ანგარიშების გამოყენებით.

1. დავუშვათ დარიცხულია არარეზიდენტი ბანკიდან, უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხზე გადასახდელი პროცენტი - 5000 დოლარი, როცა გასაცემელი კურსია 1:1,5

ა). დებეტი – 2611 დოლარის სავალუტო პოზიცია – 5000 \$
კრედიტი – 4414 გადასახდელი პროცენტები უცხ. ვალუტით – 5000 \$

ბ). დებეტი – 8215 პროცენტული ხარჯები უცხოურ ვალუტაში - 7500 ლ
კრედიტი – 2601 დოლარის კონტრფასი – 7500 ლ

2. გადარიცხულია არარეზიდენტ ბანკში საპროცენტო გადასახადი – 5000 \$
დებეტი – 4414 გადასახდელი პროცენტი უცხ.ვალუტაში – 5000 \$
კრედიტი – 1062 – საკორესპოდენტო ანგარიში უცხოურ ვალუტაში – 5000 \$

8.5. მოგება/ზარალის აღრიცხვა

კომპანიის მოგება არის სხვაობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთი მთავარი მიზანია საწარმოს მოგების სწორად დადგენა. ამ მიზნის მისაღწევად, აღრიცხვამ თავი უნდა მოუყაროს საწარმოს შემოსავლებსა და ხარჯებს და მათი დაპირისპირების გზით გამოავლინოს ფინანსური შედეგი: მოგება ან ზარალი.

შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობის დადგენა შემდეგი სააღრიცხვო პროცედურების გავლით მიიღწევა: ყოველი სახის შემოსავალი და

ხარჯი შესაბამის ანგარიშებზე ცალ-ცალკე აღირიცხება, რაც წინა საკითხებში უკვე განვიხილეთ. შემდეგ, შემოსავლები და ხარჯები მოგება/ზარალის ანგარიშზე უნდა დაგროვდეს, რათა მათ შორის სხვაობა გამოვლინდეს. მ მიზნით, შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშებზე ნაშთის სახით არაფერი არ უნდა დარჩეს. შემოსავლებმა ხარჯები უნდა გადაფაროს, რაც მოგება/ზარალი ანგარიშზე მათი თავმოყრით მიიღწევა.

შემოსავლებისა და ხარჯების აღმრიცხველ ანგარიშებზე რადგან ნაშთები არ უნდა დარჩეს, ამიტომ მათ დროებითი ანგარიშები ეწოდება. პერიოდის ბოლოს ისინი მოგება/ზარალის ანგარიშით იხურებიან.

მოგება/ზარალის ანგარიში (5501) აქტიურ/პასიური ანგარიშია. მას შეიძლება დარჩეს დებეტის ან კრედიტის ნაშთი. შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშების დახურვის გზით, მოგება/ზარალის ანგარიშის დებეტში თავს იყრის ხარჯები, ხოლო კრედიტში – შემოსავლები. თუ მოგება/ზარალის (5501) ანგარიშის დებეტის ბრუნვა გადააჭარბებს კრედიტის ბრუნვას, ეს ნიშნავს რომ ხარჯებმა გადააჭარბა შემოსავლებს და ბანკის საქმიანობიდან მიღებულია ზარალი. თუკი, მოგება/ზარალის (5501) ანგარიშის კრედიტის ბრუნვა გადააჭარბებს დებეტის ბრუნვას, ანუ შემოსავლები გადააჭარბებს ხარჯებს და მაშასადამე, მიღებულია მოგება.

დ მოგება/ზარალის ანგარიში – 5501 კ							
დ	სა-%	ხარჯი	კ	დ	სა-%	შემოსავალი	კ
125 000		125 000	→ 125 000	195 000	←	195 000	195 000
დ საკომისიო ხარჯი კ				საკომისიო შემოსავალი კ			
84 000		84 000	→ 84 000	93 000	←	93 000	93 000
ჯამი 209 000				ჯამი 288 000			
				ნაშთი: 79 000			

სადემონსტრაციო მაგალითზე მხოლოდ ორი სახის ხარჯი და შემოსავალია წარმოდგენილი. მათ მსგავსად დაიხურება ყველა დანარჩენი სახის ხარჯისა და შემოსავლის ანგარიშები. კერძოდ, ხარჯების აღმრიცხველი ანგარიშების დებეტის ჯამი რაც იქნება, გადაიტანება მოგება/ზარალის ანგარიშის დებეტში, დანახარჯების ანგარიშების კრედიტთან კორესპოდენციით. ხოლო, შემოსავლების ანგარიშების კრედიტის ჯამი გადაიტანება მოგება/ზარალის ანგარიშის კრედიტში, შემოსავლების ანგარიშების დებეტთან კორესპოდენციით.

სქემაზე ნათლად სჩანს, როგორ იხურება შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშები მოგება/ზარალის ანგარიშით, რომლის შედეგადაც შემოსავლები და ხარჯები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ და შესაძლებელი ხდება მათ შორის სხვაობის დადგენა.

წარმოდგენილ მაგალითზე აღმოჩნდა, რომ ხარჯები სულ 209000 ლარი და შემოსავლები 288000 ლარია. მათ შორის სხვაობა წარმოადგენს მოგება/ზარალის ანგარიშის ნაშთს, რომელიც არის მოგება დაბეგვრამდე.

მოგების გადასახადის გამოქვითვის შემდეგ მიღებული წმინდა მოგება, მოგება/ზარალის (5501) ანგარიშიდან გადაიტანება გაუნაწილებელი მოგების (5401) ანგარიშზე. წმინდა მოგების განაწილება დივიდენდებზე და სხვადასხვა სახის რეზერვებზე, ჩამოიწერება გაუნაწილებელი მოგების (5401) ბუღალტრული

ანგარიშიდან. ამ ანგარიშზე, წმინდა მოგების გამოყენების შემდეგ დარჩენილი ნაშთი, როგორც „გაუნაწილებელი მოგება“ – გადაიტანება ბუღალტრული ბალანსში, საკუთარი კაპიტალის ჯგუფში.

ბანკის შემოსავლებისა და ხარჯების აღმრიცხველი ბუღალტრული ანგარიშების დახურვის ოპერაციები შემდეგნაირად აღირიცხება:

1. შემოსავლების აღმრიცხველი ბუღალტრული ანგარიშების დახურვა:

დებეტი – ბანკების ყველა სახის შემოსავლებისა აღმრიცხველი ანგარიშები
(60,62,63,64,65,66,69,70,76 კლასის) -
კრედიტი – 5501 მოგება/ზარალი

(როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველა შემოსავალი და ხარჯი აღრიცხულია ლარებში, უცხოური ვალუტის სახეების მიუხედავად)

2. ხარჯების აღმრიცხველი ბუღალტრული ანგარიშების დახურვა

დებეტი – 5501 მოგება/ზარალი
კრედიტი – ბანკის ყველა სახის ხარჯის აღმრიცხველი ანგარიშები
80,81,82,83,84,85,8689,90,91,92,93,94 კლასების ანგარიშები)

2. მოგების გადასახადის დარიცხვა:

დებეტი – 9501 მოგების მიმდინარე გადასახადის ხარჯი
კრედიტი – 4551 გადასახდელი მოგების გადასახადი

3. მოგების გადასახადის ხარჯის ანგარიშის დახურვა:

დებეტი – 5501 მოგება/ზარალი
კრედიტი – 9501 მოგების მიმდინარე გადასახადის ხარჯი

4. მოგება/ზარალის ბუღალტრული ანგარიშის დახურვა (წმინდა მოგების გადატანა გაუნაწილებელი მოგების ბუღალტრულ ანგარიშზე):


დებეტი – (5401) მოგება/ზარალი (როცა საკრედიტო ნაშთი აქვს)
კრედიტი – (5401) გაუნაწილებელი მოგება

თუ (5501) მოგება/ზარალის ანგარიშზე დარჩება დებეტის ნაშთი, მაშინ შებრუნებული გატარება შედგება.

გაუნაწილებელი მოგების – (5401) ანგარიშის დებეტში აღირიცხება გასაცემი დივიდენდების დარიცხვა და მოგების ხარჯზე რეზერვების შექმნა, რომელსაც შემდეგში განვიხილავთ.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. რომელი პრინციპით ხდება შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება;
2. რას უდრის წმინდა მოგება და რომელ ბუღალტრულ ანგარიშზე აღირიცხება იგი;
3. აღრიცხეთ შემოსავლების აღმრიცხველი ანგარიშების დახურვა;
4. აღრიცხეთ ხარჯების აღმრიცხველი ანგარიშების დახურვა;
5. აღრიცხეთ მოგება/ზარალის ანგარიშის დახურვა: ა) მოგების და ბ) ზარალის მიღების დროს;
6. მოგება/ზარალის ანგარიში იხსნება თუ არა უცხოურ ვალუტაში.



თავი 9. შიგასაბანკო ოპერაციების

აღრიცხვა

გარდა წინა თავებში განხილული ოპერაციებისა, კომერციულ ბანკებში ადგილი აქვს სხვა ტიპის შიგასაბანკო ოპერაციებს, როგორცაა:

- ძირითადი საშუალებების მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციები;
- სამეურნეო ფასეულობების მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციები;
- შრომითი დანახარჯებისა და სხვა საექსპლოატაციო ხარჯების წარმოქმნის ოპერაციები;
- საგადასახადო ოპერაციები და სხვა.

განვიხილოთ მათი აღრიცხვის საკითხები.

9.1. ძირითადი საშუალებების მოძრაობისა და ცვეთის აღრიცხვა

ძირითადი საშუალებები არის გრძელვადიანი მატერიალური აქტივი, რომელიც იმყოფება საწარმოს მფლობელობაში და ერთ წელზე მეტი ხნით გამოიყენება საქმიანობის პროცესში, თანდათან ცვდება და დროის ზეგავლენით, კარგავს ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვის მეთოდიკას არეგულირებს ბასს 16 - „ძირითადი საშუალებები“, ბასს 17 - „იჯარა“, ბასს 36 - „აქტივების გაუფასურება“, ფასს 16 – იჯარა.

ძირითადი საშუალებები უნდა აღიარდეს აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება შექმნის თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალებების თვითღირებულება (იგივე პირვანდელი ღირებულება) არის მათი შექმნის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტები ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა.

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისათვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციების დროს (ფასს 13. უხლი 9).

გარდა შექმნის თვითღირებულებისა, ძირითად საშუალებებს გააჩნია შეფასების სხვა სახეები, როგორცაა: საბალანსო ღირებულება, ცვეთადი ღირებულება, ნარჩენი ღირებულება, აღდგენითი ღირებულება, გამოყენების ღირებულება.

საბალანსო ღირებულება არის თანხა, რომლითაც ძირითადი საშუალებები ასახულია ბალანსში. იგი განისაზღვრება, ძირითადი საშუალებების თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის თანხის გამოკლებით.

ცვეთა არის ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულების სისტემატური განაწილება მათი მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალებების თვითღირებულების თანხა ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ცვეთადი ღირებულება უნდა განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ნარჩენი ღირებულება არის შეფასებითი თანხა, რომელსაც საწარმო ამჟამად მიიღებდა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებული ხარჯების გამოკლებით, თუ მათ უკვე ექნებოდათ მათი სასარგებლო ვადის მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა (ბასს 16, მუხლი 6).

დისკუსია: აღრიცხვის სტანდარტებში შეტანილი ცვლილებებით, ნარჩენი ღირებულების ცნებით შეცვლილია ცნება „სალიკვიდაციო ღირებულება“, რაც ვფიქრობთ, საკითხს აბუნდოვანებს. სალიკვიდაციო ღირებულება არის სიძველის გამო, ძირითადი საშუალებების ექსპლოატაციის ვადის გასვლის შემდეგ მოსალოდნელი ჯარტის წმინდა გასაყიდი ფასი. ამ თანხის გამოკლებით თვითღირებულებიდან, მიიღება ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება. მაგალითად, თუ კომპიუტერის შეძენის თვითღირებულება არის 1500 ლარი და სიძველის შედეგად ექსპლოატაციიდან გასვლის შემდეგ დარჩენილი ჯარტის ღირებულება წინასწარი შეფასებით, მოსალოდნელია რომ 100 ლარი იქნება (გაყიდვის ხარჯების გამოკლებით), მაშინ, კომპიუტერის ცვეთადი ღირებულება არის 1400 ლარი. ჩვენი აზრით, ნარჩენი ღირებულება ყოველწლიურად შეიძლება გამოითვალოს, სანამ აქტივი ლიკვიდირებული არ იქნება უვარგისობის გამო. სწორედ ამ დროისთვის დარჩენილ ღირებულებას შეიძლება ეწოდოს - სალიკვიდაციო ღირებულება. ამიტომ, „სალიკვიდაციო ღირებულების“ ცნება აღრიცხვის სტანდარტებმა, ვფიქრობთ კვლავ უნდა აღიაროს.

დაგროვილი ცვეთა არის ძირითადი საშუალებების ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მათ დაკარგეს და გადატანილია ფირმის ხარჯებში მათი ექცლოატაციაში გასვლის დღიდან, მოცემულ დღემდე.

გაუფასურების ზარალი არის თანხა, რომლითაც ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება აღემატება მათ აღდგენით ანუ ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ანუ აღდგენითი ღირებულება არის უდიდესი, ძირითადი საშუალებების გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ, რეალურ ღირებულებასა (ანუ წმინდა რეალური ღირებულებასა) და მათი გამოყენების ღირებულებას შორის.

გამოყენების ღირებულება არის ძირითადი საშუალებების გამოყენებიდან მისადები ფულადი ნაკადების მიმდინარე ანუ დისკონტირებული ღირებულება.

აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნით, კომპანიებმა ყოველწლიურად უნდა მოახდინონ ტესტირება ძირითადი საშუალებების გაუფასურებაზე.

მაგალითი:

კომპიუტერული ტექნიკის საბალანსო ღირებულება	– 24 000 ლ
ნეტო რეალური ღირებულება	– 21 500 ლ
გამოყენების ღირებულება	– 23 000 ლ

მოცემულ შემთხვევაში აღდგენითი ანუ ანაზღაურებადი ღირებულება იქნება 23000 ლარი ანუ უდიდესი, ნეტო სარეალიზაციო ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის.

$$\text{გაუფასურების ზარალი} = 24.000 - 23.000 = 1.000 \text{ ლ}$$

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში შეიტანება:

- მათი შესყიდვის ფასი, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე;

- ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის ამ აქტივის გამოსაყენებლად;

- დემონტაჟის, ლიკვიდაციის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები თავდაპირველი შეფასებით, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან შემდგომში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის.

ძირითადი საშუალებების თითღირებულება არ მოიცავს: ახალი სიმძლავრეების ათვისების ხარჯებს, ახალი სახის პროდუქციის ან მომსახურების ათვისების დანახარჯებს, პერსონალის სწავლების ხარჯებს, ადმინისტრაციულ და სხვა საერთო ზედნადებ (საექსპლოატაციო) ხარჯებს.

ბანკებში ძირითად საშუალებებს მიეკუთვნება: მიწა, შენობა-ნაგებობები, კომპიუტერული ტექნიკა და საკომუნიკაციო მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები, ავეჯი და მოწყობილობები და სხვა დანარჩენი ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებების ყოველ ერთეულზე დგება ბარათი ან ფაილი კომპიუტერში, რომელშიც მოცემული სახის აქტივი აღირიცხება ექსპლოატაციიდან გასვლამდე.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვისათვის, ანგარიშთა გეგმით გათვალისწინებულია 290-ე ჯგუფის ანგარიშები. 2901 – მიწა, 2902 – შენობა-ნაგებობები და ა.შ. (იხ: დანართი). ეს ანგარიშები აქტიური ანგარიშებია. მათ დებეტში აღირიცხება ძირითადი საშუალებების შეძენა და მათი ღირებულების ზრდა. ხოლო, კრედიტში აღირიცხება ძირითადი საშუალებების ექსპლოატაციიდან გასვლა და მათი ღირებულების შემცირება. აღრიცხვა ხდება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

ძირითადი საშუალებების შეძენა შეიძლება მოხდეს შესყიდვის ან აშენების გზით, ან უსასყიდლოდ.

შესყიდვა შეიძლება მოხდეს ნაღდი ანგარიშსწორებით, ან შემდგომი განაღდების პირობით (კრედიტით), ან სხვა აქტივზე გაცვლით. ოპერაციები შესაბამისად აღირიცხება. შეძენა ხდება მიღების აქტის საფუძველზე.

შეძენის ოპერაციების აღრიცხვა:

1. კომპიუტერი შესყიდულია ნაღდ ფულზე 1300 ლარად.
დებეტი – (2903) კომპიუტერული ტექნიკა -1300 ლ
კრედიტი – (1003) საღარო – 1300 ლ
2. ავეჯი შესყიდულია ნაღდ ფულზე 3000 დოლარად, კურსი 1:1,5
 - ა). დებეტი – (2905) ავეჯი – 4500 ლ
კრედიტი – (2601) დოლარის კონტრაქტის – 4500 ლ
 - ბ). დებეტი – (2611) სავალუტო პოზიცია დოლარში – 3000 \$
კრედიტი – (1013) დოლარის საღარო – 3000 \$
3. შენობა შესყიდულია შემდგომი განაღდების პირობით – 1,6 მლნ ლარად
დებეტი – (2902) შენობა - 1,6 მლნ ლ
კრედიტი – (4501) კრედიტორები - 1,6 მლნ ლ

4. ძირითადი საშუალებების უსასყიდლოდ შეძენა – 30 000 ლ
დებეტი – ძირითადი საშუალებები – 30000 ლ
კრედიტი – (7066) შემოსავალი უსასყიდლოდ მიღებული აქტივებიდან

შენობები ბანკმა შეიძლება ააშენოს საკუთარი ძალებით, ამისთვის მას უნდა გააჩნდეს მშენებლობის განყოფილება ან აშენება შეუკვეთოს სხვა სამშენებლო ორგანიზაციას.

იმ შემთხვევაში, როცა ბანკი საკუთარი ქვედანაყოფის მიერ ახორციელებს მშენებლობის პროცესს, მაშინ საჭიროა, ბანკმა მოახდინოს მშენებლობის დანახარჯების დანაწევრება მათი სახეების მიხედვით, მათზე კონტროლის ეფექტიანად განხორციელების მიზნით. მშენებლობის დანახარჯები აღირიცხება 2911 ანგარიშზე: „დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდების დანახარჯები“. ამ ანგარიშის დებეტში აღირიცხება მშენებლობის ყველა ხარჯი:

- დებეტი – 2911 დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდების დანახარჯები
კრედიტი – 2541 სამშენებლო მასალები ან ფულადი სახსრების ანგარიშები

მშენებლობის დამთავრების შემდეგ, შენობის ექსპლოატაციაში გადაცემა და აღიარება მოხდება 2911 ანგარიშის დებეტის ჯამური თანხით:

- დებეტი – 2902 შენობა
კრედიტი – 2911 დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებები

ბანკი შენობის აშენებას. სპეციალურ სამშენებლო კომპანიას თუ შეუკვეთავს, მაშინ მშენებლობის დანახარჯებს ბანკი აღარ აღრიცხავს, იგი მხოლოდ ანგარიშსწორებას ახდენს სამშენებლო ორგანიზაციასთან. პირველ რიგში დაიდება ხელშეკრულება ასაშენებელი ობიექტის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს: ობიექტის ღირებულებას, დასაწყისში გადასარიცხი ავანსის სიდიდეს და ჩაბარების ვადებს.

ბანკის ბუღალტერიაში კი ოპერაციები შემდეგნაირად აღირიცხება:

მაგალითი:

- ავანსის გადარიცხვა სამშენებლო კომპანიისათვის – 0,5 მლნ ლ
დებეტი – (2503) გაცემული ავანსები - 0,5
კრედიტი – (1052) საკორესპოდენტო ანგარიში – 0,5
- სამშენებლო კომპანიისაგან აშენებული შენობის მიღება – 3 მლნ ლარი
დებეტი – (2902) – შენობები – 3 მლნ.ლ
კრედიტი – (4501) კრედიტორები – 3 მლნ ლ
- აღრე გადარიცხული ავანსის ჩათვლა – 0,5 მლნ ლ
დებეტი – (4501) კრედიტორები – 0,5 მლნ ლ
კრედიტი – (2503) გაცემული ავანსები – 0,5 მლნ ლ
- საბოლოოდ კუთვნილი თანხის გადარიცხვა – 2,5 მლნ ლ
დებეტი – (4501) – კრედიტორები – 2,5 მლნ ლ
კრედიტი – (1052) საკორესპოდენტო ანგარიში – 2,5 მლნ ლ

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადი საშუალებები თანდათან კარგავენ ღირებულებას. ამიტომ, საჭირო ხდება დაკარგული ღირებულების თანხის დადგენა, რაც ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის მეთოდის გამოყენებით შეიძლება.

ცვეთის წლიური თანხის გამოთვლის რამდენიმე მეთოდი არსებობს: წრფივი, ნაშთის შემცირების, წელთა ჯამის და მწარმოებლურობის მეთოდები.

პრაქტიკაში გამოიყენება, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დამტკიცებული მეთოდი, რომელიც არსებითად არის ნაშთის შემცირების მეთოდი. ანუ, ყოველწლიურად დარიცხული ცვეთა აკლდება ძირითადი საშუალებების თვითღირებულებას, მიიღება საბალანსო ღირებულება და მომავალ წელს, ამ საბალანსო ღირებულებიდან გამოითვლება წლიური ცვეთის თანხა. ამასთან, იურიდიულ პირებს შეუძლიათ გამოიყენონ დაჩქარებული ცვეთის მეთოდი, რაც ნიშნავს გაორმაგებული განაკვეთის გამოყენებას, ვიდრე კოდექსითაა დადგენილი. აგრეთვე, საგადასახადო კოდექსი უფლებას აძლევს კომპანიებს, გამოიყენონ ძირითადი საშუალებების მთლიანი ღირებულებით ჩამოწერის მეთოდი, რომელსაც ხუთი წლის განმავლობაში ვეღარ შეცვლიან.

ცვეთის თანხა გამოითვლება ძირითადი საშუალებების ცალკეული ჯგუფების მიხედვით, ჯგუფის საბალანსო ღირებულებიდან, კოდექსით დადგენილი საპროცენტო განაკვეთების შესაბამისად. აქვე შევნიშნავთ, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსში გამოყენებულია გამონათქვამი: „ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი“, რაც სხვა ქვეყნების კოდექსიდან გადმოტანილი არასრული თარგმანის შედეგია. ქართულად უნდა ითქვას: „ჯგუფის საბალანსო ღირებულება“.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით, ძირითადი საშუალებების ხუთი ჯგუფია გამოყოფილი, რომელთა მიხედვით დადგენილია ცვეთის საპროცენტო განაკვეთები 5%-დან 20%-მდე ფარგლებში.

ცვეთის აღრიცხვისათვის გამოიყენება ცვეთის ხარჯის (93-ე კლასის) ანგარიშები და დაგროვილი ცვეთის (49-ე კლასის) ანგარიშები.

ცვეთის ხარჯის აღმრიცხველი ანგარიშები აქტიური ანგარიშებია. მათ დებეტში აღრიცხება წლიური ცვეთის თანხები და ყოველწლიურად იხურება მოგება/ზარალის ანგარიშით.

დაგროვილი ცვეთის აღმრიცხველი ანგარიშები პასიური ანგარიშებია. მათ კრედიტში აღრიცხება ყოველწლიურად დარიცხული ცვეთის თანხები, მზარდი ჯამით და გროვდება მანამ, სანამ მოცემული სახის ძირითადი საშუალებები ექსპლოატაციიდან არ გავლენ. დაგროვილი ცვეთის ანგარიშები იხურება ძირითადი საშუალებების ექსპლოატაციიდან გასვლის დროს.

ცვეთის დარიცხვის ოპერაციები შემდგენიარად აღრიცხება:

დებეტი – (9302 – 06) ცვეთის ხარჯის ანგარიშები

კრედიტი – (4902 – 06) დაგროვილი ცვეთის ანგარიშები.

ცვეთის ხარჯების აღმრიცხველი ანგარიშების დახურვა:

დებეტი – (5501) მოგება/ზარალი

კრედიტი – ცვეთის ხარჯის აღმრიცხველი ანგარიშები

ექსპლოატაციიდან გასული ძირითადი საშუალებების ცვეთის ჩამოწერა:

დებეტი – დაგროვილი ცვეთის ანგარიშები

კრედიტი – ძირითადი საშუალებები

თუ ექსპლოატაციიდან გასული ძირითადი საშუალებები სრულად ამორტიზირებული არაა, მაშინ სხვაობა ჩამოიწერება (9061) ანგარიშზე „ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლისგან და გადაფასებისგან“.

ძირითადი საშუალებები ექსპლოატაციიდან რა მიზეზითაც არ უნდა გავიდნენ, პირველ რიგში უნდა მოხდეს მათი საბალანსო ღირებულების და დაგროვილი

ცვეთის თანხის ჩამოწერა შესაბამისი ანგარიშებიდან. თუ იარსებებს სხვაობა მათ შორის, იგი აღრიცხება მატერიალური ფასეულობების ან ზარალის ანგარიშზე.

მაგალითი:

ჩამოწერილია დაძველებული, უვარგისი კომპიუტერები, რომელთა თვითღირებულებაა (იგივე პირვანდელი ღირებულება) 32.000 ლარი, დაგროვილი ცვეთა 28.000 ლარი და მიღებული ჯართი წმინდა გასაყიდი ფასით 3.000 ლარისაა.

შედგება შემდეგი ბუღალტრული გატარება:

დებეტი – (4903) კომპიუტერული ტექნიკის დაგროვილი ცვეთა – 28.000 ლ
დებეტი – (2541) სამეურნეო მასალები – 3.000
დებეტი – (9061) ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან – 1.000 ლ
(32000 – 28000 – 3000)
კრედიტი – 2903 კომპიუტერული ტექნიკა – 32.000 ლ

ზედმეტი და არასაჭირო ძირითადი საშუალებების გაყიდვის შემთხვევაში, გამოიყენება ანგარიში (7061) - „შემოსავლები ძირითადი საშუალებების გასვლიდან და გადაფასებიდან“. აღრიცხვის სტანდარტებით, ის ძირითადი საშუალებები, რომელთა გაყიდვასაც საწარმო მიმდინარე პერიოდში აპირებს, გადატანილი უნდა იქნეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჯგუფში, „როგორც გასაყიდად გამიზნული აქტივები“.

მაგალითი:

გაყიდულია ზედმეტი ავტომანქანა 4000 ლარად, რომლის შეძენის თვითღირებულება (პირვანდელი ღირებულება) არის 4500 ლარი, დაგროვილი ცვეთა 2000 ლარი.

დებეტი – (1003) ფულადი სახსრები – 4000 ლ
დებეტი – (4904) ავტომანქანების დაგროვილი ცვეთა – 2000 ლ
კრედიტი – (2904) სატრანსპორტო საშუალებები – 4.500 ლ
კრედიტი – (7061) შემოსავალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან
(4000+2000-4500) = 1.500 ლ

თუკი ძირითადი საშუალებების აღრიცხვის კომპიუტერულ პროგრამაში მსგავსი რთული ბუღალტრული გატარებები მიღებული არ არის, მაშინ იგი რამდენიმე მარტივ ბუღალტრულ მუხლად უნდა დაიშალოს. ყველა გატარება დაუკავშირდება ანგარიშს: (7061) – შემოსავლები ძირითადი საშუალებების გასვლიდან.

ძირითადი საშუალებების ესა თუ ის ერთეული, რომლის რეალური ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ, აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნით, უნდა აისახოს გადაფასებული თანხით, რომელიც გადაფასების მომენტისათვის არსებული რეალური ღირებულების ტოლია, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით. გადაფასება რეგულარულად უნდა ტარდებოდეს იმისათვის, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისაგან, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

შენობა-ნაგებობებისა და მიწის რეალური ღირებულება, ჩვეულებრივ, განისაზღვრება ბაზარზე დაფუძნებულ შეფასებით მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომელსაც, ჩვეულებრივ, პროფესიონალი კვალიფიციური შემფასებელი

ასრულებს. ასევე, მანქანა-დანადგარების რეალური ღირებულება, ჩვეულებრივ, შეფასების გზით მიღებულ, მათ საბაზრო ღირებულებას წარმოადგენს (ბასს 16. მუხლი 32).

როდესაც გაურკვეველია საბაზრო ფასი (რადგან აქტივი სპეციფიკური ხასიათისაა და იშვიათად იყიდება), მაშინ, რეალური ღირებულება განისაზღვრება შემოსავლის მეთოდით ან ჩანაცვლების ღირებულებით, ცვეთის გათვალისწინებით. ზოგიერთი აქტივისათვის, რომელთა რეალური ღირებულება სწრაფ და მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, აუცილებელია ყოველწლიური გადაფასება. ხოლო, შედარებით სტაბილური ფასების მქონე აქტივისათვის, საკმარისია გადაფასების ჩატარება სამ-ხუთ წელიწადში ერთხელ.

ძირითადი საშუალებების გადაფასების დროს, ხდება დაგროვილი ცვეთის პროპორციული გადაფასება ისე, რომ გადაფასების შემდეგ აქტივის საბალანსო ღირებულება უდრიდეს მის გადაფასებულ ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების გადაფასების დროს მათი ღირებულების ზრდის შემთხვევაში, წარმოიქმნება გადაფასების რეზერვი, საიდანაც ჩამოიწერება მომავალი გადაფასების დროს წარმოქმნილი ღირებულების შემცირება.

მაგალითი:

დავუშვათ, შენობის თავდაპირველი აღიარებული ღირებულებაა 100.000 ლარი, დაგროვილი ცვეთა 20.000 ლარია. გადაფასების შედეგად მოხდა საბალანსო ღირებულების ზრდა 10-%ით.

მაშინ:

შენობის საბალანსო ღირებულება = 80.000 * 1,1 = 88.000 ლ

შენობის დაგროვილი ცვეთა = 20.000 * 1,1 = 22.000 ლ

შენობის აღიარებული ღირებულება (ისტორიული ღირებულება) = 110.000 ლ

შედგება შემდეგი ბუღალტრული მუხლი:

დებეტი – (2902) შენობა – 10.000 ლ

კრედიტი – (4902) შენობის დაგროვილი ცვეთა – 2.000 ლ

კრედიტი – (5904) ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი – 8000 ლ

შენობის შემდეგი გადაფასების დროს თუ მოხდა მისი ღირებულების შემცირება, იგი გადაფასების რეზერვიდან ჩამოიწერება. რეზერვის უკმარისობის შემთხვევაში, სხვაობა ზარალად აღიარდება.

9.2. სამეურნეო ფასეულობების აღრიცხვა

ბანკების სამეურნეო ფასეულობებს მიეკუთვნება ისეთი მატერიალური აქტივები, რომლებიც არ შეიტანება ძირითადი საშუალებების ჯგუფში, მაგრამ შეიძლება იყოს ბანკის მფლობელობაში მათი რაიმე მიზნით გამოყენებისათვის ან გასაყიდად. ბანკში სამეურნეო ფასეულობებს მიეკუთვნება ოქრო, ძვირფასი ლითონები, ხელოვნების ნაწარმოებები, საკოლექციო საგნები და სხვადასხვა სამეურნეო მასალები.

ოქრო შეიძლება იყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და შედარებით დაბალი ხარისხის მქონე. მისი კლასიფიცირება ხდება ეროვნული ბანკის მიერ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების საფუძველზე განსაზღვრული წესებით.

ბანკის აქტივებში აღიარდება ის ოქრო, რომელიც შესყიდულია ან ნასესხებია ბანკის მიერ. მისი აღიარება ხდება გარიგების დადების დღეს

არსებული ფასით, მიუხედავად გადახდის ვადისა. ოქროს გადაფასება ხდება სისტემატურად, ლონდონის ბირჟაზე გამოყენებული კოტირების საფუძველზე, სადაც ნიხრები მოცემულია აშშ დოლარით ან ინგლისური გირვანქა სტერლინგით.

ბანკის საკუთრებაში არსებული ოქროს აღრიცხვისათვის გამოიყენება ანგარიშები: (1101) - „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ოქრო“ და (1102) - „საერთაშორისო სტანდარტების შეუსაბამო ოქრო“.

ეს ანგარიშები აქტიური ანგარიშებია და იმ შემთხვევაში, თუ აღრიცხვა არ წარმოებს დოლარში ან ინგლისური გირვანქა სტერლინგით, მაშინ გამოიყენება კროს-კურსები ქართული ლარის მიმართ. ამ ანგარიშებზე არ აღირიცხება ის ოქროს საიუველირო ნაკეთობები და ოქროს მონეტები, რომლებიც არ წარმოადგენენ კანონიერი გადახდის საშუალებას. ისინი აღირიცხება ანგარიშზე: (2521) - „ძვირფასი ლითონები, ხელოვნების ნაწარმოებები და საკოლექციო საგნები“.

ოქროს შესყიდვა ან სესხება აღირიცხება:

დებეტი – (1101) ან (1102) ოქრო
კრედიტი – (1052) ან (1062) საკორესპოდენტო ანგარიშები
(სესხების შემთხვევაში – კრედიტორების ანგარიში)

ოქროს გადაფასება, როცა ხდება ღირებულების ზრდა:

დებეტი – (1101) ან (1102) ოქრო
კრედიტი – (5901) ოქროს გადაფასების რეზერვი

ოქროს ჩამოფასება:

დებეტი – (5901) ოქროს გადაფასების რეზერვი (რეზერვის სიდიდის ფარგლებში)
დებეტი – (9063) ზარალი ძვირფასი ლითონების გადაფასებიდან
(ჩამოფასებული თანხის ნამეტი გადაფასების რეზერვის სიდიდეზე)
კრედიტი – (1101) ან (1102) ოქრო

ოქროს გაყიდვა მოგებით:

დებეტი – (1003) ან (1052) ფულადი სახსრები
დებეტი – (5901) ოქროს გადაფასების რეზერვი
კრედიტი – (1101) ან (1102) ოქრო
კრედიტი – (7063) შემოსავლები ძვირფასი ლითონების გასვლიდან

ოქროს გაყიდვა ზარალით:

დებეტი – (1003) ან (1052) ფულადი სახსრები
დებეტი – (5901) ოქროს გადაფასების რეზერვი
დებეტი – (9063) ზარალი ძვირფასი ლითონების გადაფასებიდან და გასვლიდან
კრედიტი – (1101) ან (1102) ოქრო

ძვირფასი ლითონები, ხელოვნების ნაწარმოებები და საკოლექციო საგნები აღირიცხება (2521) ანგარიშზე (ოქროს გარდა). იგი არ გამოიყენება გირავნობის ქვეშ მიღებული ძვირფასეულობის აღსარიცხავად. ასეთი ფასეულობები აღირიცხება ბალანსგარეშე ანგარიშზე – (0205) - „გირავნობის უზრუნველყოფის სახით მიღებული აქტივები“, ტექნიკური ანგარიშის გამოყენებით.

ბანკის სამეურნეო მასალები არ გამოიყენება საბანკო საქმიანობაში, არამედ სპეციფიკური დანიშნულების ან გაყიდვისათვის (მშენებლობის ან რემონტისათვის). მათ აღსარიცხავად გამოიყენება აქტიური ანგარიში (2541) -

„სამეურნეო მასალების მარაგი“. მის დებეტში აღირიცხება ამ მასალების შექენა, კრედიტში კი ჩამოიწერება გამოსაყენებლად გაცემული მასალები. მასალების შექენის ხარჯები აღირიცხება ანგარიშზე (9431) – სამეურნეო მასალებისა და ინვენტარის შექენის ხარჯები. ბანკები ცდილობენ არ დაუშვან ასეთი მასალების არასაჭირო რაოდენობით მარაგში არსებობა. მასალების გამოყენება აღიარდება მშენებლობის ან რემონტის ხარჯად.

სამეურნეო მასალების გადაფასების დროს ჩამოფასების შედეგი აღიარდება ზარალად (9062) ანგარიშზე - „ზარალი სამეურნეო მასალების გადაფასებიდან და გასვლიდან“.

ასევე, ცალ-ცალკე ანგარიშებზე აღირიცხება სამეურნეო მასალების შექენის ხარჯები (9431), საბანკო ბარათების დამზადების ხარჯები (9432), ბლანკების შექენისა და დამზადების ხარჯები (9433) და ფულის შეფუთვის ხარჯები (9434). ხარჯების აღმრიცხველი ყველა აქ მოტანილი ანგარიში წლის ბოლოს მოგება/ზარალის (5501) ანგარიშით იხურება.

9.3. ბანკის ბანკოთარებისა და პერსონალის ხარჯების აღრიცხვა

ბანკები აგრეთვე ეწევიან სხვადასხვა შიგა საბანკო ხარჯებს პერსონალთან დაკავშირებით, ბანკის განვითარებასთან დაკავშირებით და საქმიანობასთან დაკავშირებულ საექსპლოატაციო ხარჯებს.

პერსონალის ხარჯებს მიეკუთვნება თანამშრომელთა ხელფასის ხარჯები, პრემიების ხარჯები და საპენსიო ხარჯები.

ბანკის განვითარების ხარჯებს მიეკუთვნება რეკლამის ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, მივლინების, კადრების მოზიდვის, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების და თანამშრომელთა სპეცტანსაცმლის ხარჯები.

საექსპლოატაციო ხარჯებს წარმოადგენს კომუნალური მომსახურების ხარჯები, ქონების დაზღვევის, შურნალ-გაზეთებისა და სხვა პერიოდულ გამოცემებზე გაწეული ხარჯები, საფოსტო-სატელეგრაფო, საკანცელარიო და ტრანსპორტის შენახვის ხარჯები.

ამ ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის პრინციპით. ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმით გამოყოფილია ანგარიშები დანახარჯების სახეების მიხედვით ცალ-ცალკე. ესენია 92-ე და 94-ე კლასის ანგარიშები. ხარჯების აღიარება (დარიცხვა) ხდება მათ დებეტში. ხოლო კრედიტში ჩამოიწერება და დაეწერება მოგება/ზარალის (5501) ანგარიშს.

ძირითადი სამეურნეო ტიპის ოპერაციები შემდგენაირად აღირიცხება:

1. დარიცხულია თანამშრომელთა ხელფასი - 50.000 ლარი
დებეტი – (9201) ბანკის თანამშრომელთა ხელფასის ხარჯი – 50.000 ლ
კრედიტი – (4501) კრედიტორები – 50.000 ლ

(აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გასაცემ ხელფასზე თანამშრომლებთან ვალდებულების ანგარიში, ბანკების ანგარიშთა გეგმით ცალკე გამოყოფილი არაა. მას ბუღალტერი გახსნის კრედიტორების ანგარიშების ჯგუფში)

2. დაკავებულია საშემოსავლო გადასახადი – 10.000 ლარი
დებეტი – (4501) კრედიტორები – 10.000 ლ
კრედიტი – (4553) გადასახადელი საშემოსავლო გადასახადი – 10.000 ლ

3. გასაცემი ხელფასის ჩარიცხვა თანამშრომელთა პირად ანგარიშებზე:
დებეტი – (4501) კრედიტორები – 40.000 ლ
კრედიტი – (4506) თანამშრომელთა მიმდინარე ანგარიშები – 40000 ლ
4. ხელფასის აღება თანამშრომელთა მიერ:
დებეტი – (4506) თანამშრომელთა მიმდინარე ანგარიშები
კრედიტი - (1003) სალარო ან (1004) ფულადი სახსრები ბანკომატებში

იმ შემთხვევაში, თუ ბანკი ახორციელებს სახსრების დაგროვებას მომავალი სოციალური ხარჯებისათვის, მაშინ, რეზერვის შესაქმნელად ყოველ საანგარიშგებო პერიოდში დადებებდება ხარჯების ანგარიშები (9201-9209) და დაკრედიტდება დროებითი დავალიანებების ანგარიშები: (4001) - „რეზერვები მოსამსახურეთა მომავალი გასაცემებისათვის და (4002) - საპენსიო ფონდი.

ბანკის პერსონალის ხარჯებისა და საექსპლოატაციო ხარჯების აღმრიცხველი ანგარიშები მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში იხსნება. ბანკის განვითარების ხარჯების ანგარიშები კი შეიძლება უცხოურ ვალუტაშიც გაიხსნას, ოღონდ, როგორც წესი, ეროვნულ ვალუტაში გადაიყვანება, რისთვისაც, სავალუტო პოზიციის ანგარიშები გამოიყენება.

ბანკის განვითარებისა და პერსონალის ხარჯების აღმრიცხველი ანგარიშები, პერიოდის ბოლოს, ჩვეულებრივ მოგება/ზარალის ანგარიშით იხურება.

9.4. მოგების გადასახადის აღრიცხვა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნით, ყველა იურიდიული პირის მოგება იბეგრება 15% - ანი განაკვეთით.

მოგება არის კომპანიის საბოლოო ფინანსური შედეგი, რომელიც არის სხვაობა ერთობლივ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის, როცა შემოსავლები და ხარჯები აღიარებულია დარიცხვის პრინციპით.

მოგების გადასახადის აღრიცხვის მეთოდუკას არეგულირებს ბასს 12 - “მოგებიდან გადასახადები“ და საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თვით აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულია, რომ “ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები არ ღვას ქვეყნის კანონმდებლობაზე მაღლა“.

მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება წლიური დასაბეგრი მოგებიდან, რომელიც წლის ბოლოსთვის ხდება ცნობილი. ამიტომ, წლის განმავლობაში მოგების გადასახადის გადახდა ხდება წელიწადში სამჯერ, წინა წლის ფაქტიური მოგებიდან. გადახდის გრაფიკს ადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ასე მაგალითა: 15 მაისამდე – წინა წლის მოგების 25%; 15 ივლისამდე – 25% და 15 სექტემბრამდე – 25%, 15 დეკემბრამდე – 25%.

საანგარიშგებო (მიმდინარე) წლის ბოლოს, როცა მოგების ფაქტიური მოცულობა უკვე ცნობილია, მოხდება შედარება და თუ დამატებითი გადახდა გახდება საჭირო, მაშინ, კომერციული ბანკი დამატებით გადარიცხავს მას ბიუჯეტში. ხოლო, თუ წლის განმავლობაში, წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადის თანხა უფრო მეტი აღმოჩნდა ბანკიდან გადარიცხული, ვიდრე სავალდებულო იყო, მაშინ ბიუჯეტი უკან უბრუნებს მას კომპანიას, ან ჩაუთვლის მომავალი წლის გადასახადში.

წლის განმავლობაში გადახდილი მოგების გადასახადის აღსარიცხავად გამოიყენება ანგარიში (2551) - „მიმდინარე (ანუ გადახდილი) მოგების გადასახადი“. იგი აქტიური ანგარიშია. დებეტში გროვდება წლის განმავლობაში ავანსად ანუ წინასწარ გადარიცხული მოგების გადასახადის თანხები. წლის

ბოლოს კი იხურება ბიუჯეტთან მოგების გადასახადის ვალდებულების – (4551) – ანგარიშით.

მაგალითი:

წლის განმავლობაში კომერციული ბანკის მიერ გადარიცხულია მოგების გადასახადი 5000 ლარი. წლის ბოლოს მოგების გადასახადის რეალური სიდიდე აღმოჩნდა 5200 ლარი.

ადგილი ექნება შემდეგ ბუღალტრულ მუხლებს:

1. წლის განმავლობაში მოგების გადასახადის ავანსად გადარიცხვა

დებეტი – (2551) მოგების მიმდინარე გადასახადი – 5000 ლ
კრედიტი – 1052 – საკორესპოდენტო ანგარიში – 5000 ლ

2. წლის ბოლოს, რეალურად გადასახდელი მოგების გადასახადის დარიცხვა – 5200 ლ

დებეტი – (9501) – მოგების გადასახადის ხარჯი – 5200 ლ
კრედიტი – (4551) – გადასახდელი მოგების გადასახადი – 5200 ლ

3. წლის განმავლობაში გადახდილი მოგების გადასახადის გამოქვითვა (ჩათვლა) – 5000 ლ

დებეტი – (4551) გადასახდელი მოგების გადასახადი – 5000 ლ
კრედიტი – (2551) მოგების მიმდინარე გადასახადი – 5000 ლ

4. ბოლოს მოხდება საბოლოო ანგარიშსწორება ბიუჯეტთან, დამატებით გადარიცხვაზე – 200 ლ

დებეტი – (4551) ვალდებულება მოგების გადასახადზე – 200 ლ
კრედიტი – (1051) საკორესპოდენტო ანგარიში – 200 ლ

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი მოგება, რომელიც განისაზღვრება სხვაობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით აღიარებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის.

როგორც ცნობილია, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით, ყველა იურიდიული პირი ვალდებულია მოამზადოს და გამოაქვეყნოს წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც, დასაბეგრი მოგების სიდიდე გამოთვლილია იმავე სტანდარტების მოთხოვნების საფუძველზე. საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები კი ყველა ხარჯის გამოქვითვის უფლებას არ იძლევა, დადგენილია ზოგიერთი შეზღუდვები. აქედან გამომდინარე, წარმოიშევა სხვაობა სააღრიცხვო და საგადასახადო მოგებას შორის.

სააღრიცხვო მოგება არის სხვაობა აღრიცხვის სტანდარტებით აღიარებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის, საანგარიშგებო პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯის გამოქვითამდე.

მოგების გადასახადის ხარჯი არის საანგარიშგებო პერიოდის მიმდინარე და გადავადებული გადასახადების მთლიანი თანხა. (რაც იგივე იქნება, რაც დასაბეგრი მოგების 15%).

საგადასახადო მოგება არის სხვაობა საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მარეგულირებელი ნორმებით აღიარებულ საგადასახადო შემოსავლებსა და საგადასახადო ხარჯებს შორის.

სააღრიცხვო და საგადასახადო მოგების მაჩვენებლები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც **დროებით სხვაობებს**

წარმოშობს. ამასთან, დროებითი სხვაობა შეიძლება იყოს დასაბეგრი ან გამოსაქვითი. დასაბეგრი დროებითი სხვაობები კი წარმოშობენ ან გადავადებულ საგადასახადო აქტივს, ან გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებას.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულება წარმოიშობა მაშინ, როცა სააღრიცხვო მოგება მეტია საგადასახადო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი წარმოიშობა მაშინ, როცა სააღრიცხვო მოგება ნაკლებია საგადასახადო მოგებაზე.

მოგების გადასახადის ოპერაციების აღსარიცხავად შემდეგი ანგარიშები გამოიყენება:

2551 – მიმდინარე მოგების გადასახადი, რომელიც გამოიყენება წლის განმავლობაში ბიუჯეტში წინასწარ გადარიცხული თანხების აღსარიცხავად;

2711 – გადავადებული საგადასახადო აქტივი, იგი აქტიური ანგარიშია. მის დებეტში აღირიცხება სხვაობა, როცა საგადასახადო გადასახადი მეტია სააღრიცხვო გადასახადზე;

4551 – გადასახდელი მოგების გადასახადი. იგი ვალდებულებას აღრიცხავს და ამდენად, პასიური ანგარიშია. მის კრედიტში აღირიცხება წლის ბოლოს განსაზღვრული საგადასახადო მოგებიდან, ბიუჯეტში რეალურად გადასარიცხი მოგების გადასახადის თანხა;

4711 – გადავადებული საგადასახადო ვალდებულება. იგი პასიური ანგარიშია და მის კრედიტში აღირიცხება სხვაობის თანხა, როცა საგადასახადო გადასახადი ნაკლებია სააღრიცხვო გადასახადზე;

9501 – მოგების მიმდინარე გადასახადის ხარჯი. იგი აქტიური ანგარიშია და მის დებეტში აღირიცხება, წლის ბოლოს გამოვლენილი სააღრიცხვო მოგებიდან გამოთვლილი მოგების გადასახადის თანხა.

საილუსტრაციო მაგალითი:

კომერციული ბანკის საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის, დაეუშვათ, სააღრიცხვო მოგებიდან გადასახადმა – 5400 ლარი და საგადასახადო მოგებიდან გადასახადმა კი – 5200 ლარი შეადგინა.

შედგება შემდეგი ბუღალტრული მუხლი:

- დებეტი – (9501) მოგების მიმდინარე გადასახადის ხარჯი – 5400 ლ
- კრედიტი – (4551) ვალდებულება მოგების გადასახადზე – 5200 ლ
- კრედიტი – (4711) გადავადებული საგადასახადო ვალდებულება – 200

იგივე რთული ბუღალტრული მუხლი, შეიძლება ორი მარტივი მუხლით ჩაიწეროს:

- ა). დებეტი – (9501) მოგების გადასახადის ხარჯი – 5200 ლ
- კრედიტი – (4551) – გადასახდელი მოგების გადასახადი – 5200 ლ
- ბ). დებეტი – (9501) მოგების გადასახადის ხარჯი – 200 ლ
- კრედიტი – (4711) გადავადებული საგადასახადო ვალდებულება – 200 ლ

დაეუშვათ, მომდევნო წელს, სააღრიცხვო გადასახადი კვლავ 5400 ლარია. ხოლო, საგადასახადო მოგებიდან გადასახადი 5500 ლარი აღმოჩნდა.

ადგილი ექნება შემდეგ ბუღალტრულ გატარებებს:

1. დებეტი – (9501) მოგების გადასახადის ხარჯი – 5400 ლ
- დებეტი – (2711) გადავადებული საგადასახადო აქტივი – 100 ლ
- კრედიტი – (4551) გადასახდელი მოგების გადასახადი – 5500 ლ

იმავედროულად, ვინაიდან წინა წლის მიხედვით, არსებობდა ნაშთი გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ანგარიშზე, მოხდება შემდეგი გატარება:


დებიტი – (4711) გადავადებული საგადასახადო ვალდებულება – 100 ლ
კრედიტი – (2711) გადავადებული საგადასახადო აქტივი – 100 ლ

ამის მსგავსად გაგრძელდება ბუღალტრული გატარებები მომავალ წლებში. ამდენად, ანგარიშები (2711) და (4711) ერთმანეთს არეგულირებენ. მათი ნაშთი ბუღალტრულ ბალანსში აისახება.

შევნიშნავთ, რომ 2017 წლის პირველი იანვრიდან მოგების გადასახადის კანონმდებლობა შესაძლოა შეიცვალოს, მაგრამ, ჯერ-ჯერობით იგივე რეგულაციები მოქმედებს.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. რა არის ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება;
2. რა უდრის ძირითადი საშუალებების გაუფასურების ზარალი;
3. რა არის ძირითადი საშუალებების სალიკვიდაციო ანუ ანაზღაურებადი ღირებულება;
4. აღრიცხეთ ოქროს გადაფასება ფასმატების დროს;
5. აღრიცხეთ გირავნობის ქვეშ ძვირფასი ფასეულობების მიღება.



თავი 10. საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

კომპანიების და მათ შორის, კომერციული ბანკების აქტივების დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა საკუთარი კაპიტალი.

მოცემულ თავში განხილულია შემდეგი საკითხები:


- საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა კომერციულ ბანკებში
- სააქციო კაპიტალის ფორმირების აღრიცხვა
- საკუთარი აქციების უკან გამოსყიდვის ოპერაციების აღრიცხვა
- მოგების ხარჯზე შექმნილი რეზერვების აღრიცხვა
- გასაცემი დივიდენდების აღრიცხვა
- შემოსავალი ერთ აქციაზე

10.1. საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა კომერციულ ბანკებში

საკუთარი კაპიტალი არის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ვალდებულებების დაფარვის შემდეგ (ფასს 1, მუხლი 49).

კომერციული ბანკების საქმიანობა ხორციელდება სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით, რაც განსაზღვრავს მათი საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას.

ბალანსში საკუთარი კაპიტალი დაყოფილია ქვეჯგუფებად: სააქციო კაპიტალი, საემისიო კაპიტალი, მოგების ხარჯზე შექმნილი რეზერვები, გადაფასების რეზერვი და გაუნაწილებელი მოგება (იხ. სქემა 10.1.1). ასეთი კლასიფიკაცია სასარგებლოა წილობრივი ინსტრუმენტების მართვისა და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.



სქემა 10.1.1. საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა

ბუღალტრულ ბალანსში ასახული საკუთარი კაპიტალის სიდიდე დამოკიდებულია აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებაზე. როგორც წესი,

საკუთარი კაპიტალის ჯამური სიდიდე შეიძლება მხოლოდ შემთხვევით დაემთხვეს კომპანიის მიერ გამოშვებული აქციების საბაზრო ღირებულების მთლიან თანხას ან იმ თანხას, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას კომპანიის წმინდა აქტივების გაყიდვის შედეგად.

სააქციო კაპიტალი ახასიათებს აქციონერების წილს სააქციო საზოგადოებაში. ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მას წილობრივ ინსტრუმენტს უწოდებს. **წილობრივი ინსტრუმენტი არის** ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის საკუთრების უფლებას (ბასს 32, მუხლი 11).

ჩვენი აზრით, წილობრივი ინსტრუმენტი არის ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებში მესაკუთრეთა წილის უფლებას. მაგრამ, თუ ვიტყვით იმას, რომ წილობრივი ინსტრუმენტი არის აქტივებს მინუს ვალდებულებები, მაშინ საუბარია მთლიანად საკუთარ კაპიტალზე, რომელშიც სააქციო კაპიტალის გარდა შედის მოგების ხარჯზე შექმნილი რეზერვები, გრძელვადიანი აქტივების გადაფასების რეზერვი და გაუნაწილებელი მოგება, რომელთაგან არცერთი არ ჩაითვლება აქტივებში წილის მოპოვების უფლების ხელშეკრულებად.

წილობრივი ინსტრუმენტის შეფასება ხდება რეალური ღირებულებით.

სააქციო კაპიტალი ორგანიზაციაში წარმოიქმნება აქციების გამოშვების გზით. შეიძლება გამოშვებული იქნეს პრივილეგირებული ან ჩვეულებრივი აქციები. პრივილეგირებული აქციის მფლობელს არა აქვს ხმის უფლება კომპანიაში, მაგრამ აქვს დივიდენდის გარანტირებული უცვლელი საპროცენტო განაკვეთი. ჩვეულებრივი აქციის მფლობელები მონაწილეობენ კომპანიის საქმიანობაში და აქვთ ხმის უფლება, მაგრამ არა აქვთ დივიდენდის წინასწარ დადგენილი განაკვეთი.

აქცია შეიძლება იყოს დაბრუნებადი ან დაუბრუნებადი.

დაბრუნებადი აქცია არის ისეთი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც მფლობელს უფლებას ანიჭებს ემიტენტს უკან დაუბრუნოს ინსტრუმენტი ფულად სახსრებზე ან სხვა ფინანსურ აქტივზე გაცვლის გზით. ან ავტომატურად უბრუნდება ემიტენტს ამა თუ იმ გაურკვეველი მოვლენის მოხდენისას მომავალში, ან ინსტრუმენტის მფლობელის სიკვდილის ან პენსიაში გასვლის დროს. აქციის დაბრუნების პირობები განისაზღვრება ბანკის მიერ აქციების გამოშვების დროს.

აქციების უკან გამოსყიდვის პირობები გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში, რომელიც ცხადდება აქციების გამოშვების დროს.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს. (ბასს 32, მუხლი 11).

ფინანსური ვალდებულება მაშინ კლასიფიცირდება წილობრივ ინსტრუმენტად, თუ მის მფლობელს უფლებას ანიჭებს ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღოს მისი წმინდა აქტივების პროპორციული წილი. ამ შემთხვევაში პროპორციული წილი განისაზღვრება ბანკის წმინდა აქტივების დაყოფით ტოლი სიდიდის ერთეულებად ლიკვიდაციის დროს და ამ თანხის გამრავლებით აქციონერის კუთვნილი აქციების ერთეულების რაოდენობაზე.

ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს როგორც **პირველად ფინანსურ ინსტრუმენტს** მაგალითად დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს და წილობრივ ფასიან ქაღალდებს, ასევე, **წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს**, როგორცაა ფინანსური ოფციონი, ფიუჩერსები და ფორვარდები, საპროცენტო განაკვეთიანი სვოპები და სავალუტო სვოპები.

ოფციონი არის გარკვეული შეღავათით, საბაზროზე დაბალ ფასში გამოშვებული აქციები თანამშრომლებისათვის. ოფციონის გამყიდველი თავის თავზე წინასწარ იღებს ვალდებულებას, უარი თქვას პოტენციურ მომავალ ეკონომიკურ სარგებელზე ან განიცადოს მომავალი პოტენციური ზარალი აქციების რეალური ღირებულების ცვლილებებთან დაკავშირებით. ამრიგად, ოფციონი არის ოფციონის მფლობელის უფლება, აქტივები გაცვალოს პოტენციურად ხელსაყრელი პირობებით და გამყიდველის ვალდებულება – აქტივები გაცვალოს პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით.

ოფციონი შეიძლება იყოს: ფუთ-ოფციონი – სახელშეკრულებო უფლება და ქოლ-ოფციონი – სახელშეკრულებო ვალდებულება.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის მაგალითია აგრეთვე ფორვარდული კონტრაქტი ექვსთვიანი დაფარვის ვადით, რომლის მიხედვით მიყიდველი ვალდებულებას იღებს ვთქვათ, გასცეს 2000 ლარის ფულადი სახსრები 2000 ნომინალური ღირებულების ფიქსირებულ განაკვეთიანი სახელმწიფო ობლიგაციის სანაცვლოდ, ხოლო გამყიდველი ვალდებულებას იღებს გასცეს 2000 ლარის ნომინალური ღირებულების მქონე ობლიგაციები 2000 ლარის ფულადი სახსრების სანაცვლოდ ექვსი თვის განმავლობაში. ამდენად, ორივე მხარეს აქვს სახელშეკრულებო უფლება და ვალდებულება. თუ ობლიგაციის საბაზრო ფასები შეიცვლება, შესაბამისად აისახება მიყიდველისა და გამყიდველის ოპერაციებში. ამრიგად, ეს სახელშეკრულებო უფლებები და ვალდებულებები წარმოქმნის ფინანსურ ვალდებულებებსა და ფინანსურ აქტივებს ოფციონების მსგავსად. მნიშვნელოვანი განსხვავება ფორვარდულ კონტრაქტსა და ოფციონის კონტრაქტს შორის ის არის, რომ ფორვარდული კონტრაქტის დროს ორივე მხარეს ვალდებულების შესრულება ევალება შეთანხმებულ დროში. მაშინ, როდესაც ოფციონის კონტრაქტის დროს შედეგს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ექნება ადგილი, როდესაც ოფციონის მფლობელი გადაწყვეტს მის განხორციელებას.

10.2. სააქციო კაპიტალის აღრიცხვა

სააქციო კაპიტალის აღრიცხვის მიზნით, საქართველოს საბანკო დაწესებულებების ანგარიშთა გეგმით გათვალისწინებულია მეხუთე განყოფის 50-ე და 51 –ე კლასის ბუღალტრული ანგარიშები (იხ. დანართი). კერძოდ:

- 5001 – საქართველოს ეროვნული ბანკის საწესდებო კაპიტალი;
- 5002 – კაპიტალი ჩვეულებრივ აქციებში
- 5003 – უკან გამოსყიდული საკუთარი ჩვეულებრივი აქციები
- 5004 – კაპიტალი პრივილეგირებულ აქციებში
- 5005 – უკან გამოსყიდული საკუთარი პრივილეგირებული აქციები

საემისიო კაპიტალის ანგარიშები:

- 5102 – ჩვეულებრივი აქციების ემისიით მიღებული დამატებითი სახსრები
- 5104 – პრივილეგირებული აქციების ემისიით მიღებული დამატებითი სახსრები

ჩამოთვლილი ანგარიშები, გარდა უკან გამოსყიდული აქციების აღმრიცხველი ანგარიშებისა, პასიური ანგარიშებია. მათ კრედიტში კაპიტალის ზრდა და დებეტში კაპიტალის შემცირება აღირიცხება. კერძოდ, კრედიტში აღირიცხება სააქციო კაპიტალის ფორმირება ანუ წარმოქმნა აქციონერების მიერ აქციების შესყიდვის დროს. მხოლოდ სააქციო კაპიტალის (5002 და 5004)

ანგარიშების კრედიტში აღიარებული თანხები წარმოადგენენ აქციონერთა მიერ განადღებული აქციების მოცულობას და წილობრივ უფლებას, მოითხოვონ დივიდენდი ბანკის მოგებიდან.

უკან გამოსყიდული საკუთარი აქციების ანგარიშები (5003 და 5005) აქტიური ანგარიშებია. ისინი ფუნქციური დანიშნულების მიხედვით კონტრპასიური ანგარიშები არიან და არეგულირებენ სააქციო კაპიტალის ანგარიშებს. ამ ანგარიშებზე არსებული ნაშთები მართალია ბუღალტრულ ბალანსში გადაიტანება, მაგრამ ბალანსის ჯამში არ შეიტანება, არამედ სააქციო კაპიტალის ანგარიშების ნაშთებიდან გამოიქვითება.

საემისიო კაპიტალი არის სხვაობა გამოშვებული აქციების გაყიდვის ფასსა და ნომინალურ ღირებულებას შორის. მისი აღმრიცხველი ანგარიშები პასიური ანგარიშებია. რაც იმას ნიშნავს, რომ მათ კრედიტში აღირიცხება გამოშვებული აქციების საბაზრო ფასის მეტობა მათ ნომინალურ ღირებულებაზე. ხოლო დებეტში აღირიცხება საემისიო კაპიტალის გამოყენება უკან გამოსყიდული საკუთარი აქციების დროს წარმოქმნილი ზარალის დასაფარავად. აგრეთვე, აქციების ბეჭდვის ხარჯების დასაფარად. საემისიო კაპიტალი აქციონერებს შორის განაწილებას არ ექვემდებარება.

დავუშვათ, გამოშვებულია 20000 ლარის ნომინალური ღირებულების აქციები, რომელიც 23000 ლარად გაიყიდა. მაშასადამე, 3000 ლარი წარმოადგენს საემისიო კაპიტალს. თუ აქციების ბეჭდვის ხარჯებმა 1200 ლარი შეადგინა, მასზე შედგებოდა ბუღალტრული მუხლი:

დებეტი – (9433) ბლანკების ბეჭდვის ხარჯები – 1200 ლ
კრედიტი – კრედიტორები ან ფულადი სახსრები – 1200 ლ

აქციების ბეჭდვის ხარჯების ჩამოწერა საემისიო კაპიტალიდან:

დებეტი – (5102) 15 (5103) საემისიო კაპიტალი – 1200 ლ
კრედიტი – (9433) ბეჭდვის ხარჯები – 1200 ლ

აქციის საბაზრო ფასი დგინდება ბაზარზე და დამოკიდებულია აქციის კურსზე. ინვესტორი რომ დაინტერესდეს აქციების შესყიდვით, აქციის დივიდენდის დონე არ უნდა იყოს საბანკო სესხის სარგებლის პროცენტზე დაბალი. ამიტომ აქციის კურსი განისაზღვრება ფორმულით:

$$K = \frac{\text{დივიდენდის პროცენტი}}{\text{საბანკო სესხის სარგებლის განაკვეთი}}$$

აქციების გამოშვებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თან ახლავს ბეჭდვის და სხვა სახის ორგანიზაციული ხარჯები. არსებობს ამ დანახარჯების საკომპენსაციო და გადავადებული გადასახადების მეთოდი.

საკომპენსაციო მეთოდით იგი მიმდინარე პერიოდის ხარჯებს მიეკუთვნება და ჩამოიწერება აქციების გაყიდვიდან წარმოშობილი საემისიო კაპიტალის ხარჯზე, რაც ზემოთ უკვე ვაჩვენეთ.

გადავადებული გადასახადის მეთოდით იგი მიეკუთვნება მომავალი პერიოდის ხარჯებს და მათ არამატერიალურ აქტივად მიიჩნევენ. ხოლო, ხარჯებად აღიარება მოხდება ამორტიზაციის დარიცხვის გზით.

1. არამატერიალურ აქტივად აღიარება – 1200ლ

დებეტი – (2961) არამატერიალური აქტივები – 1200 ლ
კრედიტი – (9433) ბლანკების ბეჭდვის ხარჯები – 1200 ლ

უნდა აღინიშნოს, რომ აქციის ბლანკების ბეჭდვა ძალიან ძვირი ჯდება. ამიტომ, კომპანიები ხშირად მას აღარ ბეჭდავენ. მხოლოდ აცხადებენ გამომშვებელი აქციების რაოდენობას და ნომინალურ ღირებულებას. აქციონერს კი აძლევენ სერთიფიკატს, რომელშიც აღნიშნულია რამდენი ცალი აქცია შეიძინა მან შესაბამისი ნომინალური ღირებულებით.

2. ბეჭდვის ხარჯების ამორტიზაცია ხდება საგადასახადო კოდექსის მიხედვით 10% ყოველწლიურად, საბალანსო ღირებულებიდან – 120 ლ

დებეტი – (931) ამორტიზაციის ხარჯი – 120 ლ
კრედიტი – (491) დაგროვილი ამორტიზაცია – 120 ლ

აქციების გამომშვების და ნაღდ ფულზე გაყიდვის აღრიცხვა მოხდება შემდეგნაირად:

დებეტი – სალარო ან საკორესპოდენტო ანგარიში (1003 ან 1062)
კრედიტი – კაპიტალი ჩვეულებრივ აქციებში (5002)
ან კაპიტალი პრივილეგირებულ აქციებში (5004)
კრედიტი – საემისიო კაპიტალი (5102 ან 5104)

მაგალითად, ვთქვათ გამომშვებულია 1000 ცალი პრივილეგირებული აქცია, თითოეული 100 ლ ნომინალური ღირებულებით და გაიყიდა თითო 110 ლარად (აქციების პირველად გაყიდვის დროს კანონმდებლობით აკრძალულია აქციების გაყიდვა მის ნომინალურ ღირებულებაზე დაბალ ფასში):

დებეტი – (1003) სალარო - 110 000 ლ
კრედიტი – (5004) პივილეგირებული აქციები - 100 000 ლ
კრედიტი – (5104) საემისიო კაპიტალი - 10 000 ლ

მოტანილი რთული ბუღალტრული მუხლი კომპიუტერული აღრიცხვის მიზნებისათვის ორ მარტივ ბუღალტრულ მუხლად შემდეგნაირად დაიშლება:

1. გამომშვებული აქციების ნომინალური ღირებულების თანხის აღიარება

დებეტი – (1003) სალარო - 100 000 ლ
კრედიტი – (5004) კაპიტალი პრივილეგირებულ აქციებში - 100 000 ლ

2. დამატებითი სახსრების მიღების აღიარება

დებეტი – (1003) სალარო - 10 000 ლ
კრედიტი – (5104) საემისიო კაპიტალი - 10 000 ლ

გამომშვებული აქციები, ფულადი აქტივის გარდა შეიძლება გაიცვალოს სხვა რომელიმე სახის აქტივზე: შენობებზე, მანქანებზე და სხვა. არაფულად აქტივებზე აქციების გაყიდვის შემთხვევაში აქციების შეფასება ხდება ან მათი საბაზრო ფასით ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით. არჩევანის გაკეთება იმის მიხედვით მოხდება, რომელი მიდგომა უფრო საიმედო შეფასებას იძლევა მოცემულ მომენტში.

ზემოთ მოტანილ მაგალითში, თუ დაეუშვებთ რომ გამომშვებული აქციები 110000 ლარის ღირებულების შენობაზე გაიცვალოს, მაშინ მოხდება შემდეგი ბუღალტრული გატარება:

(მოკლე ჩანაწერის მიზნით, რთულ ბუღალტრულ მუხლს გამოვიყენებთ):

დებეტი – (2922) შენობა - 110 000 ლ
კრედიტი – (5004) პრივილეგირებული აქციები - 100 000 ლ
კრედიტი – (5104) საემისიო კაპიტალი - 10 000 ლ

როგორც ცნობილია, აქციები შეიძლება გამოშვებულ იქნეს **ოფციონით** ანუ შეღავათიანი ფასით. ასეთი აქციები თანამშრომლებს შეუძლიათ უფრო იაფად იყიდონ და შემდეგ საბაზრო ფასით გაყიდონ ან დაიტოვონ და ბანკის აქციონერები გახდნენ.

ოფციონით აქციის გაყიდვა ზემოთ მოტანილი მაგალითის მსგავსად აღრიცხება, ოღონდ შემცირებული ღირებულებით. თუ მაგალითად, თანამშრომლები ყოველ აქციას 102 ლარად შეისყიდიან, მაშინ გვექნება:

დებეტი – (1003) სალარო - 102 000 ლ
კრედიტი – (5004) პრივილეგირებული აქციები - 100 000 ლ
კრედიტი – (5104) საემისიო კაპიტალი - 2 000 ლ

ბანკმა შეიძლება მოახდინოს აქციების კონვერტირება. წინასწარ არსებული ხელშეკრულების პირობების თანახმად, ბანკმა შეიძლება პრივილეგირებული აქციები გადაცვალოს ჩვეულებრივ აქციებზე. მისი მიზანია პრივილეგირებული აქციების ბრუნვიდან ამოღება.

აქციების კონვერტირება ხდება ნომინალური ღირებულებით. პრივილეგირებული და ჩვეულებრივი აქციების ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აისახება საემისიო კაპიტალის ან მოგება/ზარალის ანგარიშზე.

საილუსტრაციო მაგალითი:

დავუშვათ ბანკმა 10 ლარის ნომინალური ღირებულების 1000 ცალი პრივილეგირებული აქცია გაცვალა 12 ლარის ნომინალური ღირებულების 1000 ცალ ჩვეულებრივ აქციაზე. ე.ი. პრივილეგირებული აქციების ბრუნვიდან ამოღება ხდება.

ეს ოპერაცია ბუღალტრულად შემდეგნაირად აისახება:

დებეტი – (5004) პრივილეგირებული აქციები - 10 000 ლ (1000 ცალი*10)
დებეტი – (5104) საემისიო კაპიტალი - 2 000 ლ
(ან მოგება/ზარალი, თუ საემისიო კაპიტალი საკმარისი არ აღმოჩნდა)
კრედიტი – (5002) ჩვეულებრივი აქციები - 12 000 ლ

თუკი ერთი ცალი ჩვეულებრივი აქციის ნომინალური ღირებულება იქნებოდა 9 ლარი, მაშინ ბუღალტრული ჩანაწერი შემდეგ სახეს მიიღებს:

დებეტი – (5004) პრივილეგირებული აქციები - 10 000 ლ
კრედიტი – (5002) ჩვეულებრივი აქციები - 9 000 ლ
კრედიტი – (5102) საემისიო კაპიტალი - 1 000 ლ

აქციები შეიძლება გამოშვებულ იქნას უფასოდ ანუ ბონუსური წესით. ასეთ ღონისძიებას კომპანიები მაშინ მიმართავენ, როდესაც აქციის საბაზრო ფასი სერიოზულად გაიზარდა და იქმნება საშიშროება, რომ აქციები ვერ გაიყიდება. დამატებით, უფასო აქციების გამოშვებით არსებულ აქციონერებზე, გაიზრდება რა ბრუნვაში არსებული აქციების რიცხვი, საბაზრო ფასი დაეცემა. ასეთ დროს აქციების გამოშვება ხდება საემისიო კაპიტალის ხარჯზე.

დავუშვათ, ბონუსით ანუ უფასოდ, გამოშვებულია 5000 ცალი ჩვეულებრივი აქცია, თითო 5 ლ ნომინალური ღირებულებით.

დებეტი – (5102) საემისიო კაპიტალი - 25 000 ლ
კრედიტი – (5002) ჩვეულებრივი აქციები - 25 000 ლ

აქციების საბაზრო ფასის დაწვევა აგრეთვე შეიძლება გამოშვებული აქციების დანაწევრებით. ამ მეთოდის დროს ხდება აქციების რიცხვის ზრდა თითოეული აქციის ნომინალური ღირებულების შემცირების პროპორციულად. შედეგად იზრდება ბრუნვაში მყოფი აქციების რიცხვი, ხოლო სააქციო კაპიტალის საერთო ჯამური სიდიდე არ იცვლება. ამიტომ აქციების დანაწევრების ოპერაციები ბუღალტრულ აღრიცხვას არ საჭიროებს.

დავუშვათ, კომპანიას გამოშვებული აქვს 2000 ცალი, თითოეული 10 ლარის ნომინალური ღირებულების ჩვეულებრივი აქცია, სულ 20000 ლარის ღირებულების. ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ერთი აქციის ნომინალური ღირებულების ორჯერ შემცირება. ამ შემთხვევაში, ბრუნვაში იქნება 4000 ცალი აქცია, თითო 5 ლარის ნომინალური ღირებულებით და კაპიტალის საერთო სიდიდე კვლავ 20000 ლარი იქნება. ამდენად, ბუღალტრული გატარება საჭირო აღარაა.

ზოგჯერ გვხვდება სესხისა და საკუთარი კაპიტალის ერთგვარი ჰიბრიდი, დაფინანსების ერთგვარი შერეული სახე. მას მიეკუთვნება კონვერტირებადი სავალო ვალდებულებები და ვარანტები.

კონვერტირებადი სავალო ვალდებულება არის სესხის სახეობა, რომელიც მფლობელს (სესხის გამცემს) აძლევს უფლებას მოახდინოს სესხის სხვა ფასიან ქაღალდებში, როგორც წესი, ჩვეულებრივ აქციებში კონვერტაცია წინასწარ განსაზღვრული ფასით და განსაზღვრულ დროს.

ვარანტი არის უფლება კომპანიის განსაზღვრული რაოდენობის ჩვეულებრივი აქციის შესყიდვაზე განსაზღვრულ ფასად, ჩვეულებრივ, დროის გარკვეულ პერიოდში.

ვარანტი იმით განსხვავდება კონვერტირებადი ვალდებულებისაგან, რომ ვარანტით სავალო ვალდებულება თვითონ არ არის კონვერტირებადი აქციებში, არამედ მისი მფლობელი იხდის ნაღდ ფულს აქციების შესაძენად და ინარჩუნებს სავალო ვალდებულებას. ეს ნიშნავს, რომ სავალო ვალდებულება (ობლიგაციების სახით) იარსებებს მანამ, სანამ არ მოხდება მისი განაღდება.

კონვერტაციის უფლება გამოიცემა ან **კონვერტაციის კოეფიციენტის** (ანუ ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა, რომელსაც სესხის კონვერტაციის შედეგად მიიღებს კომპანია), ან **კონვერტაციის ფასის** სახით (ანუ უფლება, მოხდეს სესხის კონვერტაცია X ლარიან ჩვეულებრივ აქციებში).

დავუშვათ, 100 ლარიანი გამოშვებული ობლიგაციის კონვერტაცია შეიძლება მოხდეს 20 ცალ ჩვეულებრივ აქციად. 20 – არის კონვერტაციის კოეფიციენტი. ან, სესხი (ობლიგაცია) შეიძლება კონვერტირებულ იქნეს 5 ლარიან ჩვეულებრივ აქციებში. ამ შემთხვევაში 5 – არის ეკვივალენტური კონვერტაციის ფასი.

ზოგჯერ, კონვერტაციის ფასი იზრდება კონვერტირების დროს, რათა მოხდეს შერეული კონვერტაციის სტიმულირება. შესაძლებელია კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციების გამოშვებაც.

ვარანტს გააჩნია ღირებულება, როდესაც აქციის საბაზრო ღირებულება აღემატება ვარანტში მითითებულ ღირებულებას. იგი საშუალებას აძლევს კომპანიას სესხზე დააწესოს დაბალი საპროცენტო განაკვეთი. კომპანიის ხარჯს წარმოადგენს სავალო ვალდებულების საფუძველზე მფლობელზე მიცემული უფლება – კონვერტაციის დღეს შეიძინოს აქციები, სავარაუდოდ შემცირებულ ფასად.

ამრიგად, ვარანტი ჩვეულებრივ ოფციონია, რომელიც დაკავშირებული არ არის რაიმე ფინანსურ ინსტრუმენტთან. ხოლო, კონვერტირებადი სავალო

ვალდებულება წარმოადგენს ოფციონის სავალო ვალდებულებასთან კომბინაციას.

კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდებითა და ვარანტით დაფინანსების წყაროების მოზიდვის პრაქტიკის უპირატესობებია:

- დაუყოვნებლივი დაფინანსება დაბალი დანახარჯებით – კონვერტაციაზე ოფციონის წყალობით იქმნება კრედიტების მიღების შესაძლებლობა დაბალი საპროცენტო განაკვეთებით;
- მიმზიდველია აქციების ფასის დაცემის შემთხვევაში – ისეთ დროს, როცა კომპანიებს სურთ მიიღონ სახსრები აქციებზე, მაგრამ მოცემული მომენტისათვის აქციების ფასი დაბალია, კონვერტირებადი ობლიგაციები წარმოადგენს სარეზერვო მეთოდს აქციების გამოსაშვებად;
- თვითლიკვიდრებადობა – აქციებში სესხების კონვერტაციით ვალის დაფარვის პრობლემა ქრება;
- ვარანტის შესრულება აუცილებლობის შემთხვევაში – ოფციონები, ჩვეულებრივ, გამოიყენება აქციაზე ფასის აწევისას. თუ ოფციონი გულისხმობს კომპანიაზე დამატებითი ფულადი სახსრების გადახდას, ეს ქმნის დამატებით ფინანსებს კომპანიის გაფართოებისათვის.

კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდის ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი ორიდან: მისი როგორც სავალო ვალდებულების ღირებულება და მისი ღირებულება კონვერტაციისას.

10.3 საკუთარი აქციების უკან გამოსყიდვის აღრიცხვა

პერიოდულად, კომპანიის ხელმძღვანელობამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი აქციების უკან გამოსყიდვის შესახებ. ეს შეიძლება თავიდანვე მოცხადებული პირობების საფუძველზე მოხდეს.

დაბრუნებადია ისეთი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც მფლობელს უფლებას ანიჭებს ემიტენტს უკან დაუბრუნოს ინსტრუმენტი ფულად სახსრებზე ან სხვა ფინანსურ აქტივზე გაცვლის გზით, ან ავტომატურად უბრუნდება ემიტენტს ამა თუ იმ გაურკვეველი მოვლენის მოხდენისას მომავალში, ან ინსტრუმენტის მფლობელის სიკვდილის ან პენსიაში გასვლის დროს (ბასს 32, მუხლი 10).

აქციების გამოშვების დროს, კომპანიამ შეიძლება გამოაცხადოს პირობა, რომ გარკვეული დროის შემდეგ საკუთარ აქციებს უკან შეისყიდის ნომინალური ღირებულებით ან საბაზრო ფასით ან აქციონერეს უფლება მისცეს, აქციები თავისუფლად გაყიდონ ბაზარზე.

უკან გამოსყიდული საკუთარი აქციების აღსარიცხავად ამავე სახელწოდების ანგარიშები გამოიყენება:

5003 – ბანკის მიერ გამოსყიდული საკუთარი ჩვეულებრივი აქციები

5005 – ბანკის მიერ გამოსყიდული საკუთარი პრივილეგირებული აქციები.

ეს ანგარიშები აქტიური მარეგულირებელი ანგარიშებია. მათ დებეტში გამოსყიდული აქციები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით. ხოლო სხვაობა ნომინალურ და შესყიდვის ფასს შორის საემისიო კაპიტალზე ან გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე აღირიცხება.

ბასს 32 – „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“ მიუთითებს, რომ თუ კომპანია ხელახლა შეისყიდის წილობრივ ინსტრუმენტებს, ისინი (გამოსყიდული აქციები) გამოაკლდება საკუთარ კაპიტალს. საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების შესყიდვის, გაყიდვის, გამოშვების ან გაუქმების შედეგად

წარმოშობილი არავითარი შემოსულობა ან დანაკარგი არ აღიარდება მოგებად ან ზარალად. ასეთი გამოსყიდული აქციების შეძენის სანაცვლოდ გადახდილი ან მიღებული ანაზღაურება უნდა აღიარდეს პირდაპირ საკუთარ კაპიტალში (ბასს 32, მუხლი 33).

საილუსტრაციო მაგალითები:

ბანკის მიერ გამოსყიდულია 500 ცალი საკუთარი ჩვეულებრივი აქცია, თითოეულის ნომინალური ღირებულებაა 10 ლარი და შესყიდულია ნომინალურ ღირებულებაზე დაბალი ფასით - 9 ლარად.

დებეტი – (5003) გამოსყიდული ჩვეულებრივი აქციები	- 5 000 ლ
კრედიტი – (1052) ფულადი სახსრები	- 4 500 ლ
კრედიტი – (5102) საემისიო კაპიტალი	- 500 ლ

თუკი აქციების გამოსყიდვა მოხდებოდა ნომინალურზე მაღალ ფასში, ვთქვათ თითოეულისა 12 ლარად. მაშინ, საემისიო კაპიტალი შემცირდება, რადგან აქცია ძვირად იქნა გამოსყიდული, ხოლო თუ საემისიო კაპიტალი საკმარისი არ აღმოჩნდა, მაშინ ნაშთობრივი თანხა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშიდან ჩამოიწერება. მოტანილ მაგალითში დავუშვათ, რომ საემისიო კაპიტალის ნაშთი 800 ლარია. მაშინ ადგილი ექნება შემდეგ ბუღალტრულ გატარებას:

დებეტი – (5003) უკან გამოსყიდული საკუთარი აქციები	- 5 000 ლ
დებეტი – (5102) საემისიო კაპიტალი	- 800 ლ
დებეტი – (5401) გაუნაწილებელი მოგება	- 200 ლ
კრედიტი – ფულადი სახსრები	- 6 000 ლ

საკუთარი აქციების ნომინალური ღირებულებით გამოსყიდვის შემთხვევაში, საემისიო კაპიტალის ან გაუნაწილებელი მოგების ანგარიში საჭირო აღარ იქნება და მოხდება შემდეგი გატარება:

დებეტი – (5003) უკან გამოსყიდული საკუთარი აქციები	- 5 000 ლ
კრედიტი – (1003) ფულადი სახსრები	- 5 000 ლ

უკან გამოსყიდული აქციების ბრუნვიდან ამოღებისა და გაუქმების შემთხვევაში შედგება შემდეგი ბუღალტრული მუხლი:

დებეტი – (5002) ჩვეულებრივი აქციები	- 5 000 ლ
კრედიტი – (5003) უკან გამოსყიდული საკუთარი აქციები	- 5 000 ლ

უკან გამოსყიდული საკუთარი აქციები შეიძლება ხელმეორედ გაიყიდოს. მაშინ ხელახლა წარმოიქმნება სააქციო კაპიტალი და საემისიო კაპიტალი, ნომინალურ ღირებულებაზე მაღალი ფასით გაყიდვის შემთხვევაში. ნომინალურზე დაბალი ფასით გაყიდვის შემთხვევაში კი შემცირდება საემისიო კაპიტალი, ან გაუნაწილებელი მოგება, ან ორივე ერთად:

დებეტი – (1003) სალარო - (გაყიდვის ფასით)	
კრედიტი – (5003) უკან გამოსყიდული საკუთარი აქციები – (ნომინალური ღირებულებით)	
კრედიტი – (5103) საემისიო კაპიტალი (სხვაობის თანხით, როცა გასაყიდი ფასი ნომინალურზე მეტია)	

10.4 ბასაცემი დივიდენდების აღრიცხვა

დასაბეგრი მოგებიდან, მოგების გადასახადის გამოქვითვის შემდეგ მიღებული წმინდა მოგებიდან, კომერციული ბანკების სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრების გადაწყვეტილებით, ხდება დივიდენდების გაცემა აქციონერებზე.

ფინანსურ ინსტრუმენტთან ან მის რომელიმე შემადგენელ ნაწილთან დაკავშირებული დივიდენდები, დანაკარგები ან შემოსულობები, რომლებიც კლასიფიცირებულია ფინანსურ ვალდებულებად, მოგება/ზარალში აისახება როგორც ხარჯი ან შემოსავალი. ფინანსური ინსტრუმენტების მფლობელებზე განაწილებული მოგება პირდაპირ გამოაკლდება ემიტენტის საკუთარ კაპიტალს, ამ ოპერაციიდან მოგების გადასახადის შემცირებით მიღებული ნებისმიერი სარგებლის გარეშე. საკუთარი კაპიტალის ოპერაციასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა წილობრივი ინსტრუმენტის გამოშვების ხარჯებისა, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება საწარმოს შესყიდვას (რომლის აღრიცხვა ხდება ფასს 3-ის მიხედვით), აღრიცხება როგორც გამოქვითვები კაპიტალიდან, ამ ოპერაციიდან მოგების გადასახადით შემცირებული ნებისმიერი სარგებლის გარეშე (ბასს 32, მუხლი 35).

დივიდენდის აღიარება ხდება მაშინ, როგორც კი ძალაში შევა აქციონერის უფლება დივიდენდის მიღების შესახებ. გასაცემი დივიდენდის პროცენტის გამოსათვლელად, ჩვეულებრივი აქციებისათვის წმინდა მოგებიდან გამოყოფილი თანხა იყოფა აქციების რიცხვზე. შემდეგ, მიღებული თანხის პროცენტული ფარდობით ერთი აქციის ნომინალურ ღირებულებასთან, მიიღება გასაცემი დივიდენდის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გამოცხადება მოხდება ბანკის მიერ და შესაბამისად, მოხდება გასაცემი დივიდენდის დარიცხვა ბუღალტრულად.

გასაცემი დივიდენდის დარიცხვით, ბანკი ერთი მხრივ, აღიარებს ვალდებულებას აქციონერებისათვის გასაცემ დივიდენდზე და მეორე მხრივ, შემცირდება ბანკის წმინდა მოგება, რომელიც გაუნაწილებელი მოგების – (5401) – ბუღალტრულ ანგარიშზე აღრიცხება. ხოლო, გასაცემ დივიდენდზე ვალდებულების წარმოქმნა აღრიცხება – (4421) ანგარიშზე – „გადასახდელი დივიდენდები ბანკის საწესდებო კაპიტალში ინვესტიციების მიხედვით“.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის მოთხოვნა, რომელიც დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსით. კერძოდ, გასაცემი დივიდენდი უნდა დაიბეგროს გადახდის წყაროსთან 5%-ით, რომელიც ბიუჯეტში გადაირიცხება.

საილუსტრაციო მაგალითი:

დავუშვათ, კომერციულ ბანკს გამოშვებული აქვს 2000 ცალი პრივილეგირებული აქცია, თითოეული 10 ლარის ნომინალური ღირებულებით, რომელზეც დაწესებულია დივიდენდის 10%-იანი განაკვეთი და 4000 ცალი ჩვეულებრივი აქცია, თითოეული 5 ლარის ნომინალური ღირებულებით.

მიმდინარე წლის ბოლოს, ბანკის წმინდა მოგებამ შეადგინა 10000 ლარი, რომლის 70% გამოყოფილი იქნა დივიდენდების გასაცემად.

მოთხოვნა: დაადგინეთ, დივიდენდის რამდენი პროცენტი გამოაცხადა ბანკმა ჩვეულებრივი აქციებისათვის და მიეცით შესაბამისი ბუღალტრული გატარებები დივიდენდის დარიცხვას და გაცემას.

ამოხსნა:

პირველ რიგში უნდა განისაზღვროს, მოგების რა თანხა არის გამოყოფილი ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისათვის:

$$10000\text{-ის } 70\% = 7000 \text{ ლ}$$

ამრიგად, დივიდენდებზე გამოყოფილია 7000 ლარი, საიდანაც უნდა გამოიქვითოს პრივილეგირებული აქციების დივიდენდი 2000 ლარი. ამის გათვალისწინებით, დივიდენდი 1 ჩვეულებრივ აქციაზე = 5000 ლ / 4000 ცალი = 1,25 ლარი.

დივიდენდის პროცენტი = $1,25 / 5 * 100 = 25\%$.

მაშასადამე, ბანკი ჩვეულებრივ აქციაზე გამოაცხადებს 25% დივიდენდს, რომლის მიხედვით, თითოეულ აქციონერს დაერიცხება კუთვნილი დივიდენდის თანხა.

შედგება შემდეგი ბუღალტრული გატარებები:

1. გასაცემი დივიდენდის დარიცხვა – 5000 ლ
დებეტი – (5401) გაუნაწილებელი მოგება – 5000 ლ
კრედიტი – (4421) – გადასახდელი დივიდენდები – 5000 ლ
2. საშემოსავლო გადასახადის დაკავება – 5000-ის 5% = 250 ლარი
დებეტი – (4421) გადასახდელი დივიდენდები – 250 ლ
კრედიტი – (4553) საშემოსავლო გადასახადი – 250 ლ
3. დივიდენდების გადარიცხვა – 4750 ლარი (5000 – 250)
დებეტი – (4421) გადასახდელი დივიდენდები – 4750 ლ
კრედიტი – (1052) საკორესპოდენტო ანგარიში – 4750 ლ

საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა უცხოურ ვალუტაში არ ხდება. თუკი უცხოელი იურიდიული ან ფიზიკური პირი გახდება აქციონერი, უცხოურ ვალუტაში გაყიდული აქციები გადაიყვანება ლარში და შესაბამისად აღიარდება სააქციო კაპიტალიც. ერთდროულად შედგება ორი ბუღალტრული მუხლი და გამოიყენება სავალუტო პოზიციისა და კონტრფასის ანგარიშები.

- ა. დებეტი – საკორესპოდენტი ანგარიში უცხოურ ვალუტაში
კრედიტი – სავალუტო პოზიცია
- ბ. დებეტი – სავალუტო პოზიციის კონტრფასი
კრედიტი – სააქციო კაპიტალი (რა თქმა უნდა ეროვნულ ვალუტაში)
კრედიტი – სამისიო კაპიტალი (ერ. ვალუტაში)

უცხოურ ვალუტაში გაყიდული აქციების დივიდენდი თავიდან აღიარდება ლარში და შემდეგ გადაიყვანება უცხოურ ვალუტაში.

დავუშვათ, უცხოელ ინვესტორზე დარიცხულია გასაცემი დივიდენდი 45000 ლარი. გასაცემელი კურსია 1 დოლარი = 1,5 ლარი.

1. დივიდენდის დარიცხვა ეროვნულ ვალუტაში:

დებეტი – გაუნაწილებელი მოგება – 45000 ლ
კრედიტი – გადასახდელი დივიდენდი – 45000 ლ

2. უცხოელი ინვესტორის მიმართ ვალდებულების აღიარება დოლარში – 30000 \$

- ა. დებეტი – გადასახდელი დივიდენდი – 45000 ლ
კრედიტი – დოლარის კონტრფასი – 45000 ლ
- ბ. დებეტი – დოლარს სავალუტო პოზიცია – 30000 \$
კრედიტი – გადასახდელი დივიდენდი – 30000 \$

კუთვნილი დივიდენდის გადარიცხვა უცხოურ ვალუტაში – 30000 \$
დებეტი – გადასახდელი დივიდენდი – 30000 \$
კრედიტი – დოლარის საკორესპოდენტო ანგარიში – 30000 \$

10.5 საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე

აქციონერებისათვის, არსებითი მნიშვნელობა აქვს ერთ აქციაზე შემოსავლის მაჩვენებელს, რომელიც გაიანგარიშება წმინდა მოგებიდან პრივილეგირებული აქციების წილის გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი მოგების შეფარდებით, აქციების საშუალო შეწონილ რაოდენობასთან.

$$\text{შემოსავალი 1 აქციაზე} = \frac{\text{პრივილეგირებული სრული წმინდა მოგება - აქციების დივიდენდი}}{\text{ჩვ. აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა}}$$

ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა უდრის პერიოდის დასაწყისში მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობას, რომელიც კორექტირებულია გამოსყიდული ან პერიოდის განმავლობაში გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობით, გამრავლებული დროის ფაქტორის კოეფიციენტზე.

დროის ფაქტორით შეწონილი კოეფიციენტი განისაზღვრება აქციების მიმოქცევაში ყოფნის დღეთა რაოდენობის გაყოფით საანგარიშებო პერიოდის დღეთა საერთო რაოდენობაზე. კოეფიციენტი შეიძლება თვეების რაოდენობას დაეყრდნოს, როცა აქციების გამოშვებისა და უკან გამოსყიდვის თარიღები ერთხვევად ხუსტ თვეებს.

მაგალითი:

	გამოშვებული აქციები	გამოსყიდული აქციები	აქციები მიმოქცევაში
1 იანვარი 2015 წ. ნაშთი	2 000	500	1 500
1 მარტი, 2015 წ. აქციების გამოშვება	1 000	-	2 500 (1500+1000)
31 აგვისტო, 2015 წ. გამოსყიდვა	-	600	1 900 (2500-600)
1 ნოემბერი, 2015 წ. გამოშვება	1 500	-	3 400 (1900+1500)
31 დეკემბერი 2015 წ. ნაშთი	4 500	1 100	3 400

ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა =

$$= 1500 * 12/12 + 1000 * 10/12 - 600 * 4/12 + 1500 * 2/12 = 2383,333 \text{ ცალი აქცია}$$

თუკი აღმოჩნდა, რომ წმინდა მოგებიდან პრივილეგირებული აქციების კუთვნილი დივიდენდის თანხის გამოქვითვის შემდეგ დარჩა 30000 ლარი, მაშინ:

$$\text{საბაზისო შემოსავალი 1 აქციაზე} = 30\ 000 / 2383,333 = 12,59 \text{ ლ}$$

გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე, ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების, აქციებისა და ობლიგაციების, კონვერტირებას ჩვეულებრივ

აქციებში. მათ გაზაფხულის ეფექტის მქონე ფასიანი ქაღალდები ეწოდება და ასეთი ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა ცალკე გამოითვლება (იხ. ბასს 33), რომელიც დაემატება ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილ რაოდენობას.

დავუშვათ, ჩვენს მაგალითზე, კონვერტაციის შედეგად წარმოქმნილი ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა აღმოჩნდა 2000 ერთეული. მაშინ, გაზაფხულის შემოსავალი ერთ აქციაზე იქნება:

$$30000 \text{ ლარი} / 4383,333 \text{ ცალი აქცია} = 6,84 \text{ ლარი}$$

ერთ აქციაზე გაზაფხულის შემოსავლის გამოსათვლელად ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილ რაოდენობას უნდა დაემატოს გაზაფხულის ეფექტის მქონე, ყველა პოტენციური ჩვეულებრივი აქციის რაოდენობა. ხოლო, ჩვეულებრივ აქციებზე გათვალისწინებულ მოგებას უნდა დაემატოს გაზაფხულის ეფექტის მქონე პოტენციური ჩვეულებრივი აქციის დივიდენდი, დარიცხული პროცენტი და კონვერტაციით მიღებული შედეგი.

საილუსტაციო მაგალითი:

დავუშვათ, სათაო საწარმოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა მოგება 20000 ლარია. მიმოქცევაში მყოფი ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობაა 2500 ერთეული. საწარმოს გააჩნია 800 ცალი კონვერტირებადი ობლიგაცია, რომელთაგან თითოეული იცვლება 2 ჩვეულებრივ აქციაზე. კონვერტირებადი ობლიგაციის მიმდინარე წლის საპროცენტო ხარჯი შეადგენს 2500 ლარს და მისი კუთვნილი გადასახადი 250 ლარს.

მოვამზადოთ, ერთ აქციაზე საბაზისო და გაზაფხულის შემოსავლის გაანგარიშების უწყისი (იხ. ცხრილი 10.1)

ცხრილი 10.1.

1 აქციის საბაზისო და გაზაფხულის შემოსავლის გაანგარიშება

სათაო საწარმოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა მოგება	20000 ლ
მიმოქცევაში მყოფი ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა	2500 ცალი
საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე (20000/2500)	8 ლ
კონვერტირებადი ობლიგაციები	800 ერთ.
კონვერტირებადი ობლიგაციების მიმდინარე წლის სა-% ხარჯი	2500 ლ
ამ სა-% ხარჯთან დაკავშირებული მიმდინარე და გადავადებული გადასახადი	250 ლ
სათაო საწარმოს ჩვ. აქციის მფლობელთა შესწორებული მოგება (20000+2500-250)	22250 ლ
ობლიგაციების კონვერტაციის შედეგად წარმოქმნილი ჩვეულებრივი აქციები სრაოდენობა (800 * 2)	1600 ერთ.
გაზაფხულის შემოსავლის გამოსათვლელად გამოსაყენებელი აქციების რაოდენობა (2500 + 1600)	4100 ერთ.
გაზაფხულის შემოსავალი 1 აქციაზე (22250 / 4100)	5,43 ლ

გაზავებული შემოსავალი გვიჩვენებს, რა წილი უკავია თითოეულ ჩვეულებრივ აქციას საწარმოს საქმიანობის შედეგებში, როცა გათვალისწინებულია ყველა გაზავებული პოტენციური ჩვეულებრივი აქცია, თუ დაეუშვებოდა, რომ კონვერტირებადი აქციების კონვერტაცია განხორციელდა (ბასს 33).

პოტენციური ჩვეულებრივი აქციები არის ისეთი ფინანსური ინსტრუმენტი ან ხელშეკრულება (ვარანტი, ოფციონი და მათი ეკვივალენტები), რომელმაც შესაძლოა მის მფლობელს ჩვეულებრივი აქციის ფლობის უფლება მისცეს.

პოტენციური ჩვეულებრივი აქციები მაშინ ჩაითვლება გაზავების ეფექტის მქონე აქციებად, თუ მათი ჩვეულებრივ აქციებად კონვერტაცია შეამცირებდა ერთ აქციაზე მოგებას ან გაზრდიდა ერთ აქციაზე ზარალს, რომელიც მიღებულია საწარმოს ჩვეულებრივი უწყვეტი საქმიანობიდან (ბასს 33, მუხლი 41).

10.6. მოგების ხარჯზე შექმნილი რეზერვების აღრიცხვა

საკუთარი კაპიტალი ორი ნაწილისაგან შედგება: ავანსირებული (ინვესტირებული) და რეინვესტირებული კაპიტალისაგან.

ავანსირებული კაპიტალი ახასიათებს კომპანიაში მესაკუთრეთა მიერ ჩადებული ანუ დაბანდებული სახსრების სიდიდეს, როგორცაა სააქციო კაპიტალი და საემისიო კაპიტალი. ხოლო რეინვესტირებული კაპიტალი არის კომპანიის ფუნქციონირების ფინანსური შედეგი ანუ დაბანდებული კაპიტალის გამომუშავებული სარგებლის კვლავ ავანსირება ბიზნესში. რეინვესტირებულ კაპიტალს მიეკუთვნება გაუნაწილებელი მოგება, მოგების ხარჯზე შექმნილი რეზერვები და გადაფასების რეზერვი.

საკუთარი კაპიტალის ნაწილი წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტს, ნაწილი კი რეზერვებს, რომელთა გამოყენება რაიმე დანიშნულებით შეიძლება. წილობრივ ინსტრუმენტს წარმოადგენს სააქციო კაპიტალი. დანარჩენი კი მიეკუთვნება რეზერვებს.

საემისიო კაპიტალი არის სხვაობა გამოშვებული აქციების გასაყიდ ფასსა და ნომინალურ ღირებულებას შორის. მაშასადამე, იგი წარმოიშობა, როცა საკუთარი აქციის გაყიდვის ფასი აღემატება მის ნომინალურ ღირებულებას. საემისიო კაპიტალი არ ნაწილდება მესაკუთრეებს (აქციონერებს) შორის. იგი გამოიყენება აქციების მეორად ბაზარზე ანუ ხელმეორედ გაყიდვის დროს წარმოქმნილი ზარალის დასაფარავად და აქციების ბონუსური ემისიისათვის.

მოგების ხარჯზე შექმნილი რეზერვების დანიშნულებასა და სიდიდეს განსაზღვრავს დირექტორთა საბჭო და აქციონერთა საერთო კრება ბანკის კანონმდებლობის შესაბამისად. რეზერვები იქმნება წლიური მოგებიდან მოგების გადასახადის გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წმინდა მოგებიდან. აღრიცხვაში წმინდა მოგება „გაუნაწილებელი მოგების“ (5401) - ბუღალტრულ ანგარიშზე აღრიცხება. წმინდა მოგების განაწილება ხდება მომდევნო წლის დასაწყისში.

ბანკებში წმინდა მოგებიდან შეიძლება შეიქმნას რეზერვი რისკისათვის და სხვა მიზნობრივი დანიშნულების რეზერვები ბანკის განვითარებისათვის, მუშაკთა პრემირებისათვის და სხვა.

აღრიცხვისათვის გამოიყენება შემდეგი ბუღალტრული ანგარიშები:

5301 - სარეზერვო ფონდი

5302 - მიზნობრივი ფონდები

ეს ანგარიშები პასიური ანგარიშებია და რეზერვების შექმნა მათ კრედიტში აღირიცხება. ხოლო, სარეზერვო ფონდების გამოყენება მოცემული ანგარიშების დებეტში აღირიცხება.

რეზერვების შექმნაზე შედგება შემდეგი ბუღალტრული მუხლი:


დებეტი – (5401) გაუნაწილებელი მოგება
კრედიტი – (5301) სარეზერვო ფონდი
ან (5302) მიზნობრივი ფონდები

რეზერვების გამოყენება მიღებული დეპოზიტების რისკის დასაფარავად:

1. დებეტი – (8509) ზარალი დანარჩენი აქტივების დანაკარგების მიხედვით
კრედიტი – ფულადი სახსრები
2. დებეტი – (5301) სარეზერვო ფონდი
კრედიტი – (8509) ზარალი დანარჩენი აქტივების დანაკარგების მიხედვით

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. როგორ გამოითვლება დივიდენდი ერთ აქციაზე;
2. როგორ გამოითვლება საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე;
3. როგორ გამოითვლება გაზავებული შემოსავალი 1 აქციაზე;
4. აღრიცხეთ საკუთარი აქციების უკან გამოსყიდვა;
5. აღრიცხეთ საკუთარი აქციების ბრუნვიდან ამოღება;
6. აღრიცხეთ გასაცემი დივიდენდის დარიცხვა;
7. შესაძლებელია თუ არა გასაცემი დივიდენდის დარიცხვა უცხოურ ვალუტაში.
8. აღრიცხეთ სარეზერვო ფონდის გამოყენება.



თავი 11. ბანკების ფინანსური ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა

ფინანსურ ანგარიშგებას ბულალტრული აღრიცხვის გვირგვინს უწოდებენ. საერთაშორისო სტანდარტებით, ბანკები, ისევე როგორც ყველა იურიდიული პირი, ვალდებული არიან წარადგინონ საერთო დანიშნულების წლიური ფინანსური ანგარიშგება, რათა გამოყენებულ იქნას დაინტერესებული პირების მიერ. ფინანსური ანგარიშგების მიზანია ბანკის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელთა ფართო ფენებს, რათა დაეხმაროს მათ სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, დაამყარონ თუ არა საქმიანი ურთიერთობები ერთმანეთთან. ანგარიშგებაში აგრეთვე სჩანს, ხელმძღვანელობის მიერ მათზე მინდობილი რესურსების მართვის შედეგები და ანგარშვალდებულია.

მოცემულ თავში შეისწავლება შემდეგი საკითხები:

- ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები;
- ფინანსური ანგარიშგების ელემენტების, ხარისხობრივ მახასიათებლებისა და კომპონენტების არსი;
- ფინანსური ანგარიშგების გამოყენება ბანკების ანალიზში.

11.1. ფინანსური ანგარიშგების მიზანი, მომხმარებლები და ხარისხობრივი მახასიათებლები

ფინანსური ანგარიშგება საფინანსო-სააღრიცხვო პროცესის შემადგენელი ნაწილია. **ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ამსახველ ძირითად მაჩვენებელთა სისტემა.**

ფინანსური ანგარიშგების მიზანია ინფორმაციის მომხმარებლებს (ინვესტორები, კრედიტორები, თანამშრომლები და საზოგადოება) მიაწოდოს ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ, რომელიც გამოადგება მათ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში (ფასს შესავალი).

საქართველოს ეროვნული ბანკის დებულებით „კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის შესახებ“, ყველა კომერციული ბანკი ვალდებულია გაასაჯაროს თავისი ფინანსური ანგარიშგება. ამიტომ, ბანკები აქვეყნებენ ყოველ კვარტალურ და წლიურ აუდიტირებულ ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგების სრული ნუსხა, როგორც წესი, მოიცავს: ბულალტრულ ბალანსს (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება), მოგება-ზარალის (სრული შემოსავლების) ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, აგრეთვე მათ შენიშვნებს, სხვა ანგარიშგებასა და ახსნა-განმარტებით მასალას, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია. ფინანსური ანგარიშგება აგრეთვე შეიძლება შეიცავდეს ცხრილურ დანართებს და სხვა ინფორმაციასაც, რომლებიც ემყარება ფინანსურ ანგარიშგებას ან

გამომდინარეობს მისგან და განიხილება ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, მთლიანობაში. ფინანსურ ანგარიშგებაში შეიძლება აღწერილი იყოს იმ რისკებისა და განუსაზღვრელი ფაქტორების ახსნა, რომლებიც გავლენას ახდენენ ბანკის ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე.

ლიკვიდობა ნიშნავს ახლო მომავალში საწარმოს ფულადი საშუალებების არსებობას მიმდინარე პერიოდის ფულადი ვალდებულებების დაფარვის მიზნით. **გადახდისუნარიანობა** კი ნიშნავს ფულადი სახსრების არსებობას უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ფინანსური ვალდებულებების დროულად შესასრულებლად.

2015 წლის იანვრის მდგომარეობით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს), ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში მთელი რიგი ცვლილებები შეიტანა.

კერძოდ, **ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა წრე დაყოფილია ორ ჯგუფად:**

- I. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები: ინვესტორები, გამსესხებლები და სხვა კრედიტორები;
- II. დანარჩენი მომხმარებლები: მმართველობა და საზოგადოება.

ფინანსური ანგარიშგების (ფასს) კონცეპტუალური საფუძვლებით აღიარებულია, რომ საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ორიენტირებულია ძირითად მომხმარებლებზე, რადგან, არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს, გამსესხებლებსა და სხვა კრედიტორებს ყველაზე გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე და გადაუდებელი მოთხოვნები აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციასთან. ამასთან, ინფორმაცია რომელიც პასუხობს ზემოღნიშნულ მომხმარებელთა მოთხოვნებს, დააკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნებს ისეთ საწარმოებშიც, რომელთაც გააჩნიათ ნებისმიერი ტიპის კორპორატიული მართვის მოდელი, აღნიშნულია კონცეპტუალურ საფუძვლებში [2.დს1].

ფინანსური ანგარიშგების მომზადების ორი ძირითადი დაშვება იყო აღიარებული: დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. ამჟამად, კონცეპტუალური საფუძვლების განმარტებით, **ფინანსური ანგარიშგების ძირითადი დაშვებაა მხოლოდ ფუნქციონირებადი საწარმო**. ხოლო დარიცხვის მეთოდი აღიარებულია, როგორც **ბუღალტრული აღრიცხვის სავალდებულო მეთოდი**.

დარიცხვის მეთოდის თანახმად, შემოსავლების, ხარჯების და სამეურნეო ოპერაციების შედეგების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე, მიუხედავად ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღების ან გადახდის დროისა. ამასთან, ფინანსური ანგარიშგება მომხმარებლებს გააცნობს არა მხოლოდ წარსულ სამეურნეო ოპერაციებს, რომლებიც მოიცავს ფულადი საშუალებების გადახდასა და მიღებას, არამედ მომავალში გასანადგებელ ვალდებულებებსა და მომავალი პერიოდის მოთხოვნებსაც. მაშასადამე, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ინფორმაცია წარსულში მომხდარი სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შესახებ, რომელიც სჭირდებათ მომხმარებლებს სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

ფუნქციონირებადი საწარმო ანუ წარმოების უწყვეტობის პრინციპი გულისხმობს, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას გააგრძელებს საპროგნოზო მომავალშიც ანუ კომპანია არ აპირებს და არ ითვალისწინებს ლიკვიდაციას. ასეთ შემთხვევაში ანგარიშგება მომზადდება სხვა საფუძველზე, რაც აღწერილი იქნება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია სასარგებლო რომ იყოს მისი მომხმარებლისათვის, ანგარიშგება გარკვეულ ხარისხობრივ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ფინანსური ანგარიშგების ოთხი **ხარისხობრივი მახასიათებლები იყო** აღქმადობა, შესაბამისობა, შესადარისობა და საიმედოობა. **ამჟამად, ასევე შეტანილია ცვლილებები ხარისხობრივი მახასიათებლების კლასიფიკაციაში და** ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები დაყოფილია ორ ჯგუფად:

- I. ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები:
 1. შესაბამისობა
 2. სამართლიანი წარდგენა
- II. ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ამდღებენ ინფორმაციის სარგებლიანობას:
 1. შესადარისობა
 2. შემოწმებადობა
 3. დროულობა
 4. აღქმადობა

ამრიგად, „კონცეპტუალური საფუძვლები“ **ორ ძირითად ხარისხობრივ მახასიათებელს გამოჰყოფს: შესაბამისობა და სამართლიანი წარდგენა.** შევნიშნავთ, რომ „შესაბამისობის“ ცნების შინაარსი ამჯერად არ ნიშნავს იმას, რაც ადრე იყო, რომ იგი უნდა შეესაბამებოდეს მომხმარებლის მოთხოვნებს და მაშასადამე, უნდა იყოს არსებითი. ადრე არსებითობა განიხილებოდა როგორც ინფორმაციის შესამისობის ასპექტი. ამჯერად იგი სტანდარტებზე მუშაობისას აღარ განიხილება, ვინაიდან ბასს-ის საბჭოს განმარტებით, ინფორმაციის არსებითობა კონკრეტული საწარმოს სპეციფიკური ასპექტია მისი ხასიათიდან და სიდიდიდან გამომდინარე. ამიტომ, საბჭოს არ შეუძლია არსებითობისათვის დაადგინოს ერთიანი რაოდენობრივი ზღვარი, ან წინასწარ განსაზღვროს, რა შეიძლება იყოს არსებითი რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში. [2.ხმ11]. ამიტომ იგი მართალია არის შეაბამისობის ასპექტი, მაგრამ საბჭო არ განიხილავს მას და ამით, არ მცირდება ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობა.

ახალი თვალსაზრისით, ინფორმაციის შესაბამისობა ნიშნავს იმას, რომ იგი უნდა იყოს საწარმოში მომხდარი ეკონომიკური მოვლენების შესაბამისი.

შესაბამისი ინფორმაცია გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე, თუმცა ინფორმაციას მაშინაც შეუძლია გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღებაზე, თუ მომხმარებელი გადაწყვეტს, რომ იგი არ გამოიყენოს. ამიტომ აღნიშნულია, რომ **შესაბამისია ინფორმაცია, თუ** მას გააჩნია საპროგნოზო ან დამადასტურებელი თვისება, ან ორივე ერთად. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მას გავლენა მოახდინოს მომხმარებლის გადაწყვეტილებებზე [2.ხმ7].

ფინანსურ ინფორმაციას გააჩნია საპროგნოზო თვისება (ღირებულება), თუ მისი გამოყენება შეიძლება ამოსავალ ბაზად მომავალი შედეგების პროგნოზირებისათვის. ამისათვის აუცილებელი არაა ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს პროგნოზის სახით.

შესაბამის ინფორმაციას აგრეთვე გააჩნია შესადარისობის თვისებაც, თუ ის უზრუნველყოფს მტკიცებულებებს (დადასტურებას) ადრე გაკეთებულ შეფასებებზე [2.ხმ9]. ინფორმაციას შეიძლება ერთდროულად გააჩნდეს საპროგნოზო და დამადასტურებელი თვისება. მაგალითად, ამონაგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომავალი პროგნოზისათვის და ასევე შეიძლება შედარებულ იქნეს მიმდინარე წლის პროგნოზთან, რომელიც გამოთვლილი იყო წინა წელს. ამ შედარების შედეგები მომხმარებელს ეხმარება იმ მეთოდების გაუმჯობესებაში, რომელიც გამოყენებული იყო წინა წლების პროგნოზების

გამოსათვლელად [2.ხმ 10]. მაშასადამე, აღარაა აუცილებელი, შესადარისობის ძირითად მახასიათებლად გამოყოფა.

მეორე ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებელია - სამართლიანი წარდგენა, ეკონომიკური მოვლენის ობიექტურად გამოსახვა, მოიცავს იმ ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც წინა სტრუქტურულ საფუძვლებში მიხნეული იყო საიმედოობის ასპექტებად [2.დს3.24]. ამიტომ, მან ჩაანაცვლა ტერმინი საიმედოობა. ამასთან, შინაარსის ფორმაზე აღმატებულობა და წინდახედულობა (კონსერვატიზმი) ამოღებულია „კონცეპტუალური საფუძვლებიდან“, ვიანიდან, სამართლიანი წარდგენა ნიშნავს, რომ ფინანსური ინფორმაცია ასახავს ეკონომიკური მოვლენის შინაარსს და არა მარტო მის სამართლებრივ ფორმას. ამასთან, წინდახედულობის პრინციპით ან კონსერვატიული მიდგომით მომზადებული ინფორმაცია ვერ იქნება ნეიტრალური, მითითებულია „კონცეპტუალურ საფუძვლებში“ [2.ხმ12-16].

ფინანსური ანგარიშგება, ეკონომიკური მოვლენების შესახებ, წარმოდგენას გვიქმნის სიტყვებისა და ციფრების მეშვეობით. ეს ინფორმაცია სასარგებლო რომ იყოს, იგი სამართლიანად უნდა წარმოადგენდეს ამ ინფორმაციას. **სამართლიანი წარდგენა არა სამართლებრივ ფორმებს, არამედ ეკონომიკურ შინაარსს გულისხმობს.**

სამართლიან წარდგენას სამი მახასიათებელი (ასპექტი) გააჩნია: უნდა იყოს სრულყოფილი, ნეიტრალური და არ უნდა შეიცავდეს შეცდომებს [2.ხმ12].

1. სრულყოფილება გულისხმობს ყველა აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას, რაც ნათელ წარმოდგენას შექმნის საწარმოს ეკონომიკური მოვლენების შესახებ;

2. ნეიტრალური ასახვა გულისხმობს ინფორმაციის წარდგენას მიუკერძოებლად, ტენდენციურობის გარეშე. იგი არ უნდა იყოს რაიმე წინასწარ განზრახული თვალსაზრისით მომზადებული;

3. შეცდომების არ არსებობა არ ნიშნავს სიზუსტეს ყველა ასპექტში. სამართლიანი წარდგენა არ ნიშნავს რომ ანგარიშგებაში არ არსებობს შეცდომები ან არაფერი არაა გამოტოვებული. მაგრამ, ობიექტურად ასახავ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას.

ამრიგად, **სასარგებლო ინფორმაცია უნდა იყოს როგორც შესაბამისი, ასევე სამართლიანად წარმოდგენილი ანუ ობიექტური.** მომხმარებლებს გადაწყვეტილებების მიღებაში ვერ დაეხმარება ვერც სამართლიანად წარდგენილი ინფორმაცია შეუსაბამო ეკონომიკური მოვლენების შესახებ და ვერც არასამართლიანად წარდგენილი ინფორმაცია შესაბამისი ეკონომიკური მოვლენების შესახებ [4.ხმ17]. ამასთან, აღნიშნულია, რომ ჯერჯერობით საბჭომ ვერ დაადგინა რა საშუალებით უნდა მოხდეს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სამართლიანობის შეფასება.

ხარისხობრივი მახასიათებლების მეორე ჯგუფს, რომელიც ამადლებს ინფორმაციის სარგებლიანობას, მიეკუთვნება: შესადარისობა, შემოწმებადობა, დროულობა და აღქმადობა.

გადაწყვეტილებების მიღება, როგორც წესი, რემდენიმე ალტერნატივიდან არჩევანის გაკეთებასთანაა დაკავშირებული. ამ მიზნით, უფრო სასარგებლოა, თუ საწარმოს ინფორმაციის შედარება შესაძლებელია სხვა საწარმოს ანალოგიურ ინფორმაციასთან. პოტენციური ინვესტორებისათვის სასარგებლოა სვადასხვა საწარმოების მაჩვენებლების შედარება, რათა გადაწყვიტოს, რომელ საწარმოში უფრო მომგებიანია ინვესტიციის ჩადება.

შესადარისობა ისეთი ხარისხობრივი მახასიათებელია, რომელიც განსხვავებულ (თუ სხვადასხვა) ელემენტებს შორის მსგავსებისა და განსხვავების დადგენისა და გააზრების საშუალებას იძლევა. [ხმ21].

შედარებისათვის აუცილებელია ორი მუხლის არსებობა. **სხვადასხვა საწარმოების ინფორმაციის შესადარისობა მიიღწევა ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოდების გამოყენებით.** შესადარისობის ხარისხი ეცემა, როცა ბუღალტრული აღრიცხვის ალტერნატიული მეთოდებია ნებადართული.

ამდენად, **შესადარისობა ნიშნავს** სხვადასხვა საწარმოს მიერ ან ერთი საწარმოს მიერ სხვადასხვა პერიოდში, ერთი და იმავე მუხლების მიმართ ერთი და იმავე მეთოდების გამოყენებას [ხმ 22].

ინფორმაციის შემოწმებადობა ეხმარება მომხმარებელს რომ ინფორმაცია სამართლიანადაა წარდგენილი. შემოწმებადობა შეიძლება იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი. პირდაპირი შემოწმებადობა ნიშნავს, როცა მონაცემების ან სხვა ინფორმაციის შემოწმება შესაძლებელია უშუალო დაკვირვების გზით. მაგალითად, ფულადი თანხების დათვლა. არაპირდაპირი შემოწმებადობა ნიშნავს მოდელის ამოსავალი მონაცემების, ფორმულების და მოდელის სხვა ელემენტების დამოუკიდებლად გამოანგარიშებას. მაგ. მატერიალური მარაგების საბალანსო ღირებულების შემოწმება.

მომხმარებელი უფრო თავდაჯერებულად გამოიყენებს იმ ინფორმაციას, რომლის შემოწმება შესაძლებელია ე.ი. მომხმარებელს შეუძლია ენდოს ასეთ ინფორმაციას, რომ მასში არ არის არსებითი შეცდომები და მიკერძოება. ამიტომ, შემოწმებადობა შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო სამართლიანი წარდგენის ასპექტად. მაგრამ, ოპონენტებმა აღნიშნეს, რომ შემოწმებადობის ცნების, როგორც სამართლიანი წარდგენის ერთ-ერთი ასპექტის გათვალისწინება, გამოიწვევს იმ ინფორმაციის გამოთიშვას, რომელიც არ ექვემდებარება შემოწმებას ან სრულყოფილი შემოწმება შეუძლებელია (მაგ. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები, სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება). საბჭო დაეთანხმა ამ არგუმენტებს და შემოწმებადობა ახლებურად განსაზღვრა, როგორც ხარისხობრივი მახასიათებელი, რომელიც ამაღლებს ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობას, მეტად სასურველი, მაგრამ არა აუცილებელი.

დროულობა ნიშნავს, რომ ინფორმაცია მის მომხმარებელს მიეწოდოს იმ დროს, როცა შეუძლია გააგონოს მოახდინოს მის გადაწყვეტილებებზე. ზოგჯერ შეიძლება ინფორმაცია დროული იყოს დიდი ხნის შემდეგაც, თუ ტენდენციების შეწავლაა მიზანი.

განხილვების დროს აღინიშნა, რომ დროულობა არ არის შეაბამისობის თვისება იმავე მნიშვნელობით, როგორც საპროგნოზო და დამადასტურებელი ღირებულებები. დროული ინფორმაცია სასარგებლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შესაბამისია და სამართლიანად წარდგენილი. ინფორმაცია შეიძლება სასარგებლო იყოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი დროულად არ არის წარდგენილი. განსაკუთრებით დამადასტურებელი მიზნებისათვის ან ტენდენციების შესწავლისათვის [დს3.37-39].

აღქმადობა ნიშნავს, რომ ინფორმაცია იყოს ადვილად გასაგები. ეს მოითხოვს კლასიფიცირებას, სისტემატიზაციას, ნათლად და ლაკონურად ინფორმაციის წარმოდგენას.

11.2. ფინანსური ანგარიშგების ელემენტები და კომპონენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. ამგვარ ფართო დაჯგუფებას უწოდებენ **ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს**. ესენია: აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები.

აქტივი არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს, წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგია და რის საფუძველზეც საწარმო მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას მომავალში.

აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი არის აქტივების უნარი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ხელი შეუწყოს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემოსვლას საწარმოში. აქტივებში განივთებული მომავალი ანუ პოტენციური ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოდის სხვადასხვა გზით.

ვალდებულება საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარსული სამეურნეო მოვლენების შედეგად წარმოიშვა და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას საწარმოდან.

საკუთარი კაპიტალი არის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ.

შემოსავალი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთა დამატებით შენატანებთან.

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოდან აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

ამდებან, ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტი არის მოცულობითი ხასიათის ეკონომიკური მაჩვენებელი.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება ნიშნავს მათ ასახვას ბუღალტრულ ბალანსში ან მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. მათი აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია ამ მუხლებით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან გასვლა და გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომლის საიმედოდ შეფასება შეიძლება.

შეფასება არის ფულადი თანხების ან ფულადი ღირებულების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება ფინანსური ანგარიშგების მოცემული ელემენტის აღიარება ანგარიშგებაში.

2009 წლიდან ფასს-ში შეწტანილი ცვლილებების შედეგად, შეცვლილია ანგარიშგების კომპონენტების სახელწოდებები.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება პერიოდის დასასრულისათვის (ანუ ბუღალტრული ბალანსი)
2. პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგება (ანუ მოგება/ზარალი);
3. პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება;
4. პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგება;

5. განმარტებითი შენიშვნები, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია. მასში შეიძლება აისახოს ფინანსური შედეგების განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორები და პირობები, მათში მომხდარი ცვლილებები და საწარმოს რეაგირება ამ ცვლილებებზე; ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად წარმოშობილი რისკების ბუნება და დონე, რომლებიც საწარმოზე გავლენას ახდენდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში; ასევე შეაფასოს, როგორ მართავს საწარმო ამ რისკებს.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მიუთითებს, რომ საწარმოს შეუძლია ჩამოთვლილი სახელწოდებები არ გამოიყენოს და გამოიყენოს ტერმინები: „ბუღალტრული ბალანსი“ და „მოგება/ზარალის ანგარიშგება“. საწარმომ შეიძლება წარადგინოს სხვა ანგარიშგებაც ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნით, მაგალითად, გარემოს დაცვის შესახებ, თანამშრომელთა სოციალური დაცვის შესახებ და სხვა, რომელიც სცილდება ფასს-ის მოქმედების სფეროს.

ბანკმა ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი უნდა გამოაქვეყნოს ყოველწლიურად, წელიწადში ერთხელ. თუ საწარმო ცვლის პერიოდს წელზე მეტი ან ნაკლები ვადით, ახსნა-განმარტებებში უნდა მიუთითოს რატომ გამოიყენა ერთ წელიწადზე განსხვავებული პერიოდი. თუ ხდება შესადარისი თანხების რეკლასიფიკაცია, მაშინ განმარტებით შენიშვნებში უნდა იქნას ახსნილი რეკლასიფიკაციის ხასიათი, თითოეული მუხლის თანხა, რომლის რეკლასიფიკაცია მოხდა და რეკლასიფიკაციის მიზეზები.

ბანკმა ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს შესადარისი ინფორმაცია სულ მცირე ორი საანგარიშგებო პერიოდისათვის. ეს ინფორმაციის მომხმარებელს საშუალებას აძლევს შეისწავლოს ტენდენციები და მოახდინოს პროგნოზირება.

11.3. კაპიტალის შენარჩუნების კონცეფციები

საწარმოთა საფინანსო-ეკონომიკური განვითარება მოითხოვს, რომ მათ შეძლონ კაპიტალის ზრდა, რაც მომგებიანობას გულისხმობს. ფინანსური ანგარიშგება საწარმოთა მიერ კაპიტალის შენარჩუნების მდგომარეობას და ხარისხს აჩვენებს. ასეთ მდგომას კაპიტალის შენარჩუნების კონცეფციას უწოდებენ. განსხვავებულ კაპიტალის ფინანსური და ფიზიკური შენარჩუნების კონცეფციებს.

ბუღალტრულ ბალანსში ასახულია კაპიტალის ფინანსური შენარჩუნების კონცეფცია, ხოლო მოგება/ზარალის ანგარიშგებაში ასახულია კაპიტალის ფიზიკური შენარჩუნების კონცეფცია.

კაპიტალის ფინანსური შენარჩუნების კონცეფციის თანახმად საწარმოს მიერ მოგების აღიარება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც წმინდა აქტივების ფულადი ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღემატება წმინდა აქტივების ფულად ღირებულებას საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის, რომელიც რჩება მოცემულ პერიოდში საკუთარი კაპიტალის ყოველნაირი განაწილებისა და მესაკუთრეთა მიერ განხორციელებული ყოველგვარი დამატებითი შენატანების გამოქვითვის შემდეგ. კაპიტალის ფინანსური შენარჩუნება იზომება ნომინალურ ფულად ერთეულებში ან მუდმივი მსყიდველობითუნარიანობით.

კაპიტალის ფიზიკური შენარჩუნების კონცეფციის თანახმად, მოგების აღიარება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როცა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმოს მწარმოებლურობა, (ინტენსიობა ან ეფექტიანობა) აღემატება

საწარმოს მწარმოებლურობას პერიოდის დასაწყისში, რომელიც რჩება მოცემულ პერიოდში საკუთარი კაპიტალის ყოველგვარი გადანაწილებისა და მესაკუთრეთა მიერ განხორციელებული ყოველგვარი დამატებითი შენატანების გამოქვითვის შემდეგ. ამ კონცეფციის თანახმად მოგება არის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა.

საილუსტრაციო მაგალითი:

მოცემულია კომერციული ბანკის ბუღალტრული ბალანსი (ვერტიკალური სახით) პირველი აპრილისათვის. თვის ბოლოს ნაშთები კი ქვემოთ მოტანილი საბანკო ოპერაციების აღრიცხვის შემდეგ იქნა გამოთვლილი (მლნ. ლარი):

ცხრილი 113.1.

ბუღალტრული ბალანსი		
აქტივი	თვის დასაწყისში	თვის ბოლოს
ნაღდი ფული - - - -	10,0	5,16
საველდებულო რეზერვები ეროვნულ ბანკში -	5,0	5,0
საკორესპოდენტო ანგარიში -	15,0	24,0
ფასიანი ქაღალდები -	3,0	3,0
ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	10,0	10,0
გაცემული სესხები -	30,0	42,0
მოთხოვნა მისაღებ პროცენტზე -	6,0	6,5
ინვესტიციები	7,0	7,0
ძირითადი საშუალებები -	31,0	31,6
სულ აქტივი	117,0	134,26
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები (პასივები)		
I. ვალდებულებები		
მიმდინარე ანგარიშები	30,0	26,0
მიღებული დეპოზიტები	40,0	55,5
აღებული სესხები	10,0	10,0
კრედიტორები	5,0	5,06
გადასახდელი პროცენტები	-	0,2
ჯამი	85,0	96,8
II. საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	20,0	25,0
საემისიო კაპიტალი	4,0	4,0
გადაფასების რეზერვი	3,0	3,4
გაუნაწილებელი მოგება	5,0	5,2
ჯამი	32,0	37,46
სულ პასივები	117,0	134,26

შენიშვნა: კომერციული ბანკები ხშირად არ ახდენენ აქტივების დაყოფას მიმდინარე და გრძელვადიან აქტივებად. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მათ ამის უფლებას აძლევენ.

აპრილის თვეში, დაეუშვათ ადგილი ჰქონდა შემდეგ საბანკო ოპერაციებს (მლნ ლარებში):

1. ფიზიკურმა პირმა დეპოზიტიდან გაიტანა - 0,5 მლნ ლ.
დებეტი – მიღებული დეპოზიტები
კრედიტი – სალარო
2. დეპოზიტზე შემოტანილია – 16,0 მლნ ლ
დებეტი – სალარო
კრედიტი – მიღებული დეპოზიტები
3. გაცემულია სესხი – 12 მლნ ლ.
დებეტი – მოთხოვნები გაცემული სესხებით
კრედიტი – საკორესპოდენტო ანგარიში
4. შესყიდულია კომპიუტერები ნაღდ ფულზე – 0,2 მლნ ლ
დებეტი – კომპიუტერები
კრედიტი – სალარო
5. დარიცხულია გადასახდელი პროცენტები – 0,2 მლნ ლ
დებეტი – საპროცენტო ხარჯები
კრედიტი – გადასახდელი პროცენტები
6. დარიცხულია მისაღები პროცენტები – 0,5 მლნ ლ
დებეტი – მოთხოვნა მისაღებ პროცენტებზე
კრედიტი – საპროცენტო შემოსავლები
7. დარიცხულია თანამშრომელთა ხელფასი – 0,1 მლნ ლ
დებეტი – თანამშრომელთა ხელფასის ხარჯები
კრედიტი – გასაცემი ხელფასი (კრედიტორები)
8. ძირითადი საშუალებები გადაფასდა ფასმატებით – 0,4 მლნ ლ
დებეტი – ძირითადი საშუალებები
კრედიტი – გადაფასების რეზერვი
9. სალაროდან ნაღდი ფული შეტანილია საკორესპოდენტო ანგარიშზე 20,0 მლნ ლ
დებეტი – საკორესპოდენტო ანგარიში
კრედიტი – სალარო (ჯერ გამოყენებული იქნება ანგარიში- ბანკნოტები და მონეტები გზაში)
10. გამოშვებულია აქციები – 5,0 მლნ ლ
დებეტი – საკორესპოდენტო ანგარიში
კრედიტი – სააქციო კაპიტალი
11. კლიენტების მიმდინარე ანგარიშებიდან გადარიცხულია – 4,0 მლნ ლ
დებეტი – მიმდინარე ანგარიშები
კრედიტი – საკორესპოდენტო ანგარიში

მოცემული საბანკო ოპერაციების მთავარ საბუღალტრო წიგნში („T“ - ანგარიშებში) გატარებისა და საბოლოო ნაშთების გამოთვლის შემდეგ, საცდელ ბალანსს შემდეგი სახე ექნება (იხ. ცხრილი 11.3.2):

ცხრილი 11.32.

საცდელი ბალანსი
(მლნ ლ)

ანგარიშების დასახელება	ნაშთები	
	დებეტის	კრედიტის
სალარო	5,3	-
სავალდებულო რეზერვები ეროვნულ ბანკში	5,0	-
საკორესპოდენტო ანგარიში ეროვნულ ბანკში	24,0	-
ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	10,0	-
გაცემული სესხები	42,0	-
ინვესტიციები	7,0	-
ფასიანი ქაღალდები	3,0	-
მიღებული დეპოზიტები	-	55,5
აღებული სესხები	-	10,0
სააქციო კაპიტალი	-	25,0
საემისიო კაპიტალი	-	4,0
პერსონალის ხარჯები	0,1	-
საპროცენტო ხარჯები	0,2	-
საპროცენტო შემოსავლები	-	0,5
გასაცემი ხელფასი (კრედიტორები)	-	5,1
მოთხოვნა მისაღებ პროცენტზე	6,5	-
გადასახდელი პროცენტები	-	0,2
მიმდინარე ანგარიშები	-	26,0
გადაფასების რეზერვი	-	3,4
გაუნაწილებელი მოგება თვის დასაწყისში	-	5,0
ძირითადი საშუალებები	31,6	-
----- ჯამი	134,7	134,7

გარდა ამისა, გადახდილია მოგების გადასახადი 0,04 და დივიდენდი 0,1 მლნ ლარი.

საცდელი ბალანსიდან შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშების ნაშთები მოგება/ზარალის ანგარიშგებაში გადაიტანება. როგორც წესი, მოგება-ზარალის ანგარიშით იხურება შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშები, რომლის საფუძველზეც მომზადდება მოგება/ზარალის ანგარიშგება, რომელიც შემდეგი სახის იქნება (ი.ც.ცხრილი 11.3.3):

ცხრილი 11.33.

მოგება/ზარალის ანგარიშგება
(მლნ ლარი)

საპროცენტო შემოსავლები	-	0,5
საპროცენტო ხარჯები	-	(0,2)

წმინდა საპროცენტო შემოსავალი		0,3
პერსონალის ხარჯები	-	(0,1)

მოგება დაბეგვრამდე		0,2
მოგების გადასახადი		(0,04)

წმინდა მოგება		0,16
გასაცემი დივიდენდები		(0,10)

გაუნაწილებელი მოგება		0,06

იმავე საცდელი ბალანსიდან, ნაშთები გადავიტანოთ ბუღალტრულ ბალანსში თვის ბოლოს მდგომარეობით (გვ: 133). ოღონდ, ნაღდი ფულის ნაშთი 5,3 მლნ ლარი შემცირდება გადახდილი მოგების გადასახადისა და გაცემული დივიდენდის თანხებით (0,04+0,1) და გახდება 5,16 მლნ ლარი.

მაშასადამე, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ფიზიკური კონცეფციის თანახმად, მოგება დაბეგვრამდე 0,2 მილიონი ლარია. იგივე მაჩვენებელი მიიღება კაპიტალის ფინანსური შენარჩუნების კონცეფციის თანახმად, ბუღალტრულ ბალანსის საფუძველზე. ამ მიზნით გამოითვლება წმინდა აქტივების ზრდა, საიდანაც გამოიქვითება საკუთარი კაპიტალის გადანაწილება და მესაკუთრეთ მიერ ყოველგვარი დამატებითი შენატანები ან კაპიტალის ამოღება.

წმინდა აქტივი, როგორც წესი საკუთარი კაპიტალის ტოლია. ამ უკანასკნელის ზრდა, იგივე წმინდა აქტივების ზრდაა.

წმინდა აქტივების ზრდა = $37,46 - 32,0 = 5,46$ მლნ ლ. აქედან თუ გამოვრიცხავთ სააქციო კაპიტალის ზრდას, რეზერვების ზრდას და მოგების განაწილების მაჩვენებლებს, მივიღებთ:

$$5,46 - 5,0 - 0,4 + 0,04 + 0,1 = 0,2 \text{ მლნ ლ}$$

გაანგარიშებაში მონაწილეობას არ მიიღებს მოგებიდან შექმნილი რეზერვებისა და გაუნაწილებელი მოგების ცვლილება.

მაშასადამე, კაპიტალის ფინანსური და ფიზიკური შენარჩუნების კონცეფციები ერთი და იგივე მოგებას აჩვენებს.

11.4. ფინანსური ანგარიშგების კაპეტი

ბუღალტრულ ბალანსში ანუ როგორც ახალი სტანდარტი უწოდებს – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ყველა საწარმო ვალდებულია აჩვენოს მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები განცალკავებულად. ხოლო, ბანკების შესახებ აღნიშნულია, რომ „უფრო სასარგებლო ინფორმაციას იძლევა მუხლების წარდგენა ლიკვიდურობის ზრდადობის ან შემცირების მიხედვით, ვიდრე მიმდინარე და გრძელვადიანი ნიშნის მიხედვით ასახვა. ეს იმითაა გამართლებული, რომ ბანკები არ აწარმოებენ საქონლისა და მომსახურების მიწოდებას მკაფიოდ განსაზღვრულ საოპერაციო ციკლში“. (ბასს 1. მუხლი 63).

ჩვენი აზრით, უფრო გამართლებული იქნება თუკი ბანკების წლიურ ბუღალტრულ ბალანსში აქტივები წარმოდგენილი იქნება მიმდინარე და გრძელვადიანი ჯგუფების სახით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ შევძლებთ ლიკვიდურობის კოეფიციენტების გამოანგარიშებას, რომელთა გამოსათვლელად მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების მაჩვენებლებია საჭირო. ამ შემთხვევაში ბალანსი სრულად ვერ ახასიათებს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას. მით უფრო, რომ ბანკების აღრიცხვაში როგორც მოკლევადიანი აქტივები, ასევე მოკლევადიანი ვალდებულებები ანალიზურად აღირიცხება და ინფორმაციის მომზადების პრობლემა არ არსებობს. ასევე, ვერ დავეთანხმებით აზრს, რომ თითქოს „ბანკები არ აწარმოებენ საქონლისა და მომსახურების მიწოდებას მკაფიოდ განსაზღვრულ საოპერაციო ციკლში“. პირიქით, ნებისმიერი საბანკო ოპერაცია და შეთანხმება მკაცრად განსაზღვრულია დროში. ნებისმიერი სახის მოთხოვნა ან ვალდებულება მოკლევადიანია თუ გრძელვადიანი, ეს იმთავითვე ცნობილია და აღრიცხვაშიც შესაბამის ბუღალტრულ ანგარიშებზე ცალ-ცალკე აღირიცხება.

საწარმომ აქტივი მიმდინარე აქტივად უნდა მიიჩნიოს, თუ: ნავარაუდევია აქტივის რეალიზაცია ან გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისათვის ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში; ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით; ნავარაუდევია მისი რალიზაცია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან არის ფულადი აქტივი და მისი ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც. (ბასს 1. მუხლი 66). ყველა სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნოს გქელვადიან აქტივებს.

გრძელვადიანი აქტივი მოიცავს ყველა იმ მატერიალურ, არამატერიალურ და ფინანსურ აქტივს, რომლებიც გრძელვადიანი დანიშნულებით (ერთ წელზე მეტი ვადით) გამოიყენება.

საწარმომ მოკლევადიან ვალდებულებებად უნდა მიიჩნიოს ვალდებულებები, თუ: მისი დაფარვის ვადა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში; ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით; უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში ან საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. ყველა სხვა ვალდებულება ითვლება გრძელვადიან ვალდებულებად.

ფინანსური ვალდებულების კლასიფიკაცია როგორც მოკლევადიანი ვალდებულებისა, უნდა მოხდეს მაშინ თუ ისინი გადახდას ექვემდებარება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაშიც კი, როცა: მათი გადახდის პირვანდელი ვადა 12 თვეზე მეტი იყო ან საწარმოს მიღწეული აქვს შეთანხმება ვალდებულებების რეფინანსირების შესახებ გრძელვადიანი პირობებით და აღნიშნული შეთანხმება მთავრდება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ხელმოწერის თარიღამდე.

თუ საწარმო არღვევს გრძელვადიანი სესხის ხელშეკრულების პირობას საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებისას ან მანამდე, რის შემდეგაც ვალდებულება მოთხოვნისთანავე გადასახდელი ხდება, ვალდებულების კლასიფიცირება უნდა მოხდეს როგორც მოკლევადიანი იმ შემთხვევაშიც კი, როცა კრედიტორი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ხელმოწერის თარიღამდე თანხმდება, რომ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო არ მოითხოვს ვალდებულების დაფარვას. ამგვარი ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად კლასიფიცირდება იმის გამო, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმოს არ გააჩნია უპირობო უფლება, ვალდებულების დაფარვა გადაავადოს ამ თარიღიდან სულ ცოტა 12 თვით მაინც.

ამრიგად, უფრო მარტივად თუ ვიტყვით: თუ სესხი თავიდან გაცემულია ან აღებულია თორმეტი თვით ან ნაკლები ვადით, მიუხედავად იმისა, დროზე დაიფარება თუ არა, მაინც წარმოადგენს მოკლევადიან აქტივს ან ვალდებულებას. ეს იძლევა ანალიზის კარგ საშუალებას იმისათვის, დადგინდეს, რამდენად სტაბილურია ბანკის ფინანსური მდგომარეობა. რამდენად დროულად იფარება დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ანუ ბუღალტრულ ბალანსში) საწარმომ აგრეთვე უნდა ასახოს საკუთარი კაპიტალი შემდეგ კლასებად: სააქციო კაპიტალის ანაზღაურებული ნაწილი, საემისიო კაპიტალი და რეზერვები.

კომერციული ბანკების წლიური ბუღალტრული ბალანსი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებზე დაყრდნობით, სასურველია შემდეგი სახით მომზადდეს (იხ. ცხრილი 11.4.1):

ცხრილი 11.4.1

**კომერციული ბანკის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ბუღალტრული ბალანსი) მლნ ლარი**

აქტივები

მიმდინარე აქტივები	წლის ბოლო
ნაღდი ფული	5,5
საკორესპონდენტო ანგარიშები	45,7
გაცემული დეპოზიტები	60,4
„ნოსტრო“ ანგარიშები	12,0
გაცემული სესხები	45,0
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(5,0)
წმინდა სესხები	40,0
ნაყიდი ფასიანი ქაღალდები	10,0
შეტანილი დეპოზიტები	15,8
დანარჩენი მოკლევადიანი აქტივები	20,3
ვალდებულებული სესხები	10,5
ჯამი	220,2
გრძელვადიანი აქტივები	
გაცემული სესხები	35,5
ვადიანი დეპოზიტები	20,4
ნაყიდი ფასიანი ქაღალდები	15,5
დანარჩენი გრძელვადიანი მოთხოვნები	8,3
ვალდებულებული სესხები	7,6
ძირითადი საშუალებები	100,0
გუდვილი	14,7
სხვა არამატერიალური აქტივები	4,1
სხვა გრძელვადიანი აქტივები	32,6
ჯამი	238,7
სულ აქტივები	458,9

პასივები

I ვალდებულებები

ა. გრძელვადიანი ვალდებულებები	
გრძელვადიანი სესხები ბანკებიდან	45,2
სხვა გრძელვადიანი სესხები	23,4
საკუთარი ფასიანი ქაღალდები	30,0
მიღებული ვადიანი დეპოზიტები	25,8
ჯამი	124,4
ბ. მიმდინარე ვალდებულებები	
მიმდინარე ანგარიშები	40,5
მიღებული დეპოზიტები მოთხოვნამდე	36,7
მიღებული ვადიანი დეპოზიტები	20,2
„ლორო“ ანგარიშები	23,9
სესხები ბანკებიდან	25,8

სხვა სესხები	12,5
საკუთარი ფასიანი ქაღალდები	30,0
ვალდებულებები ვალდებულებები	15,8
მოკლევადიანი ანარიცხები	10,4
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	4,3
სხვა კრედიტორები	6,5
-----	-----
ჯამი	226,6
-----	-----
სულ ვალდებულებები	351,0

II. საკუთარიკაპიტალი

სააქციო კაპიტალი	70,0
საემისიო კაპიტალი	10,0
სარეზერვო კაპიტალი	19,0
გადაფასების რეზერვი	5,8
გაუნაწილებელი მოგება	3,1
-----	-----
ჯამი	107,9
-----	-----
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	458,9

ამგვარი სახით მომზადებული ბუღალტრული ბალანსი უფრო სრულ შესაძლებლობას იძლევა, გამოთვლილი და შესწავლილი იქნეს კომერციული ბანკის გადახდისუნარიანობის (ლიკვიდურობის) მაჩვენებლები და ფინანსური სტაბილურობის სხვა მრავალი კოეფიციენტი.

კომერციულმა ბანკებმა თავიანთი შემოსავლებისა და ხარჯების ყველა მუხლი უნდა წარადგინონ მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. იგი მზადდება დარიცხვის პრინციპით.

ბასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ – მიუთითებს, რომ საწარმოებმა პერიოდის განმავლობაში აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯების ყველა მუხლი უნდა წარადგინონ **ან ერთ ანგარიშგებაში** – სრული შემოსავლების ანგარიშგების სახით, **ან ორ ანგარიშგებაში**: მოგება-ზარალის და დანარჩენი სრული შემოსავლების ანგარიშის სახით. ვაჩვენოთ იგი მაგალითზე.

ცხრილი 114.2.

**სრული შემოსავლების ანგარიშგება
(წარდგენა ერთ ანგარიშგებაში)
მლნ.ლარი**

საპროცენტო შემოსავალი	130,0
საპროცენტო ხარჯები	(90,0)
-----	-----
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	40,0
საკომისიო შემოსავლები	35,0
საკომისიო ხარჯები	(20)
-----	-----
წმინდა საკომისიო შემოსავალი	15,0
წმინდა შემოსავალი უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან	5,0
სხვა შემოსავალი	9,5
სხვა ხარჯები	(8,0)
უიმედო სესხების ჩამოწერა	(1,0)
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	(1,5)
მეკავშირე საწარმოების მოგების წილი	7,0

(ანუ ეს არის დაბეგვრის შემდგომი მოგება და არამაკონტროლებელი წილი მეკავშირე საწარმოებში)	
მოგება დაბეგვრამდე	71,0
მოგების გადასახადი	(14,0)
<hr/>	
წლიური წმინდა მოგება პერმანენტული საქმიანობიდან	57,0
საანგარიშგებო წლის ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	-
<hr/>	
საანგარიშგებო წლის წმინდა მოგება	57,0
სხვა სრული შემოსავალი:	
უცხოური ქვედანაყოფის ანგარიშგების წარსადგენ ვალუტის გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი საკურსო სხვაობები	2,0
გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები	(1,5)
ფულადი ნაკადების ჰეჯირება	(0,6)
ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი	1,2
აქტურული შემოსულობა (ზარალი) დადგენილ გადასახდელებიანი საპენსიო პროგრამებიდან	(1,0)
მეკავშირე საწარმოების სხვა სრული შემოსავლების წილი	3,0
სხვა სრული შემოსავლების კომპონენტებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი	(1,4)
<hr/>	
საანგარიშგებო წლის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით	1,7
<hr/>	
სულ საანგარიშგებო წლის სრული მოგება/ზარალი	58,7

სრული მოგების განაწილება:

სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	35,7
არამაკონტროლებელი წილები	14,9
რეზერვები	5,0
<hr/>	
	55,6
გაუნაწილებელი ნაშთი	3,1
შემოსავალი ერთ აქციაზე (ლარებში)	
საბაზისო, გაზავებული	0,65

მაშასადამე, ამ მიდგომით, ერთ ანგარიშგებაშია გადმოცემულია როგორც საოპერაციო საქმიანობიდან ისე დანარჩენი საქმიანობიდან მიღებული მოგება, რომელსაც სტანდარტებში ბოლოს შეტანილი ცვლილებების შემდეგ ეწოდება არა – „მოგება“, არამედ, საანგარიშგებო წლის სრული შემოსავალი და სხვა სრული შემოსავალი. მათი ჯამი იძლევა მთლიან სრულ შემოსავალს.

მოგება/ზარალის ანგარიშგების სახელწოდების შეცვლა „სრული შემოსავლების“ სახელწოდებით, ვფიქრობთ, გაუმართლებელია, რადგან „შემოსავლებისა“ და „მოგების“ ცნებების აღრევას იწვევს.

ცალ-ცალკე, წლიური მოგებისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება ორი ანგარიშგების სახით, შემდეგნაირად მზადდება:

ცხრილი 11.4.3.

**წლიური მოგება/ზარალის ანგარიშგება
(წარდგენა ორი ანგარიშგებით)
მლნ ლარი**

საპროცენტო შემოსავალი	130,0
საპროცენტო ხარჯები	(90,0)
<hr/>	
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	40,0
საკომისიო შემოსავლები	35,0
საკომისიო ხარჯები	(20)
<hr/>	
წმინდა საკომისიო შემოსავალი	15,0
წმინდა შემოსავალი უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან	5,0
სხვა შემოსავალი	9,5
სხვა ხარჯები	(8,0)
უიმედო სესხების ჩამოწერა	(1,0)
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	(1,5)
მეკავშირე საწარმოების მოგების წილი	7,0
(ანუ ეს არის დაბეგვრის შემდგომი მოგება და არამაკონტროლებელი წილი მეკავშირე საწარმოებში) მოგება დაბეგვრამდე	71,0
მოგების გადასახადი	(14,0)
<hr/>	
წლიური წმინდა მოგება პერმანენტული საქმიანობიდან	57,0
საანგარიშგებო წლის ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	-
<hr/>	
საანგარიშგებო წლის წმინდა მოგება	57,0

სრული მოგების განაწილება:

სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	35,7
არამაკონტროლებელი წილები	14,9
რეზერვები	5,0
<hr/>	
	55,6
გაუნაწილებელი ნაშთი	3,1
შემოსავალი ერთ აქციაზე (ლარებში)	
საბაზისო / გაზავებული	0,65

**სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
(წარდგენა ორი ანგარიშგებით)**

საანგარიშგებო წლის წმინდა მოგება	57,0
სხვა სრული შემოსავალი:	
უცხოური ქვედანაყოფის ანგარიშგების წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი საკურსო სხვაობები	-
გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები	-
ფულადი ნაკადების ჰეჯირება	-
ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსულობა	-
აქტუარული შემოსულობა (ზარალი) დადგენილ გადასახდელებიანი საპენსიო პროგრამებიდან	-
მეკავშირე საწარმოების სხვა სრული შემოსავლის წილი	-
სხვა სრული შემოსავლის კომპონენტებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი	-
საანგარიშგებო წლის სხვა სრული შემოსავალი გადასახადების გამოკლებით	-
<hr/>	
სულ საანგარიშგებო წლის სრული მოგება	58,7

საანგარიშებო წლის მთლიანი სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:	
სათაუო საწარმოს მესაკუთრეებზე	35,7
არამაკონტროლებელ წილზე	14,9
რეზერვები	5,0

რაც შეეხება „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“-ს, ბასს 7-ის მოთხოვნების შესაბამისად, ბანკებმა ფულადი თანხების მოძრაობა უნდა წარადგინოს საქმიანობის სფეროების მიხედვით, საკასო პრინციპით.

ფულად სახსრებში (ანუ ფულად თანხებში) იგულისხმება ნაღდი ფული და დეპოზიტები მოთხოვნამდე. (ბასს 7).

ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფულადი აქტივები არის ფლობილი ფული და ფიქსირებული ან განსაზღვრადი ფულადი თანხის სახით მისაღები აქტივები. ესენია: ფლობილი ფული, მოთხოვნები მისაღებ სესხებსა და სხვა თანხებზე.

ფულადი მუხლები არის საწარმოს განკარგულებაში არსებული ფული, მისაღები აქტივები და გასანაღდელებელი ვალდებულებები, რომლებიც გადახდილი ან მიღებული იქნება ფიქსირებული ან განსაზღვრადი რაოდენობის ფულის ერთეულებით.

ფინანსურ აქტივებს მიეკუთვნება ფულადი სახსრები, გაცემული სესხები, ნაყიდი ფასიანი ქაღალდები, მიღებული თამასუქები და სხვა მოთხოვნები.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებას სამი განაყოფი აქვს. ყოველი განაყოფის შემდეგ გამოითვლება წმინდა ფულადი ნაკადი, რაც შემოსული და გასული ფულადი თანხების სხვაობის ტოლია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების რომელიმე განაყოფის წმინდა ჯამი (შემოსულ ფულს მინუს გასული ფული) შეიძლება უარყოფითი რიცხვი აღმოჩნდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბანკს მოცემულ სფეროში ფულის დეფიციტი გააჩნია.

ცხრილი 11.44

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საფინანსო დაწესებულებებისათვის)**

I. ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	ათ. ლარი
მიღებული პროცენტები და საკომისიოები	29.500
გადახდილი პროცენტები	(24.200)
ადრე ჩამოწერილი სესხების დაფარვა	500
თანამშრომლებისათვის და მომწოდებლებისათვის გადახდილი ფულადი თანხები	(1.200)

	4.600
საოპერაციო აქტივების შემცირება (ზრდა):	
მოკლევადიანი ფულადი სახსრების შემცირება	(800)
რეგულირების ან ფულადი კონტროლის მიზნით შენახული დეპოზიტები	300
კლიენტებზე გაცემული ავანსები	(250)
დებიტორული დავალიანებების წმინდა ნამატი საკრედიტო ბარათების მიხედვით	(320)
სხვა მოკლევადიანი ბრუნვადი ფასიანი ქაღალდები	(100)

საოპერაციო ვალდებულებების ზრდა (შემცირება):

კლიენტთა დეპოზიტები	800
ბრუნვადი სადეპოზიტო სერთიფიკატები	(240)
<hr/>	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი	
მოგების გადასახადის გადახდამდე	3990
გადახდილი მოგების გადასახადი	(150)
<hr/>	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	3.840

I. ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

შვილობილი საწარმოს გაყიდვა	60
მიღებული დივიდენდები	180
მიღებული პროცენტები	400
შემოსულობანი არასაბირჟო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან	1.000
არასაბირჟო ფასიანი ქაღალდების შექენა	(860)
ძირითადი საშუალებების შექენა	(700)
<hr/>	
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	80

II. ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

სასესხო კაპიტალის ემისია	1.200
პრივილეგირებული აქციების გამოშვება შვილობილი საწარმოების მიერ	900
გრძელვადიანი სესხების დაფარვა	(300)
სხვა სესხების წმინდა შემცირება	(1.100)
გადახდილი დივიდენდები	(500)
<hr/>	
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	200

სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	450
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ნამატი	4.570
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის	46.630
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასასრულისათვის	51.200

ფასს 7 – ის მოთხოვნების შესაბამისად, ბანკებმა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გააშუქონ ისეთი ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ ფინანსური ინსტრუმენტების მნიშვნელობა მისი ფინანსური მდგომარეობისა და შედეგებისათვის.

ფინანსური ინსტრუმენტები არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს (ბასს 32.მუხლი 11).

ფინანსური აქტივი არის ისეთი აქტივები, როგორცაა: ფულადი სახსრები; სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტი (ფასიანი ქაღალდები); საწარმოს სახელშეკრულებო უფლება სხვა საწარმოსაგან მიიღოს ფული ან სხვა ფინანსური აქტივი; ან პოტენციურად ხელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები; ან ხელშეკრულება, რომელიც ანაზღაურდება ან შესაძლებელია ანაზღაურდეს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით და წარმოადგენს: არაწარმოებულ ინსტრუმენტს, რომლისთვისაც საწარმო მიიღებს ან შესაძლოა იძულებული იყოს მიიღოს ცვლადი რაოდენობის, საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები; ან წარმოებულ ინსტრუმენტს, რომელიც ანაზღაურდება ან შეიძლება ანაზღაურდეს ნებისმიერი ფორმით, გარდა დადგენილი ოდენობის ნაღდი ფულის ან სხვა

ფინანსური აქტივების გაცვლით საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებულ რაოდენობაზე. ამ მიზნებისათვის საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები არ მოიცავს ისეთებს, რომლებიც თავისთავად წარმოადგენენ საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების მისაღებად ან გადასაცემად გაფორმებულ კონტრაქტებს. (ბასს 32)

ფინანსური ვალდებულება არის ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც არის: საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულება რათა სხვა საწარმოს გადასცეს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივები, ან პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები. ან ხელშეკრულება, რომელიც დაიფარება ან შესაძლებელია დაიფაროს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით და წარმოადგენს: ან არაწარმოებულ ინსტრუმენტს, რომლისთვისაც საწარმო გადასცემს ან შესაძლოა იძულებული იყოს გადასცეს ცვლადი რაოდენობის საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტები ან წარმოებულ ინსტრუმენტს, რომელიც დაიფარება ან შეიძლება ნებისმიერი ფორმით დაიფაროს, გარდა დადგენილი ოდენობის ნაღდი ფულის ან სხვა ფინანსური აქტივების გაცვლისა, საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებულ რაოდენობაზე. ამ მიზნებისათვის საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები არ მოიცავს ისეთებს, რომლებიც თავისთავად წარმოადგენენ საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების მისაღებად ან გადასაცემად გაფორმებულ კონტრაქტებს.

ფინანსურ ვალდებულებებს მიეკუთვნება აღებული სესხები, გამოშვებული ობლიგაციები, გაცემული თამასუქები, ფინანსური იჯარა, უკან დაბრუნებადი საკუთარი აქციები, რომლებიც მფლობელებს უფლებას არ აძლევთ მიიღონ პროპორციული წილი საწარმოს აქტივებიდან მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში.

ბანკები აგრეთვე წარადგენენ **ანგარიშგებას საკუთარი კაპიტალის შესახებ**. მასში მოცემული უნდა იყოს საკუთარი კაპიტალის თითოეული შემადგენელი მუხლის ცვლილება, რომელსაც ადგილი ჰქონდა წლის განმვლობაში.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში ან განმარტებით შენიშვნებში ყველა ტიპის სააქციო კაპიტალისათვის უნდა განიმარტოს: ნებადართული აქციების რაოდენობა; გამოშვებული და მთლიანად ანაზღაურებული აქციების რაოდენობა და გამოშვებული, მაგრამ ნაწილობრივ ანაზღაურებული აქციების რაოდენობა; ერთი აქციის ნომინალური ღირებულება ან ის ფაქტი, რომ აქციებს არ გააჩნია ნომინალური ღირებულება; მიმოქცევაში გამოშვებული აქციების რაოდენობის შეჯერება პეიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის; უფლებები, პრივილეგიები და შეზღუდვები, რომლებიც ეხება მოცემული ტიპის სააქციო კაპიტალს, მათ შორის ღირებულების განაწილებასა და კაპიტალის დაფარვასთან დაკავშირებული შეზღუდვები; საწარმოს აქციები, რომლებიც თვით საწარმოს, მისი შვილობილი ან მეკავშირე საწარმოების საკუთრებაშია; აქციები რომლებიც რეზერვირებულია ოფციონებისა და აქციების გაყიდვის ხელშეკრულებებისათვის, პირობებისა და თანხების ჩვენებით; საკუთარ კაპიტალში ასახული თითოეული რეზერვის შინაარსისა და დანიშნულების აღწერა.

11.5. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მიმართულებები

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მიზანია რეკომენდაციების მომზადება მმართველობითი გადაწყვეტილებებისათვის, ბანკის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. ბანკების საქმიანობა დაკავშირებულია რისკებთან, რომლის მინიმუმამდე დაყვანა არა მარტო ბანკების, არამედ მთელი სახელმწიფოს ინტერესებშია. ეკონომიკაში მიმდინარე ნებისმიერი სახის მოვლენა ბანკების საქმიანობაზე აისახება. თვით ბანკებიც დიდ გავლენას ახდენენ ეკონომიკაზე და ეკონომიკურ კრიზისებზე. ამდენად, საბანკო რისკების რეგულირება მეტად აქტუალურია.

საბანკო რისკი არის საბანკო საქმიანობის სიტუაციური მახასიათებელი, რომელიც გვიჩვენებს გადახრის განუსაზღვრელობას და ახასიათებს მოსალოდნელი-

დან რეალური შედეგების უარყოფითი გადახრის ალბათობას.

განასხვავებენ ფინანსურ, საკრედიტო, საბაზრო და ოპერაციულ რისკებს.

ფინანსური რისკი არის მოსალოდნელი ცვლილებების რისკი ერთ ან მეტ განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთში, ფინანსური ინსტრუმენტის ფასში, საქონლის ფასში, ვალუტის გაცვლით კურსში, ფასების ინდექსში ან განაკვეთებში, საკრედიტო რეიტინგში ან კრედიტის ინდექსში, ან სხვა ცვლადში, არაფინანსური ცვლადის შემთხვევაში, თუ ეს ცვლადი სპეციფიკური არ არის ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებისათვის. (ფასს 4).

საკრედიტო რისკი ახასიათებს ბანკის კლიენტებისა და კონტრაგენტების მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად გამოწვეული დანაკარგების ალბათობას.

საბაზრო რისკები გამოწვეულია საბაზრო პროდუქტების ფასების მერყეობით და საბაზრო კონიუნქტურის ნებისმიერი სხვა ცვლილებებით.

საოპერაციო რისკები ეხება დანაკარგებს ან სანქციის რისკებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს საბანკო პროცედურების გაუმართაობით, ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომებით.

საბანკო რისკების რეგულირებისათვის დღეს ძირითადად გამოიყენება ე.წ. ბაზელის (შვეიცარია) კომიტეტის რეკომენდაციები. ბაზელის კომიტეტის მიზანია მსოფლიო მასშტაბით გააძლიეროს საბანკო ზედამხედველობის ხარისხი. კომიტეტმა საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების რეკომენდაციები გამოაქვეყნა 2007 წელს. ამჟამად მას უკვე ასამდე სახელმწიფო იყენებს. საქართველოში ამ რეკომენდაციების დანერგვა 2011 წელს დაიწყო.

ბაზელის კომიტეტის საბანკო ზედამხედველობის რეკომენდაციები ითვალისწინებს სამ ძირითად კომპონენტს:

I. მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები (Minimum Capital Requirements) – მთელი კაპიტალის შეფარდება აქტივებთან არ უნდა იყოს 8%-ზე ნაკლები;

II. ზედამხედველობის პროცესი (Supervisory Review Process) – განიხილება საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები. ასევე რისკების მართვისა და ანგარიშების გამჭვირვალობის პრინციპები საბანკო ზედამხედველობის ორგანოების წინაშე;

III. საბაზრო დისციპლინა (Market Discipline) – ავსებს კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს (I კომპონენტი) და ზედამხედველობის პროცესს (II კომპონენტი). კომიტეტი მიისწრაფვის საბაზრო დისციპლინის სტიმულირებისაკენ ინფორმაციის გახსნილობის შესახებ მოთხოვნების კომპლექსის შემუშავებით.

საბანკო რეგულირების წარმატებით განხორციელებისათვის, მნიშვნელოვანია საბანკო საქმიანობის ფინანსური ანალიზი, რომლის ძირითადი ინფორმაციული წყარო ფინანსური ანგარიშგებაა.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასებული იქნეს კომერციული ბანკის გადახდისუნარიანობა და მომგებიანობა. ბანკები ვალდებული არიან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გამოაქვეყნონ მთელი რიგი ფინანსური კოეფიციენტები, რომლებიც ახასიათებენ მის ფინანსურ მდგომარეობას.

საბანკო საქმიანობის ფინანსური ანალიზის ძირითადი მიმართულებებია:

- I. ბუღალტრული ბალანსის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზი, როგორცაა: აქტივების ხარისხის შეფასება; პასივების ხარისხის შეფასება; ლიკვიდურობის შეფასება; კაპიტალის ადეკვატურობის შეფასება;
- II. მოგებისა და მომგებიანობის დინამიკური და ფაქტორული ანალიზი
- III. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზი

I. ბუღალტრული ბალანსის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზი

ბუღალტრულ ბალანსში წარმოდგენილი ინფორმაცია საშუალებას იძლევა შესწავლ და შეფასებულ იქნას კომპანიის ფინანსური სტაბილურობის ხარისხი. ცნობილია ბალანსის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზის ხერხები. ჰორიზონტალური ანალიზი ბალანსის მუხლების დინამიკურ ჭრილში შესწავლას გულისხმობს. ვერტიკალური ანალიზი კი მის ფარდობით კოეფიციენტებს შეისწავლის.

ფარდობით მაჩვენებლებს მიეკუთვნება როგორც სტრუქტურული, ასევე ხარისხობრივი კოეფიციენტები, როგორცაა ლიკვიდურობის კოეფიციენტები.

საერთოდ, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია გამოთვლილ იქნას საკუთარი და კომბინირებული მაჩვენებლები.

ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე გამოთვლილი საკუთარი კოეფიციენტებია მისი სტრუქტურული კოეფიციენტები, ლიკვიდურობისა და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები. კომბინირებული მაჩვენებლების გასაანგარიშებლად კი საკმარისი არაა რომელიმე ერთი სახის ანგარიშგების ინფორმაცია. მაგალითად, აქტივების მომგებიანობის გამოსატველად საჭიროა ბუღალტრული ბალანსისა და მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაცია, ფულის ბრუნვის რიცხვის გამოსათვლელად საჭიროა ბალანსისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ინფორმაცია და ა.შ.

ა. ბანკის ბალანსის სტრუქტურის ანალიზი

ბალანსის სტრუქტურის ანალიზი გულისხმობს შემადგენელი ელემენტის პროცენტულ წილს მთელის მიმართ. ეს გულისხმობს ბანკის ბალანსის სტრუქტურის ზოგად დახასიათებას. კეთდება დასკვნები იმის შესახებ, ბალანსის რომელი მუხლი ხასიათდება მაღალი ხვედრითი წილით, რომ მომავალი კვლევა იმ მიმართულებით გადრმავდეს. ბანკების ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურულ ანალიზს აგრეთვე, აქტივებს და პასივების ხარისხის შეფასებასაც უწოდებენ.

ბ. ბანკის აქტივების ხარისხის შეფასება

შეისწავლება აქტივების სტრუქტურა ანუ თითოეული მუხლის ხვედრითი წილი აქტივების მიმართ და მათი დინამიკა. იგი საშუალებას იძლევა გააკეთდეს დასკვნები აქტივებში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებების დადებითი და უარყოფითი ტენდენციების შესახებ.

ანალიზის დროს გამოიანგარიშება სხვადასხვა კოეფიციენტები. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

$$\text{შემოსავლიანი აქტივების ხვედრითი წილი} = \frac{\text{შემოსავლიანი აქტივები}}{\text{მთლიანი აქტივები}}$$

ეს კოეფიციენტები 0,75-დან – 0,85 –მდე დიაპაზონში უნდა არსებობდეს.

$$\frac{\text{შემოსავლიანი აქტივები}}{\text{შემოსავლიანი პასივები}} : \text{ეს კოეფიციენტი ერთზე მეტი უნდა იყოს.}$$

გაცემული სესხების ფარდობა აქტივებთან – არის ბანკის საკრედიტო აქტიურობის მაჩვენებელი. მისი ოპტიმალური დიაპაზონია 0,53-0,78. ამ კოეფიციენტის მაღალი დონე აგრესიულ საკრედიტო პოლიტიკას ნიშნავს.

საკრედიტო პოლიტიკის რისკიანობას ახასიათებს კოეფიციენტი: **გაცემული სესხების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან**. თუ ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა რვაზე მეტია, ნიშნავს რომ ბანკს საკრედიტო საქმიანობისათვის საკუთარი კაპიტალის უკმარისობა გააჩნია.

გ. ბანკის პასივების ხარისხის შეფასების კოეფიციენტები

ბანკის პასივებს, როგორც ცნობილია, მიეკუთვნება ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი. ძირითადი კოეფიციენტები, რომლებიც ბანკის პასივების ხარისხს ანუ ინტენსიობას ახასიათებენ, შემდეგია:

$$\text{საკუთარი კაპიტალის წილი აქტივებში} = \text{საკუთარი კაპიტალი} / \text{აქტივები}$$

ეს კოეფიციენტი 0,08-სა და 0,15 ინტერვალში შეიძლება იყოს. თუ იგი 8%-ზე ნაკლები აღმოჩნდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბანკს გაკოტრება ემუქრება.

$$\text{ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \text{ვალდებულებები} / \text{აქტივები};$$

მისი ოპტიმალური მნიშვნელობა 0,2 და 0,35-მდე ინტერვალში უნდა იყოს. იგი ბანკის საიმედოობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

$$\text{მოთხოვნამდე ვალდებულებების წილი} = \text{მოთხოვნამდე ვალდებულებები} / \text{აქტივები};$$

მისი ოპტიმალური ინტერვალია 0,2 – 0,4; იგი ბანკის მდგრადობის რისკის მინიმიზაციის ხარისხს ახასიათებს.

$$\text{ვადიანი ვალდებულებების წილი} = \text{ვადიანი ვალდებულებები} / \text{აქტივები}$$

იგი 0,1-დან 0,3-მდე ინტერვალში უნდა მერყეობდეს. მაქსიმალური მნიშვნელობა რისკის მინიმალურ დონეზე მეტყველებს.

დ. ბანკის ლიკვიდურობის შეფასება

ლიკვიდურობის კოეფიციენტები ახასიათებენ, რამდენად შეუძლია ბანკს, დაფაროს მისი მიმდინარე ვალდებულებები და აგრეთვე, შეეძლოს სესხების გაცემის ზრდა. იგი ბანკის საიმედოობას და ფინანსურ სტაბილურობას ახასიათებს.

ბანკის აქტივების ეფექტური მართვა უზრუნველყოფს ბანკის მაღალ ლიკვიდურობას. ბანკის ლიკვიდურობა უზრუნველყოფილია იმით, რომ იგი მუდმივად იტოვებს მოკლევადიან, მაღალი ხარისხის აქტივებს. ამიტომ, ლიკვიდობის საფასური წარმოადგენს იმ მოგებაზე უარის თქმას, რომელსაც იღებენ გრძელვადიანი ნაკლები ხარისხის აქტივებიდან. თუ ბანკს არ ექნება ლიკვიდური აქტივების საკმარისი მარაგი, მაშინ, მან უნდა მოახდინოს აქტივების რესტრუქტურირება ან მოიპოვოს ახალი ვალდებულებები.

კომერციული ბანკის ლიკვიდურობა მისი ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის აუცილებელი პირობაა, აქტიური და პასიური ოპერაციების რისკიანობასთან, პორტფელების დაბალანსებულობასთან და ოპერაციების შემოსავლიანობასთან ერთად.

ლიკვიდობას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ბანკისთვის, ასევე მათი კლიენტებისთვის. კერძოდ: კლიენტებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მათი დაბანდების უკან დაბრუნება. ბანკებს შეუძლიათ საშუამავლო ოპერაციების შესრულება, რითაც ეკონომიკის აქტიურობასა და ეკონომიკური კრიზისების თავიდან აცილებას უწყობენ ხელს. ამდენად, ბანკების ლიკვიდურობის აუცილებელი დონის დაცვა მთელი ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებში შედის.

ბანკებს გააჩნიათ ლიკვიდობის რისკი, რომლის შემცირება შეიძლება ბანკის აქტივებისა და პასივების სტრუქტურის სტაბილურობით, ოპტიმალური საპროცენტო პოლიტიკით.

ბანკის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორებია:

1. საკუთარი კაპიტალის სიდიდე – რაც მეტია იგი, მით მეტია ლიკვიდობა;
2. აქტივების მობილობის ხარისხი – ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით აქტივები რამდენიმე ჯგუფად იყოფა:

I კლასის აქტივები – ესენია, ბანკის ფულადი სახსრები და ბანკის პორტფელში მყოფი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. საკრედიტო რისკი – 0%;

II კლასის აქტივები – ესენია, გაცემული მოკლევადიანი სესხები, ფაქტორინგი, ბანკთაშორისი კრედიტები, ნაყიდი კომერციული ფასიანი ქაღალდები. საკრედიტო რისკი – 20% ანუ კოეფიციენტი 0,2;

III კლასის აქტივები – არის გაცემული გრძელვადიანი სესხები, სალიზინგო ოპერაციები და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. რისკის კოეფიციენტი 0,5

IV კლასის აქტივები – არის არალიკვიდური აქტივები, როგორცაა: ვადაგადაცილებული სესხები, ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები. საკრედიტო რისკია 1,0.

რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები გამოითვლება როგორც, თითოეული კატეგორიის აქტივის თანხის მათივე რისკის კოეფიციენტზე ნამრავლების ჯამი.

3. აქტივების ერთობლივი რისკი – იგი რაც უფრო მაღალია, მით უფრო დაბალია ბანკის ლიკვიდობა;

4. შემოსავლიანი და არაშემოსავლიანი აქტივების თანაფარდობა (ასევე რისკებს ახასიათებს);

5. ვადიანი დეპოზიტების ხვედრითი წილის ზრდა – ამადლებს ბანკის სტაბილურობას;

6. აქტივების დივერსიფიცირება;

7. ბანკის იმიჯი და ავტორიტეტი;

8. გარე ფაქტორები – პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, ფასიანი ქაღალდები ბაზარი, ბანკთაშორისი ბაზრის განვითარება, ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების რეფინანსირების სისტემა.

პრაქტიკაში გავრცელებულია აბსოლუტური, საშუალო და საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტები.

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი გამოიანგარიშება ფულადი თანხების ჯამის ფარდობით, მიმდინარე ვალდებულებებთან. ამ კოეფიციენტის მინიმალურ დონედ მიღებულია 20%.

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი გამოითვლება მიმდინარე აქტივების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან. ბანკებში ეს კოეფიციენტი უნდა იყოს მიმდინარე ვალდებულებების არა ნაკლებე 90%. იგი იმაზე მიანიშნებს, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია თუ არასტაბილური.

ამ კოეფიციენტებს ვერ დავთვლით, თუ ბანკების ბუღალტრულ ბალანსში იდენტიფიცირებული არ იქნება მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივები ცალ-ცალკე.

საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი – საანგარიშგებო პერიოდის საშუალო ლიკვიდური აქტივები უნდა იყოს საშუალო ვალდებულებების არანაკლებ 30%.

მისიერი ლიკვიდობა = მაღალლიკვიდური აქტივები / მოთხოვნამდე ვალდებულებები

ეს კოეფიციენტი მინიმუმ 20% უნდა იყოს. მაღალლიკვიდურ აქტივებს მიეკუთვნება ფულადი თანხები საღაროებში, და საკორესპოდენტო ანგარიშზე, სავალდებულო რეზერვები ეროვნულ ბანკში, სხვა ბანკში განთავსებული სახსრები (ნოსტრო) და შეტანილი მოთხოვნამდე დეპოზიტები. ხოლო, მოთხოვნამდე ვალდებულებებს მიეკუთვნება „ლორო“, მოზიდული მოთხოვნამდე დეპოზიტები, თამასუქები და კრედიტორები.

$$\text{გრძელვადიანი ლიკვიდობა} = \frac{\text{მოთხოვნები ერთ წელზე მეტი ვადით}}{\text{საკუთ. კაპიტ. + 1 წელზე მეტი ვადის დავალიანება}}$$

საზღვარგარეთ, განასხვავებენ ლიკვიდურობის პირველად და მეორად რეზერვებს. **ლიკვიდურობის პირველადი რეზერვი** არის ლიკვიდურობის ძირითადი წყარო. როგორცაა, ფულადი სახსრები ფულის ანგარიშებზე და ჩეკები. **ლიკვიდურობის მეორად რეზერვს** მიეკუთვნება ნაკლებად ლიკვიდური აქტივები – სამთავრობო ფასიანი ქაღალდები და გაცემული სესხების ანგარიშები.

ლიკვიდურობის პირველადი რეზერვების ფარდობა მიღებულ დეპოზიტებთან, უნდა იმყოფებოდეს 5 – 10% -ს შორის. ხოლო, ლიკვიდურობის პირველადი და მეორადი რეზერვების ჯამის ფარდობა მიღებულ დეპოზიტებთან, მინიმუმ 30% უნდა იყოს.

ე. კაპიტალის ადეკვატურობის შეფასება

ბანკის კაპიტალის მიზანია უზრუნველყოფილი იყოს ბანკში დეპოზიტორთა და სხვა კრედიტორთა ფულადი სახსრების შენახვის საიმედოობა, საბანკო რისკებით მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების მინიმუმამდე დაყვანა, საბანკო

ოპერაციების გაფართოება, მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების განეიტრალება, სისტემური კრიზისის წარმოქმნის ალბათობის მინიმუმადე დაყვანა.

ამდენად, კაპიტალი წარმოადგენს ბანკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს. არსებობს კაპიტალის განსხვავებული მაჩვენებლები: მინიმალური განადღებული საწესდებო კაპიტალი, პირველადი კაპიტალი, მეორადი კაპიტალი, საზედამხედველო კაპიტალი.

პირველადი კაპიტალი არის სააქციო კაპიტალი (უკან გამოსყიდვის გამოკლებით) + წინა წლის მოგებიდან შექმნილი რეზერვები + საემისიო კაპიტალი + წინა წლის გაუნაწილებელი მოგება.

მეორადი კაპიტალი არის მიმდინარე წლის მოგება/ზარალს + მიზნობრივი ფონდები + საერთო რეზერვები (სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი) + ვადიანი პრივილეგირებული აქციები + სუბორდინირებული სესხები.

საზედამხედველო კაპიტალი არის პირველადი და მეორადი კაპიტალის ჯამი. იგი უნდა იყოს რისკით შეწონილი აქტივების მინიმუმ 12%. საზედამხედველო კაპიტალი შეიძლება მეტი ან ნაკლები იყოს სააქციო კაპიტალზე.

კაპიტალის ადეკვატურობა უზრუნველყოფს ბანკების ფინანსურ სიძლიერეს, რისკების მინიმუმადე დაყვანას, გადახდისუნარიანობას, ბანკის საიმედოობას.

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრისა და შეფასებისათვის გამოიყენება ბანკის სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კოეფიციენტები და მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი.

არსებობს **კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრის ძირითადი კოეფიციენტები**, რომელთა ნორმატივები დადგენილია ეროვნული ბანკის მიერ (რომელიც პერიოდულად შეიძლება შეიცვალოს), რათა უზრუნველყოფილი იქნეს კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობა და საიმედოობა. ესენია:

პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი, რომელიც არის პირველადი კაპიტალის ფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან, რომელიც არა ნაკლებ 8% უნდა იყოს.

საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი – საზედამხედველო კაპიტალის ფარდობა რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ჯამთან, რომელიც არა ნაკლებ 12% უნდა იყოს.

ერთი ინსაიდერის კოეფიციენტი – ბანკის მიერ ერთ ინსაიდერზე გაცემული სესხი და დანარჩენი ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 5%-ს.

ყველა ინსაიდერის კოეფიციენტი – ყველა ინსაიდერზე გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს.

ერთი აუტსაიდერის კოეფიციენტი – ერთ პირზე გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს.

მსხვილი სესხების კოეფიციენტი – გაცემული ყველა მსხვილი სესხისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს საზედამხედველო კაპიტალის ორმაგ ოდენობას. (მსხვილი სესხი არის ერთ პირზე გაცემული სესხი, რომელიც აღემატება საზედამხედველო კაპიტალის 5%-ს).

საბლანკო სესხის კოეფიციენტი – ყველა გაცემული საბლანკო (გირავნობის გარეშე) სესხის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საკრედიტო დაბანდების 25%-ს.

წილობრივი ინვესტიციების კოეფიციენტი – იურიდიულ პირთა საწესდებო კაპიტალში ბანკის ინვესტიციების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 50%-ს.

ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი – ბანკის ძირითადი საშუალებების წარჩენი ღირებულება სხვა იურიდიულ პირთა საწესდებო კაპიტალში, ბანკის ინვესტიციების საერთო თანხასთან ერთად, არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 70%-ს.

საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი – ბანკის საერთო ღია სავალუტო პოზიცია არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 20%-ს.

ანალიზის დროს ჩამოთვლილი კოეფიციენტების დინამიკის შესწავლა, სწორი დასკვნების საშუალებას იძლევა.

განასხვავებენ კაპიტალიზირებულ და არაკაპიტალიზირებულ ბანკებს.

კაპიტალიზირებული ბანკები – რომლებიც არიან კონკურენტუნარიანები. ისინი იზრდებიან, ფართოვდებიან და მომხმარებლებს სთავაზობენ მომსახურების ფართო სპექტრს. მათ შეუძლიათ გაუძლონ დროებით პრობლემებს, გაუმკლავდნენ დაუბრუნებელ სესხებს, შეინარჩუნონ და მოიზიდონ კვალიფიციური თანამშრომლები და მენეჯმენტი.

არაკაპიტალიზირებულ ბანკებს არ შეუძლიათ გაუძლონ პრობლემებს, მათთან ურთიერთობა სარისკოა მომხმარებლებისათვის.

II. ბანკის მოგება/ზარალის ანგარიშების ანალიზური მნიშვნელობა

მოგება/ზარალის ანგარიშების ინფორმაცია საშუალებას იძლევა შეფასებული იქნას კომპანიის რესურსების გამოყენების ეფექტიანობა.

არსებობს ასეთი პარადოქსი: მაღალი ლიკვიდურობა ეწინააღმდეგება მაღალ მომგებიანობას. მაღალი ლიკვიდურობა მოითხოვს გარკვეული რაოდენობის ფულადი თანხების მუდამ არსებობას. მაღალი მომგებიანობა კი მოითხოვს ფულადი თანხების ხარჯვას მოგების მისაღებად. ამასთან, მოგება გაიანგარიშება დარიცხვის პრინციპით აღიარებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობით. აქედან გამომდინარე, ბანკის მენეჯმენტს მუდამ სჭირდება მიიღოს გონივრული გადაწყვეტილება ლიკვიდურობის საწინააღმდეგოდ, მომგებიანობის ამაღლებისათვის ან პირიქით.

მოგება არის კომპანიის საბოლოო ფინანსური ეფექტი ანუ ისეთი შედეგი, რომელიც ფინანსურ ნამატს გულისხმობს (თუნდაც ფულადი თანხები მთლიანად ჯერ მიღებული არ იყოს). ბანკებში იგი გვიჩვენებს, რამდენად ეფექტიანად არის გამოყენებული საბანკო რესურსები. მოგება არის კომპლექსური ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელშიც კონცენტრირებულია (თავმოყრილია, ასახულია) კომპანიის ყველა სფეროს საქმიანობის ხარისხი. მოგების მიღება ნიშნავს, რომ ბანკი არა მხოლოდ ფარავს მის ხარჯებს, არამედ გააჩნია შემოსავლების ნამეტი ხარჯებზე.

კომერციული ბანკის მოგება გამოითვლება საბანკო ოპერაციების სახეების მიხედვით, როგორცაა:

- მოგება/ზარალი საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებს სხვაობიდან;
- მოგება/ზარალი საკომისიო შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობიდან;
- მოგება/ზარალი უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან;
- მოგება/ზარალი დანარჩენი საქმიანობიდან;
- მოგება დაბეგვრამდე;
- წმინდა მოგება (მოგების გადასახადის გამოკლების შემდეგ);
- გაუნაწილებელი მოგება (რომელიც რჩება მოგების გამოყენების შემდეგ).

მოგება/ზარალის ანგარიშგების ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ანალიზში მრავალი კოეფიციენტი შეისწავლება. მოგების ანალიზი და დასკვნები უნდა გაკეთდეს დეტალურად, საბანკო საქმიანობის სახეების შესაბამისად, რათა გამოვლინდეს მოგების გადიდების კონკრეტული გზები.

მოგების მაჩვენებლების ანალიზთან ერთად, აუცილებელია შესწავლილ იქნას **მომგებიანობის მაჩვენებლები**, რომლებიც პროცენტულად ახასიათებენ მომგებიანობის დონეს. მომგებიანობის მრავალი ტიპის მაჩვენებელი შეიძლება გამოითვალოს.

ამჟამად განვიხილოთ მომგებიანობის მხოლოდ რამდენიმე მაჩვენებელი, როგორცაა:

$$\text{აქტივების მომგებიანობა} = \text{დასაბეგრი მოგება} / \text{აქტივის ჯამი} * 100\%$$

იგი გვიჩვენებს, რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ აქტივზე.

$$\text{სააქციო კაპიტალის მომგებიანობა} = \text{წმინდა მოგება} / \text{საკუთარ კაპიტალთან}$$

იგი გვიჩვენებს, რამდენი პროცენტი წმინდა მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ სააქციო კაპიტალზე და საინტერესო მაჩვენებელია აქციონერებისათვის.

ანალიზის დროს შეისწავლება მოტანილი მაჩვენებლების დინამიკა ანუ ცვლილების ტენდენციები და მასზე მოქმედი ფაქტორები.

ბანკის მომგებიანობაზე მოქმედი ფაქტორებია: ბანკის საპროცენტო პოლიტიკა, აქტივების სტრუქტურა, პასივების სტრუქტურის ოპტიმალურობა, მმართველობითი ხარჯების ოპტიმალურობა, მენეჯმენტის დონე, სავალუტო კურსის ცვლილებები, სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკა.

ამრიგად, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია მრავალი სახის ფინანსური კოეფიციენტების შესწავლა და პრაქტიკაში გამოყენება ბანკების გადახდისუნარიანობის ზრდის, მომგებიანობის ამადლებისა და რისკების მართვისათვის.

III. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენლია ფულადი თანხების შემოდინებისა და გასვლის მიმართულებები. ეს ინფორმაცია საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნას კომპანიის უზრუნველყოფა ფულადი რესურსებით. შესაძლებელია პასუხი გაეცეს კითხვას: აქვს თუ არა კომპანიას საკმარისი ფულადი რესურსი რათა დროულად დაფაროს ვალდებულებები. ადგილი ხომ არ აქვს ფულის დეფიციტს.

პირველ რიგში შეისწავლება წმინდა ფულადი ნაკადები წინა პერიოდებთან შედარებით და შემდეგ ხდება ფულის სხვადასხვა კოეფიციენტების ანალიზი. ცნობილია, რომ ფულადი ნაკადების ანგარიშგება სამი განაყოფისაგან შედგება. ესენია, წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან.

პირველ ცხრილში მოცემულია წმინდა ფულადი ნაკადების მაჩვენებლები თითოეული განაყოფის მიხედვით, პირობითი ბანკის მაგალითზე. 11.4.4. ცხრილის საფუძველზე, შეიძლება შემდეგი ანალიზური ცხრილის მომზადება (იხ ცხრილი 11.5.1.).

ცხრილი 11.5.1.

წმინდა ფულადი ნაკადები საქმიანობის სფეროების მიხედვით პირობითი ბანკის მაგალითზე (ათ. ლ)

საქმიანობის სფეროები	წმინდა ფულადი სახსრები	
	წინა წელს	მიმდინარე წელს
1. წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	23 800	22 100
2. წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	6 700)	(4 500)
3. წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო სამიქმიანობიდან	15 900	12 000
----- სულ წმინდა ფულადი ნაკადი	----- 33 000	----- 29 600

როგორც ცხრილიდან ჩანს, საანალიზო ბანკში წმინდა ფულადი ნაკადი შემცირებული წინა წელთან შედარებით. შემდეგი ანალიზი უნდა წარიმართოს გამომწვევი მიზეზების გამოსავლენად.

ანალიზის დროს აგრეთვე შეისწავლება ფულის მრავალი კოეფიციენტი. კერძოდ:

$$\text{ფულის ბრუნვის რიცხვი} = \frac{\text{შემოსავლები}}{\text{ფულადი თანხები საშუალო წლიური ნაშთი}}$$

იგი აჩვენებს, საქმიანობაში ავანსირებული ფულადი სახსრები, რამდენჯერ ბრუნდება უკან წელიწადში.

$$\text{პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი თანხების საშ.წლ.ნაშთი}}{\text{წლიური პროცენტის ხარჯი}}$$

იგი ახასიათებს, არსებული ფულადი სახსრებით იფარება თუ არა წლიური პროცენტის ხარჯი.

$$\text{ფულის ეფექტიანობის საერთო კოეფიციენტი} = \frac{\text{წმინდა მთლიანი ფულადი ნაკადი}}{\text{ფულის მთლიანი გადინება წელიწადში}}$$

ეს კოეფიციენტი ახასიათებს, რამდენად აღემატება ფულის შემოდინება მის ბრუნვიდან გასვლას. ეს კოეფიციენტი ერთზე მეტი უნდა იყოს.

ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების გარდა ათეულობით კოეფიციენტი შეისწავლება, მაგრამ ახლა აქ შევჩერდეთ.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. ჩამოთვალეთ ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები;
2. რომელი პრინციპით დგება მოგება/ზარალის ანგარიშგება;
3. ახსენით, რომელი პრინციპით დგება ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
4. ჩამოთვალეთ კომერციული ბანკის ლიკვიდურობის კოეფიციენტები;
5. ახსენით, რას ნიშნავს კაპიტალის ადეკვატურობა;
6. ჩამოთვალეთ ბანკის ლიკვიდურობაზე მოქმედი ფაქტორები;
6. ჩამოთვალეთ ბანკის მომგებიანობაზე მოქმედი ფაქტორები.

დ ა ნ ა რ თ ი

I

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები 2016 წლის მდგომარეობით

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების კონცეპტუალური საფუძვლები
- ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება
- ფასს 2 – წილობრივი გადახდა
- ფასს 3 – საწარმოთა გაერთიანება
- ფასს 4 – სადაზღვევო ხელშეკრულებები
- ფასს 5 – გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები
- ფასს 6 – მინერალური რესურსების მარაგის ძიება და შეფასება
- ფასს 7 – ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები
- ფასს 8 – საოპერაციო სეგმენტები
- ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები
- ფასს 10 – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
- ფასს 11 – ერთობლივი საქმიანობა
- ფასს 12 – ინტერესები სხვა ორგანიზაციებში
- ფასს 13 – რეალური ღირებულების გაზომვა
- ფასს 14 – მარეგულირებელი გადავადებული ანგარიშები
- ფასს 15 – შემოსავალი შემკვეთების კონტრაქტებიდან
- ფასს 16 – იჯარა

- ბასს 1 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა
- ბასს 2 – სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები
- ბასს 7 – ფულადი ნაკადების ანგარიშგება
- ბასს 8 – სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები
- ბასს 10 – საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები
- ბასს 11 - სამშენებლო კონტრაქტები
- ბასს 12 – მოგებიდან გადასახადები
- ბასს 16 – ძირითადი საშუალებები
- ბასს 17 – იჯარა
- ბასს 18 – ამონაგები
- ბასს 19 – დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები
- ბასს 20 – სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები
- ბასს 21 – უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები
- ბასს 23 – სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები
- ბასს 24 – დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები
- ბასს 26 – საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამების ბუღალტრული აღრიცხვა
- ბასს 27 – კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
- ბასს 28 – ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში
- ბასს 29 – ფინანსური ანგარიშგება ჰიპერინფლაციური ეკონომიკის პირობებში

- ბასს 31 – ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობა
- ბასს 32 – ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა

- ბასს 33 – შემოსავალი აქციაზე
- ბასს 34 – შუალედური ფინანსური ანგარიშგება
- ბასს 36 – აქტივების გაუფასურება
- ბასს 37 – ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები
- ბასს 38 – არამატერიალური აქტივები
- ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება
- ბასს 40 – საინვესტიციო ქონება
- ბასს 41 – სოფლის მეურნეობა
(ამჟამად მიმდინარეობს ბასს-ის ცვლილებები)

II

ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის

I აქტივები

კლასი 10. სალარო, კომერციული ბანკების ანგარიშები საქართველოს ეროვნულ ბანკში

100 - ნაღდი ფული მომოქცევაში ეროვნული ვალუტით

- 1002 - საქართველოს ეროვნული ბანკის სალარო (სებ)
- 1003 - კომერციული ბანკის სალარო
- 1004 - ფულადი სახსრები ბანკომატებში
- 1005 - კვანძგარეთა საოპერაციო სალარო
- 1006 - ბანკნოტები და მონეტები გზაში
- 1007 - მიმოქცევიდან ამოსაღები ბანკნოტები და მონეტები (სებ)

(შენიშვნა: ანგარიშები, რომლებზეც მინიშნებულია „სებ“ - ი, გაიხსნება მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკში)

101 - ნაღდი უცხოური ვალუტა და სხვა საგადახდო დოკუმენტები

- 1012 - საქართველოს ეროვნული ბანკის სალარო (სებ)
- 1013 - კომერციული ბანკის სალარო
- 1014 - ფულადი სახსრები ბანკომატებში
- 1015 - კვანძგარეთა საოპერაციო სალარო
- 1016 - ბანკნოტები და მონეტები გზაში
- 1018 - სხვა საგადახდო დოკუმენტები

105 - კომერციული ბანკების ანგარიშები ეროვნულ ბანკში ეროვნული ვალუტით

- 1051 - კომერციული ბანკის სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში
- 1052 - კომერციული ბანკების საკორესპოდენტო ანგარიშები საქართველოს ეროვნულ ბანკში

106 - კომერციული ბანკების ანგარიშები ეროვნულ ბანკში უცხოური

ვალუტით

- 1062 - კომერციული ბანკების საკორესპოდენტო ანგარიშები საქართველოს ეროვნულ ბანკში

კლასი 11. ოქრო

110 - ოქრო

- 1101 - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ოქრო
- 1102 - საერთაშორისო სტანდარტების შეუსაბამო ოქრო

კლასი 12. სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის მიცემული სესხები

120 - სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის მიცემული სესხები ეროვნული ვალუტით

- 1201 - ფინანსთა სამინისტროსათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1202 - დანარჩენი სამინისტროებისა და დეპარტამენტებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1203 - ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1209 - ოვერდრაფტები სახელმწიფო ინსტიტუტების მიმდინარე ანგარიშებზე

121 - სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები უცხოური ვალუტით

- 1211 - ფინანსთა სამინისტროსათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1212 - დანარჩენი სამინისტროებისა და დეპარტამენტებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1213 - ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1219 - ოვერდრაფტები სახელმწიფო ინსტიტუტების მიმდინარე ანგარიშებზე

125 - სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის მიცემული გრძელვადიანი სესხები ეროვნული ვალუტით

- 1251 - ფინანსთა სამინისტროსათვის მიცემული გრძელვადიანი სესხები
- 1252 - დანარჩენი სამინისტროებისა და დეპარტამენტებისათვის მიცემული გრძელვადიანი სესხები
- 1253 - ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის მიცემული გრძელვადიანი სესხები

126 - სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის მიცემული გრძელვადიანი სესხები უცხოური ვალუტით

- 1261 - ფინანსთა სამინისტროსათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1262 - დანარჩენი სამინისტროებისა და დეპარტამენტებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1263 - ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის მიცემული

მოკლევადიანი სესხები

კლასი 13. სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისათვის მიცემული სესხები

130 - სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები ეროვნული ვალუტით

- 1302 - ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს საწარმოებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1303 - ენერგეტიკის სფეროს საწარმოებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1304 - სოფლის მეურნეობისა და მეტყვევების სფეროს საწარმოებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1305 - მშენებლობის სფეროს საწარმოებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1306 - სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროს საწარმოებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1307 - ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროს საწარმოებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1308 - დანარჩენ სფეროთა საწარმოებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1309 - ოვერდრაფტები სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა მიმდინარე ანგარიშებზე

131 - სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები უცხოური ვალუტით

- 1312 - ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს საწარმოებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1313 - ენერგეტიკის სფეროს საწარმოებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1314 - სოფლის მეურნეობისა და მეტყვევების სფეროს საწარმოებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1315 - მშენებლობის სფეროს საწარმოებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1316 - სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროს საწარმოებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1317 - ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროს საწარმოებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1318 - დანარჩენ სფეროთა საწარმოებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
- 1319 - ოვერდრაფტები სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა მიმდინარე ანგარიშებზე

135 - სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისათვის მიცემული გრძელვადიანი სესხები ეროვნული ვალუტით

- 1352 - ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს საწარმოებისათვის მიცემული გრძელვადიანი სესხები

- 1353 - ენერგეტიკის სფეროს საწარმოებისათვის მიცემული გრძელვადიანი შესხები
- 1354 - სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სფეროს საწარმოებისათვის მიცემული გრძელვადიანი შესხები
- 1355 - მშენებლობის სფეროს საწარმოებისათვის მიცემული გრძელვადიანი შესხები
- 1356 - სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროს საწარმოებისათვის მიცემული გრძელვადიანი შესხები
- 1357 - ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროს საწარმოებისათვის მიცემული გრძელვადიანი შესხები
- 1358 - დანარჩენ სფეროთა საწარმოებისათვის მიცემული გრძელვადიანი შესხები

136 - სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისათვის მიცემული გრძელვადიანი შესხები უცხოური ვალუტით

- 1362 - ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს საწარმოებისათვის მიცემული გრძელვადიანი შესხები
- 1363 - ენერგეტიკის სფეროს საწარმოებისათვის მიცემული გრძელვადიანი შესხები
- 1364 - სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სფეროს საწარმოებისათვის მიცემული გრძელვადიანი შესხები
- 1365 - მშენებლობის სფეროს საწარმოებისათვის მიცემული გრძელვადიანი შესხები
- 1366 - სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროს საწარმოებისათვის მიცემული გრძელვადიანი შესხები
- 1367 - ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროს საწარმოებისათვის მიცემული გრძელვადიანი შესხები
- 1368 - დანარჩენ სფეროთა საწარმოებისათვის მიცემული გრძელვადიანი შესხები

კლასი 14. სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები

140 - სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები ეროვნული ვალუტით

- 1401 - სახელმწიფო სავალო დისკონტური ფასიანი ქაღალდები
- 1402 - სახელმწიფო სავალო დისკონტური ფასიანი ქაღალდების კონტრანგარიშ-დისკონტი
- 1403 - სახელმწიფო სავალო კუპონური ფასიანი ქაღალდები
- 1404 - სახელმწიფო სავალო კუპონური ფასიანი ქაღალდების დისკონტი
- 1405 - სახელმწიფო სავალო კუპონური ფასიანი ქაღალდების პრემია
- 1406 - სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდების გადაფასება (სებ)
- 1407 - სახელმწიფო სავალო ვალდებულებები ეროვნული ბანკისთვის (სებ)

141 - სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები უცხოური ვალუტით

- 1411 - სახელმწიფო სავალო დისკონტური ფასიანი ქაღალდები
- 1412 - სახელმწიფო სავალო დისკონტური ფასიანი ქაღალდების კონტრანგარიშ-დისკონტი

- 1413 - სახელმწიფო სავალო კუპონური ფასიანი ქაღალდები
- 1414 - სახელმწიფო სავალო კუპონური ფასიანი ქაღალდების დისკონტი
- 8233 - პროცენტული ხარჯები არარეზიდენტი საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული სესხების მიხედვით
- 8234 - პროცენტული ხარჯები რეზიდენტი საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული სესხების მიხედვით

კლასი 83. კომერციული სექტორის ხარჯები

- 830 - პროცენტული ხარჯები კლიენტთა მიმდინარე ანგარიშების მიხედვით ეროვნული ვალუტით**
- 8301 - პროცენტული ხარჯები ფიზიკურ პირთა მიმდინარე

- ანგარიშების მიხედვით
- 8302 - პროცენტული ხარჯები იურიდიულ პირთა მიმდინარე ანგარიშების მიხედვით
- 831 - პროცენტული ხარჯები კლიენტთა მიმდინარე ანგარიშების მიხედვით უცხოური ვალუტით**
- 8311 - პროცენტული ხარჯები ფიზიკურ პირთა მიმდინარე ანგარიშების მიხედვით
- 8312 - პროცენტული ხარჯები იურიდიულ პირთა მიმდინარე ანგარიშების მიხედვით
- 835 - პროცენტული ხარჯები კლიენტთა დეპოზიტების მიხედვით ეროვნული ვალუტით**
- 8351 - პროცენტული ხარჯები ფიზიკურ პირთა დეპოზიტების მიხედვით
- 8352 - პროცენტული ხარჯები იურიდიულ პირთა დეპოზიტების მიხედვით
- 836 - პროცენტული ხარჯები კლიენტთა დეპოზიტების მიხედვით უცხოური ვალუტით**
- 8361 - პროცენტული ხარჯები ფიზიკურ პირთა დეპოზიტების მიხედვით
- 8362 - პროცენტული ხარჯები იურიდიულ პირთა დეპოზიტების მიხედვით
- კლასი 84. გადახდილი საკომისიოები გაწეული მომსახურების მიხედვით**
- 840 - საკომისიოები და ხარჯები გაწეული მომსახურების მიხედვით ეროვნული ვალუტით**
- 8401 - საკომისიოები უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის მიხედვით
- 8402 - საკომისიოები სალაროს ოპერაციებიდან
- 8403 - ფულის ინკასაციისა და ტრანსპორტირების ხარჯები
- 8404 - „ნოსტრო“ ანგარიშების გახსნისა და წარმოების საკომისიოები და ხარჯები
- 8405 - საკომუნიკაციო მომსახურებისა და გამოთვლითი ცენტრების მიერ მომსახურების საკომისიოები და ხარჯები
- 8406 - საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურების ხარჯები
- 8407 - საკომისიოები და ხარჯები დეპოზიტური ოპერაციების მიხედვით
- 8408 - აუდიტორული მომსახურების ხარჯები
- 8409 - დანარჩენი საკომისიოები და ხარჯები
- 841 - საკომისიოები და ხარჯები გაწეული მომსახურების მიხედვით**

უცხოური ვალუტით

- 8411 - საკომისიოები უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის მიხედვით
- 8412 - საკომისიოები საღაროს ოპერაციებიდან
- 8413 - ფულის ინკასაციისა და ტრანსპორტირების ხარჯები
- 8414 - „ნოსტრო“ ანგარიშების გახსნისა და წარმოების საკომისიოები და ხარჯები
- 8415 - საკომუნიკაციო მომსახურებისა და გამოთვლითი ცენტრების მიერ მომსახურების საკომისიოები და ხარჯები
- 8416 - საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურების ხარჯები
- 8417 - საკომისიოები და ხარჯები დეპოზიტური ოპერაციების მიხედვით
- 8418 - აუდიტორული მომსახურების ხარჯები
- 8419 - დანარჩენი საკომისიოები და ხარჯები

კლასი 85. ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების

მიხედვით

- 850 - ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით**
- 8501 - ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით
- 8509 - ზარალი დანარჩენი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით

კლასი 86. ზარალი დილინგური ოპერაციებიდან

- 860 - ზარალი დილინგური ოპერაციების მიხედვით ეროვნული ვალუტით**
- 8601 - ზარალი აქციებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით
- 8602 - ზარალი სახელმწიფო სავალო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით
- 8603 - ზარალი კორპორაციულ სავალო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით
- 8604 - ზარალი უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით
- 861 - ზარალი დილინგური ოპერაციების მიხედვით უცხოური ვალუტით**
- 8611 - ზარალი აქციებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით
- 8612 - ზარალი სახელმწიფო სავალო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით
- 8613 - ზარალი კორპორაციულ სავალო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით
- 862 - ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასების მიხედვით**

8621 - ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან

კლასი 89. ზარალი საინვესტიციო ოპერაციებისაგან

890 - ზარალი საინვესტიციო ოპერაციების მიხედვით ეროვნული ვალუტით

8901 - ზარალი აქციებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით

8902 - ზარალი სახელმწიფო სავალო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით

8903 - ზარალი კორპორაციულ სავალო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით

891 - ზარალი საინვესტიციო ოპერაციების მიხედვით უცხოური ვალუტით

8911 - ზარალი აქციებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით

8912 - ზარალი სახელმწიფო სავალო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით

8913 - ზარალი კორპორაციულ სავალო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით

კლასი 90. ხარჯები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით

903 - ხარჯები დანარჩენი საბანკო ოპერაციების მიხედვით ეროვნული ვალუტით

9031 - ხარჯები ბროკერული ოპერაციების მიხედვით

9032 - ხარჯები ფაქტორინგული ოპერაციების მიხედვით

9033 - ხარჯები ოპერაციული ლიზინგის მიხედვით

9034 - ხარჯები ფინანსური ლიზინგის მიხედვით

9035 - ხარჯები გარანტიების მიხედვით

9036 - ხარჯები სპეციალური დეპოზიტების მიხედვით

9037 - გარიგებათა დაზღვევის ხარჯები

9039 - ხარჯები დანარჩენი საბანკო ოპერაციების მიხედვით

904 - ხარჯები დანარჩენი საბანკო ოპერაციების მიხედვით უცხოური ვალუტით

9041 - ხარჯები ბროკერული ოპერაციების მიხედვით

9042 - ხარჯები ფაქტორინგული ოპერაციების მიხედვით

9043 - ხარჯები ოპერაციული ლიზინგის მიხედვით

9044 - ხარჯები ფინანსური ლიზინგის მიხედვით

9045 - ხარჯები გარანტიების მიხედვით

9046 - ხარჯები სპეციალური დეპოზიტების მიხედვით

9047 - გარიგებათა დაზღვევის ხარჯები

9049 - ხარჯები დანარჩენი საბანკო ოპერაციების მიხედვით

906 - ხარჯები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით ეროვნული ვალუტით

- 9061 - ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან და გადაფასებიდან
- 9062 - ზარალი სამეურნეო მასალებისა და ინვენტარის გასვლიდან და გადაფასებიდან
- 9063 - ზარალი ძვირფასი ლითონების, ხელოვნების ნაწარმოებებისა და საკოლექციო საგნების გასვლიდან და გადაფასებიდან
- 9064 - დანაკლისი სალაროში
- 9065 - გადახდილი ჯარიმები და საურავები
- 9066 - სასამართლოს ხარჯები
- 9067 - ხარჯები გასული წლების ოპერაციების მიხედვით
- 9069 - ხარჯები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით

907 - ხარჯები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით უცხოური ვალუტით

- 9071 - ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან და გადაფასებიდან
- 9072 - ზარალი სამეურნეო მასალებისა და ინვენტარის გასვლიდან და გადაფასებიდან
- 9073 - ზარალი ძვირფასი ლითონების, ხელოვნების ნაწარმოებებისა და საკოლექციო საგნების გასვლიდან და გადაფასებიდან
- 9074 - დანაკლისი სალაროში
- 9075 - გადახდილი ჯარიმები და საურავები
- 9076 - სასამართლოს ხარჯები
- 9077 - ხარჯები გასული წლების ოპერაციების მიხედვით
- 9079 - ხარჯები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით

908 - ზარალი იჯარით აღებული ობიექტებისათვის არაამორტიზირებულ კაპიტალურ დაბანდებათა მიხედვით

9081 - ზარალი იჯარით აღებული ობიექტების მიხედვით

კლასი 91. ბანკნოტებისა და მონეტების ბეჭდვის ხარჯები

909 - ბანკნოტებისა და მონეტების ბეჭდვის ხარჯები

- 9101 - ბანკნოტების ბეჭდვის ხარჯები (სებ)
- 9102 - მონეტების ბეჭდვის ხარჯები (სებ)

კლასი 92. ბანკის პერსონალისა და განვითარების ხარჯები

920 - პერსონალის ხარჯები

- 9201 - ბანკის თანამშრომელთა ხელფასის ხარჯები

- 9202 - დროებით მუშაკთა შრომის ანაზღაურების ხარჯები
- 9203 - ხელფასის მიხედვით სავალდებულო გადასახდელთა ხარჯები
- 9204 - ბანკის ხელმძღვანელობის პრემირების ხარჯები
- 9205 - თანამშრომელთა პრემირების ხარჯები (ბანკის ხელმძღვანელობის გარდა)
- 9206 - სოციალური გასაცემლების ხარჯები (მატერიალური დახმარება)
- 9207 - პრემიებისა და სოციალური გასაცემლების მიხედვით სავალდებულო გადასახდელთა ხარჯები
- 9208 - შვებულებებისა და საავადმყოფო ფურცლების ხარჯები
- 9209 - საპენსიო ხარჯები

923 - ბანკის განვითარების ხარჯები ეროვნული ვალუტით

- 9231 - რეკლამის ხარჯები
- 9232 - წარმომადგენლობითი ხარჯები
- 9233 - მივლინების ხარჯები
- 9234 - ახალ თანამშრომელთა მიღების ხარჯები
- 9235 - თანამშრომელთა მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები
- 9236 - თანამშრომელთა სპეცტანსაცმლის ხარჯები

924 - ბანკის განვითარების ხარჯები უცხოური ვალუტით

- 9241 - რეკლამის ხარჯები
- 9242 - წარმომადგენლობითი ხარჯები
- 9243 - მივლინების ხარჯები
- 9245 - თანამშრომელთა მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები

კლასი 93. ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები

930 - ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯები

- 9302 - შენობა-ნაგებობების ცვეთის ხარჯები
- 9303 - კომპიუტერული ტექნიკისა და საკომუნიკაციო მოწყობილობების ცვეთის ხარჯები
- 9304 - სატრანსპორტო საშუალებების ცვეთის ხარჯები
- 9305 - ავეჯისა და მოწობილობების ცვეთის ხარჯები
- 9306 - დანარჩენი ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯები

931 - არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯები

- 9311 - არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯები

932 - კაპიტალური დანახარჯების ამორტიზაციის ხარჯები იჯარით აღებული ობიექტების მიხედვით

- 9321 - კაპიტალური დანახარჯების ამორტიზაციის ხარჯები

იჯარით აღებული ობიექტების მიხედვით

კლასი 94. ძირითადი საშუალებების მიმდინარე შეკეთების, მასალებისა და

ინვენტარის შეძენისა და ექსპლოატაციის ხარჯები

940 - ძირითადი საშუალებების მიმდინარე შეკეთების ხარჯები

9402 - შენობა-ნაგებობების მიმდინარე შეკეთების ხარჯები

9403 - კომპიუტერული ტექნიკისა და საკომუნიკაციო მოწყობილობების მიმდინარე შეკეთების ხარჯები

9404 - სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე შეკეთების ხარჯები

9405 - ავეჯისა და მოწყობილობების მიმდინარე შეკეთების ხარჯები

9406 - დანარჩენი ძირითადი საშუალებების მიმდინარე შეკეთების ხარჯები

9409 - იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების მიმდინარე შეკეთების ხარჯები

943 - სამეურნეო მასალებისა და ინვენტარის შეძენის ხარჯები

9431 - სამეურნეო მასალებისა და ინვენტარის შეძენის ხარჯები

9432 - საბანკო ბარათების დამზადების ხარჯები

9433 - ბლანკების შეძენისა და დამზადების ხარჯები

9434 - ფულის შეფუთვის ხარჯები

946 - საექსპლოატაციო ხარჯები

9461 - კომუნალური მომსახურების ხარჯები

9463 - ქონების დაზღვევის ხარჯები

9464 - ჟურნალ-გაზეთებსა და პერიოდულ გამოცემებზე გაწეული ხარჯები

9465 - შენობებისა და ფასეულობების დაცვის ხარჯები

9466 - საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯები

9467 - საკანცელარიო ხარჯები

9468 - ტრანსპორტის შენახვის ხარჯი (მიმდინარე შეკეთების ხარჯის გარდა)

9469 - დანარჩენი საექსპლოატაციო ხარჯები

947 - ხარჯები ბიუჯეტში გადასახადების მიხედვით

9470 - ხარჯები ბიუჯეტში გადასახადების მიხედვით (მოგების გადასახადის გარდა)

კლასი 95. ხარჯები მიმდინარე წლის მოგების გადასახადის მიხედვით

950 - მიმდინარე წლის მოგების გადასახადის ხარჯი

9501 - მოგების მიმდინარე გადასახადი

კლასი 96. გაუთვალისწინებელი ხარჯები

- 960 - გაუთვალისწინებელი ხარჯები
- 9601 - გაუთვალისწინებელი ხარჯები

ბალანსგარეშე ანგარიშები

კლასი 01. ეროვნული ბანკის სარეზერვო ფონდები

010 - სარეზერვო ფონდები ეროვნული ბანკის ცენტრალურ საცავში

- 0101 - ბანკნოტები საცავში (სებ)
- 0102 - მონეტები საცავში (სებ)
- 0103 - სარეზერვო ფონდები გზაში (სებ)
- 0104 - გასანადგურებლად გადაცემული ბანკნოტები (სებ)

011 - სარეზერვო ფონდები ეროვნული ბანკის დაწესებულებებში

- 0111 - ბანკნოტები საცავში (სებ)
- 0112 - მონეტები საცავში (სებ)
- 0113 - სარეზერვო ფონდები გზაში (სებ)
- 0114 - გასანადგურებლად გადაცემული ბანკნოტები (სებ)

კლასი 02. პირობითი ვალდებულებები

020 - პირობითი ვალდებულებები

- 0201 - აქციები და ინდოსამენტები
- 0202 - მიცემული გარანტიები
- 0203 - მიღებული გარანტიები
- 0204 - გირავნობის უზრუნველყოფის სახით გაცემული აქტივები
- 0205 - გირავნობის უზრუნველყოფის სახით მიღებული აქტივები
- 0206 - სხვა პირობითი ვალდებულებები

კლასი 03. ფორმალური ვალდებულებები

030 - ფორმალური ვალდებულებები

- 0301 - აღებული ფინანსური ვალდებულებები
- 0302 - მესამე მხარის მიერ მიღებული ფინანსური ვალდებულებები
- 0303 - მისაღებად მოსალოდნელი ფასიანი ქაღალდები
- 0304 - გასაყიდად განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები
- 0305 - ნაღდ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციები
- 0306 - ფორვარდული სავალუტო ოპერაციები
- 0307 - დანარჩენი ვალდებულებები

კლასი 04. ბალანსგარეშე ანგარიშების სავალუტო პოზიცია

040 - ბალანსგარეშე ანგარიშგების სავალუტო პოზიცია

- 0401 - ბალანსგარეშე ანგარიშგების სავალუტო პოზიციის პარალელური ღირებულება
- 0402 - ბალანსგარეშე ანგარიშგების სავალუტო პოზიცია

კლასი 05. სხვა ვალდებულებები

050 - სხვა ვალდებულებები

- 0501 - ტრასატის ვალდებულება ბანკის მიმართ
- 0502 - კლიენტის ვალდებულება
- 0506 - მესამე მხარის კლიენტის ვალდებულება ბანკის მიმართ

კლასი 06. ვალდებულებები ბანკში შესანახად განთავსებულ ქონებაზე

060 - ვალდებულებები ბანკში შესანახად განთავსებულ ქონებაზე

- 0601 - ძვირფასი ლითონები
- 0602 - ფასიანი ქაღალდები
- 0603 - სხვა ქონება

კლასი 07. საპროცენტო განაკვეთების კონტრაქტები

070 - საპროცენტო განაკვეთების კონტრაქტები

- 0701 - საპროცენტო განაკვეთების სვოპების ძირითადი თანხა
- 0702 - ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფორვარდული კონტრაქტები
- 0703 - ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფიუჩერსული კონტრაქტები
- 0704 - ოფციონები

კლასი 08. კონტრაქტები საქონლისა და სააქციო კაპიტალის შესახებ

080 - კონტრაქტები საქონელზე და სააქციო კაპიტალზე

- 0801 - სვოპების ძირითადი თანხა
- 0802 - ფორვარდული კონტრაქტები
- 0803 - ფიუჩერსული კონტრაქტები
- 0804 - ოფციონები

კლასი 09. მემორანდუმის ანგარიშები

090 - გაუნაღლებელი დოკუმენტები

- 0901 - ვადაში გადაუხდელი დოკუმენტები გადამხდელის მიზეზით
- 0902 - ვადაში გაუნაღლებელი დოკუმენტები ბანკის მიზეზით
- 0903 - გაუნაღლებელი საწესდებო კაპიტალი

091 - ზარალში ჩამოწერილი ვალები

- 0911 - სესხებზე მიუღებელი პროცენტები 31.12.2000 -მდე
- 0912 - სესხებზე მიუღებელი პროცენტები 01.01.2001-დან
- 0913 - ზარალში ჩამოწერილი ვალები 31.12.2000-მდე
- 0914 - ზარალში ჩამოწერილი ვალები 01.01.2001-დან
- 0915 - ზარალში ჩამოწერილი სხვა აქტივები

092 - სხვა ფასეულობა და დოკუმენტები

- 0921 - გაურჩეველი ფულიანი ამანათები
- 0922 - მცირეფასიანი ინვენტარი
- 0923 - მკაცრი აღრიცხვის ბლანკები
- 0924 - სპეცლატარიის ანაზღაურება

(იხილეთ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული „საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა და მისი გამოყენების ინსტრუქცია.“ თბ: 2000)

ტ ე ს ტ ე ბ ი და ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

თავი 1. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები ბანკებში

1. ბუღალტრული ანგარიში – „ბანკოტები და მონეტები გზაში“ – არის:

- ა. აქტიური ანგარიში
- ბ. პასიური ანგარიში
- გ. აქტიურ-პასიური ანგარიში

2. კომერციული ბანკებში ნებადართულ საქმიანობას მიეკუთვნება:

- ა. საანგარიშსწორებო ოპერაციები, დეპოზიტების მიღება, ფულის გამოშვება
- ბ. მიმოქცევაში ფულის გამოშვება, სესხების გაცემა, სავალუტო ოპერაციები
- გ. სესხების აღება და გაცემა, დეპოზიტების მიღება და გაცემა, საშუამავლო ოპერაციები

3. კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალი არის:

- ა. სხვაობა საბანკო რესურსებსა და საკრედიტო რესურსებს შორის
- ბ. საკრედიტო პოტენციალისა და ლიკვიდურობის რეზერვის ჯამი
- გ. სხვაობა მობილიზებულ სახსრებსა და ლიკვიდურობის რეზერვს შორის

4. რომელი ნაშთი შეიძლება ექნეს აქტიურ-პასიურ ანგარიშს:

- ა. მხოლოდ დებეტის
- ბ. მხოლოდ კრედიტის
- გ. დებეტის ან კრედიტის

5. კომერციულ ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვის საგანია:

- ა. საბანკო რესურსები და ბანკის საკრედიტო პოტენციალი
- ბ. ბანკის რესურსები, ლიკვიდურობის რეზერვი და საბანკო ოპერაციები
- გ. ბანკის რესურსები, დაფინანსების წყაროები და საბანკო ოპერაციები

6. კომერციული ბანკის ლიკვიდური აქტივებია:

- ა. გაცემული მოკლევადიანი სესხები და დეპოზიტები
- ბ. მოკლევადიანი და გრძელვადიანი გაცემილი სესხები და დეპოზიტები
- გ. ვადაგადაცილებული სესხები და ძირითადი საშუალებები

7. კ/ბანკის ბალანსში ვალდებულებები გაიზარდა 7 მლნ ლარით, საკუთარი კაპიტალი შემცირდა 3 მლნ ლარით.

როგორ შეიცვლებოდა ბანკის აქტივები:

- ა. შემცირდებოდა 4 მლნ ლარით
- ბ. გაიზარდებოდა 4 მლნ ლარით
- გ. არ შეიცვლებოდა

8. ბანკის ლიკვიდურობის „მაგიური სამკუთხედი“ არის:

- ა. ლიკვიდურობა, რენტაბელობა, უსაფრთხოება.
- ბ. ფინანსური აქტივები, უსაფრთხოება, რეზერვები.
- გ. ლიკვიდურობა, შემოსავლები, ფასიანი ქაღალდები.

9. კომერციული ბანკის ბალანსით, აქტივები 200 მლნ. ლარია. მათ შორის, გაცემული სესხებია 80 მლნ. ლარი და ფულადი თანხები 50 მლნ. ლარი. ხოლო ლიკვიდურობის სავალდებულო რეზერვი შეადგენს 70 მლნ. ლარს.

რას უდრის ბანკის საკრედიტო რესურსები:

- ა. 80 მლნ. ლარი
- ბ. 200 მლნ. ლარი
- გ. 150 მლნ. ლარი

10. ბანკის ბალანსით აქტივების ჯამი 110 მლნ. ლარია. ლიკვიდურობის რეზერვი – 65 მლნ. ლარი და გაცემული სესხები 32 მლნ. ლ

რას უდრის საბანკო რესურსები:

- ა. 175 მლნ. ლარი
- ბ. 110 მლნ. ლარი
- გ. 45 მლნ. ლარი

ამოცანა 1.1

ქვემოთ მოტანილი ინფორმაციის საფუძველზე, შეადგინეთ კომერციული ბანკის ბუღალტრული ბალანსი პირველი ოქტომბრისათვის (თანხა ათას ლარებში):

ნაღდი ფული	1 500
ფულადი სახსრები ეროვნულ ბანკში	14 970
გაცემული დეპოზიტები	2 300
ნაყიდი ობლიგაციები	1 760
მიღებელი დეპოზიტები	4 100
გაცემული სესხები	6 700
მიმდინარე ანგარიშები	3 400
მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(400)
წმინდა სესხები	6 300
გამოშვებული ობლიგაციები	1 350
აღებული სესხები	1 250
მისაღები პროცენტები	1 390
გადასახდელი პროცენტები	1 360
მისაღები დივიდენდები	240
სააქციო კაპიტალი	23 280
ინვესტიციები საწესდები კაპიტალში	3 200
საემისიო კაპიტალი	580
სარეზერვო კაპიტალი	270
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	3 000
გაუნაწილებელი მოგება	30
აქტივების გადაფასების რეზერვი	20
სხვა აქტივები	980

ამოცანა 12

ქვემოთ მოცემული ბუღალტრული ანგარიშებზე გამოთვალეთ საბოლოო ნაშთები: ა). ბრუნვის მეთოდით და ბ). მთლიანი ჯამის მეთოდით.

<table border="0" style="width: 100%;"> <tr> <td style="width: 10%;"></td> <td style="width: 40%; text-align: center;">საღარო</td> <td style="width: 10%;"></td> <td style="width: 10%; text-align: center;">კ</td> </tr> <tr> <td>ნაშთი:</td> <td style="text-align: right;">15 000</td> <td style="border-left: 1px solid black; border-right: 1px solid black;">2).</td> <td style="text-align: right;">19 100</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td style="border-left: 1px solid black; border-right: 1px solid black;">4).</td> <td style="text-align: right;">30 500</td> </tr> <tr> <td>1).</td> <td style="text-align: right;">21 700</td> <td style="border-left: 1px solid black; border-right: 1px solid black;">5).</td> <td style="text-align: right;">10 000</td> </tr> <tr> <td>3).</td> <td style="text-align: right;">42 500</td> <td style="border-left: 1px solid black; border-right: 1px solid black;">7).</td> <td style="text-align: right;">42 000</td> </tr> <tr> <td>6).</td> <td style="text-align: right;">51 700</td> <td style="border-left: 1px solid black; border-right: 1px solid black;"></td> <td></td> </tr> </table>		საღარო		კ	ნაშთი:	15 000	2).	19 100			4).	30 500	1).	21 700	5).	10 000	3).	42 500	7).	42 000	6).	51 700			<table border="0" style="width: 100%;"> <tr> <td style="width: 10%;"></td> <td style="width: 40%; text-align: center;">მიღებული დეპოზიტები</td> <td style="width: 10%;"></td> <td style="width: 10%; text-align: center;">კ</td> </tr> <tr> <td>1).</td> <td style="text-align: right;">20 000</td> <td style="border-left: 1px solid black; border-right: 1px solid black;">ნაშთი:</td> <td style="text-align: right;">41 000</td> </tr> <tr> <td>3).</td> <td style="text-align: right;">22 200</td> <td style="border-left: 1px solid black; border-right: 1px solid black;"></td> <td></td> </tr> <tr> <td>5).</td> <td style="text-align: right;">50 000</td> <td style="border-left: 1px solid black; border-right: 1px solid black;">2).</td> <td style="text-align: right;">38 200</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td style="border-left: 1px solid black; border-right: 1px solid black;">4).</td> <td style="text-align: right;">47 900</td> </tr> </table>		მიღებული დეპოზიტები		კ	1).	20 000	ნაშთი:	41 000	3).	22 200			5).	50 000	2).	38 200			4).	47 900
	საღარო		კ																																										
ნაშთი:	15 000	2).	19 100																																										
		4).	30 500																																										
1).	21 700	5).	10 000																																										
3).	42 500	7).	42 000																																										
6).	51 700																																												
	მიღებული დეპოზიტები		კ																																										
1).	20 000	ნაშთი:	41 000																																										
3).	22 200																																												
5).	50 000	2).	38 200																																										
		4).	47 900																																										

ამოცანა 13

კომერციულ ბანკში, ერთი თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა შემდეგ საბანკო ოპერაციებს:

1. კლიენტმა ბანკში დეპოზიტზე შეიტანა 61 200 ლ
2. საღაროდან გაცემულია სესხი 55 000 ლ
3. ბანკის მიერ აღებულია სესხი, რომელიც ჩაირიცხა საკორესპოდენტო ანგარიშზე – 60 000 ლ
4. კლიენტების მიერ დეპოზიტზე შეტანილია ნაღდი ფული 85 000 ლ

5. სალაროდან შეტანილია საკორესპოდენტო ანგარიშზე 50 000 ლ
6. ნაღდ ფულზე ბანკმა შეისყიდა კომპიუტერები 15 000 ლ
7. დარიცხულია მისაღები პროცენტი 10 000 ლ
8. დარიცხულია გადასახდელი პროცენტი 3 200 ლ
9. საკორესპოდენტო ანგარიშიდან პროცენტის დასაფარად გადარიცხულია 3000 ლ
10. დარიცხულია თანამშრომლების ხელფასი 5 000 ლ

მოთხოვნა:

1. მოცემულ ოპერაციები აღრიცხეთ „T“ ანგარიშებში;
2. „T“ ანგარიშებზე გამოთვალეთ საბოლოო ნაშთები და შეადგინეთ საცდელი ბალანსი.

ამოცანა 14

მოცემულია კომერციული ბანკის საცდელი ბალანსი თვის ბოლოს:
(ათასი ლარი)

ანგარიშების დასახელება	ნაშთები	
	დებეტის	კრედიტის
1. სალარო	26 200	
2. მიღებული დეპოზიტები		146 200
3. გაცემული სესხები	55 000	
4. აღებული სესხები		60 000
5. კომპიუტერები	15 000	
6. მოთხოვნა მისაღებ პროცენტზე	10 000	
7. საკორესპოდენტო ანგარიში	107 000	
8. საპროცენტო ხარჯი	3 200	
9. საპროცენტო შემოსავალი		10 000
10. გადასახდელი პროცენტი		200
11. ხელფასის ხარჯი	5 000	
12. გადასახდელი ხელფასი		5 000
ჯამი	221 400	221 400

მოთხოვნა: წარმოდგენილი საცდელი ბალანსის საფუძველზე მოამზადეთ მოგებ/ხარალის ანგარიშგება და ბუღალტრული ბალანსი თვის ბოლოსათვის.

ამოცანა 5

კომერციული ბანკის ბუღალტრული ბალანსი 20 სექტემბრისათვის (მლნ ლარი):

აქტივი		პასივი	
ფულადი თანხები	5	მიღებული დეპოზიტები	6
გაცემული სესხები	8	აღებული სესხები	5
ფასიანი ქაღალდები	2	სააქციო კაპიტალი	7
მატერიალური აქტივები	3		

ჯამი 18

ჯამი 18

მომდევნო ერთი კვირის ბოლოს ბალანსის მხოლოდ სამი მუხლია შეცვლილი. კერძოდ, გაცემული სესხების სიდიდე გაზრდილია 10 მლნ ლარით; ფულადი თანხები შემცირებულია 3 მლნ ლარით. ცვლილება განიცადა აგრეთვე მიღებული დეპოზიტების მუხლმა.

მოთხოვნა: დაადგინეთ, როგორ შეიცვლებოდა მიღებული დეპოზიტები.

თავი 2. საპასო ოპერაციების აღრიცხვა

1. ბუღალტრული ანგარიში: „სავალუტო პოზიცია“ არის:

- ა. აქტიური ანგარიში
- ბ. პასიური ანგარიში
- გ. აქტიურ-პასიური ანგარიში

2. ბუღალტრული ანგარიში: „სავალუტო პოზიციის კონტრფასი“, იხსნება:

- ა. მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში
- ბ. მხოლოდ უცხოურ ვალუტაში
- გ. ორივე პასუხი სწორია

3. აღრიცხეთ: იურიდიული პირების მიერ მიმდინარე ანგარიშზე 1000 ლარის შეტანა:

- დებეტი – 1003 სალარო
- კრედიტი – 3611 მიმდინარე ანგარიში

4. ბანკომატებში ჩატვირთულია 10 000 ლარი

- დებეტი – 1004 ფულადი სახსრები ბანკომატებში
- კრედიტი – 1006 ბანკნოტები და მონეტები გზაში

5. აღრიცხეთ: ბანკომატში გაგზავნილია 7000 ლარი

- დებეტი – 1006 ბანკნოტები და მონეტები გზაში
- კრედიტი – 1003 სალარო

6. შეადგინეთ ბუღალტრული მუხლები შემდეგ ოპერაციაზე: ეროვნული ბანკის მიერ განადგურებულია უვარგისი ფულის ნიშნები (ბანკნოტები), ნომინალური ღირებულებით 10000 ლარი.

- ა). დ – 3001-02 ვალდებულება მიმოქცევაში გაშვებულ ბანკნოტებზე - 10.000 ლ
- კ – 1007 მიმოქცევიდან ამოსაღები ბანკნოტები და მონეტები – 10.000 ლ
- ბ). დ – 0999
- კ – 0104 გასანადგურებლად გადაცემული ბანკნოტები

7. როგორ აღრიცხება შემდეგი საბანკო ოპერაცია : 100 ევრო გაიყიდა 250 ლარად.

- ა). დ – 1003 სალარო ლარში – 250 ლ
- ბ). დ – 2116 ევროს პოზიცია 100
- კ – 2106 ევროს კონტრფასი – 250 ლ
- კ – 1013 ევროს სალარო 100

8. ბუღალტრული ანგარიში „სავალუტო პოზიცია“ – იხსნება:

- ა. მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში
- ბ. მხოლოდ უცხოურ ვალუტაში
- გ. ორივეში ერთდროულად

9. აღრიცხეთ: ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში გამოშვებულია 5 მლნ ლარის ბანკნოტები

- ა). დ – 0999 - 5 მლნ ლ
- კ – 0101 ბანკნოტები საცავში – 5 მლნ ლ
- ბ). დ – 1002 ეროვნული ბანკის სალარო - 5 მლნ ლ
- კ – 3001-02 მიმოქცევაში გაშვებული ბანკნოტები და მონეტები – 5 მლნ ლ

ამოცანა 2.1

მოცემულ ოპერაციებზე შეადგინეთ ბუღალტრული გატარებები, გადაიტანეთ „T“ ანგარიშებში და გამოთვალეთ ფინანსური შედეგი უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან (სალაროს ნაშთი 2000 ლარი და მიღებული დეპოზიტების ნაშთია 2000 ლარი):

- 1. 1000 დოლარი შესყიდულია 1600 ლარად;

2. ერთი კვირის შემდეგ 1000 დოლარი გაიყიდა 1650 ლარად;
3. ასახულია დოლარის ყიდვა-გაყიდვიდან მიღებული ფინანსური შედეგი;
4. აჩვენეთ ბუღალტრული ბალანსის ფრაგმენტი.

ამოცანა 2.2

დღის განმავლობაში ადგილი ჰქონდა შემდეგ ოპერაციებს:

1. 800 ლარად შესყიდულია 500 დოლარი;
2. 300 დოლარი გაიყიდა 510 ლარად;
3. ჩამოწერილია დოლარის ყიდვა-გაყიდვიდან მიღებული ფინანსური შედეგი;
4. დღის ბოლოს გადაფასდა სავალუტო პოზიციის ნაშთი, კურსი იყო 1:1,7

მოთხოვნა:

1. მოცემული ოპერაციები ასახეთ ანგარიშებში.
2. გამოთვალეთ საბოლოო ნაშთები და გაითვალისწინეთ, რომ საწყისი ნაშთი სალაროში იყო 2000 ლარი და მიღებული დეპოზიტებისა – 2000 ლარი;
3. შეადგინეთ საცდელი ბალანსის ფრაგმენტი ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში;
4. შეადგინეთ კრებსითი ბუღალტრული ბალანსი.

ამოცანა 2.3

გასაცვლელი კურსი:

შესყიდვა: 1 \$ = 1,6 ლ; 1 E = 2 \$; 1 E = 3,2 ლ

გაყიდვა: 1 \$ = 1,7 ლ; 1 E = 2,2 \$; 1 E = 3,74 ლ

საწყისი ნაშთ ბი: სალარო – 5000 ლ; მიღებული დეპოზიტები – 5000 ლ.

ადგილი ჰქონდა შემდეგ ოპერაციებს:

1. 1000 დოლარი შესყიდულია 1600 ლარად;
2. შესყიდულია 100 ევრო - 200 დოლარად;
3. კონტრფასის ანგარიშების ურთიერთგადაფარვა – 320 ლ
(1,6 * 200 \$ = 320 ლ ან 100 E * 3,2 = 320 ლ)
4. 300 ევრო შესყიდულია 960 ლარად;
5. 200 ევრო გაიყიდა 748 ლარად;
6. ევროს სავალუტო პოზიციის ნაშთის გადაფასება - 216 ლ
(200 E * 3,74 = 748 – 532 = 216 ლ)
532 ლარი არის ევროს კონტრფასის ანგარიშში ნაშთი;
7. დოლარის სავალუტო პოზიციის გადაფასება - 80 ლ
(800 \$ * 1,7 = 1360 – 1280 = 80 ლ)
1280 ლარი არის დოლარის კონტრფასის ნაშთი.

- მოთხოვნა:** 1. მოცემულ ოპერაციებზე შეადგინეთ ბუღალტრული მუხლები;
2. ოპერაციები ასახეთ „T“ ანგარიშებში და გამოთვალეთ საბოლოო ნაშთები;
3. შეადგინეთ საცდელი ბალანსი ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში;
 4. შეადგინეთ კრებსითი ბუღალტრული ბალანსი

ამოცანა 2.4

სალაროს ანგარიშზე აღრიცხული ერთი თვის ოპერაციების შედეგები შემდეგია:

		სალარო – 1003	
საწყისი ნაშთი:	?		
დებეტის ბრუნავა	120 000	კრედიტის ბრუნვა	130 000
		გადასატანი ნაშთი	50 000

მოთხოვნა: რამდენი ლარი ყოფილა სალაროს ანგარიშის საწყისი ნაშთი?

ამოცანა 2.5

კრედიტორების აღრმრიცხველ ანგარიშზე ერთი თვის ოპერაციების შედეგები შემდეგია:

კრედიტორები - 4501

დებეტის ბრუნვა	325 000	საწყისი ნაშთი	?
გადასატანი ნაშთი	75 000	კრედიტის ბრუნვა	310 000

მოთხოვნა: რამდენი ლარი იქნება კრედიტორების საწყისი ნაშთი?

თავი 3. ბანკების საანგარიშსწორები ოპერაციების აღრიცხვა

1. კომერციული ბანკები საკორესპოდენტო ანგარიშს ხსნიან:

- ა. მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში
- ბ. მხოლოდ უცხოურ ვალუტაში
- გ. ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში

2. პერიოდის ბოლოს, კლიენტის მიმდინარე ანგარიშის ზრდა:

- ა. ამცირებს ბანკის ფულად სახსრებს
- ბ. ზრდის ბანკის ფულად სახსრებს
- გ. არ ცვლის ბანკის ფულად სახსრებს

3. აღრიცხეთ: ნოსტრო ანგარიშზე გადარიცხულია 6 000 დოლარი

დებეტი – 1703 „ნოსტრო“
კრედიტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში

4. აღრიცხეთ: ეროვნული ბანკიდან მიღებულ ამონაწერთან შედარების შედეგად აღმოჩნდა სხვაობა 1700 ლარი, კ/ბანკის სასარგებლოდ:

დებეტი – 2502 მოთხოვნა გაურკვეველ თანხებზე
კრედიტი – 1052 საკორესპოდენტო ანგარიში

5. კ/ბანკის სავალდებულო რეზერვების ნაშთი ეროვნულ ბანკში 20 400 ლარი იყო. მომდევნო ორი კვირის განმავლობაში კ/ბანკის ვალდებულებების საშაულო ნაშთი გაიზარდა 12 500 ლარით.

რამდენი ლარი იქნება სავალდებულო რეზერვების ნაშთი ორი კვირის შემდეგ:

- ა. 1 625 ლ
- ბ. 21 025 ლ
- გ. 17 075 ლ

6. კ/ბანკის სავალდებულო რეზერვების გაანგარიშების დროს გაითვალისწინება:

- 1. ფიზიკური პირების მიმდინარე ანგარიშები, საგადასახადო ვალდებულებები
- 2. გაცემული სესხები, ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე ანგარიშები
- 3. ვალდებულებები კლიენტების მიმდინარე ანგარიშებით და საჩეკო წიგნაკების მიხედვით

7. აღრიცხეთ, ფიზიკური პირის მიერ ბანკში დეპოზიტზე 500 ლარის შეტანა

დებეტი – 1003 სალარო
კრედიტი – 3651 მიღებული დეპოზიტები

8. მოქალაქემ სავალუტო დეპოზიტზე შემოიტანა 600 დოლარი ;

დებეტი – 1013 სალარო დოლარში
კრედიტი – 3661 მიღებული დეპოზიტები

9. აღრიცხეთ: მოქალაქემ დეპოზიტიდან გაიტანა 1500 ლარი, შესაბამის დოლარში, როცა გასაცვლელი კურსი იყო 1:1,5

- ა). დ – 3651 მიღებული დეპოზიტი 1500 ლ
კ – 2601 სავალუტო პოზიციის კონტრფასი 1500 ლ
- ბ). დ – 2611 სავალუტო პოზიცია დოლარში 1000 \$
კ – 1013 სალარო დოლარში – 1000 \$

10. კლიენტისაგან დეპოზიტზე მიღებულია 35 000 ლარი, რაზედაც ბანკი უხდის თვიურად 1,5% სარგებელს. რას უდრის გადასახდელი პროცენტის თანხა მესამე თვეს, რთული პროცენტის მეთოდით:

- ა. 533 ლ
- ბ. 525 ლ
- გ. 541 ლ

ამოცანა 3.1

მოცემულია მიღებული დეპოზიტის ანგარიშზე ჩანაწარები:

საწყისი ნაშთი	1 ოქტომბერს	1000 ლ
ფულის შეტანა	10 ოქტომბერს	500 ლ
ფულის გატანა	15 ოქტომბერს	(700)
საბოლოო ნაშთი	31 ოქტომბერს	800 ლ

მოთხოვნა: რას უდრის თვის ბოლოს ბანკის მიერ გასაცემი საპროცენტო თანხა, თუ მოძრავ და უძრავ ნაწილზე 10%-ია დადგენილი.

ამოცანა 3.2

კლიენტს კომერციულ ბანკში გახსნილი აქვს დეპოზიტი ლარში, რომელზეც მაისის თვის განამჯლობაში ადგილი ჰქონდა შემდეგ ოპერაციებს:

1 მაისი, საწყისი ნაშთი	3400 ლ
10 მაისი, ფულის შეტანა	2500 ლ
18 მაისი, ფიულის გატანა	4000 ლ
25 მაისი, ფულის შეტანა	2700 ლ

მოთხოვნა: დაადგინეთ ანაბარზე გასაცემი ერთი თვის პროცენტის თანხა, თუ თანხის უძრავ ნაწილზე წლიურად 10% და მოძრავ ნაწილზე 5% განაკვეთებია. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება პოცენტის დარიცხვაზე.

ამოცანა 3.3

კლიენტმა პირველ ნოემბერს ბანკში გახსნა მოთხოვნამდე ანაბარი და შეიტანა 5000 ლარი. ნოემბრის განმავლობაში ადგილი ჰქონდა შემდეგ ოპერაციებს:

1 ნოემბერს შეტანა	5000
7 ნოემბერს გაიტანა	(3000)
15 ნოემბერს შეიტანა	4000
22 ნოემბერს გაიტანა	(5000)
30 ნოემბერს შეიტანა	3000
10 დეკემბერს შეიტანა	4000
20 დეკემბერს გაიტანა	(2000)

მოთხოვნა: გამოთვალეთ ნოემბერში და დეკემბერში ანაბარზე დასარიცხი საპროცენტო თანხები, თუ მოძრავ ნაწილზე, წლიურად: 5% და უძრავ ნაწილზე 8%-იანი

განაკვეთებია. ამასთან, კლიენტმა საპროცენტო თანხა მხოლოდ დეკემბრის ბოლოს გაიტანა. გაითვალისწინეთ, რომ საშემოსავლო გადასახდის განაკვეთია 5%.

ამოცანა 3.4

კომერციული ბანკის სავალდებულო რეზერვების ნაშთი ეროვნულ ბანკში 1 ნოემბერს იყო 24000 ლარი. მომდევნო ორი კვირის განმავლობაში ვალდებულებების საშუალო ნაშთი 620000 ლარი გახდა. სავალდებულო რეზერვის ნორმაა 5%.

მოთხოვნა: გამოთვალეთ სავალდებულო რეზერვების სიდიდე და მიეცით ბუღალტრული გატარება.

ამოცანა 3.5

კომერციულ ბანკში, მიმდინარე ანგარიშზე თვის დასაწყისში იყო ოვერდრაფტი 89000 ლარი. თვის განმავლობაში დებეტის ბრუნვამ 240000ლ და კრედიტის ბრუნვამ 430000 ლ შეადგინა.

მოთხოვნა: რომელი ნაშთი ექნება მიმდინარე ანგარიშს თვის ბოლოს.

თავი 4. საშუაშავლო ოპერაციების აღრიცხვა

1. არსებობს თუ არა ოვერდრაფტის შესაძლებლობა „ფინანსური ლიზინგი“ ანგარიშზე:

- ა). ზოგჯერ
- ბ). არასოდეს
- გ). ყოველთვის

2. კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე თვის დასაწყისში იყო ოვერდრაფტი 20.500 ლარი. თვის განმავლობაში იმავე ანგარიშზე ჩაირიცხა 25.000 ლარი.

რა იქნება კლიენტის მიმდინარე ანგარიშის ნაშთი თვის ბოლო დღეს:

- ა). დებეტის ნაშთი 4.500 ლ
- ბ). კრედიტის ნაშთი 4.500 ლ
- გ). არცერთი პასუხი არაა სწორი

3. აღრიცხეთ: კლიენტთან დადებულია შეთანხმება ფაქტორინგული მომსახურების შესახებ 45.000 ლარზე.

დებეტი – 0999 ტექნიკური ანგარიში

კრედიტი 0301 აღებული ფორმალური ვალდებულებები

4. აღრიცხეთ: დარიცხულია მისაღები საპროცენტო შემოსავალი ფაქტორინგული მომსახურებიდან 1200 ლარი

დებეტი – 2409 მისაღები პროცენტები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით

კრედიტი – 7032 შემოსავალი ფაქტორინგული ოპერაციებიდან

5. ძირითადი საშუალებები გაცემულია ფინანსური ლიზინგით 10 წლით, სულ 50.000 ლარის. წლიურად 15% გადასახადით. ანუიტეტის დისკონტირების კოეფიციენტი 5,0188

რას უდრის მეორე წლის საპროცენტო შემოსავლის თანხა:

- ა. 9962 ლ
- ბ. 7500 ლ
- გ. 7131 ლ

ამოცანა 4.1

ერთ-ერთმა კომერციულმა ბანკმა ფინანსური ღიზინგით გასცა 80000 ლარის ღირებულების სამრეწველო მოწყობილობები, ხუთი წლით, წლიურად 10% საიჯარო განაკვეთით. ხუთი წლის ბოლოს აქტივი გადავა იჯარის ამღების საკუთრებაში.

ბანკი ყოველწლიურად მიიღებს თანაბარ თანხას, საიჯარო პროცენტის ჩათვლით. დისკონტირების კოეფიციენტი არის 3,79079

მოთხოვნა:

შეადგინეთ საიჯარო შემოსავლების გრაფიკი ხუთი წლისათვის.

ამოცანა 4.2

4 ოქტომბერს კომერციულმა ბანკმა ხელშეკრულება დადო, რომ გაანადგებს მის დებტორულ დავალიანებას 240000 ლარს, 15 დღის ვადით. წლიური 10%-იანი სარგებლით.

5 ოქტომბერს ბანკმა შეასრულა კლიენტთან დადებული პირობა. 15 დღის შემდეგ ბანკმა კუთვნილი თანხა მიიღო.

მოთხოვნა: აღრიცხეთ შესაბამისი ოპერაციები.

თავი 5. საბრედიტო და სასესხო ოპერაციების აღრიცხვა

1. კ/ბანკის ბალანსში გაცემული სესხები გაიზარდა 17 მლნ ლარით, ხოლო, აღებული სესხი გაიზარდა 12 მლნ ლარით. **როგორ შეიცვლებოდა ფულადი თანხები ;**

- ა. გაიზარდა 5 მლნ-ით
- ბ. შემცირდა 5 მლნ-ით
- გ. გაიზარდა 2 მლნ-ით

2. **აღრიცხეთ:** ბანკმა გააფორმა ხელშეკრულება 45 000 ლარის სესხის გაცემაზე:

- დებეტი – 0999 ტექნიკური ანგარიში
- კრედიტი – აღებული ფორმალური ვალდებულებები

3. **როგორ აღრიცხება გაცემული ვადაგადაცილებული სესხები:**

- დებეტი – გაცემული ვადაგადაცილებული სესხები
- კრედიტი – გაცემული სესხები

4. კ/ბანკის მიერ გაცემულია სესხები 80 600 ლარი, რაზეც შექმნილია 20%-იანი საექვო მოთხოვნების რეზერვი. **რას უდრის წმინდა სესხები:**

- ა. 64 480
- ბ. 26 120
- გ. 80 600

5. 20 000 ლარის სესხი ვადაგადაცილებულია 8 დღით, თუ ყოველ გადაცილებულ დღეზე დადგენილია ჯარიმა 0,5%.

რას უდრის დასარიცხი ჯარიმის თანხა:

- ა. 900 ლ
- ბ. 800 ლ
- გ. 100 ლ

6. **აღრიცხეთ:** ჩამოწერილია უიმედო სესხები, როცა სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი შეადგენდა 9 200 ლარს. ფაქტიურად კი უიმედო აღმოჩნდა 10 000 ლარის ვადაგადაცილებული სესხი:

- დებეტი – საექვო სესხების რეზერვი – 9200 ლ
- დებეტი – ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით – 800 ლ

კრედიტი – ვადაგადაცილებული სესხები – 10.000 ლ

7. აღრიცხვით: დარიცხულია გაცემული სესხებიდან მისაღები სა-% შემოსავალი 8000 ლ

დებეტი – მისაღები პროცენტები – 8.000

კრედიტი – საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან – 8.000 ლ

8. გაცემულია 2 წლიანი სესხი 30.000 ლარი, წლიურად 24%-იანი განაკვეთით, მთლიანი თანხის თანაბარი გადახდით.

რას უდრის ყოველთვიურად მისაღები თანაბარი თანხა, თუ დისკონტირების კოეფიციენტია 18,9139.

ბ. 3700 ლ

ც. 4500 ლ

გ. 1586 ლ

9. წმინდა საპროცენტო შემოსავალი არის:

ა. სხვაობა საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯებს შორის

ბ. სხვაობა საპროცენტო შემოსავალსა და აქტივების ჯამს შორის

გ. სხვაობა საპროცენტო ხარჯებსა და საპროცენტო შემოსავლებს შორის

10. გაცემულია სესხი 40 000 ლარი, 4 წლით, წლიურად 20%-იანი განაკვეთით. ძირითადი თანხის თანაბარი გადახდით და შესაბამისი საპროცენტო თანხის გადახდის პირობით.

რას უდრის მე-3 წლის ბოლოს მისაღები საპროცენტო თანხა:

ა. 8 000 ლ

ბ. 4 000 ლ

გ. 6 000 ლ

11. გაცემულია სესხი 32 000 ლარი, 5 წლით, წლიურად 15%-იანი განაკვეთით, ვადის ბოლოს ძირითადი თანხის გადახდის პირობით.

რას უდრის მე-2 წელს მისაღები საპროცენტო თანხა:

ა. 4 800 ლ

ბ. 2 400 ლ

გ. 6 400 ლ

12. აღებული სესხების ნაშთების ზრდა თვის ბოლოსათვის:

ა. შეამცირებს ბანკის ფულად სახსრებს

ბ. გაზრდის ბანკის ფულად სახსრებს

გ. არ შეცვლის ბანკის ფულად სახსრებს

ამოცანა 5.1:

კომერციულმა ბანკმა გასცა სესხი 45000 ლარი, 3 წლით, წლიურად 12%-იანი სარგებლით. შემდეგი პირობით:

ძირითადი თანხა კლიენტმა უნდა გადაიხადოს 3 წლის ბოლოს, ყოველწლიურად კი შესაბამისი პროცენტის თანხა.

მოთხოვნა: შეადგინეთ გაცემული სესხიდან მისაღები თანხების გარაფიკი.

ამოცანა 5.2:

კომერციულმა ბანკმა გასცა სესხი 45000 ლარი, 3 წლით, წლიურად 12%-იანი სარგებლით, შემდეგი პირობით:

ძირითადი თანხა გადახდილი იქნება ყოველწლიურად თანაბრად და შესაბამისად პროცენტი.

მოთხოვნა: შეადგინეთ სესხის დაფარვის გრაფიკი.

ამოცანა 5.3:

კომერციული ბანკის მიერ გაცემულია სესხი 45000 ლარი, 3 წლით, წლიურად 12%-იანი სარგებლით, მთლიანი თანხის თანაბარი გადახდით (პროცენტის ჩათვლით). ანუიტეტის დისკონტირების კოეფიციენტი – 2,40183.

მოთხოვნა: შეადგინეთ სესხის დაფარვის გრაფიკი.

ამოცანა 5.4:

მიმდინარე თვის დასაწყისში, ბანკის აღებული სესხის ანგარიშზე დებეტის ბრუნვა 341000ლ, კრედიტის ბრუნვა 510000 ლ და საბოლოო ნაშთი 205700 ლარია.

მოთხოვნა: გამოთვალეთ საწყისი ნაშთი.

ამოცანა 5.5:

კომერციული ბანკს შექმნილი აქვს 200 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ობლიგაციები. მან გადაწყვიტა, აიღოს ლომბარდული კრედიტი ეროვნული ბანკიდან, ფასიანი ქაღალდების გირავნობის ქვეშ.

ბოლო აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთია 15%. ფასიანი ქაღალდების ვადაა 2014 წლის 1 იანვარი – 2016 წლის 31 დეკემბერი. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, დაფარვის ფაქტორის კოეფიციენტი 1,10.

სესხის აღების შეთანხმება დადებულია 2015 წლის 1 აგვისტოს. ვადა - 5 დღე.

მოთხოვნა:

- გამოთვალეთ:** 1. ეროვნული ბანკის მიერ გასაცემი თანხის სიდიდე;
2. გადასახდელი პროცენტის თანხა.

ამოცანა 5.6.

2016 წლის 1 თებერვალს ბანკმა კლიენტზე გასცა სესხი შემდეგი პირობით: სესხის ძირითადი თანხაა – 50000 ლ, ერთი თვის ვადით. ძირითადი თანხა და პროცენტი იფარება ვადის ბოლოს. სარგებელი წლიურად, ვადიან სესხზე – 18%, ვადაგადაცილებულ სესხზე – 24%-ია.

სასესხო ვალდებულების უზრუნველყოფის სახით მესამე პირისგან მიღებულ იქნა თავდებობა 54000 ლარზე.

მსესხებელმა ვერ დაფარა ძირითადი თანხა და პროცენტი 2016 წლის 31 მარტამდე (ჩათვლით). ამავე დღეს ბანკმა თავდებობის გამცემი პირისგან მიიღო ამ თარიღისათვის მისაღები პროცენტის შესაბამისი თანხა.

მოთხოვნა: რამდენი იქნება 0203 (მიღებული გარანტიები) ბალანსგარეშე ანგარიშზე ნაშთი 2016 წლის 31 მარტის დღის ბოლოს (პირობითად თვეში 30 დღეა).

თავი 6. ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა

1. აღრიცხეთ – კ/ბანკის მიერ ობლიგაციები გამოშვებულია 67 000 ლარად და გაიყიდა 70 000 ლარად

დებეტი – 1003 სალარო – 70.000 ლ

კრედიტი – 3803 გამოშვებული ობლიგაციები – 70.000 ლ

2. კ/ბანკის მიერ გამოშვებულია ობლიგაციები 5 წლის ვადით, ნომინალური ღირებულებით 34 000 ლარად, რომელიც გაიყიდა 32 000 ლარად

აღრიცხეთ:

ა). ობლიგაციის გაყიდვა:

დ – ფულადი სახსრები – 32000 ლ

დ – 3802 კონტრანგარიშ-დისკონტი – 2000

კ – 3803 ვალდებულება გამოშვებულ ობლიგაციებზე – 34000 ლ

ბ). ობლიგაციის დისკონტის ამორტიზაცია (ჩამოწერა) პირველი წლის ბოლოს.

- დ – 8101 საკუთარი ობლიგაციის დისკონტის ხარჯი – 400 ლ
 - კ – 3802 გამოშვებული ობლიგაციების დისკონტი – 400 ლ
- [2000 : 5 წ.= 400]

3. აღრიცხეთ – კ/ბანკმა შეისყიდა სახელმწიფო ობლიგაციები 60 000 ლარად, რომლის ნომინალური ღირებულება იყო 58 000 ლარი

- დ – 1403 ნაყიდი სახელმწიფო ობლიგაციები – 58.000 ლ
- დ – 1405 ნაყიდი ობლიგაციების პრემია – 2.000 ლ
- კ – 1003 სალარო – 60.000 ლ

4. აღრიცხეთ: საჩეკო დეპოზიტებიდან, ნაღდ ფულზე განაღდებულია კლიენტის ფულადი ჩეკი 600 ვერო, შესაბამის ექვივალენტით ლარებში, როცა 1 ვერო = 2,2 ლარი

- ა). დ – 4515 კლიენტის დეპოზიტი საჩეკო წიგნაკებით ვეროში – 600 ვერო
- კ – 2611 სავალუტო პოზიცია ვეროში – 600 ვერო
- ბ). დ – 2601 სავალუტო პოზიციის კონტრფასი – 1.320 ლ
- კ – 1003 სალარო – 1.320 ლ

5. აღრიცხეთ: აქციები, რომელიც შესყიდული იყო 10 000 ლარად, გაიყიდა 9000 ლარად

- დ – 1003 სალარო 9.000
- დ – 8601 ზარალი დილინგურო ოპერაციებიდან – 1000 ლ
- კ – 1501 აქციები 10.000 ლ

6. რა არის ობლიგაცია:

- ა. ფასიანი ქაღალდი, რომლის მფლობელი იღებს საპროცენტო შემოსავალს;
- ბ. ფასიანი ქაღალდი, რომლის მფლობელი ეწევა საქპროცენტო ხარჯს;
- გ. ფასიანი ქაღალდი, რომელსაც მოაქვს დივიდენდი.

ამოცანა 6.1

კომერციული ბანკის მიერ 230000 ლარად შესყიდულია 200000 ლარის ნომინალური ღირებულების ობლიგაციები, სამი წლით, წლიურად 15%-იანი სარგებლით. ვადის ბოლოს ობლიგაციებს უკან შეისყიდის გამომშვები.

მოთხოვნა: შეადგინეთ ობლიგაციებიდან მისაღები თანხების გრაფიკი და ბუღალტრული გატარებები პირველ წელს.

ამოცანა 6.2;

კომერციული ბანკის მიერ 170000 ლარად შესყიდულია 200000 ლარის ნომინალური ღირებულების ობლიგაციები, სამი წლით, წლიურად 15%-იანი სარგებლით. ვადის ბოლოს ობლიგაციებს უკან შეისყიდის გამომშვები.

მოთხოვნა: შეადგინეთ ობლიგაციებიდან მისაღები თანხების გრაფიკი და ბუღალტრული გატარებები პირველ წელს.

ამოცანა 6.3:

კომერციული ბანკის მიერ გამოშვებულია 200000 ლ ნომინალური ღირებულების ობლიგაციები, რომელიც გაიყიდა 230000 ლარად, სამი წლით, წლიურად 15%-იანი სარგებლით.

მოთხოვნა: შეადგინეთ ფულადი თანხების გადინების გრაფიკი და ბუღალტრული მუხლები მესამე წელს.

ამოცანა 6.4:

ბანკის მიერ გამოშვებულია 500000 ლ ნომინალური ღირებულების ობლიგაციები და გაყიდულია 470000 ლარად. სამი წლის ვადით, წლიურად 15%-იანი სარგებლით.

მოთხოვნა:

1. გამოთვალეთ გამოშვებული ობლიგაციის გაყიდვიდან წარმოქმნილი დისკონტის თანხა;
2. გამოთვალეთ მთლიანი გადასახდელი პროცენტის თანხა სამი წლის განმავლობაში. გააკეთეთ შედარებითი ანალიზი.

ამოცანა 6.5:

კომერციულმა ბანკმა იყიდა აქციები დილინგიური ოპერაციებისათვის 100000 ლარად. ნომინალური ღირებულებაა 110000 ლარი. ორი წლის შემდეგ აქციის გამომშვები უკან დაიბრუნებს მას ნომინალური ღირებულებით.

მოთხოვნა: გახსენით ნაყიდი აქციების ანგარიში და აღრიცხეთ მასზე აქციების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები.

თავი 7. ოპერაციების აღრიცხვა უცხოურ ვალუტაში

ტესტები

1. **აღრიცხეთ:** კლიენტმა ბანკში გახსნა დეპოზიტი დოლარში და შემოიტანა 12.600 ლარი, როცა 1 დოლ = 1,5 ლ

- ა). დ – 1003 სალარო ლარში – 12.600 ლ
- კ – 2601 დოლარის კონტრფასი – 12.600 ლ
- ბ). დ – 2611 სავალუტო პოზიცია დოლარში – 8.400 \$
- კ – 3661 მიღებული დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში – 8.400 \$

2. უცხოურ ვალუტაში მისაღები საპროცენტო შემოსავლების ბუღალტრულ ანგარიშებზე შემოსავლები აღრიცხება:

- ბ. უცხოურ ვალუტაში
- ც. ეროვნულ ვალუტაში
- გ. მხოლოდ ევროში

3. საღვარგარეთის კომპანიიდან ნაყიდი აქციების ნომინალური ღირებულებაა 40.000 დოლარი. აქციის გამომშვებმა გამოაცხადა 8-% დივიდენდი.

აღრიცხეთ მისაღები დივიდენდის დარიცხვა, როცა 1:1,5:
40.000-ის 8% = 3.200 დოლარი * 1,5 = 4800 ლ

- ა). დ – 2471 მისაღები დივიდენდი დოლარში – 3.200 \$
- კ – 2611 სავალუტო პოზიცია დოლარში – 3.200 \$
- ბ). დ – 2601 დოლარის კონტრფასი – 4.800 ლ
- კ – 6512 შემოსავალი ინვესტიციებიდან უცხოურ ვალუტაში – 4.800 ლ

4. **აღრიცხეთ:** გამოშვებულია აქციები, რომლის ნომინალური ღირებულებაა 50.000 ლარი და რომელიც შესყიდულია უცხოელი ინვესტორების მიერ 31.250 დოლარად.

- ა). დ – სალარო დოლარში – 31.250 \$
- კ – 2611 სავალუტო პოზიცია დოლარში – 31.250 \$
- ბ). დ – 2601 დოლარის კონტრფასი – 50.000 ლ
- კ – 5002 სააქციო კაპიტალი ჩვეულებრივ აქციებში – 50.000 ლ

5. **აღრიცხეთ:** კომერციული ბანკის მიერ შესყიდულია უცხოური კომპანიის აქციები 29.000 დოლარის ნომინალური ღირებულებით და შესყიდვა მოხდა 30.000 დოლარად. 1:1,

- ა). დ – 2011 ინვესტიციები უცხოურ ვალუტაში 30.000 \$
- კ – 1062 საკორესპოდენტო ანგარიში უცხ. ვალუტაში – 30.000 \$
- ბ). დ – 2611 დოლარის სავალუტო პოზიცია – 1.000 \$
- კ – 2011 ინვესტიციები უცხოურ ვალუტაში – 1.000 \$

- გ) დ – 8911 ზარალი აქციებთან დაკავშირებით უცხ. ვალუტაში – 1500 ლ
- კ – 2601 – დოლარის კონტრფასი – 1.500 ლ

6. აღრიცხეთ: კლიენტმა, რომელსაც საჩუქო დეპოზიტი გახსნილი აქვს ლარში, გაიტანა ჩეკით ნაღდი ფული 800 დოლარი, როცა 1 დოლ = 1,6 ლ

ა). დეპეტი – 2611 სავალუტო პოზიცია დოლარში – 800 \$

კრედიტი – 1013 სალარო დოლარში – 800 \$

ბ). დეპეტი – 4505 დეპოზიტები ჩეკის წიგნაკების მიხედვით – 1320 ლ

კრედიტი – 2601 დოლარის კონტრფასი - 1320 ლ

7. ბანკის მიერ შესყიდულია 40000 ლარის ნომინალური ღირებულების ათ წლიანი ობლიგაცია – 43000 ლარად და წლიურად იღებს 12% შემოსავალს, მარტივი პროცენტის მეთოდით.

რას უდრის ბანკის წლიური საპროცენტო შემოსავალი:

ა. 5 160 ლ

ბ. 4 800 ლ

გ. 3 000 ლ

ამოცანა 7.1

ერთ-ერთი ბანკის მიერ, უცხოური კომერციული ბანკიდან აღებულია სამწლიანი სესხი 45000 დოლარი, წლიურად 10%-იანი განაკვეთით. სამი წლის ბოლოს ძირითადი სესხის დაფარვის პირობით.

მოთხოვნა: აღრიცხეთ პირველი წლის ოპერაციები

ამოცანა 7.2

კომერციულმა ბანკმა არარეზიდენტ ბანკზე გაასესხა 20000 დოლარი, ვადის ბოლოს სესხის დაბრუნების პირობით. როცა გასაცვლელი კურსი იყო 1:1,5. წლიურად 10%-იანი განაკვეთით

მოთხოვნა: აღრიცხეთ მესამე წლის ოპერაციები.

ამოცანა 7.3.

მოქალაქემ, კომერციულ ბანკში 2016 წლის 5 აგვისტოს, გახსნა დეპოზიტი დოლარში და შეიტანა 5000 ლარი, როცა 1 დოლარი 1.6 ლარს უდრიდა.

სამი თვის შემდეგ, იმავე დეპოზიტიდან, გაიტანა 1000 დოლარი.

მოთხოვნა: აღრიცხეთ მოცემული ოპერაციები დეპოზიტის გახსნისა და თანხის გატანის დროს.

ამოცანა 7.4:

ბანკის მიერ გამოშვებულია 5 წლიანი ობლიგაციები, რომლის ნომინალური ღირებულება იყო 150000 ლარი, წლიურად 10%-იანი სარგებლით, გაიყიდა 120000 დოლარად.

მოთხოვნა: აღრიცხეთ ობლიგაციების გაყიდვისა და გადასახდელი პროცენტის დარიცხვის ოპერაციები პირველ წელს.

თავი 8. კომერციული ბანკების შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა

1. შესაძლებელია თუ არა ოვერდრაფტი „შემოსავლების“ აღმრიცხველ ბუღალტრულ ანგარიშებზე:

- ა. ზოგჯერ
- ბ. დიას
- გ. არასოდეს

2. აღრიცხეთ: დარიცხულია მიღებულ დეპოზიტებზე გასაცემი %-ის თანხა 7 900 ლარი
დ – 8351 პროცენტული ხარჯები დეპოზიტების მიხედვით – 7.900 ლ
კ – 4405 გადასახდელი პროცენტები – 7.900 ლ

3. გაცემულია სესხი 4 თვით, 45 800 ლარი, წლიურად 24 %-იანი განაკვეთით და მთლიანი თანხის ყოველთვიურად თანაბარი გადახდით, პროცენტის ჩათვლით.

რას უდრის მეორე თვეში მისაღები საპროცენტო შემოსავალი, თუ დისკონტირების კოეფიციენტი არის 3,80773:

- ა. 520 ლ
- ბ. 916 ლ
- გ. 694 ლ

4. ბანკის მიერ გაცემულია ექვს თვიანი სესხი 20000 ლარი, წლიურად 18%-იანი განაკვეთით. რას უდრის ბანკის მიერ, ექვს თვეში მისაღები მთლიანი საპროცენტო შემოსავალი, რთული პროცენტის მეთოდით, თუ დისკონტირების კოეფიციენტი 5,7;

- ა. 1 054 ლ
- ბ. 2 100 ლ
- გ. 1 800 ლ

5. კლიენტმა ბანკში 5 მარტს გახსნა ვადიანი დეპოზიტი 34000 ლარზე, რომელზეც ბანკი ყოველთვიურად არიცხავს სარგებელს, წლიური 12% საფუძველზე, რთული პროცენტის მეთოდით.

რას უდრის აპრილის თვეში დეპოზიტზე გასაცემი პროცენტის თანხა:

- ა. 235
- ბ. 338 ლ
- გ. 343 ლ

6. როგორ აღირიცხება გაცემულ სესხზე დაკავებული დაზღვევა - 500 ლარი

- დ – 1003 სალარო - 500 ლ
- კ – 4501 კრედიტორები – 500 ლ

7. აღრიცხეთ: დაკავებულია საკომისიო მომსახურებისათვის მიმდინარე ანგარიშზე 1000 ლარი

- დ – მიმდინარე ანგარიშები – 1000 ლ
- კ – საკომისიო შემოსავლები – 1000 ლ

8. დახურეთ საკომისიო ხარჯების ანგარიში:

- დ – 5501 მოგება/ზარალი
- კ – 80-96 კლასების ხარჯების აღმრიცხველი ანგარიშები

9. დახურეთ საკომისიო შემოსავლების ბუღალტრული ანგარიში:

- დ – 60-76 კლასის შემოსავლის აღმრიცხველი ანგარიშები
- კ – 5501 მოგება/ზარალი

10. აღრიცხეთ: უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხზე დარიცხულია მისაღები პროცენტი 2.000 დოლარი, გასაცემელი კურსია 1:1,6

- ა). დ – 2415 მისაღები პროცენტები გაცემული სესხებიდან – 2.000 \$
კ – 2611 სავალუტო პოზიცია დოლარში – 2.000 \$
- ბ). დ – 2601 დოლარის კონტრაფასი – 3.200 ლ
კ – 6312 საპროცენტო შემოსავალი უცხოურ ვალუტაში – 3.200 ლ

ამოცანა 8.1.

დამასრულებელი გატარებები

ქვემოთ მოცემული ოპერაციები აღრიცხეთ „T“ ანგარიშებში და დახურეთ დროებითი ანგარიშები:

1. დარიცხულია მისაღები პროცენტი 67000 ლ;
2. დარიცხულია გადასახდელი პროცენტები 35900 ლარი;
3. დარიცხულია მისაღები საკომისიო ფაქტორინგული მომსახურებისათვის – 3400 ლ
4. დარიცხულია ბანკის პერსონალის ხელფასი – 15700 ლ
